



ჩვენი მწერლობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

21 თებერვალი 2014

№4 (212)

დუნა ღაღის ფსიქიატრი
 ეკატერინე ტოგონიძის რომანი
 „საგურამოს“ ახალი ლაურეატები
 გია ჯოხაძისეული ტომას ელიოტი
 ემფატიკური „ა“ — მთავარი დამნაშავე
 ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი პრძოლა
 ანა გელაშვილის ტაო-კლარჯული დღიურიდან
 ზვიად გამსახურდიას ბარათები ვიქტორ ნოზაძეს
 სოსო სიგუა ოთარ ჩხეიძის „ლაზერშოუზე“
 ზაზა მრელაშვილის რეცენზია ლექსად
 მუსიკალური ტრიო: დები ნაყეურები
 ჭექტორისა და აქილევსის შერკინება
 როცა დუმილი დაღატის ტოლფასია



შინაარსი

სად წაიყვან სადაურსა	2	რუსუდან კობახიძე ზვიად გამსახურდიას სულიერი კავშირი ემიგრანტებთან
ილიას გიით	3	ზვიად გამსახურდია ორი ბარათი ვიქტორ ნოზაძეს
	4	„აქეთ, საქართველოში მუშაობა მირჩევნია“ (პაატა ჩხეიძეს ესაუბრება ალექსი ჯაყელი)
	6	შენვადრა: საგურამო ყვარაღვი
	6	მარიამ ნიკლაური რას ვინატრებდი აჰ, ყვარაღვი...
	8	ნინო დოლიძე აზრისა და საქმის ერთიანობის სიმბოლო
	8	ელიზბარ ჯაველიძე ილია მართლის შეგონებანი მცირე კომენტარებით
კინო	10	ნინო საბაშვილი „ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვით“ („ქართული ფილმის“ ხელმძღვანელი დიდ კინოკომპანიებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს)
მსსპრეს-ინტერვიუ	12	მიმი ჯავახიშვილი „სამყაროში ყველაფერი უკეთესობისთვის ხდება“ (მომზადად დარინა ყურუამ)
გამოსაზრება	13	ქეთევან სხულუხია ბიძია ტომი?!
პროზა	14	ლიანა ელიავა როდის მივდივართ ბარსელონაში?!
	24	ეკატერინე ტოგონიძე საკუთარი თავის ტყვე (რომანიდან „ასინქრონი“)
პოეზია	32	ზაზა მრელაშვილი ფიქრები, ალკრული „ჯაკომო პონტისგან“
პირველი შთაბეჭდილება	37	ივანე ამირხანაშვილი რატომ ლექსად?
უსსოეთის სსოპრაიდას	38	თემურ გაბუნია ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი ბრძოლა
კულტურის ხიდავი	44	პაატა ჩხეიძე ტომას ელიოტის „ბარნი მინა“ და ლექსები, როგორც... ბია ჯოსაძის ნიგნი
კრიტიკა	45	სოსო სიგუა „ლაზერმოუ“ (ოთარ ჩხეიძის უკანასკნელი რომანი)
	46	ეთერ თათარაიძე ემფატიკური „ა“ — მთავარი დამნაშავე
გამოსაზრება	49	ელგუჯა თავბერიძე საქართველოში შეყვარებული (მარი-მადლენ ბარტი)
რეპორტაჟი	50	ანი ბერძენიშვილი „ხევისპარის დროშაზე შეგებული ექვნეგვიტი“ (შეხვედრა დებ ნაყურებთან)
თქვა მართლისა	52	იკა ქადაგიძე როცა დუმილი მართლაც ღალატის ტოლფასია (ბონდო არველაძე)
კრიტიკა	56	როსტომ ჩხეიძე თავგანწირვის იდუმალება (ირაკლი ბათიაშვილის ნიგნი-ალსარება)
ისტორიის მერიდიანები	59	ანა გელაშვილი ვაჩა-ძორი — ტაოს ქართული მონასტერი (ტაო-კლარჯული დღიურიდან)
პირველი შთაბეჭდილება	61	რისმაგ გორდუზიანი XXII სიმღერა — ჰომეროსისეული გააზრების ბრწყინვალე მაგალითი (ქეთი ნიჟარაძის წარმატებული მთარგმნელობითი მცდელობა)
ახალი თარგმანები	62	ჰომეროსი ჰექატორისა და აქილეისის შიკრიცება
ხელოვნება	64	ლელა ჯიყაშვილი პორტრეტი ღია სარკმლის ფონზე (ლევან ხარანაული)
უსსოური ნოველა	67	დუნა ღალი უსნიძეატი
ამ მთისა და იმ ბარისა	71	ღინარა — დედოფალი ივერიისა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 მარტს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თვაი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოსაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: მიმი ჯავახიშვილი, ანა გოგლიჩიძის ფოტოგრაფიული ვაჩე-ძორი (ტაო-კლარჯეთი), ანა გელაშვილის ფოტო

რუსუდან კობახიძე

ზვიად გამსახურდიას სულიერი კავშირი ემიგრანტებთან

1996 წლის 18 დეკემბერს ავიაკომპანია „ორბის“ თვითმფრინავმა პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტიდან გეზი თბილისისაკენ აიღო. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის პარიზული ნაწილი ქართველ ერს უბრუნდება. თბილისში მოფრინავს ბატონი მამია ბერიშვილი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის თავმჯდომარე.

ამ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ბატონი გურამ შარაძე თავკაცობდა. მოგვიანებით, 1998 წელს გამოცემულ წიგნში „ერის ისტორიული მესხიერების დაბრუნება“ ბატონი გურამი დანერგა: „აქ მკითხველს თავს არ შევანყენთ, თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიხდა ლევილიდან არქივის წამოსაღებად... სამთავრობო არქივის გარდა საქართველოში ჩამოვიტანეთ ქართული მეცნიერების ისეთ კორიფეთა პირადი არქივები და სამეცნიერო მემკვიდრეობა, როგორებიც არიან ვიქტორ ნოზაძე, ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი“...

ეროვნულმა არქივმა ბინა საქართველოს პარლამენტში დაიდო, რასაკვირველია, დროებით — შესწავლისა და აღრიცხვის მიზნით.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის არქივი დაბრუნდა შენობაში, სადაც დამოუკიდებლობის დაკარგვიდან ზუსტად სამოცდაათი წლის შემდეგ, 1991 წელს, ეროვნულმა ხელისუფლებამ თავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრედ გამოაცხადა და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღადგინა.

ემიგრანტთა დათქმა ასეთი იყო — **არქივი დაუბრუნდებოდნო და მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს.**

1996 წელი იდგა და საქართველო დამოუკიდებელი იყო — დე-იურე! დე-ფაქტო(!?) თუმცა ეროვნული ხელისუფლება განდევნილი, სისხლი დაღვრილი, ჭრილობები მოუშუშებელი, აფხაზეთი და სამჩაბლო დაკარგული... ეს ის საქართველო არ იყო, ქართველი ემიგრანტები რომ ოცნებობდნენ, ეს არ იყო ილიას საქართველო, ზვიადის და მერაბის საქართველო...

არქივის დამუშავება ჩვენ დაგვევალა — კოლხური კოშკისა და კონსტანტინე გამსახურდიას არქივის დაცვის კომისიის წევრებს, ახალდაარსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმის თანამშრომლებს.

ეს დიდი პატივი და კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა იყო, პასუხისმგებლობა წარსულისა და მომავლის წინაშე...

ჩვენ ერთი დიდი ტრაგედია, დიდი ტკივილი უკვე განცდილი გვქონდა, განცდილი და არა გადატანილი! მესხიერებიდან არ გამქრალა ავგო ახლახანს ჩვენს თვალწინ გათამამებული დრამა და ადრინდელიც — პოეტს რომ ათქმევინა: „**ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი! მშობელი დედო, ისევ გაგიდეს, ისევ წამების ჯვარი აკიდეს, არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს! თოვდა და თბილისს ებურა თალხი. დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.**“

1921 წელი განმეორდა საქართველოში. მხოლოდ, ყველაფერი უფრო მზაკვრულად მოხდა, შემდეგ მავანმა „დემოკრატიულ რევოლუციად“, ზოგმაც „სამოქალაქო ომად“ რომ მონათლა. მიუტყვებელი ცოდვა დატრიალდა და... „ესჭამთ ნაყოფსა მისგან“ „ტკბილსა“!

მინიატურული ბოქლომებით ჩაკეტილ თუნუქის ლურჯ ყუთებში ბევრი საიდუმლო იყო დაცული... არავინ იცოდა, რამდენი სიხარული, ტკივილი, ცრემლი, გაოცება გველოდა.

პირველ ყოვლისა საჭირო იყო სამთავრობო არქივის დამუშავება, აღებულ ვალდებულებათა შესრულება, რათა არ შეფერხებულიყო არქივის ჰარვარდული ნაწილის საქართველოში ჩამოტანა ამერიკიდან.

ვიქტორ ნოზაძის არქივის გახსნა ბოლოსთვის გადაიდო.

ამონარიდი გოგი ნოზაძის ნოტარიული წესით დამონმებული დოკუმენტიდან: „ჩემს უფროს ძმას — ვიქტორ ნოზაძეს, რუსთველოლოგს, დარჩა არქივი, რომლის ჩემთან დარჩენილ ერთ ნაწილს ვატან საქართველოში პროფ. გურამ შარაძეს... არ-

ქივის დარჩენილი ნაწილი გადაეცემა ბატონ გურამ შარაძეს საქართველოში წასაღებად. მასვე ვანდობ მისი შრომების გამოცემას“. დოკუმენტი ლევილში 1989 წლის 30 სექტემბერს გადასცა ბატონმა გოგი ნოზაძემ ბატონ გურამს.

ვიქტორ ნოზაძე — ცნობილი ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. მრავალი ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთის გამომცემელი და რედაქტორი. ავტორი ბევრი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაშრომისა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გვირგვინი ექვსი მონუმენტური ტომია — „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის მზის მეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებამეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, „ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება“.

პოლიტიკური მოღვაწეობის გვირგვინს კი ვერ მოეხსნო იგი, ისევე როგორც ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა.

ვიქტორ ნოზაძის არქივში დაცულმა მასალებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: გამოუქვეყნებელი შრომები რუსთველოლოგიის, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, ფილოსოფიური შრომები, თარგმანები, მასალები ქართული ეკლესიის შესახებ, პირადი დოკუმენტები, სხვათა ნაწერები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა...

ფართოა ვიქტორ ნოზაძისადმი გაგზავნილი წერილების ავტორთა სპექტრი, აქ ცნობილ ქართველ ემიგრანტთა მთელი გალერეაა — მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, რევაზ გაბაშვილი, არზაყან ემხვარი, ანდრია გუგუშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, ირაკლი ბაგრატიონი, შალვა მაღლაკელიძე, ალექსანდრე მანვილიშვილი, აკაკი ჩხენკელი, პეტრე ხვედელიძე, ლევან ზურაბიშვილი... 60-იან წლებში წერილები საქართველოდანაც იგზავნება, წერენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, ნათესავები... უამრავ ხელნაწერს შორის მზერა ნაცნობ ავტოგრაფზე შეჩერდა...

„დიდად პატივცემულო ბატონო ვიქტორ!.. რუსთველოლოგიის ბნელი ლაბირინტების მანათობელ შუქურად გადაიქცა თქვენი შრომები“... წერილს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, ოცდაექვსი წლის ზვიად გამსახურდია წერდა მსცოვან სწავლულს. წლების შემდეგ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გვირგვინიც ხომ „ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველება“ აღმოჩნდა.

არც ხანდაზმულმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ — წერილის ადრესატმა და არც ახალგაზრდა მეცნიერმა და პოლიტიკაშიც უკვე ნაბიჯგადადგმულმა ავტორმა იცოდა იმ დროს, 1965 წელს, რომ სწორედ იგი — ზვიადი ალასრულვლად საქართველოდან გადახვეწილთა სანუკვარ ოცნებას და აღადგენდა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

მანამდე კი იყო სამეცნიერო კვლევები, ლიტერატურული წერილები, კრიტიკული სტატიები, თარგმანები, პოეტური კრებული „მთვარის ნიშნობა“, „იგავები და ზღაპრები“, კვლევები „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ. ზოგს უბეჭდავდნენ, ზოგსაც კრძალავდნენ და ანადგურებდნენ... ადვილი არ იყო საბჭოთა სივრცეში პოლიტიკური ბრძოლა — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლობა, არალეგალური ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების ბეჭდვა.

ხელთ მაქვს 1991 წელს გამოცემული „საქართველოს სულიერი მისისა“. მასში გამოქვეყნებულია სამი საჯარო ლექცია: „საქართველოს სულიერი მისისა“ — ნაკითხული თბილისში, „იდრიარტის“ ფესტივალზე, „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ — ნაკითხული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „გელაის აკადემიის სულიერი იდეალები“ — ნაკითხული ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში და წერილი „კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა“.

ქართული ენა, ლიტერატურა და კულტურა ბატონი ზვიადის კვლევის საგანი. თუმც არც ევროპული, ამერიკული თუ რუსული ლიტერატურა, პოეზია, კულტურა და მეცნიერება მისთვის უცხო. ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის ლიტერატურული წერილები და ესეები შელის, ელიოტის, უიტმენის, ფროსტის და სხვათა შემოქმედებაზე, ამერიკელი პოეტების ანთოლოგია, გოეთე, ტოლსტოი, გოგოლი... საუკეთესოდაა მიჩნეული ლეონარდ კოტრელის „ანტიკურობის საოცრებანი“ მისი უდიდესი თარგმანი და სხვა და სხვა. ალბათ, დადგება დრო და ზვიად გამსახურდიას სამეცნიერო და პოლიტიკური ხასიათის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფია გამოქვეყნდება.

ვიდრე კოლხურ კოშკს ცეცხლს მისცემდა დემოკრატიის სახელით მოსული ბოროტება, ზვიად გამსახურდიას თხზულებათა ხუთტომეულის გამოსაცემად მასალა მზად იყო და მხოლოდ ავტორის დასტურს ელოდა. სამწუხაროდ, არ ვიცით, ცეცხლმა მთანთქა თუ მრუდზე ხელმა წაგლიჯა იგი ქართველ ერს.

კოლხურ კოშკში უამრავ ხელნაწერთა შორის ყურადღება ერთმა მოგძო ფორმის ეტრატვით ფურცელმა მიიპყრო, აქა-იქ სანთლის ნაღვენიც რომ შერჩენოდა. ჩემს ხელთ მეფე ფარნავაზიდან დაწყებული მეოცე საუკუნის მოღვაწეებით დამთავრებული ქართველ მეფეთა, გმირთა, მეცნიერთა, მწერალთა, პოეტთა ჩამონათვალი იყო. როგორც ჩანს, ბატონი ზვიადი უფაღს და ქართველ მამულიშვილთა წმინდა სულელებს ავედრებდა სამშობლოს.

1948 წელს ჟურნალში „ბედი ქართლისა“ გრიგოლ რობაქიძე მიხაკო წერეთლის საიუბილეოდ წერდა: „ივანე უმთავრესად „მხოლო“ მეცნიერი იყო, მიხილი კი თანვე პოლიტიური მებრძოლიც. საგანი კი როგორც იქ, „კვლევაში“, ისე აქ, „ბრძოლაში“, ერთი და იგივე: საქართველო“.

ზვიად გამსახურდიას ბრძოლისა და კვლევის საგანიც მუდამ საქართველო იყო. ემიგრაციაში მოღვაწე ყოველი ქართველი მეცნიერი ამავე დროს პოლიტიკოსი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი და ელჩი იყო მთელს მსოფლიოში. დიდი სულიერი და პოლიტიკური კავშირი ჰქონდა ბ-ნ ზვიადს ემიგრაციასთან როგორც დისიდენტს, პრეზიდენტს და დევნილობაში მყოფსაც. მახსენდება მისი პირველი სატელეფონო საუბარი ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახთან. მისი კავშირი გიორგი წერეთელთან, ლევან ზურაბიშვილის ოჯახთან, ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში „გუშაგას“ და „თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული მასალები ზვიადისა და მერაბის მოღვაწეობის შესახებ, დაბოლოს, უხუცესი ემიგრანტის პეტრე ხვედელიძისადმი გაგზავნილი დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის ბარათი, ვაშინგტონში, ბატონი პეტრეს მოკრძალებულ ბინაში, დღესაც საპატიო ადგილი რომ აქვს მიჩენილი.

ანკი რა გასაკვირია ბატონი ზვიადის სულიერი კავშირი ემიგრანტებთან, თავადაც ხომ აქ, საკუთარ სამშობლოში სულიერ ემიგრაციაში იმყოფებოდა, სხვა სიმალიდან, სხვა განზომილებიდან უცქერდა საქართველოს მომავალს. სხვაგვარად არც შეეძლო, რადგან იმ დაფარულთან ნაზიარები გახლდათ, რჩეულთა ხვედრი რომ არის მხოლოდ.

ვკითხულობ ბატონი ზვიად გამსახურდიას ამ ორ ეპისტოლეს და კიდევ უფრო ძლიერ მტკივი სული, მწყდება გული ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა და რაც ხდება...

2014 წლის 31 მარტს ქართველი ერი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მეცნიერის, მწერლისა და კულტურტრეგერის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს იზეიმებს.

ზვიად გამსახურდია ორი ბარათი ვიქტორ ნოზაძეს

1.

დიდად პატივცემულო ბატონო ვიქტორ!

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ განვიზრახე მომენერა ეს მცირე ბარათი.

უპირველეს ყოვლისა მსურს მადლობა მოგახსენოთ იმ წიგნისათვის, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ და რომელიც ჩემთვის საამაყო რელიკვიას წარმოადგენს.

საბჭოთა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციისათვის რუსთველოლოგიის ბნელი ლაბირინტების მანათობელ შუქურად გადაიქცა თქვენი შრომები, განსაკუთრებით კი თქვენი უკანასკნელი ნაშრომი,* რომელმაც იხსნა დიდი რუსთველი არამკითხეთა მიერ განკითხვისაგან (ბევრი ცდილობდა მესისი არანდი ბნელეთის მოციქულად გამოეცხადებინა, მაგრამ ამაოდ).

წერილის ჩარჩოებში ვერაოდეს ჩავტევე იმ ალტაცებას, რომელიც მომგვარა ღვთიური შუქით გაბრწყინებულმა ამ დიადმა ნაწარმოებმა!

გავბედავ და მოგახსენებ ჩემს ორიოდე მოსაზრებას.

დიდად მაინტერესებდა „მზიანი ღამის“ პრობლემა, რომელიც თქვენ ესოდენ ბრწყინვალედ გააშუქეთ თეოლოგიურის თვალსაზრისით.

მსურს შეგვიტოხოთ: მოიტანდა თუ არა ნაყოფს „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა თეოსოფიურ-ეზოტერული ცოდნის თვალსაზრისით? მოგესხენებათ დ-რი რ. შტაინერი და A. Saint-Yves d'Alveidre ხშირად ახსენებენ ხოლმე „მზიან ღამეს“

* იგულისხმება 1963 წელს პარიზში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“.

თავიანთ შრომებში. ეს უკანასკნელი „ვეფხისტყაოსნისა“ ახსენებს თავის „Mission des Juif“-ში. იქნებ თქვენს რომელიმე შრომაში ეხებოთ მათ? თუ არ დაიზარებთ, გთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი მათზე და საერთოდ, თეოსოფიანტროპოსოფიაზე.

ახლა რაც შეეხება თქვენს თხოვნას: დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ მთლიანად სთარგმნა მამაჩემმა 1934 წელს. „ჯოჯოხეთის“ ნახევარი გაიზიარა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, „სალხინებელი“ და „სამოთხე“ მამაჩემის თარგმნილია. წიგნი 1941 წლის აქეთ არ გამოცემულა და წარმოადგენს უნიკუმს. თუ ვერ ვიპოვეთ ეკზემპლარი, რამდენიმე თვის შემდეგ ახალ გამოცემას გამოგიგზავნით. თუმც, იმედი მაქვს, რომ სადმე აღმოჩნდება.

დიდის მონივნებით და სიყვარულით

ზვიად გამსახურდია
1965, 18/V.

მისამართი: თბილისი, გალის ქ. 15

ზვიად გამსახურდიას

ან: კონსტანტინე გამსახურდიას (ზვიადისათვის)

2.

დიდად პატივცემულო ბატონო ვიქტორ!

მოგესალმებათ თქვენი წიგნების დიდი მოყვარული ზვიად გამსახურდია. კვლავ გავბედე თქვენი შენუხება ამ პატარა წერილით. წინა წერილში როგორც სჩანს მე ვერ გამოვთქვი გარკვეულად ჩემი აზრი და ამიტომაც ვერ მივიღე თქვენგან ჯეროვანი პასუხი. მე „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა კი არ დამიპირებია რაიმე ახალი თვალსაზრისით, არამედ მსურდა მეკითხა თქვენთვის, როგორც დიდი სპეციალისტისათვის ზოგი რამ, რაც ჩემთვის გაუგებარია. კერძოდ, „მზიანი ღამის“ შესახებ. მაგალითად, დ-რი რუდოლფ შტაინერი (Steiner) თავის ბროშურაში *Weihnachten* წერს: ძველ მისტიკურებში ადვტებები, მაშინ როდესაც მიმართავდნენ მთელ სულიერ ძალებს მზისაკენ, წელიწადის იმ დღეს, როდესაც ჩვენ შობას ვდღესასწაულობთ, **შულამისას ხედავდნენო მზეს**. მაგრამ ეს იყო ნათელჭვრეტით ხედვა და არა ჩვეულებრივი ფიზიკური მზის ხედვა... ეს იყო ჭვრეტა მზის არსისა,



ვიქტორ ნოვაკი

მზის სულისა, ქრისტესი, ანუ სულიერი მზისა (როგორც მას უწოდებს დანტეც). მოგესხნებათ, შტაინერის ქრისტოლოგიის მიხედვით ეს იგივე სულია, რომელსაც სჭერეტდა ჯერ კიდევ ზოროასტრი ადრეულ სპარსულ მისტიკურებში და უწოდებდა სინათლის სულს „აურა მაზდას“ (ქრისტეანობასა და ზოროასტრიზმს შორის იდუმალ კავშირზე ჩემის აზრით მიგვითხებებს მათეს სახარება, კერძოდ მოგვების თაყვანისცემა და ერთი ქრისტეანული საშობაო ლოცვა: „შობამან შენმან ქრისტე ღმერთო აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავსა მსახურებდნენ, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანისცემა შენი, მზეო სიმართლისაო“. არის თუ არა ზემოხსენებული ამბავი რაიმე კავშირში

„მზიან ღამესთან“ (ვეფხისტყაოსანში?). აი, რა მსურდა გამეგო. შემდეგ შტაინერის ქრისტოლოგია იმასაც გვეუბნება (ეზოტერულ ქრისტეანობაზე დაყრდნობით), რომ ზემოხსენებული კოსმიური ლოგოსი გამოვლინდა ისტორიულ ასპარეზზე იესო ნაზარეტელის სხეულში, ე.ი. უყამო ლოგოსი, სულიერი მზე უერთდება ჟამისად მიმდინარე მიწიერ ევოლუციას, ისტორიულად ვლინდება; არის თუ არა ეს „უყამო ჟამისად“?

მსურს შეგახსენოთ აგრეთვე ერთი ადგილი ქრისტიანი თეოსოფოსის იაკობ ბემეს (Böhme) „ავრორადან“: „მზე გულია ვარსკვლავთა... იგია მეფე და გულისგული ყველა ნივთთა ამ სამყაროში და სამართლიანად ასახავს ძე ღმერთს“. ე.ი. ხატია ძე ღმერთისა. ამას ვგულისხმობდი მე როდესაც მოგახსენებდით ქრისტიანული თეოსოფიის ელემენტისათვის. ამავე დროს მსურს მოვიყვანო ანალოგიური ტაეპი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“: (თავი „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა):

**ისმინე ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგისხნა წინადა:
ქან ღმერთს კაცებით მზად ვსახავ, სახით მზეს — თინათინადა,
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ვსახ თქმად სასმინადა,
მე მზეს ვეძებ, თინათინ ყოვლ დღივ შუქს თვალის ჩინადა.**

გარდა ამისა მაინტერესებს, იზიარებთ თუ არა თქვენ დასავლეთის თეოსოფიასა და მეცნიერებაში (ვგულისხმობ douard Schuré-ს, Saint-Yves d'Alveidre-ს, Sinnet-ს, lavatsky-ს და სხვათა) გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ დიდ რელიგიებს ჰქონდათ ფარული, ეზოტერული მხარე, რომელიც არ ეძლეოდა ხალხთა მასებს, მაგრამ რომელიც წარმოადგენდა ჭეშმარიტ საფუძველს ამ რელიგიებისას? ამას საღვთო წერილიც ხომ მიგვითხებებს: „და დანერღ არიან ორმოცთა წელ დღეთა წიგნი ორას ოთხნი და იქნა ოდეს განსრულდეს ორმოცნი დღენი მეტყოდა მაღალი და მრქუა: „პირველნი რომელნი დანერენ, ცხადად დაადგინე, რათამცა იკითხვიდნენ ღირსნი და არა ღირსნი, ხოლო უკანასკნელნი სამოცდა ათნი დაიცვე, რათა მისცნე იგინი ბრძენთა ერთაგან შენთა, რამეთუ მათთა შინა არს ძარღვი მეცნიერებისა და წყარო სიბრძნისა და ცნობისა მდინარე, და ეგრეთ ვქმენ“ (ეზდრა, გ. თავი იდ., მდ - მწ).

უნდა მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებით დამაჯერებლად მეჩვენა ეს თვალსაზრისი E. Schuré-ს წიგნში „Les grandes Initiés“, რ. შტაინერის წიგნში „das Christentum als mistysche Tatsache“, „Geheimwissenschaft“ და სხვა., ამიტომაც გავებდე თქვენი შეწუხება.

ჩვენმა ოჯახმა მოგიკითხათ დიდის სიყვარულით.

დაგვიანებით გილოცავთ კვლავაც.

თქვენი

ზვიად გამსახურდია

1966 წ.

11/1. ტფილისი

P.S. აქ გავიგე, რომ პარიზში ამჟამად გამოდის რ. შტაინერის თხზულებათა სრული კრებული ფრანგულად, მაინტერესებდა შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?

„აქეთ, საქართველოში მუშაობა მირჩევნია“

(ვაატა ჩხეიძის
ქართულად
ალექსი ჯაყელი)

ამ ორიოდე კვირის წინათ, თბილისში, საკუთარ სახლში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პიანისტი და პედაგოგი **პიოტრ ჯაყელი**. დასაფლავებაზე თავი მოიყარეს მისმა მონაფეხებმა, მუსიკალურმა საზოგადოებამ, თაყვანისმცემლებმა. აქ შევხვდი მის ვაჟს, ცნობილ თეატრალურ რეჟისორს **ალექსი ჯაყელს**; იგი დედის დასაფლავებაზე ჩამოვიდა საფრანგეთიდან, სადაც უკვე დიდხანია, ცხოვრობს და მუშაობს. რაკი ორიოდე დღეში უკან უნდა გაბრუნებულიყო, მეორე დღეს შინ ვეწვიე. მგლოვიარობის მიუხედავად, უარი არ მითხრა მცირე ხანს გვესაუბრა ფრანგულ-ქართული თეატრალური ურთიერთობის ერთ საკითხზე.

— ალექსი, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ იცის, რომ დიდი ხანია აქტიურად ცდილობთ თეატრალური ხიდის გადებას საქართველოს რომელიმე თეატრსა და საფრანგეთის ქალაქ ლა ბოლის თეატრს შორის, სადაც შენ მუშაობ.

— ჩემი თეატრალური კომპანია, პრესტო ანდანტე, ლა ბოლში მდებარეობს. 2010 წლიდან კომპანია ცდილობს განავითაროს თეატრალური ურთიერთობა საქართველოს რომელიმე თეატრთან, როგორც აღნიშნე, ხიდი გადოს, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ცალმხრივად ხდება, ანუ ხიდი მხოლოდ იქითა მხრიდან შენდება. ჩვენ ვინვეთ ნიჭიერ მსახიობებს საქართველოს რეგიონული თეატრებიდან, რომელთაც ნაკლები გასაქანი აქვთ ნიჭის გამოსამყენებლად და გამოცდილების მისაღებად. თბილისელ მსახიობებს, რა თქმა უნდა, მეტი შესაძლებლობებიც აქვთ, აქ თეატრიც ბევრია, ტელევიზიაც, რომლებს მიღებასაც და ჰონორარის აღებასაც ახერხებენ... ჯერ გორიდან მივიწვიეთ მსახიობები, ისინი ჩამოვიდნენ, დარჩნენ სამი თვე, დავდგი 4-5 სპექტაკლი, ითამაშეს საფრანგეთის სხვადასხვა თეატრში ოცამდე სპექტაკლი; წამოსვლამდე ვიყავით პარიზში და შევეცადეთ მაქსიმალურად გვეჩვენებინა მსოფლიო კულტურის ცენტრის ღირსშესანიშნაობანი. ამაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პრესტო ანდანტეს მსახიობებმა, ყველაფერი ილონეს, რომ ქართველებს მდიდარი შთაბეჭდილებები წაეღოთ საფრანგეთიდან. შემდგომ შევეცადე ფრანგი მსახიობები ჩამომეყვანა გორში, მაგრამ თეატრის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ან ვერ გაიგო, ან არასწორად გაიგო თუ რატომ ვცდილობდით ფრანგ მსახიობთა ჩამოყვანას, და ჩვენი ურთიერთობა არ შედგა.

შემდეგ შევეცადეთ ზესტაფონის თეატრთან დაგვეყვარებინა კავშირი. მივიწვიეთ ოთხი მსახიობი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მათ მონა-

წილება მიიღეს ფესტივალში „ხელოვნება პლაჟზე“; ამ ფესტივალის დროს პლაჟზე იშლება ოთხი სცენა და თამაშდება სხვადასხვა სპექტაკლი. ერთ სცენაზე ქართველი მსახიობები თამაშობდნენ. ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა.

ამის შემდეგ ვცდილობდი, რომ ახლა უკვე საქართველოში განხორციელებინა რაიმე პროექტი პრესტო ანდანტეს. ეს პროცესი გაიწვია, ხან ადგილობრივი ხელისუფლება შეიცვალა, ხანაც თეატრისა... ბოლოს მაინც ჩამოვედი საქართველოში და ზესტაფონში დავდგი ოთხი სპექტაკლი, რაც უნდა წამელო საფრანგეთში ერთი წლის მერე. ყველა ხარჯს ჩემს თავზე ვიღებდი, გარდა გზისა. საფრანგეთის მხარე, ქალაქის მერია მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა თორმეტი სტუმრის მისაღებად. მაგრამ ზესტაფონის თეატრმა სამგზავრო ხარჯები ვერ იშოვა, გასტროლი არ შედგა, სპექტაკლებიც მხოლოდ ხუთიოდეჯერ ითამაშეს და შეაჩერეს.

— როგორ აუხსენი ეს ფრანგებს?

— არ მინდა დავწერილმანდე, მაგრამ ფრანგებმა ვერაფრით გაიგეს თუ რატომ არ ჩამოვიდნენ ქართველები.

გავიდა ხანი, 2012 წელს ხელახლა მივიწვიე უკვე სხვა თეატრის მსახიობები, რომელთაც კვლავ ფესტივალში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. სამწუხაროდ, აქაც არაფერი გამოვიდა. იმხანა დავკარე ურთიერთობა მქონდა რეჟისორ მამუკა ცერცვაძესთან, რომელსაც უპირისპირდებოდა წინა ხელისუფლება, კულტურის სამინისტრო და ზესტაფონის მერია. მათ მიაღწიეს მიზანს, მამუკა თეატრიდან წავიდა. სწორედ ამ დროს, 2012 წელს მივიწვიე იგი საფრანგეთში, იქ დადგა სპექტაკლი, რომელიც ვითამაშებთ რამდენჯერმე და გავიტანეთ ჩემს მიერ დაარსებულ ფესტივალზე „თეატრალური ღამეები“, ყველანაირად გავუწიე პოპულარიზაცია, როგორც სპექტაკლს, ასევე ქართულ კულტურას. ამავე დროს მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან მოვიწვიე ორი მსახიობი: ეთო მალაქელიძე და რუსუდან თიოლაშვილი. ისინი ჩამოვიდნენ საფრანგეთში სამი თვით, ითამაშეს რამდენიმე სპექტაკლი და მონაწილეობა მიიღეს ფესტივალში.

ამ დროს გაჩნდა აზრი: დავბრუნებულებიყავით საქართველოში, გვეთამაშა სპექტაკლი, რაშიც ისინი მონაწილეობდნენ, გაგვეხორციელებინა რაიმე პროექტი და წამოგველო საფრანგეთში. გამოჩნდა ფრანგი პროდიუსერი, რომელმაც მოინდომა ეყიდა საქართველოში ჩვენს მიერ დადგმული სპექტაკლი, ოღონდ იმ პირობით, რომ ნახავდა ამ სპექტაკლს საქართველოში და მერე წაიღებდა საფრანგეთში ერთ-ერთი ფესტივალისათვის. დაიწყო ფორმალური მხარის მოგვარება, მივმართეთ საქართველოს კულტურის სამინისტროს, დაგვპირდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით საქმე ადგილიდან არ დაიძრა და ბოლოს უარის თქმის მიზეზი ის გახდა, რომ პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით სამი თვით ადრე ყველა პროექტი ჩერდებოდა.

წარმოიდგინე, რა ძნელი იქნებოდა ამეხსნა პროდიუსერისათვის, თუ რატომ თქვა უარი კულტურის სამინისტრომ ასეთ საინტერესო და ქართული მხარისათვის სასარგებლო წინადადებაზე. რალაცა აბსურდული მიზეზი ვუთხარი, არ გამოდის-მეთქი. ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და... კვლავ უარი მივიღე, წლის მიწურულია და პროექტს ვერ დავაფინანსებთო. ისეთი აზრი გამიჩნდა, რომ თუ ხარ უცხო და არ იცნობ ამ სამინისტროს მესვეურებს, არავინ გისმენს; ის, რომ საქართველო ევროპის ნაწილი უნდა გახდეს, ძალზე შორეული პერსპექტივა იქნება, თუ ჩვენები ნორმალურ საქმიან ურთიერთობას არ მიეჩვენებ. ისე გამოდის, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროში არაფერი შეიცვალა...

— ფარ-ხმალს ხომ არ დაყრი? უახლოეს ხანებში რას აპირებ?

— (იცინის) არა, არ დავყრი. დავუკავშირდი ჩემს ჯგუფებს, რეჟისორ გიორგი შალუტაშვილს, ვისაც ჰყავს ჯგუ-



ალექსი ჯაყელი

ფი თეატრალურ ინსტიტუტში; მე არ შემიძლია მთელი ჯგუფის, თორმეტი კაცის წაყვანა, მაგრამ შემიძლია ექვსი ან მეტი სტუდენტი წავიყვანო. გიორგის გაუხარდა და ვინცებთ ამ პროექტზე მუშაობას. მესამე თუ მეოთხე კურსელებს წავიყვანათ. ისინი ივლისში ჩამოვლენ ლა ბოლში. დაბინავდებიან ჩემს სახლში — დიდი სახლი მაქვს — მოვამზადებთ სპექტაკლს და თხუთმეტ აგვისტოს ვითამაშებთ. ამის შემდეგ ჩამოვალთ საქართველოში, აქ ვითამაშებთ რამდენიმე რეგიონულ თეატრში, რადგან თბილისის თეატრები უხალისოდ გვიღებენ კარს; ამის მერე მრჩება ერთი თვე და ეგებ რომელიმე რეგიონულ თეატრში დავდგა სპექტაკლი და წავილო საფრანგეთში, ამისათვის საჭიროა დაფინანსება კულტურის სამინისტროდან, 20 000 ლარის ფარგლებში.

— საქართველოში მუშაობის პერიოდში, გასული საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში, ცნობილი იყავი იმით, რომ აქტიურად დგამდი ქართულ დრამატურგიას და წარმატებებიც გქონდათ ამ მხრივ. ვიცი, რომ გინდა ქართული პიესები დადგა საფრანგეთშიც. ამ საქმეში ხელს გიშლის ის, რომ ქართული დრამატურგია არ არის თარგმნილი ფრანგულ ენაზე. აქ თუ შეიძლება რაიმე წინსვლაზე ფიქრი?

— ქართული დრამატურგიის თარგმნა უაღრესად საჭიროა და არამარტო ფრანგულ ენაზე. აქაც დაფინანსებაა აუცილებელი. დამიჯერეთ, საკმაოდ სერიოზული კრიზისია ევროპაშიც და ამერიკაშიც, ეძებენ ახალ პიესებს, ახალი ნაკადის შემოღებებს; მათ არაფერი იციან ქართულ დრამატურგიაზე და დიდი სიახლე იქნება მათთვის თუ მივანვლით ისეთ დრამატურგთა პიესებს, როგორებიც იყვნენ: პოლიკარპე კაკაბაძე, ოთარ ჩხეიძე... მე ვგულისხმობ საბჭოთა პერიოდში შექმნილ პიესებს, ფაქტობრივად ანტისაბჭოთას; როცა დრამატურგები არ ეზუებოდნენ დევნას და მაინც ქმნიდნენ პროტესტის შემცველ პიესებს. არიან მთარგმნელები, ამას რომ შეძლებენ, მაგრამ არ არის სახსრები. ჩვენ, ევროპაში თუ ამერიკაში მომუშავე ქართველი რეჟისორები, ამ პიესებს დავდგამთ, თუ ითარგმნება. ეს ჩემთვის ოცნებაა, მინდა დავდგა ოთარ ჩხეიძის ტრაგედია „სოლომონ — მსაჯული მეფისა“, და, ვფიქრობ, წარმატება ექნება საფრანგეთში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური აგრესიის ჩვენებას ახლა, როცა საქართველოს ევროპულ ოჯახში შესვლა ასეთი აქტუალურია.

— გარდა ლა ბოლისა, სხვაგან თუ მუშაობ?

— დროდადრო. ახლახან კანადაში დავდგი „ფაუსტი“. კარგი გამოხმაურება ჰქონდა. ქართული „ფაუსტი“ დავგიდგაო, წერდნენ. მაგრამ მე აქეთ, საქართველოში მუშაობა მირჩევნია.

შეხვედრა: საბურამო ყვარელში

დიდი ხანია წავიდა დრო, როდესაც მუზეუმები ოლიმპიური სიმშვიდით ცხოვრობდნენ და მათ ერთადერთ მოვალეობად ეგრეთწოდებული სტაციონარის დაცვა ითვლებოდა. თანამედროვეობის აჩქარებულმა რიტმმა სიძველეთა საცავებშიც შეაღწია, დინამიკა შეიტანა, აამოძრავა და მზის სინათლეზე გამოიტანა სამუზეუმო საგნები, საქმეები და ინტერესები.

„კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიდეთ მზეზე“. დიდი პოეტის ეს სიტყვები დევიზად გამოადგებოდა ყველა მუზეუმს, რომლებსაც სურთ ფეხი აუწყონ კულტურული ცხოვრების დინამიკას.

მუშაობის გამოცოცხლებისა და საერთოდ ცხოვრების გააქტიურების ერთ-ერთი ნაცადი გზა არის ინტეგრაცია, ურთიერთობათა დამყარება და თანამშრომლობა თვით მუზეუმებს შორის.

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლევა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი (დირექტორი **ანდრო ბედუკაძე**), რომელსაც საქმიანი ურთიერთობები აქვს მრავალ კულტურულ ორგანიზაციასთან და მათ შორის, რაღა თქმა უნდა მუზეუმებთანაც, უპირველეს ყოვლისა კი თავის „მინაურებთან“ თბილისსა და ყვარელში.

სწორედ ყვარლის მუზეუმის (დირექტორი **თამარ ზურიაშვილი**) ეზო-კარში გაიმართა საგურამოს ყოველწლიური ლიტერატურული პრემიების გადაცემა 2013 წლის 8 ნოემბერს ილიას დაბადების დღეს, რომელსაც მანამდე ცალ-ცალკე აღნიშნავდნენ ყვარელსა და საგურამოში.

მშვენიერი ფაქტი იყო, მრავალმხრივ საგულისხმო, საყურადღებო, დასამახსოვრებელი.

ამინდიც შესაფერისი დაემთხვა, შემოდგომურად თბილი, უნაღებო, უქარო, წყნარი.

იყო შეხვედრები, საუბრები, სეირნობა, საზეიმო სიტყვები, სიმღერები, სადღეგრძელოები.

დაბოლოს, მთავარი — ჯილდოების გადაცემა.

საგურამოს ლიტერატურული პრემიების ახალი ლაურეატები გახდნენ:

- პოეზიაში — **მარიამ ნიკლაური**;
 - პროზაში — **კოტე ჯანდიერი**;
 - კრიტიკაში — **ლალი ავალიანი**;
 - საბავშვო ლიტერატურაში — **ლია რუსიაშვილი**;
 - თარგმანში — **ნინო დოლიძე**;
 - მეცნიერებაში — **ელიზბარ ჯაველიძე**;
 - ხელოვნებაში — **ნიკო ზაზუნიაშვილი**.
- მედალი — ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა კინორეჟისორ **თემურ ჩხეიძეს**.

ლაურეატებმა წარმოთქვეს ტრადიციული საპრემიო სიტყვები, რომლებიც საგურამოს მუზეუმის საარქივო ფონდში ინახება.

ქვემოთ გთავაზობთ სიტყვების ერთ ნაწილს.

მარიამ ნიკლაური

რას ვინატრებდი აქ, ყვარელში...

ბატონებო და ქალბატონებო!

მოგესალმებით! გილოცავთ დღევანდელ დღეს! დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ღირსად ჩამთვალა, დღეს აქ ვმდგარიყავი და მეტად მეგრძნო ჩემი საქმიანობის საჭიროება.

დღევანდელი დღე — ილია ჭავჭავაძის, ერის მამის და ერთი უპირველესი ქართველთაგანის დაბადების დღე, კიდევ ერთხელ გვაფიქრებს ყველას იმაზე, როგორ ვიცხოვროთ, რა ღირებულებებს მოვუფრთხილდეთ და გადავარჩინოთ ამ უცნაურ ჟამში ჩვენივე მეობის გადასარჩენად. ილია მართლის ღვანლი, სახელი მართლაც თანამდევნი სულივითაა განფენილი ჩვენს არსებობასა და აზროვნებაში. მამული, ენა, სარწმუნოება — გაფრთხილება-სავით რეკს ეს სამი სიტყვა ქართველებისთვის!

ილია მართლის მონამებრივად აღსრულებული ცხოვრება მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და არსებობის იდეას! მისი სურვილი, ყველა ქართველს სახელმწიფოებრივად ეაზროვნა და პირადულზე მალლა საქვეყნო საქმე დაეყენებინა, დღესაც აქტუალურია.

ჩვენ, ენისა და ლიტერატურის ჩინიანი თუ უჩინო მსახურნი, მწერლები, სიტყვით მეშრომენი, ალბათ, ამ ნიშნითაც ვართ დაბადებულნი, როგორმე ჩვენ-ჩვენი ძალისა და შეძლების ფარგლებში ვიტვირთოთ დროთა და ღირებულებათა გაერთიანებისათვის, უწყვეტობისათვის მეგრძობ, ერთგულ ჯარისკაცთა მოვალეობა! ქართულმა ლიტერატურამ, მწერლობამ მრავალი მიზეზის გამო სწორედ ილია ჭავჭავაძისა და მისი მსგავსი წინაპრების გონიერების წყალობით თავის თავზე აიღო ქართული ცნობიერების, ერის მეობის გადარჩენის დიდი მისია. ახლა როცა ჩვენ, დღევანდელთა მუშაკები, მესიტყვეები აქ ვდგავართ და ჯილდოსაც ვიღებთ ჩვენი მცირე თუ დიდი ღვანლის გამო, რაღა თქმა უნდა ამ ჯილდოს მე ვარქმევ მხოლოდ დიდ სამომავლო პასუხისმგებლობას ყველაფერი იმის მიმართ, რასაც ჩემი სამშობლოს, ხალხისა და ადამიანის წინაშე მავალეებს ჩემი ქვეყნის წარსულიც და მომავალიც თანაბრად. მე ასე მესახება საქართველოს სიძლიერე და ზეიკეთილობა: აბსოლუტურად ტოლი და თანაბარი პასუხისმგებლობა დღევანდელი მოქალაქის მიერ წარსულისა და მომავლის მიმართ. ქართველი ადამიანი, ღვთის მადლით, ამ ნიშნით დაიბადა, და ათასწლეულთა გამოცდილებამაც იგივე ასწავლა და განუმტკიცა, რომ იყოს თავის თავში უმთავრესი ღირებულების განმახორციელებელი: ემსახუროს უფალს ადამიანში! და რადგან უფალიც და სულიც მარადიული კატეგორიაა, ემსახუროს მას თანაბრად — მთლიან დროში განფენილს. ხერხემალი იყო იმ დაუნანვერებელი, მთლიანი არსებობისა, აზროვნებისა, რომელიც დვრიტად უდევს ქართულ სარწმუნოებას, ქართულ მწერლობას, არსებობის ქართულ წესს. ქართველმა არ უნდა იგრძნოს თავი ერთი რომელიმე, კონკრეტული დროის შვილად! ასეთი დამოკიდებულება ასაზრდოებს მარადისობაში არსებობის სურვილსაც და ამ არსებობისათვის აუცილებელ ძალასაც! ტრადიცია ხომ ყველაფერი ისაა, რაც მინიერ არსებობას გაქარწყლებისაგან იცავს (რენე გენონი). ასეთი დამოკიდებულება ქმნის უწყვეტ, უწყვეტ იმპულსებს, რათა გადაარჩინო სისუფთავე და სიანკარე იმისა, რის გამოც მოგეგება პატივი ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან, ღვთისგან ორთავე სოფელში! ქართული ლიტერატურაც ამ ნიშნის მატარებელია! დღეს, როცა დიდი ერთგულებისა და რწმენის პინას არანაკლები ძალით აწონასწორებს დიდი დაეჭვე-



კოტე ჯანდიერი



ლია რუსიაშვილი



მარიამ ნიკლაური



ნინო დოლიძე

ბისა და თავკერძობის ძალა, ალბათ ყველაზე მეტად საერთო-გულბეღია ის, რაც ჩვენს ინდივიდუალობას გადაარჩენს, რაც შეძლებს ჩვენი სახე არ დაგვაკარგინოს, რაც მოგვაბრუნებს და შეგვინარჩუნებს ამდენ საცდურზე გაფაციცებულ თვალხარბობით დაქანცულ ადამიანებს უმთავრესს: ამალღებულის გადაარჩენას ჩვენს სულელებში, ცოცხალი რწმენის შენარჩუნებას, საქართველოს — როგორც უდიდესი კულტურული მონაპოვრის — გაფრთხილებასა და გაძლიერებას.

რა ქნას მწერალმა, როცა მისი სამშობლოს ტერიტორიები დაპყრობილია, მავთულხლართებით იფარება სოფლები, როცა ეკონომიკის განვითარების სახელით, კეთილდღეობის სახელით ჩვენსავე საარსებო სივრცეს ვანადგურებთ, მტერსა და მოყვარეს გარჩევა აღარ აქვს და ყველა ფულის დიქტატურის მონაა! რა ქნას მწერალმა რომლის ენა და რომლის ერი ენციკლოპედიებში „გადაშენებად ერადაა“ მოხსენიებულია, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადამიანთა უფლებები ილახება, როცა იცლება სოფლები, როცა გაედინება ინტელექტუალური და ფიზიკური ძალა, ემიგრანტების მეორე თაობა უკვე მშობლიურ ენას ივიწყებს, როცა წყალქვეშ უნდა ჩაძირონ საქართველოს ულამაზესი ბუნებისა და ეკოსისტემების დიდი ნაწილი, როცა მტრის ხელით დაცლილ სოფლებს საკუთარი მთავრობის ხელით დაცლილებიც ემატება? რა ქნას, როცა ამდენ უპოვარს და მიუსაფარ ბავშვს ხედავს ყოველ ფეხის ნაბიჯზე? როცა ვერა და ვერ გამთლიანდა მოქალაქეებისა და ხელისუფალთა ინტერესები? როცა ხელისუფალთ საკუთარ მოსახლეობაზე მეტად უცხოელთა კეთილდღეობა აინტერესებთ? რა ქნას მწერალმა? იგი ვალდებულია, თავის ხალხს და სახელმწიფოს მარდიული არსებობის რწმენა გაუძლიეროს! რა ქნას მწერალმა, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე უმტკიცებენ, რომ იგი და მისი საქმიანობა არავის აინტერესებს, მან კი ყოველი სიტყვა უნდა ქვაზე და კლდეზე კვეთოს დღეს, ათ მცნებასავით, საღვთო ცეცხლით, მომავლისათვის წასაკითხად, თანამედროვეთა სარწმუნებლად, აქვს მწერალს ამდენი ძალა?

აქვს! აქვს! რადგან იგი ღვთის მსახურია! და მისთვის ტანჯვაც მხოლოდ რწმუნებაა იმ საქმის სიმართლისა, რასაც გულთ ემსახურება!

როგორც ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე წერდა: „ყველას გაეუძლებ, როგორც კლდე ქვისა, ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?! ხოლო ჩემ თავის არაფრობისა, არ ძალმიძს, ძმანო ვერ რით გაძლება!“ აი, მწერალმა ამისათვის უნდა ღვაროს სულის ოფლი, რომ ჩვენი თავის არაფრობად არ ვიქცეთ და არასდროს განუქარდეთ! როგორც არასდროს, ისეთი სუფთა უნდა გვექონდეს დღეს მწერლური სინდისი, და როგორც

არასდროს, ისეთი მაღალი უნდა იყოს მწერლური პასუხისმგებლობა ხალხის, მოქალაქეების წინაშე! მათ წინაშე, ვის სულიერ სიძლიერეს, სიმტკიცეს, სიმხნეს და თავისთავადობას უნდა აძლიერებდეს მწერალი! და რადგან დღეს ჩვენ მსოფლიოს სახელმწიფოებთან ვურთიერთობთ, მათთვისაც უნდა გავხადოთ მისანვდომი ქართული სიტყვიერება თავისი ისტორიითა და თანამედროვეობით. ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფომ მწერლობის, წიგნიერების და ზოგადად კულტურის განვითარებას. მწერლობა თავისთავად სახელმწიფოს სავიზიტო ბარათია მსოფლიოსათვის! ლიტერატურა ერის აზროვნებისა და იდეალების მაჩვენებელია. მწერლობა დიდი დიპლომატიის ნაწილია! ამაზე ყველა ერთად უნდა დავფიქრდეთ! მე ასევე ვინატრებდი საქართველოს ახალ მთავრობას შესწევდეს ძალა, შეედეთოს მთავრობის მსგავსად, თავის ყოველ ახალშობილ მოქალაქეს საჩუქრად გადასცეს საბავშვო ბიბლიოთეკა — ქართველი საბავშვო მწერლების წიგნების ნაკრები. ეს იქნებოდა ნამდვილი ზრუნვის გამოხატულება წიგნიერებისთვის და კულტურული მოქალაქის აღზრდის უპირველესი ნიშანი!!

მე ვინატრებდი დღეს აქ, ყვარლის მაღლიან მიწაზე, ჩემი ქვეყნის ნამდვილ დამოუკიდებლობას! რომლის გზა სწორედ კაცის სულზე, ზნეობასა და გონებაზე გადის და არა, იარაღსა და ჯიბეზე! გავაკეთოთ ყველაფერი საიმისოდ, რომ ვიარსებოთ ღირსეულ სახელმწიფოდ! მოვუსმინოთ წინაპარსაც, თანამედროვესაც და მომავალსაც! შევეცადოთ ვიყოთ შემკრებნი და არა გამფანტველნი იმ ძალებისა და განძისა, რაც გავაჩნია! ნებისმიერი მოქალაქე განვანყოთ საიმისოდ, რომ თავისი სახელმწიფოს მსახურად იგრძნოს თავი! დღეს ჩვენ ეს გვესაჭიროება. დემოკრატიას ადამიანთა უფლებების დაცვა აქვს მთავარ ღირებულებად! ჩვენ კი ათასწლეულების მანძილზე ადამიანთა უფლებების დაცვას ადამიანისადმი სიყვარული და პატივისცემა დავარქვით. ესაა ჩვენი უმთავრესი ნიშანი — ადამიანში ღვთის მსახურება! ესაა ქართული დალოცვილი სტუმარ-მასპინძლობის დერიტაც — სამარადისოსა და წუთისოფლის ურთიერთმიმართებაც. მერე და მერე, ყოველდღიურ ყოფიერებაში განფენილი! ადამიანის — უმთავრესი ღირებულებისადმი დამოკიდებულების გამოხატულება! ჩვენც დავინახოთ, ვიგრძნოთ ადამიანები ჩვენს გარშემო! ჩვენ ერთმანეთის ძალად უნდა ვიქცეთ გასაჭირშიც და სიხარულშიც! საქართველო ხომ იმ ადამიანთა ერთობაა ორთავ სოფელში, რომლებიც ქმნიდნენ, ქმნიან და მომავალშიც შექმნიან მის უკვდავებას! მაღლობა ყველას, ვისაც ჩემი პოეტური სიტყვა ამ საქმეში დადებულ ერთ კენჭად უღირს, ვინც ეს დამოკიდებულებანი განმიმტკიცა და ვისაც ჩემი და ჩემი თაობის პოეტებისა სჯერა!

ნინო დოლიძე

აზრისა და საქმის ერთიანობის სიმბოლო

ძალიან დიდი მადლობა. ასეთ ჯილდოს წამდვილად არ ველოდი. არ ვიცი, რამდენად ვიმსახურებ. ის კი შემეძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ საგურამოს პრემია დიდი სტიმულია, რადგან ყველაფერი, რაც ილიას სახელს უკავშირდება, ძვირფასია და სანუკვარი.

პირადად ჩემთვის ილია პირველ რიგში აზრისა და საქმის ერთიანობის სიმბოლოა. ეს არის ადამიანი, რომელსაც ყველა „პირობა“ ჰქონდა იმისთვის, რომ ახალგაზრდობის წლებიდან ნიჰილიზმის მორევში გადაშვებულიყო, მაგრამ სასონარკვეთილებას არასოდეს მისცემია. პირიქით, ისეთი საქმეების წამომწყობად მოგვევლინა, რომელთა განხორციელების რეალურობაში ბევრს ალბათ ეჭვიც შეეპარებოდა. აკაკი ბაქრაძე თავის ცნობილ ნიგში ილიას შესახებ კარგად წერს, თუ როგორ შეიცვალა პოეტის ჭაბუკობის ლექსების სევდიანი, უიმედო განწყობილება ჯერ სატირული, მამხილებელი ტონით, მოურიდებელი დამოკიდებულებით და ბოლოს — დინჯი, დაჯერებული, მტკიცე რწმენით. ალბათ, ამიტომაც შეირაცხა წმინდანად.

ამიტომ დღეს ილიას მოღვაწეობა, მისი ცხოვრების კრედი, მისი დამოკიდებულება საქმისადმი, მისი რწმენა მისაბაძი მაგალითია ჩვენთვის. ისეთ დროში ვცხოვრობთ, ყველაფერში გამორჩენას ვეძებთ. მეგობრების წრეში ხშირად მიწუნუნია, რამხელა დროსა და ნებისყოფას მოითხოვს თარგმანი და სანაცვლოდ არაფერს ვღებულობთ, არაფერი გვიფასდება-მეთქი. აღარაფერს ვამბობ ე.წ. „ფილოლოგიის კრიზისზე“. ეს ტერმინი მარტო საქართველოს ჰუმანიტარულ დარგებში მოღვაწე აკადემიურ წრეებში კი არა, მთელს მსოფლიოშია გავრცელებული.

მაგრამ ახლა უკან მიმაქვს წუნუნით ნათქვამი ყოველი სიტყვა, რადგან ილიას პრემია იმდენად ძვირფასია, მატერიალური კრიტერიუმებით ვერ განისაზღვრება. წმინდა ილიამ მოგვცეს ძალა, რომ ვაკეთოთ ის, რაც საკეთებელია, საჭიროა, სასარგებლოა, ის, რაშიც შეიძლება ოდნავ მაინც გამოსჭვივოდეს „საქმით მეტყველი უკვდავი სული, რომლის მამოძრავებელი ძალა სიყვარულია“.

ელიზბარ ჯაველიძე

ილია მართლის შეგონებანი მცირე კომენტარებით

ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა დღევანდელ დღეს უფრო მეტად იკვეთება, ვიდრე ოდესმე მდგარა... ამას მოაზროვნე ადამიანი, თუ ძალისხმულად არა აქვს თვალები დათხრილი და ყურები დახშული, აღიქვამს... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი საზოგადოების „მამულის ბედით მჭმუნვარე“ ნაწილი ამით რატომღაც არ ინტერესდება, ამაზე საუბარს გაურბის და მას არც კი ახსენებს. თუმცა, ამის სანაცვლოდ, შედარებით უმნიშვნელო საკითხებზე ჭაქანით თავს გვაბეზრებს, რა არის, ერთი მხარეთ, რა შეუპოვარი ვინმე ვარო!..

არადა ეს ხომ იმ კაცის საქციელს ჰგავს, თავს რომ ჭრიდნენ და ყვიროდა — ფრთხილად, მუნჯი არ მატყინოთო! განა ყველა ჩვენგანმა არ იცის, ჩვენი ერის განადგურება სწადიათ; სურთ მოსპონ ეროვნება, რომლის გადარჩენასაც ხშირად და კალმით ცდილობდა ჩვენი დიდი წინაპარი და დიდი გარჯისა და თავგანწირვის ფასად გადაარჩინა; ამგვარად ჩვენამდე მოიტანა და იგი უძვირფასესი საუნჯის სახით ჩვენ გვიანდერძა. ისიც ყველასათვის ნათელია, რომ ამ ღვთიური ბრძოლის მედროშედ ქართველმა ხალხმა ილია ჭავჭავაძე სამართლიანად აღიარა. აღიარებით კი აღიარა, მაგრამ სამწუხაროდ მის ნაანდერძევს, ერისთვის საშურს და სასიცოცხლოდ უცილობელს, ყურს ნაკლებად უგდებდა და დღესაც ზერელედ ეკიდება. აი, სწორედ ამ მიზეზის გამო ჩვენი ერი უსასოოდ შეიქნა და ჩვენ პირშავად წარვსდევით მომავალი თაობის წინაშე.

ახლა ილია მართლის ზოგიერთ შეგონებას გავიხსენებთ, რომელთა უგულებელყოფამაც, ჩემი აზრით, ჩვენი ერის უსასოობა განაპირობა და იგი სასიკვდილო სარეცელისთვის განირა. სამწუხაროდ და საგანგაშო ის არის, რომ ერის თვითობის და ვინაობის დამანგრეველ ამ შეტევას საუფქვლად უდევს ნეოლიბერალურ-გლობალისტური იდეოლოგია, რომლითაც ნასაზრდოები ვართ ქართველები, მსოფლიოს ცის კაბადონზე მფრინავ და მოჭიკჭიკე მერცხლებად რომ მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი ღამურები არიან, მთელის მონდომებით წინკინან ეროვნულ ცნობიერებას და ცდილობენ ამ სფეროში შეუვალი ავტორიტეტების და, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის სახელის გატეხვას, ეროვნული იდეოლოგიის განქიქებას და უარყოფით ფერებში წარმოჩენას. მართალია, ეს ვერ მოახერხეს, სულმდაბალნი ილიამდე ვერ ამაღლდნენ და ოდენ ქართველი ხალხის სიძულვილი დაიმსახურეს, მაგრამ თავის ქვებუდანობას არ ოშლიან და მალულად თუ აშკარად მაინც ანთხევენ ეშმაკისეული შემართებით შხამს, რომელიც ბილწავს ქართული სულიერებით ახლახან თავნამონეულ ჯეჯილს...

ილია მართლის ფიქრი და წუხილი კი სამშობლოს მომავლის ბედს დასტრიალებდა. მას უპირველესად ქართველთა ის განწყობა ადარდებდა, იმხანად რომ იჩინა თავი ჩვენში; როცა „მე“-ს უფრო მეტი მალა აყენებდნენ, ვიდრე „ჩვენ“-ს, „ჩვენობას“ ამჯობინებდნენ „ჩემობას“. განსაკუთრებით კი აღიზიანებდა ქართველთა გულგრილობა მიმდინარე მოვლენებისა და ურთიერთის მიმართ: „საზოგადო საქმეს ხელს უშლის სწყლავს, ათახსირებს, გზა-კვალს ურევს და სულს ართმევს, — წერდა იგი — ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც წუ იქნებაო“.

ამ ეგოცენტრულმა თვალთახედვამ, რაც თითქმის ნებისმიერ საზოგადოებასა თუ ხალხში იყო გავრცელებული, ერთობ სახიფათომ მცირერიცხოვანი ერისთვის, განსაკუთრებით ფრთხილად გაშალა ამ ბოლო ხანს ჩვენ ცხოვრებაში. ეს არ გახლავთ შემთხვევითი: ამ ტენდენციის ჩვენ სინამდვილეში ღრმად ფესვების გადგმას ხელი შეუწყვეს ახალი მსოფლიო იდეოლოგიის ქურუმებმა, მათმა მსახურმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ და ამორალურმა, მოსყიდულმა და გაყიდულმა ელექტრომედია. ეს ანტიეროვნული და ანტიჰუმანური თვალთახედვა, რომელიც ასე ადარდებდა ილია მართალს და მის შემფოთებას ინვევდა, სწორედაც რომ იყო წინაპირობა ქართველი ერის გადაგვარებისა!.. ქართველმა ინტელიგენციამ ამის სანინაღმდეგოდ რაიმე მოიმოქმედა, შექმ-




თემურ ჩხვიძე



ელიაზარ ჯაველიძე



ლალი ავალიანი



ნიკო ზაზუნისვილი

ნა საზოგადოებრივი აზრი ამ კაცობრიობის დამლუპველი თვალთახედვის წინააღმდეგ?! სამწუხაროდ, არა და არა!

ილია მართალს ასევე მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი ერისათვის ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ, სად თავდება უფლება ერისა, რომელსაც „თავისი განსაკუთრებული ცხოვრება, თავისი საკუთარი საქმე, თავისი საკუთარი ჭირი და ღვინა აქვს“, და სად იწყება სახელმწიფოს, საზოგადოების, ადამიანის უფლებები. ეს გახლავთ ის პრობლემა, რაც დიდად აღელვებდა ახალი მსოფლიოს არქიტექტორებს, რადგანაც იგი უშუალოდ არის დაკავშირებული პლანეტარული იმპერიის შექმნის იდეასთან. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ეროვნებათა არსებობა ერთი ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობაა, რომელიც აფერხებს მათი მიზნის აღსრულებას. ამიტომაც მათი ძალისხმევა მიმართულია სწორედ ერთა მოსპობა-გაჩანაგებისკენ.

ჩვენ ვაიპოლიტიკოსთა თუ ხელისუფალთა მეშვეობით საქმე იქამდე მიდის, რომ საერთოდ იგნორირებულია და უარყოფილი ერის რაობა, ვინაობა და თვითობა. მეტიც, ე.წ. ნეოლიბერალისტებს და გლობალისტებს სწაღიათ ადამიანთა ცნობიერებაში ამოშანთონ ერის და ეროვნების ცნება, ეთნიკური და გენეტიკური წარმომავლობა. ამიტომაც სამშობლოს ცნება გაუიგივეს სახელმწიფოს, ეროვნება — მოქალაქეობას და ცდილობენ შექმნან ახალი მსოფლიო მოქალაქე, ეროვნულობის, პატრიოტული გრძნობისა და ზნეობრივი მრწამსისგან სავსებით დაცლილი რომ იქნება. ამ ეშმაკისეული განზრახვის განხორციელებას თავკაცობს ჩვენი „მეგობარი“ აშშ და ცდილობს სახელმწიფოს მოწყობის ეს მოდელი მთელ მსოფლიოში დაამკვიდროს. სწორედ ამ მიზეზით თავისებური მნიშვნელობა მიანიჭეს ადამიანის უფლებების დაცვას, რომლითაც სურთ გადაფარონ ეროვნების ღირებულება და ის უკანა პლანზე გადასწიონ ანდა საერთოდ უარყონ. მეტიც, ისინი კიდევ უფრო შორს მიდიან და ცდილობენ სახელმწიფოსაც გამოაცალონ საფუძველი, ყველა ცალკეული სახელმწიფო გააუქმონ და შექმნან პლანეტარული იმპერია, ანუ ამერიკის შეერთებული შტატები და მას დაუმორჩილონ მსოფლიოს მოსახლეობა, — ყველა ჯურის, ფერის თუ ეთნიკური წარმომავლობის. აი, ეს გახლავთ სწორედ ბაბილონის გოდოლის აშენება, რომელსაც აღმართვა არ უნერია. მაგრამ რა ელის პატარა საქართველოს, მცირერიცხოვან ქართველებს, რომლებიც ყურად არ იღებენ ილია მართლის შეგონებას და ამ უკეთურ, სატანისტურ შემოტევაშიც პირველობას ღამობენ, აპრიორულად ნათელი და ცხადია!

ერთიც ერთობ ყურადსაღებია ილიასეული ბრძნული შეგონება ის არის, რომ ჩვენი ერის „უტყუარი შემნახველი ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე — მიწა და გუთანია“. იმ ერს, ვისაც

ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, „...შეუძლია თავმონონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდ და სამემრისოდაც სხვა ყოველივე ფუჭი და წარმავალია. ვერც ერის ვინაობას დასდებ საფუძვლად და ვერც ერთი ჯიშის, ერთი სისხლისა და ხორცის ადამიანთა ერთად თავს მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის... საქმე მიწა და გუთანია“. გგონებ, ამ თვალთახედვის გაუთვალისწინებლობა არ ეგების ისეთ ერს, რომელიც ოდითგანვე მიწათმოქმედებით იყო სახელგანთქმული.

მართალია, ილია მართალი ვაჭრობაზეც ლაპარაკობს და უარყოფით ფერებში წარმოგვიდგენს ამას, რადგანაც ეს პროფესია „ერთ ბინაზე არ აყენებს კაცს; სადაც გამორჩენაა და ხეირი, იქ არის იმის მამული, მისი მიწა-წყალი“. ასე რომ, ერს, რომელიც მარტო ვაჭრობაზედ არის დანდობილი, „ბედად ის უნერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს...“ არაერთ ერს „ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არ აქვს“. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრი ერისა. სტუმარმა მასპინძელს არასოდეს არ უნდა გაუბედოს, აქაურობის პატრონობა მე მიწდაო. შეიძლება სტუმარი ძმად მიითვისოს კაცმა, მაგრამ მის ბატონად გახდომას კი — მოკვდება და არ იკადრებს“.

სამწუხაროდ, ილიასეულ ღრმად გააზრებულ ფსიქოლოგიურ დაკვირვებასაც აინუნში არ ავდებს ტახტზე შემთხვევით წამოსკუპებული ჩვენი უთვისტომო ხელისუფალი. სამაგიეროდ, ისინი მორჩილად ყურს უგდებენ გარმიანელთა კარნახს და მათ ნებას მონურად ასრულებენ. ამიტომაც არის, რომ ქართველ გლეხს, ქართული სახელმწიფოს ხერხემალს, დაავიწყეს გუთანი და ჩაუკლეს მიწის სიყვარული. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ სავაჭრო დუქნად გადააქციეს, სადაც მენვრილმანენი წვრილმანებით ვაჭრობენ. ამიტომაც არის, რომ სრულიად საქართველო აივსო „უცხო თესლის ვაჭრებით“, რომლებიც ჩვენ ბატონობას იჩემებენ, ბატონკაცურად იქცევიან, შეურაცხყოფას გვაყენებენ, ჩვენ კი საკუთარი ღირსებაც ვერ დავიცავს არსებული უსამართლო სამართლისა და უგვანო ხელისუფალთა გამო. გაბატონებული ამგვარი ვითარება ქართველს თავის სამშობლოდან გარეთ დევნის, უცხო თესლს კი ამკვიდრებს ჩვენ მიწაზე. ესეც ერთი ხერხი, უფრო სწორად, დემოკრატიის ფურფუშებით შემკული მეთოდია, ქართველი ერის მოსპობას რომ ამზადებს.

დასასრულ, უნდა გავიხსენოთ ილიასეული ანდერძის ძირითადი მუხლი, რომელიც შეიძლება ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლად მოვიზნოთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ნორმალურმა ქართველმა იგი თითქმის ზეპირად იცის, მაინც მიწადა აქვე მოვიხმო: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მა-

მაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით, ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავეუბნებთ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს!”

ვართ თუ არა პირნათელი ჩვენ შთამომავლების წინაშე? ვუპატრონეთ განა ჩვენ იმ ღვთიურ საუნჯეს, სამების პრინციპით რომ გვიანდერძა მართალმა ილიამ?!

პასუხი არაორაზროვანია: ჩვენდა სამარცხვინოდ — ვერა და არა! ილიასული ეს ტრიადა ხომ ღვთიურობის სიმალემდე ატყორცნილი სამშობლოს, ქართველობის, ქართველი ერის ვინაობის საყრდენი სამი სვეტია, სვეტი-ცხოველი, რომელთაგანაც ერთის მოშლაც ერის წარსოცვის ტოლფასია.

ამის გაცნობიერება გემართებდა ყველა ჩვენგანს... რაოდენ დასანანია, რომ ეს საქართველოს მტრებმა ჩვენზე უმაღლეს და უკეთეს გააცნობიერეს და დაიწყეს მიზანმიმართული ბრძოლა, მალულად თუ აშკარად, ამ სამი სვეტი-ცხოველის დასანგრევად.

ერი ხომ ცოცხალი ორგანიზმია (მიხაკო წერეთელი), რომელიც ისეთივე სათუთ მოპყრობას მოითხოვს, როგორც ყოველი ადამიანი. ხოლო, თუ ილიასულ სამებას სიმბოლურ დონეზე მოვიხიზრებთ, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მამული სხეულია, ფიზიკური ხერხემალი ერისა, რომელიც დროის სამ განზომილებებშია განფენილი — წარსულში, აწმყოსა და მომავალში; სარწმუნოება, ეს გახლავთ სული ერისა, სიცოცხლეს რომ ანიჭებს და ზნეობრივად სრულყოფს და ამაღლებს; ხოლო ენა, როგორც აზროვნების სავანე, აზრს ანიჭებს მის სიცოცხლეს და ქმედუნარიანს ხდის მას. თუკი ეს ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც, როგორც ყველა ცოცხალი ცნობიერი არსება — იბადება, არსებობს დიდი დროის მანძილზე და მერე შეიძლება მოკვდეს — არ იკვებება ზემოხსენებული მაცოცხლებელი სამი წყაროთი, იწყება მისი სხეულის დაავადება და გახრწნა და ამგვარად სასიკვდილოდ არის განწირული; სულის გაუჩინარება კი საბოლოოდ მის სიკვდილს ნიშნავს, ხოლო თუ ენას წაგვრი, იგი ფიზიკურად არსებობს, მაგრამ მისი სიცოცხლე ყოველგვარ აზრს კარგავს!..

ჩვენ კი რა ვქენით, რა დავმართებთ საქართველოს და ქართველ ერს?! სხეული ავაჩეხინებთ გარე თუ შინაურ „კეთილმოსურნეებს“!.. მოკვებით თავი — აფხაზეთი დავკარგეთ და გულიც — სამაჩაბლოც ზედ მივაყოლეთ. მოკლედ, ხეიბრად ვაქციეთ. ამასაც არ დავჯერდით, გავუყიდეთ მიწები, წყლები, ზეცაც კი. გავუყიდეთ, რაც კი ებადა მიწისქვეშეთში თუ მიწის ზემოთ. ქართველ გლეხებს ერთადერთი საარსებო საშუალება — მიწა წავართვით და უცხოტომელებს გროშებად მივიყიდეთ. ქვეყანა და მამული მფრინავი ფერადი ბუშტი არ არის, რომ ჰაერში გამოეკიდოს. უმიწო ქვეყანა საერთოდ არ არსებობს და ჩვენმა სულგაყიდულმა ხელისუფლებამ ის მოახერხა, ქართველ ერს ხერხემალი გაუმრუდა, უფრო სწორად, ხერხემალი გადავტეხა.

მერმე ჩვენმა ნეოლიბერასტებმა კოსმოპოლიტი „მეგობრების“ კარნახით, სულიერებას, მის მასულდგმულბელ ნაკადულებს — ტრადიციას, კულტურას და, რაც მთავარია, სარწმუნოებას — თავხეხელალებით შეუტყეს, რის შედეგადაც ეროვნული სულიც დაავადეს, აგონიაში ჩააგდეს. მოკლედ, ერის სულიერება სასიკვდილოდ გაიმეტეს... და ბოლოს, ენაც არ დაინდეს — გამაღებით რყვნიან და აუპატიურებენ მას, ლამის დაუკარგეს სახელმწიფო ფუნქცია. ენის ნახდენა რომ ერის დაცემას, ქვეყნის განადგურებას აპირობებს, ამას ილიას წინამორბედიც გვაუწყებდა, იმავდროულად, ეს პროცესი ადამიანის აზროვნების სტრუქტურის შეცვლას აპირობებს. ერთი სიტყვით, მათ სურთ ახალი ჯიშის ადამიანი — ამერიკელი ქართველი — გამოიყვანონ, რაც საბოლოოდ ერის მოსპობასა და სიკვდილს მოასწავებს.

აი, ეს ყოველივე ჩვენ თვალწინ ხდება, ჩვენ კი თვალებს ვიბრმავებთ, არაფრის დანახვა არ გვნადია, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გულგრილობასა და გულარხინობაზე მიუთითებს. ამას კი ქვეყნის და ერის მტრობად თუ მონათლავს მომავალი თაობა!

ნინო საბაშვილი

„ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვით“

(„ქართული ფილმის“ ხელმძღვანელი დიდ კინოკომპანიებთან ანარმობას მოლაპარაკებებს)

რამდენიმე ხნის წინათ სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ ბაზაზე შეიქმნა „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“, რომლის ხელმძღვანელად ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნებული მენეჯერი, გელა სული (სულიკაშვილი) დაინიშნა. იგი ბიზნესმენია, აშკარად — კერძო კომპანია „Site 4 view“-ს პარტნიორი, კომპანია იღებს დოკუმენტურ, სატელევიზიო ფილმებს, რეკლამებს, დაკავებულები არიან კომერციული ფოტოგრაფიით.

„ქართული ფილმის“ ახალი ხელმძღვანელი სააქციო საზოგადოების გარდაქმნასა და, შესაბამისად, ქართული კინოს უფრო ეფექტურ მართვას აპირებს. ანარმობებს მოლაპარაკებებს ისეთ დიდ კინოკომპანიებთან, როგორებიცაა „პარამაუნტი“ და „იუნივერსალ ფიქჩერსი“. საქართველოში კინოინდუსტრიის განვითარებისა და არსებული პრობლემების შესახებ ვესაუბრეთ „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელს ბელა სულიკაშვილს.

— კინოსტუდია ქართულ ფილმს დაახლოებით 50 თანამშრომელი ჰყავს. ჩემი მისვლის შესახებ ადმინისტრაციას წინასწარ ეცნობა, შეხვედრა საკმაოდ უცნაურად წარმართა. ფლობდნენ ინფორმაციას, თითქოს 40 წლის ზემოთ თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნას ვაპირებდი. იგრძნობოდა ნეგატიური დამოკიდებულება ჩემს მიმართ. შიდა საკითხების მოგვარებას ხანგრძლივი პროცესი დასჭირდა. სამწუხაროდ, იძულებული ვაგხივებ რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან გამეშვა, მათ ხელი არ მოაწერეს შინაგანანჯესს. მიზეზი იყო ჩვენი მენეჯმენტის უგულვებლყოფა, რომელიც ითვალისწინებდა 10-დან 6 საათამდე სამუშაო გრაფიკს.

რამდენიმე თვეა ამ სამსახურში ვარ ჩაბმული, თანამშრომლები შევიკარით ერთ გუნდად, მაგრამ საქმე, რომელსაც ეს ორგანიზაცია უნდა აკეთებდეს, ჯერჯერობით არ ხორციელდება.

მატერიალური სიდუხჭირის გამო ხელსაწყობები, რომლებიც ნლების განმავლობაში ფილმის შექმნას ემსახურებოდა, დღეს აღარ არსებობს. ჩავიბარე ორგანიზაცია, რომელიც რეალურად იყო უძრავი ქონების სააგენტო. ჩვენ მოიჯარეთა 90%-ს არანაირი კავშირი არ აქვთ კინოსთან.

— თიბისი ბანკის მფლობელობაშიც არის შენობის ნაწილი, ის რა მდგომარეობაშია?

— აღმაშენებელზე მდებარე პავილიონი, რომელიც თიბისი ბანკმა 2007 წელს შეიძინა, საბჭოთა კავშირის დროს ყველაზე დიდი იყო. სამწუხაროდ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო გეგმები შეიცვალა.

აღმაშენებლის ტერიტორია, ისტორიის თვალსაზრისით, უნიკალურია, ეს არის საქართველოში პირველი კინოსტუდია, რომელიც დღეს საჯალალო მდგომარეობაშია. მატერიალური აქტივები, პრაქტიკულად აღარაფერი აღარ არის.

დიდომის კინოსტუდია შედარებით შენარჩუნებულია. სტუდია თავს ვერ ინახავდა და დაახლოებით 10

წლის წინათ მისი 2/5 „იმედზე“ გაიყიდა. მაშინდელი ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ შემოსული თანხა შეიძლება და კარგ საქმეს მოხმარებოდა — კინოფილმის გადაღებას.

კინოცენტრი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით 12 წლის წინათ შეიქმნა. მან საკმაოდ კარგი ფუნქცია შეასრულა. წარმოების მოშლის შემდეგ ყოველ წელს გარკვეული თანხა გამოიყოფოდა ფილმის გადაღებისთვის, შედარებით ნორმალური ქართული ფილმი კეთდებოდა, რომელიც ფესტივალებზეც გადიოდა. ხშირ შემთხვევაში სისტემის გაუმართაობის გამო — დისტრიბუცია, მარკეტინგი, გაყიდვები — ამ ფილმებს კომერციული წარმატება არ ჰქონიათ. საქართველოში ეს სისტემები დღემდე არ არის აწყობილი.

საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა მზა ბაზარი. დღესდღეობით ერთადერთი შიდა სისტემა მუშაობს, რომელიც რამდენიმე კინოთეატრისგან შედგება.

— შესაძლებელია ამან მოგება მოუტანოს ფილმის შემქმნელებს?

— თუ ფილმი მცირებიუჯეტია, შეიძლება რაღაც მოგება მოიტანოს, მაგრამ მხოლოდ ქართული ბაზრის არსებობა საკმარისი არ არის. ორიენტირი მიმართული უნდა იყოს კარგი ფილმის შექმნაზე, რათა შემდეგ გახდეს შესაძლებელი უცხო ბაზარზე მისი გატანა.

— დაფინანსებასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?

— კინოცენტრი აგრძელებს ყოველ წელს გარკვეული თანხის, 2 მილიონი ლარის გაცემას, რომელიც ნაწილდება სრულმეტრაჟიან, დოკუმენტურ, ანიმაციურ და სხვა ფილმებზე. სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის გამოყოფილია დაახლოებით 500 ათასი ლარი, რომელიც ძალიან ცოტაა. საშუალო ფილმის გადაღებისთვის საჭიროა დაახლოებით მილიონ-მილიონნახევარი ლარი.

ახლა მთავარია ქართული ფილმის აღორძინება და კინოინდუსტრიის განვითარება. ჩემი საქმე ნაკლებად შემოქმედებითია. ეს თვეები ადმინისტრაციულ და ბიზნეს საკითხთა დალაგებას დასჭირდა. წლების განმავლობაში კინოინდუსტრიაში მძიმე სიტუაცია იყო და ჩვენ გვინევს ახლა ამის მოგვარება.

— საკანონმდებლო ინიციატივებით თუ უნდა დაკმაყოფილდეთ იმით, რაც მოგვეპოვება?

— მცდელობა ამ საკანონმდებლო ინიციატივებისა წინა მთავრობის დროსაც იყო. უცხოური გადამღები ჯგუფებისთვის იგეგმებოდა შეღავათების სისტემის დანერგვა.

აქ შეიძლება რამდენიმე მიმართულებაზე საუბარი, მაგრამ განსაკუთრებით ორზე გავამახვილებ ყურადღებას. პირველი — უცხოური საშუალო ან დიდი გადამღები ჯგუფების ჩამოყვანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ინდუსტრიაში მომუშავეთა კვალიფიკაციის გაზრდას.

რამდენიმე წელია ბულგარეთი და რუმინეთი მუშაობს ამ მიმართულებით და სრული მომსახურების და ხელმისაწვდომი ფასების პაკეტსაც სთავაზობენ. 2014 წელს რუმინეთში 100-მილიონიანი გადამღები ჯგუფი ჩავა.

— ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება საზღვარგარეთის გადამღები ჯგუფები შემოვიყვანოთ და დავინტერესოთ ჩვენი, მაგრამ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამისთვის?

— ამისთვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება და სათანადო კადრების მომზადება.

— ეს ინიციატივები უკვე გახმიანებულია?

— 2 წლის წინათ იყო მცდელობა კანონმდებლობის დონეზე მისულიყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. არსებობს რამდენიმე პროექტი, რასაც სჭირდება კარგად დაამუშავება.

— კინოტექნოლოგია იცვლება, წინ მიდის, ამ მხრივ რა ნაბიჯებია გადადგმული, ან თუ განზრახულია შესაბამისი სკოლების გახსნა?

— გეთანხმებით, როდესაც ვსაუბრობთ კინოინდუსტრიაზე, მარტო რეჟისორი არ მოიზრება, ამას სჭირდება გარკვეული სკოლები. მე ჩავიბარე ორგანიზაცია, რომელიც ძალიან ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში იყო. ამ ეტაპზე საჭიროა ფინანსურ და იურიდიულ საკითხთა დალაგება. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ვფიქრობ, ეს პროცესები რაღაც მომენტში გაცილებით უფრო დაჩქარდება. შევეცდებით, ამ სფეროშიც უფრო დიდი ბიუჯეტის, მასშტაბიანი ფილმების გადაღებას უცხოელ პარტნიორებთან ერთად.

— რა დაგხვდით საერთოდ?

— სტუდიაში...

დიღმის სტუდიაში არის 3 შენობა. ერთი ადმინისტრაციული შენობაა, რომელიც შედარებით ახალი აშენებულია, გარემონტდა რამდენიმე წლის წინათ. ეს არის პერიმეტრული სტილის ნაგებობა, შიგნით არის ძალიან ძველი აშენებული კარგად გაკეთებული ხმის ჩამწერი სტუდიები, რომელთა ამუშავებაც შეიძლება. დღეს რამდენიმე დამოუკიდებელ კომპანიას აქვს იჯარით აღებული და კიდევ სხვა მოიჯარეებიც არიან. ორი პავილიონიდან ერთი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და გავარემონტეთ, ფრანგებმა უკვე გამოიყენეს გადაღებისთვის.

რამდენიმე თვის წინათ კინოსთან დაკავშირებული საქმიანობიდან ჩვენს სტუდიას ფაქტობრივად არაფერი შემოდიოდა, დღეს ეს მიმართულება ავამუშავეთ.

ამის გარდა, დავინყეთ შემოქმედებით ხალხთან მოლაპარაკებები, რეალურად სტუდია ვერ განვითარდება, რაც უნდა შენობები აშენო, აპარატურა შემოიტანო თუ არ არის მომზადებული. აქ შეიძლება დაფინანსების რამდენიმე წყარო გაჩნდეს. განზრახულია უცხოური გადამღები ჯგუფის ჩამოყვანა.

საჭირო არ არის რაღაც რევილუციების მოწყობა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ და შესაძლებელია 3-4 წელიწადში საკმაოდ კარგ დონეზე ავიდეთ.

— პრობლემები, რომლებიც ხელს გიშლით...

— მე ჩემს საქმეში ვარ ჩაფლული და არაფერს ვაქცევ ყურადღებას. არ ვუყურებ და არ ვკითხულობ კარგ თუ ცუდ გადაცემებს და წერილებს ჩვენი ორგანიზაციის შესახებ. კინო ისეთი რამეა, რომ ცოტა უნდა ნავინიოთ წინ, შემდეგ რომ შეგვეძლოს ამ თემაზე საუბარი.

ეკონომიკურად ქვეყანა უნდა მომძლავრდეს. მე ამ სფეროს სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მოლოდინის რეჟიმში განვიხილავდი. ის რაც 20 წლის განმავლობაში ფუჭდებოდა, მის გამოსწორებას დრო სჭირდება.

— 22 წელია ამერიკაში ცხოვრობთ, იმან, რაც დაგხვდათ, გადააჭარბა მოლოდინს?

— არის ასეთი ტერმინი — კულტურული შოკი. ეგ მე ერთხელ განვიცადე აშშ-ში ჩასვლისას, როდესაც საქართველოდან ჩავედი, სულ სხვა სამყარო დამხვდა, უკან დაბრუნებისას რომ ვითხრათ, შოკი მივიღე-მეთქი, არა, მაგრამ რაღაც შეგუების ხანა დღემდე გრძელდება.



გელა სულიკაშვილი

მიმი ჯავახიშვილი

„სამყაროში ყველაფერი უკეთესობისთვის ხდება“



— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— გაჭირვება სამი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ: სულიერი, ფიზიკური, და ფინანსური. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ყოველმა ერთმა შეიძლება გამოიწვიოს მეორე და მესამე. თუმცა მე სულიერი გაჭირვებისკენ გადავიხრები და ვთვლი, რომ ეს არის უკიდურესობა, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „ღმერთი არს ჩვენთან“ და რომ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა და თუ გვინდა, რომ სასოწარკვეთას არ მივუცეთ, მაშინ „ასჯერ უნდა გავზომოთ და ერთხელ გადავჭრათ.“

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სამყაროში ყველაფერი კანონზომიერად ხდება და ალბათ ჩემი აქ, საქართველოში დაბადებაც კანონზომიერია.

ამიტომ არის, რომ ასე ძლიერ მიყვარს ჩემი ქვეყანა, განსაკუთრებით ჩემი ქუთაისი 27 წელია ჯერ არ გამჩენია აქედან წასვლის სურვილი, თუნდაც ცოტა ხნით. დედაქალაქსაც კი ვერ შევეგუე.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ალბათ, პირველ რიგში, მშვიდობა, მერე ჯანმრთელობა და ბოლოს სიყვარული. ეს სამი რამე გადაარჩენს სამყაროს.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერი“. „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.“ ვისურვებდი, რომ ეს ფრაზა გახდეს სამყაროში ყველა სულდგმულის დევიზი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ექვთიმე თაყაიშვილი

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მოდილიანი და ბოსხი

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— არ არის შორს წასვლა საჭირო (არც დროის თვალსაზრისით და არც მანძილით), როდესაც ჩვენ გვყავს: ყანჩელი, აზარაშვილი, კვერნაძე, ბალანჩივაძე, ფალიაშვილი, ლალიძე, კვალაიაშვილი, დოლიძე, სებისკვერაძე, კახიძე და ა.შ...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კაცია უნდა იყოს კაცური, სიტყვის ერთგული, განათლებული და შეგნებული. მან უნდა იაზროვნოს, განსაჯოს და შემდეგ უნდა იმოქმედოს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მას ყველა ქალური თვისება უნდა ჰქონდეს ერთმანეთში შეზავებული: მოკრძალება, თავაზიანობა, თავშეკავება, სიხალასე, სისადავე, კეთილშობილება...

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე უფრო მომხიბლავი?

— თვით სათნოებაა, რაც ადამიანს ხდის ადამიანურს.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ყველაფერს სიყვარულით და მონდომებით ვაკეთებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერ მივიღებ. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას და ამავდროულად პროფესიას, აქ ყველაფერი თანხვედრაშია და ამისათვის მადლობა ჩემს მშობლებს წაორი არჩევანისთვის და ხელშეწყობისთვის.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ყველას ჰყავს იდეალი. ჩემი იდეალია ჩემი ბებო. ის აკმაყოფილებს ჩემს კრიტერიუმებს თუ როგორი უნდა იყოს ქალი. ყოველთვის ვცდილობდი, დავმსგავსებოდი მას და ახლა, როცა მეუბნებიან, რომ მას ვგავარ, ვარ ბედნიერი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სხვისი გახარების ნიჭი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— აუარებელი ნაცნობი და ახლობელი მყავს. მეგობრებიც მრავლად არიან. რთულად ვიძენ მათ, მაგრამ არ ვკარგავ. მე ისინი ისეთები მომწონს, როგორებიც არიან, არ ვცდილობ მათ შეცვლას არცერთ ასპექტში და მათაც ისეთი ვუყვარვარ, როგორიც ვარ.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ადამიანს აქვს ნაკლიც და დადებითი მხარეც. მეც ადამიანი ვარ და შესაბამისად ნაკლიც მაქვს და არაერთი, რაც ჩემზე უკეთ არავინ იცის, მაგრამ ვცდილობ, რომ დადებითმა დაჩაგროს ნაკლი და მხოლოდ კარგი გაბრწყინდეს ჩემში და ცუდი ჩაქრეს.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— სულიერი სიმშვიდე, ალბათ, გარკვეულწილად განაპირობებს ბედნიერებას.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— არ მინდა ამაზე ფიქრი და არც საუბარი. ამ კითხვას შეგნებულად გამოვტოვებ. ცუდზე არასდროს ვფიქრობ, ცუდი ისედაც მრავლადაა სამყაროში, რაც ჩემზე არაა დამოკიდებული, შესაბამისად მე ვერ შევცვლი, ამიტომ მასზე ფიქრიც არ ღირს.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— 10 კილოგრამით ნაკლები და 10 სანტიმეტრით მეტი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— წითელი და ლურჯი (ყვარყვარე ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, ბავშვობიდან დღემდე გემოვნებას არ ვლალატობ).

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ატმის ყვავილი, ლამაზია, სურნელოვანი და ფაქიზი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არასდროს დაფიქრებულვარ რომელი ფრინველი მიყვარს. ალბათ, ყველა ფრინველი და ყველა ცხოველი. ზოგადად სამყარო მიყვარს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ილია ჭავჭავაძე

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— გალაკტიონი რომ არ ვახსენო არ შემიძლია (არა იმიტომ, რომ მეტი არ ვიცი). მუხრან მაჭავარიანი და მურმან ლეზანაძე, მაგრამ ვერ უარვყოფ და გვერდს ვერ ავუვლი ბუმბერაზებს: ტატოს, ლადოს, ანას, ილიას, აკაკის... ჩვენ მდიდარი ერი ვართ სიტყვით და კალმით. პოეზია ჩემთვის სულიერი სიმშვიდის განცდაა.

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**
— ოთარანთ ქვრივი (არ საჭიროებს ახსნას, რატომ და რისთვის).

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**
— კონკრეტული პიროვნება არ მყავს ამორჩეული არცერთ სფეროში. მე მაქვს ჩემბური კრიტიკიუმები და ვინც აკმაყოფილებს, მათ ყველას ვეტრფი. ჩემთვის ჩემი მშობლები არიან გმირებიც და იდეალებიც.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**
— ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა, ქეთევან ნამებული და თამარ მეფე (აი, აქაც ვერ ვკონკრეტდები).

— **საყვარელი სახელები?**
— ჩემთვის სახელი და გვარი ბევრს ნიშნავს, მაგრამ ადამიანი პიროვნულად უნდა იყოს ძლიერი, რომ მისი სახელი გახდეს პრესტიჟული, როგორც ალექსანდრე, დავითი, ნაპოლეონი, ლეონარდო, ამაღეუსი და მრავალი სხვა. უნდა ვაღიარო, რომ ჩემს სახელზე ვგიჟდები, იმიტომ რომ ჩემს სახელს ძალიან ლამაზი ისტორია აქვს, ის ბებოს და ბაბუს სასიყვარულო ფსევდონიმია.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**
— სამყაროში ყველაფერი როგორც გვინდა, ისე ვერ იქნება, ამიტომ ხშირად გვინებს თვალების დახუჭვა, ყველაფრის ატანა ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი და საზღვარი, რომლის იქითაც ტკბილიც მწარდება. მანამდე კი ვიტანთ.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— დიდა სია იმათი, ვინც იმსახურებს ზიზღს, რომლებმაც პირადი ამბიციისთვის მოახვიეს სამყაროს, მაგრამ თუ ეს რაიმეს ნიშნავს, მაშინ მე მათ შევუწდობ.

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— „სამყაროში ყველაფერი უკეთესობისთვის ხდება“... ვიზიარებ ვოლტერის აზრს და ამ აზრის არსს, მაგრამ ომი მაინც ომია. არაკომპეტენტური ვარ ამ საკითხში. მე მაინც ადამიანურ მხარეს ვემხრობი.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ნელსონ მანდელას „აპარტიდი“.
— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**
— ჩემი მშობლების მრავალჯერადი მცდელობა, რომ მე ფორტუნიანოზე დაკვრა მესწავლა, ამაო აღმოჩნდა. ალბათ, ნიჭი არ მქონდა და ვერ ვისწავლე. არადა სიმფონია მესმის თავში, რომელიც ტუტით იწყება და ტუტით მთავრდება. და იცით რას ნიშნავს ეს? შინაგანად მაფორიაქებს, მე ვუსმენ, განვიცდი და ამ ყველაფერს არ აქვს განვითარება.

— **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**
— განა ამას დადებითი მხარე აქვს? თუ იმქვეყნიური ცხოვრება არსებობს და მართლაცაა ჯოჯოხეთი და სამოთხე, მაშინ მინდა, რომ ცოდვებისგან განვინმინდო და სამოთხეში მოვხვდე. აი, დაკრძალვას ვიტყვი ჰოუსტონის მსგავსს ვისურვებდი.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**
— ჩემი სულიერი მდგომარეობა ყოველთვის სტაბილურია და კონტროლირებადი.

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— სიკეთე, ქველმოქმედება.
— **თქვენი დევიზი?**
— „ჩემს გასაკეთებელს და შენს გასაკეთებელს ჩვენი ძმობის სინამდისე სჯობია“ (ჭაბუა ამირეჯიბი).

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. სამყაროში ყველა ჯანმრთელი იქნება, ყველას ექნება საარსებო და არ იარსებებს ბოროტება, მარტოობა და სიხარბე.

ბიძია ტომი?!



ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ კარგ საქმეს აკეთებს. ორ კვირაში ერთხელ გამოსცემს ცნობილ უცხოელ და ქართველ მწერალთა ნიგნებს. ამავე გამომცემლობამ გამოსცა ამერიკელი მწერალი ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანი „ბიძია ტომის ქობი“.

პირველი, რაც ქართველ მკითხველს თვალში მოხვდება, ნიგნის სათაურია; რადგან აქამდე ნიგნს ერქვა „ბიძია თომას ქობი“ და არა „ბიძია ტომის ქობი“. მკითხველი იფიქრებს, რომ ეს არამარტო ახალი გამოცემაა ნიგნისა, არამედ ახალი თარგმანიც. მაგრამ არა,

მთარგმნელი ისევ ბატონი მიხეილ კლიმიაშვილი გახლავთ. თარგმანიც იგივეა, ოღონდ ახალი სათაურით.

საინტერესო საკითხია ინგლისურ სახელთა გადმოტანა ქართულ ენაზე. „ქართული შექსპირიანის“ III ტომში ბატონი ნიკო ყიასაშვილი, წერილში — „შექსპირის პერსონაჟთა სახელების ქართული დაწერილობა“ — ასაბუთებს, რომ ასოთშეთანხმება **th** უნდა წავიკითხოთ როგორც **ტ** და არა **თ**. ამდენად, ბატონ რედაქტორს, მართებული მესწორება შეაქვს თარგმანში. მაგრამ მკითხველი რომ მიჩვეულია „ბიძია თომას ქობს“? რატომ ტომი და არა თომა? რატომ ვცვლით მხოლოდ სათაურს ძველ თარგმანში? თუ შეცვლა გვსურს, ხომ არ აჯობებდა თავიდან გვეთარგმნა?

თუ ამ ცვლილებათა საჭიროების პრინციპს გავეყვებით, რატომ უნდა იყოს ჯონათან სვიფტის ცნობილი ნიგნი **Gulliver's Travels** თარგმნილი „გულივერის მოგზაურობად“? ულღვიერ ხომ ინგლისურად **გალივერ** იკითხება? ან თუნდაც უილიამ შექსპირის **Othello**; **ოთელიო** ხომ უფრო სწორია და არა ოტელიო? მაგრამ ჩვენი ყური მიჩვეულია **ბიძია თომას, ოტელიოს და გულივერს**.

ვფიქრობთ, ფონეტიკური და სხვა ლინგვისტური პრინციპებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მკითხველის აზრიც. ხომ არ აჯობებს, რომ მიჩვეული სახელები უცვლელად დავტოვოთ და შესაფერისი ცვლილებანი ახალ თარგმანებში მოვახდინოთ?

საგულისხმოა რედაქტორის, მწერალ ირაკლი ლომოურის წინათქმა, „ჰარიეტ ბიჩერ სტოუ და მისი რომანი „ბიძია ტომის ქობი“. წინათქმიდან ვგებულობთ, რომ ჰარიეტ ბიჩერ სტოუ იყო აბლოციონისტი, ნიჭიერი მწერალი და დიდი ქება აქვს შესხმული, ჩვენი აზრით, სამართლიანად; მაგრამ პოსტსაბჭოთა მკითხველმა უფრო მეტი იცის ჰარიეტ ბიჩერ სტოუზე, ვიდრე საბჭოთა მკითხველმა იცოდა. დღეს უკვე ვიცით, რომ სამოქალაქო ომის მიზეზი ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო არამარტო მონობა, არამედ — თუ სამხრეთელებსაც დავეკითხებით, მაგალითად, უილიამ ფოლკნერს — ამერიკის იმდროინდელ ხელისუფლებას სურდა თავისი ძალაუფლების გაზრდა, მეტი ცენტრალიზაცია, რაზეც სამხრეთის შტატები უარს აცხადებდნენ.

თვით ჰარიეტ ბიჩერ სტოუ კი არამარტო „ბიძია თომას ქობითა“ ცნობილი, არამედ იმითაც, რომ გამოაქვეყნა, დიდი ინგლისელი პოეტის, ლორდ ბაირონის „მამხილებელი“ ნიგნი, რაც, მკვლევართა აზრით, ლორდ ბაირონის სახელის გატეხვის მიზეზი გახდა, თანაც სრულიად უსაფუძვლოდ.

ქაქიძეან სსუღუსია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ანგლისტიკის IV კურსის სტუდენტი

ლიანა ელიავა

როდის მივდივართ ბარსელონაში?!

მეორე ნაწილი

1.

ჰელსინკი დაბრუნებული, ქმარსაც გამხდარი და ფერმკრთალი ვეჩვენე. ფესტივალთან თუ ბარსელონასთან დაკავშირებულ იმედგაცრუებასა და ჩემი დის მდგომარეობას მინანქრა ყოველივე.

— ეტყობა, გადაიღალე... აქ დაისვენებ და ჩქარა გაგივლის. ხომ იცი, რა კარგია გაზაფხული ჰელსინკიში, ყვავილების სურნელი, თეთრი ლამები...

დაღლილობამ არათუ გამიარა, თანამდევი სიმპტომად მექცა და მთლად მიმასუსტა. ვერც ქავილი დამიცხრო სხვადასხვა მალამოებმა. ყოველი შემთხვევისთვის, თავი დავიზღვიე და ჩვენი უბნის პოლიკლინიკაში დავრეკე, ექიმთან მიღებაზე ჩასანერად. რიგი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიწვედა. დაქანცულობა, ფეხების ქავილი დიდ საშიშროებად არ ჩამითვლია და გადავწყვიტე, მოთმინებით დავლოდებოდი დანიშნულ დროს.

ერთ მშვენიერ დილას, შხაპის მიღებისას, უცებ აღმოვაჩინე ილიაში კაკლისოდენა სიმსივნე, შეშინებულმა სხვაგანაც მოვისინჯე. საზარდულშიც ჩამყუდროვებულიყო მეორე იმოდენა.

რეინომ მაშინვე გამაქანა პოლიკლინიკაში. მორიგე ექიმს, სიმსივნეების გასინჯვისას, სახე შეეცვალა. იმნამსვე მომცა მიმართვა ქალაქის მთავარ საავადმყოფოში, რომელსაც წაანერა სიტყვა: „Kiireta“, რაც სასწრაფოს ნიშნავს. საავადმყოფოში მყისიერმა და ყოველმხრივმა გამოკვლევამ, მათ შორის სიმსივნის დანახვის ამოკვეთა-დათესვამ, დამისვა დიაგნოზი: „ლიმფომა“. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ ლიმფომების რაოდენობა და ადგილსამყოფელი დააზუსტა. ქავილიც თურმე ამ დაავადების ერთ-ერთი ნიშანი ყოფილა.

გასაგებ ენაზე „ლიმფომა“ იმუნიტეტის არარსებობას ნიშნავს. რა იმუნიტეტი გასწვდებოდა იმას, რაც მე გადამხდა ცხოვრებაში თავს?! ურემიც კი აჭრიალდება ზედმეტი ტვირთისაგან, ადამიანმა რომ ვერ გაუძლოს, გასაკვირია?!

ამ საშინელი დიაგნოზით მივეხვედი უფალს და ფინურ სამკურნალო მანქანას, რომელიც თავბრუდამხვევი სიჩქარით ამოქმედდა. დიაგნოზის დადგენისთანავე გადაწყდა, მოვეთავსებინეთ ჰელსინკის ჰემატოლოგიურ საავადმყოფოში. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ იმჟამად იქ მკურნალობა არ მიმდინარეობდა. თურმე რომელიღაც სართულზე სოკო აღმოჩინათ და ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა მოელოდა მთლიანად შენობას: დანგრევა, თუ შეკეთება. მაშინვე გამამწესეს და ტაქსით მიმარბანეს უახლოეს ქალაქ — ვანტაში მდებარე პეიაქსეს საავადმყოფოს ჰემატოლოგიურში. ყველგან თან მახლდა მეუღლე, არა მხოლოდ როგორც პატრონი — მთარგმნელიც. ხომ შეიძლებოდა რომელიმე სამედიცინო ტერმინი ვერ გამეგო. ისედაც მძიმე ტვირთად დავანექი ამ სახელმწიფოს და არ მინდოდა ძვირად ღირებულ მკურნალობას, თარგმანის საფასურიც დართვოდა.

სავადმყოფოს კარებში დავგვხვდა ამ ქალაქში მცხოვრები რეინოს ნაცნობი, საესტრადო

ნამყვანივით ჩაცმული, ვოვა პო, იგივე პოუდანენი, რომელიც ერთდროულად: ბიზნესმენობდა, ბარდობდა და პოეტობდა. გამოჯანმრთლება მისურვა და ლამაზად შეფუთული თაიგული მომართვა. საავადმყოფოში რომ შევედით, ექიმთან თაიგულით ხომ ვერ გამოვცხადებოდი და რეინოს შევაჩერე ხელში.

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №3

ავადმყოფობა „ლიმფომა“, რომელსაც ხშირად „ლეიკემია“, ანუ სისხლის გათეთრებაც ერთვის, ჰემატოლოგიური განყოფილების მთავარი ექიმის თქმით, იკურნება ყველაზე დიდი — სამოცდაათი პროცენტით. ბოლოს ექიმმა, კომპიუტერიდან ჩემი პიროვნული მონაცემებიც გაითვალისწინა და როგორც ასაკოვანს, განკურნების მეტი შანსი მომცა.

ამ ექიმთან დაკავშირებით, არ მინდა გამომჩიე ერთი უხერხულობა, რომელიც შემემთხვა. კაბინეტში რომ შევედი, ხელი გავუნოდე, ჩამოსართმევად. უკან დაიხია, არ შეიძლებაო. მეწყინა. როგორ ეკადრება, თავი გაუყადროს ავადმყოფს! საერთოდაც, ჩემი დაკვირვებით, აქ ექიმები დიდი თავმდაბლობით არ გამოირჩევიან. ხელებში არ უყურებენ ავადმყოფებს, არც თვალებში შესცივინებენ, მაგრამ დიაგნოზს კი უზუსტესს უსვამენ. ამაში დავრწმუნდი ჰელსინკიში ჩამოსვლისთანავე, ჯანმრთელობის საერთო შემონახვისას. ადრე თბილისში დადგენილი და შემდეგ მოსკოვში დამტკიცებული დიაგნოზი, აქაურმა პროფესორმა შემიცვალა სულ სხვა სახელწოდების ავადმყოფობით, სხვა სახის მკურნალობა დამინიშნა და შვება მომგვარა. ესაა მთავარი!

დერეფანში რომ გამოვედი, თვალში მეცა კედელზე გაკრული თვალსაჩინოება — ჯვარდინად გადახაზული ხელის ჩამორთმევა. ქვეშ დართული ტექსტი ჩემნაირ ავადმყოფებს, ვირუსისგან თავდასაცავად, მისალმების ამ ჩვეულებრივ წესსაც კი უკრძალავდა, ქართულ ხვევნა-კოცნაზე რომ არაფერი ვთქვათ. გუნებაში ბოდიში მოვუხადე ექიმს, ცუდად რომ ვიფიქრე მასზე.

მოგვიახლოვდა ჩემი ექთანი, მაღალ ფეხებზე შემდგარი — ანწელი. ცისფერი თვალებით, თეთრი ღიმილითა და ბუნდლასავით, რბილი თმის კულულებით, იგი ვიღაცას მაგონებდა. ტვინი გამებურღა იმაზე ფიქრით, ვის. ჯერ ვიფიქრე ფინელი მხატვრის — ალბერტ ედელფელდის „პორგოელ (ქალაქის სახელია ჰელსინკის მახლობლად) ქალიშვილს“ ხომ არ წააგავს-მეთქი. მერე მივხვდი, ჩემი დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი მამიდაშვილის — ანიკოს განსახიერება იყო ყოველმხრივ, გარდა კულულებისა. აწწელი შემიძღვა კარადებიან სათავსოში, სადაც ამირჩია ვარდისფერი, ბუნებრივი ტრიკოტაჟის პიჟამა და ფაჩურები. გვერდით ოთახში გამზომეს, ამწონეს. წონაში დაკლებასთან ერთად, თითქოს მალღებთან, მე დავპატარავებულვარ კიდევ. ალბათ აქ ასაკმაც იმუშავა. საავადმყოფოს ტანსაცმელი კარგად მომერგო და არ მეხამუშა. გარეთ გამოსვლისას, ჩემი ტანსაცმელი აწწელიმ ჩაკეტა დანომრილ კაბინაში, გასაღები რეინოს ჩააბარა და გავვიძღვა პირველი პალატისკენ.

— ახალი სამოსი გიხდება! — შემათვალისწინებ მეუღლემ.

— პალატა ორადგილიანია. ერთი მოხუცი ქალბატონიც იქნება თქვენთან ერთად ოთახში, — მითხრა აწწელიმ, — შებრძანდით, მეც ახლავე მოვალ.

— შენ ხომ გიყვარს მოხუცები, თან ფინურშიც ნაივარჯიშებ, — ხუმრობით შემიმსუბუქა რეინომ ხვედრი.

პალატაში შესვლისას პირველი, რაც მომხვდა თვალში, იყო ფანჯარასთან მწოლიარე მოხუცის დეჭყეტილი თვალები. მერე დავინახე, როგორ ეფერებოდა იგი უხმოდ, მხოლოდ თითებით, მკერდზე ჩამომჯდარ რბილ სათამაშო კატას.

ოთახი გამთლიანებული იყო. ფარდები, რომლითაც იგი ორად იტირებოდა, აქეთ-იქით გადაენიათ. ჩვენს დანახვაზე, მოხუცს შუბლი შეეჭმუნა, მივესალმეთ, არ გვიპასუხა. შევატყვეთ, არ ესიამოვნა, რომ დავურღვიეთ მარტოობის იდილია. ჩემი სანოლი კარების მხარეს იდგა, მოხუცისგან ოდნავ მოშორებით. ჩამოვჯექი მისკენ ზურგშექცევით.

— ალბათ შენი რუსული გაიგონა, რამდენჯერ გთხოვე, ფინურად ილაპარაკე-მეთქი, — ჩურჩულით შევნიშნე რეინოს. შემჩნეული მქონდა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ხანდაზმულებსა, თუ შეზარხოშებულ ახალგაზრდებს არ სიამოვნებთ რუსული ლაპარაკი და „შიიი“—ს ნაისისინებენ ხოლმე, მოსაუბრეთა გასაგონად.

ბედის უკუღმართობით გარუსებულმა, ჩემმა ფინელმა მეუღლემ მკაცრად გამოსცრა კბილებში:

— რუსეთში ველური „Чухна“ ვიყავი, ფინეთში საძულველი „Ryssa“ გავხდი, არაფერს ვამბობ გაუგებრობაზე საქართველოში... მორჩა, ჩემი ნებაა, რა ენაზე ვილაპარაკებ, თუ ვიმღერებ! — მერე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, თავის რუსულში ჩვეული ირონია გაურია და ცალი თვალით მანიშნა მოხუცის ფეხებისაკენ, — პედიკურები ნახე!

გამოგიტყდებით, გამიკვირდა ამ ხნის ქალის ასეთი მოვლილი ფეხები. გამახსენდა, რომ თბილისში ჩემს ლოგინად ჩავარდნილ დას ერთი განზე ნასული ფრჩხილი ვერ ნააჭრა ფეხზე ვერავინ. აქ ცალკე ჰყავთ ამ პროფესიის მოსამსახურენი ხანდაზმულთათვის.

ამ დროს მობილურით მომიკითხა ძმისშვილმა — ლიკამ თბილისიდან.

— რა მოგივიდა?.. არ მოკვდები რა, — შემეხვნენა.

— რახან საავადმყოფოში მოვხვდი, არ მოვკვდები, — დავამშვიდე.

— აქ ჩამოდი, მე მოგივლი!

— შენ რას მომივლი, ცაში ხარ გამოკიდებული.

— ძალიან გვიყვარხარ, გვენატრები, გკოცნით... — გულამაჩუყებლად ჩარაკრაკეს ტელეფონში მისმა შვილებმა: ნახუკამ და ნიკომ.

— კიდევ დაგირეკავთ, ნახვამდის! — დამემშვიდობა ლიკა.

ისევ დავბრუნდი საავადმყოფოს თეთრ კედლებში, რეინოს ვუთხარი, ლიკა და ბავშვები იყვნენ-მეთქი. მას თაიგულისთვის გამჭვირვალე ქალაღი მოეცილებინა. სამი წითელი ვარდი იღერებდა თავს მაღალ ფეხებზე.

შემოვიდა ანნელი, ერთ ხელში ჩემთვის განკუთვნილი აბებით სავსე პატარა ჭიქით, მეორეში — ამ აბების დანიშნულებითურთ. მაშინვე სკამზე მიუთითა რეინოს, მაგრამ მან არ ისურვა დაჯდომა, როცა ქალი იდგა.

ანნელიმ ჭიქა და დანიშნულების ფურცელი ჩემს ტუმბოზე დადო. ტუალეტის კარადიდან გამოიტანა ლარნაკი, მოუშვა ონკანი და წყალი ჩაასხა. რეინომ ერთი ვარდი მას მიართვა, მეორე — ლარნაკში ჩადო და ტუმბოზე დამიდგა. მესამე ვარდი მაგიდაზე დადო. ანნელიმ დანიშნულების ფურცლის მიხედვით დამიხარისხა, რომელი აბი როდის უნდა დამეღია, მერე თავი ასწია და მკითხა:

— სადაური ბრძანდებით? — ალბათ ეუცხოვა, ჩემი გვარსახელი რომ ამოიკითხა ფურცელზე.

— საქართველოდანაა, — დამასწრო პასუხი რეინომ. მუდამ ეამაყებოდა ჩემი ქართველობა, ისევე როგორც მე — მისი ფინელობა.

— მე კიდევ ლაპლანდიიდან ვარ, ქალაქ კუუსამოდან, — ეტყობა, ანნელისაც თავმოსანონად ჰქონდა თავისი წარმოშობა.

კუუსამო ადრეც გამეგონა ჩვენი ნაცნობი — უნოსაგან, რომელიც იქაური იყო და ზაფხულობით, როცა თეთრი ლამეები იდგა, გვეპატიუებოდა ხოლმე თავის მამულში. ჩვენ კი, ჩემი გამოისობით, ყოველთვის საქართველოსკენ გვეჭირა თვალი. არასდროს გვეყო სახსრები, ორივეგან გასამგზავრებლად, თორემ ლაპლანდიაში გასეირნებას რა სჯობია! იმედია, როგორმე მოვახერხებთ, თუ ჯანმრთელობამ არ შეგვიშალა ხელი.

— იქნებ მეორე ლარნაკიც იპოვოთ? — მორიდებით ვთხოვე ანნელის. მინდოდა, მესამე ვარდით მოხუცის არემარე დამემშვენებინა, რომ მისი გაქვავებული გული მომეღებო.

ანნელიმ ვარდი მოხუცის ტუმბოზე გადადო და ლარნაკის მოსატანად შეტრიალდა.

მოულოდნელად მოხუცმა ვარდი ჩემს სანოლზევე გადმოაგდო.



მხატვარი აივანგო ქელიძე

ამის შემხედვარე ანნელიმ, რომ არ გაემწვავებინა ურთიერთობა, გამყოფი ფარდები მისნი-მოსნია და მოხუცს უკვე ვეღარ ვხედავდით.

— ეს ვარდი გადაეციტო მედღას, ვინც ამას უვლის, — უთხრა რეინომ ანნელის.

— ნამდვილად იმსახურებს, — გაეცინა მას, — სხვათაშორის, თქვენებური, ინგერმანლანდიელი ქმარი ჰყავს, თვითონ რუსია, — მერე მოხუცის საქციელისთვის რამე გამართლება რომ მოეძებნა, ჩურჩულით გვითხრა:

— ხანდაზმულთა თავშესაფრიდან მოიყვანეს ჩვენთან. ერთადერთი — კატა ჰყოლია და ისიც მოკვდომია. ეს სათამაშო ფისო, გულზე რომ უდევს, აქ აჩუქა ვილაცამ.

ანნელიმ თავისი და რუსი ექთნის ვარდები წაიღო და ცოტა ხნით დაგეტოვა.

— როგორ ყველგან ერთნაირება ეს მარტოხელები... ეჰ, — ამოვიოხრე, ჩემი დის პატრონმა.

— ეს დამატებით ალბათ ლოტაც იქნებოდა, — ჩუმად დაასკვნა რეინომ.

ბევრი რამ გამეგონა ამ ომისდროინდელი გამირი ქალების შესახებ, კაცების მხარდამხარ რომ იცავდნენ სამშობლოს-დამპყრობლებისაგან. ვერ გავიმეტე ლოტა ასეთი უსაქციელობისთვის და ქმარს შევეკამათე:

— საიდან მოიტანე ახლა ეს?

— რუსული რომ ვერ აიტანა იქიდან.

ამასობაში ანნელიც დაბრუნდა, სიციხე და წნევა გამიზომა. წნევა დაბალი მქონდა, სიციხე — ცოტათი აწეული. უცნაური ავადმყოფობაა ეს "ლიმფომა"! არაფერი არ გტკივა, უბრალოდ მაღა არა გაქვს, ამიტომ ხდები, ძალა გეკარგება და თანდათან ილვეი.

— ახლა ჩვენთან ქართული ღვინოები იყიდება. ნამდვილად არ აწყენს, ცოტ-ცოტას თუ დალევს, — უთხრა ანნელიმ რეინოს, — მისი სისხლისთვის ყველაფერი წითელი კარგია.

— ვახშამი! — შემოჰყო თავი პალატაში და შემოგვძახა, შავ-ყვითელა, აღმოსავლური წარმოშობის დიასახლისმა, მერე ორსართულიანი, საკვების ჩამოსატარებელიც შემოაგორა.

მოხარებული თევზი, ანანასგარეული ბოსტნეულის სალაითი, კენკროვანთა წვენი, ლიმნაიანი ჩაი, ხრამუნა ნამცხვარი ჩამორიგდა ჩემს სანოლზე მიმაგრებულ, გამოსანეშ მაგიდაზე. ამაზე მეტი, ან უკეთესი რა უნდა ყოფილიყო?! მაგრამ საქმელს მაინც ვერ მივეკარე. ჩემი ქმრისთვის მადისმომგვრელმა ნატიურმორტმა მე, პირიქით, გული ამირია. ვთხოვე, სასწრაფოდ მოეცილებინათ კერძები იქაურობისთვის. ლიმნაიანი ჩაი ცოტა მოვსვი. დარჩენილი, ნამცხვართან და წვენთან ერთად, დავიტოვე საღამოსთვის.

— ასე ავადმყოფობას ვერ მოერევი, — შენუხდა რეინო, მაგრამ რა ექნა! უკანვე გაატანა მომვლელს კერძიანი თეფშები, — ხვალისთვის მაინც მოიფიქრე, რას შეჭამ და თვითონ მოგიტან.

— სითხე კი, გინდათ თუ არა, აუცილებლად უნდა დალიოთ სამ ლიტრამდე დღეში, განსაკუთრებით ხვალდან, როცა

გადასხმებს დაინწყებთ, რომ ზედმეტი ქიმია ჩაირეცხოს. ეს დავთარშიც აღინუსხება, — მკაცრად გამაფრთხილა ანნელიმ და წასვლა დააპირა.

— რა გაჩერდება ამასთან მთელი ღამე, მარტო, — მოხუცისკენ გავაპარე მზერა და დავიწყებულნი დავიწყებულნი.

— ნუ გეშინიათ, უეტლოდ ვერ მოძრაობს, — დამამშვიდა ღიმილით ანნელიმ (ამ ღიმილმა ისევ გამახსენა ანიკო), — ახლა წავალ შინ და კომპიუტერში საქართველოს მოვებები, პირველად მყავს ქართველი ავადმყოფი.

რეინომ ხელზე კოცნით გააცოცლა. ამ ჩრდილოელი ქალის სიტომომ მასაც გაუღლო შიშით გაყინული სული, სკამი მოსწია და ახლოს დამიჯდა. დიდხანს მომჩერებოდა უსიტყვოდ, მრავლისმთქმელი მზერით. მეც თვალეები გავუსწორე. მომჩერებოდა, თუ მართლა ასე იყო, თითქოს ვიმახსოვრებდით ერთმანეთის სახეებს.

მისი ხათრით, თავს ძალა დავატანე და ყველა აბი გადავყლაპე, ჩაიც დავლიე, თან ნამცხვარიც მივატანე. უკვე წასვლის დრო იყო და ვალმოხდელი რეინო წამოდგა.

— ხვალსთვის რა მოგიტანო „ასკანელის“ გარდა? წითელ თევზს ხომ შეჭამ? ბრონქული გაგინჯო?

— ნუ ინვალებ, წვენი იყიდე, კიდევ ღვინო და ვაშლის ღვეხელი. შინ რომ მიხვალ, დამირეკე!

რეინო ზღურბლზე მოტრიალდა, ხელი ამიწია და წავიდა. კარი გამოღებული დატოვა, მაგრამ ვილაც თეთრხალათიანმა ჩქარავე მოხურა.

ცოტა ხანში მოხუცთან მოვიდა მისი რუსი ექთანი, ჯანია-ნი ქალი. აბა, სხვა ვინ გაუმკლავდებოდა ამ დევივით არსებას. ეტყობა, რალაც აბების გადაყლაპვას აძალებდა გაჯიქებულ ავადმყოფს, ისეთი ხმაური ისმოდა ფარდის იქიდან.

— **Huora!** — ყვიროდა ავკია მოხუცი. ექთანს, ეტყობა, შერცხვა, „ბოზი“ რომ დაუძახეს, სახელანძული გამოვიდა ფარდის იქიდან.

მოხუცის ამ სიტყვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი ქმრის ფსიქოანალიტიკური ვარაუდი მის წარსულ საქმიანობაზე. დამაინტერესა, რითი იყო ავად. ჩემი დის უცნაურ გამოხდომებთან აღმოვაჩინე საერთო. მადლობა ღმერთს, ლამარას ჯერ არ ჰქონდა ასე ღრმად შეტოპილი! რალაც დოზით ნანამძღვრებოც ემთხვევა ერთმანეთს: მარტოხელობა, ომი, თანაც ერთსა და იმავე ქვეყანასთან.

— რა სჭირს ამ ქალს? — ვკითხე ექთანს, რომ ჩამიარა.

— არ გვაქვს უფლება, გავაცხადოთ.

„რა სახელმწიფო საიდუმლოებაა ასეთი?!“ გავიფიქრე. ისიც გამიკვირდა, როგორ მიაჩვია ფინურმა გარემომ ყველა ჯურის ხალხი კანონმორჩილებას, თორემ ბოლმისგან მაინც შეეძლო გაემხილა.

მოგვიანებით რეინომ დამირეკა:

— როგორა ხარ? მეზობელი ხომ არ განუხებს?

— ნუ ნერვიულობ, სრული სიმშვიდეა.

— მე კიდევ ველარ ავუდივარ ქართველების ზარს... შენს შენუხებას ერიდებიან და მე მბომბავენ. ხვალ ქართულ საქმიელებს ელოდე!

— ვინ დარეკა?

— შენ ის იკითხე, ვინ — არა! გოგიმ, კოტემ, მაიამ, ლიამ, დალიმ...

გამიხარდა, ჩემი გასაჭირი რომ გაიზიარეს იმათაც, ვისთანაც ნელთბილი ურთიერთობა მაკავშირებდა. კიდევ კარგი, თანალობის უნარი მაინც შეგვრჩა სამშობლოდან გადმოხვეწილებს!

მოღრუბლული დღე იყო და ადრე ჩამობნელდა. თითქოს მოვწყდი რეალურ სამყაროს და ირეალურში გადავსახლდი, არც ერთი ცოცხალი ადამიანი, სულ მიცვალებულები მელანდებოდნენ. ფიქრიც მათ გარშემო ტრიალებდა.

ანნელის გავლენით, გამახსენდა ჩემი მამიდაშვილი — ანიკო რომ ჩამოიყვანეს ჭიათურიდან თბილისში და დაანვიანეს ხუდადოვზე, ტუბერკულოზის სამკურნალო ცენტრში. მაშინ ტუბერკულოზი, განსაკუთრებით ნაგვიანვე ფაზაში, უკურნებელ

სენად ითვლებოდა, თანაც გადამდები იყო და შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას. თვითონ ანიკოს ოჯახში მისი უფროსი და-ძმა შეინირა ამ დაავადებამ, ანიკოსაც მათგან გადაედო. სანამ გაზაფხულზე არ გაუმწვავდა მდგომარეობა, ვერ შეამჩნიეს. უკვე ისე მოსდებოდა ჭლექი ორივე ფილტვს, შველა თითქმის შეუძლებელი იყო. ბავშვებს აგვეკრძალა მასთან სანახავად მისვლა.

ანიკოსთან უამრავი მოგონება მაკავშირებდა: ვაგონტებით სეირნობა ჭიათურის თავზე, კაცხის სვეტზე ასვლა, მოგზაურობა დიდი აკაკის საუფლოში: სხვიტორსა თუ სავანეში... პირველად მას წავუკითხე აკაკის აკვანზე დაწერილი ჩემი ლექსი, რომლიდანაც ორი სტროფილა შემორჩა მესხიერებას: „სავანის კერასთან ნაკვამლი, ნარწვევი ჩიხურას ხმაზე...“ ერთმანეთისთვის განდობილი ბავშვობის საიდუმლოებანი... როგორ შემეძლო ასეთი ახლობელი ნათესავი და დაქალი, მისთვის უმძიმეს წუთებში, არ მენახა?!

გაკვეთილების შემდეგ ჩუმად წავედი სადგურისაკენ, სკოლასთან ახლოს იყო. ფუნთუშისთვის განკუთვნილი ფულით, ხელზე მოვაჭრე მოხუცისაგან, ყოჩივარდები ვიყიდე და სადგურს ზემოთ გადასასვლელი ხილთ, ნაძალადევი ამოვყავი თავი. იქიდან, კითხვა-კითხვით მივავენი ხუდადოვის ტყეში ტუბერკულოზის სამკურნალო ცენტრს.

აღვის ხესავით ამოღტილი ანიკო ეზოში მარტო სეირნობდა. რომ დამინახა, თვალეები აუწყლიანდა. სიხარულისგან არ იცოდა, რა ექნა. ჩუმად, ჩემთვის მუდამ მეამაყებოდა, სიხარულის ეს რამდენიმე წუთი რომ ვაჩუქე განწირულ ადამიანს. ახლა მკითხველსაც ვუზიარებ ამ გამოცდილებას. საკოცნელად მივეტანე, უკან დაიხია, ყვავილეები კი გამომართვა. ძელსკამზე ჩამოვსხედით, გავიხსენეთ იქეთური, აქეთური. წასვლა რომ დავაპირე, ლოყები შეეფაკლა:

— ანი ალბათ ველარ გნახავ, — თქვა დანანებით. მასთან თავი შევიკავე, მაგრამ სახლამდე სულ ტირილ-ტირილით მოვედი. მართლაც ჩქარა გარდაიცვალა, ჩემგან წინასწარ დატირებული.

უცნაურია, მე ვინახულე და არ გადაამედო, ლამარას არ უნახავს და მაინც შეაფრინდნენ ჭლექის ბაცილები. რომელიც ლაც ჩვენგანი იყო ალბათ მათი გადამტანი, იქნებ სულაც მე, რომელსაც ვერაფერი დამაკლეს და სუსტს კი მოერივნენ. ღვთის შენევნით, ჩვენმა მშობლებმა ივარგეს, დროზე მიუსწრეს ავადმყოფობას და გადაარჩინეს.

საერთოდ ბავშვობიდანვე ჯანმრთელობის კომპლექსი მანუხებდა და ავად გახდომაზე ვოცნებობდი. ეტყობა, ადამიანური სიტომო მაკლდა. მინდოდა ვინმეს დავეყვავებინე, გამორჩეულად ეზრუნა ჩემზე.

ფიქრებსა და ზმანებებში ჩაძირულს, საერთოდ დამავიწყდა ჩემი პირქუში მეზობლის არსებობა. უცებ რალაც ფხაჭაფუხტი მომესმა. ჩემს მდგომარეობაში ადამიანს თურმე სმენა გაფხვებული აქვს. თავიდან ვერ მივხვდი, სადა ვარ, თანდათან მოვედი გონს და გავიხედე ხმაურის მიმართულებით. ნახევრად ბნელში დავაკვირდი და რას ვხედავ, იქ სადაც გამყოფი ფარდები ერთმანეთს უერთდებოდა, ორი ხელის მტევანი, კოტიტა თითებიცა და წითელი, გრძელი ფრჩხილებით, ცდილობს ფარდების გადაწვევად მოწვევას. კარგა ხანს ითამაშეს ჩემს ნერვებზე ამ მოფხაკუნე თითებმა. ძალა რომ გამოეცლებოდათ, მატლებივით ჩამოცურდებოდნენ ქვევით. მერე ღონეს მოიკრებდნენ, ისევ ამოყოფდნენ თავს და განაგრძობდნენ ჩირთი-ფირთს. მეგონა კადრი ჰინკოკის ფილმიდან. ბოლოსდაბოლოს ამ თითებმა პატარა ღრიჭოს დატოვება მაინც მოახერხეს ფარდებს შორის.

ვიცნ იცის, რა უნდოდა ამ უცნაურ მოხუცს?! თვითონ შეხმინება ვერ გავებდე. ღილაკს დავაჭირე და მორიგე ექთანს ვუხმე. რამდენიმე წუთში გაჩნდა. საერთო შუქი აანთო.

— საძილე ხომ არ გინდათ? — მკითხა, რომ მნახა შუალამისას მღვიძარე.

— მე არა, იმას უნდა რალაც, — ვანიშნე მოხუცისკენ.

ექთანმა ახლა მოხუცს მიაშურა. ღრიჭოში დავინახე, ეგრევე გადახადა საბანი. შეცხადებდაზე მივხვდი, საცოდავს ამ წვალეებში ჩაესვარა.

— კარი გამოღებული დატოვებ, — ვთხოვე მორიგეს, ოთახიდან გასვლისას.

— რატომ? — სიმსუქნისგან კისერს ვერ აბრუნებდა და მთელი ტანით შემოტრიალდა იგი (ჭარბწონიანობა საერთოდ ფინელების შემანაწებელი სენია).

— შანელის სუნამო არ მიყვარს.

ექთანს იუმორის გრძობა აღმოაჩნდა, გაეცინა და თხოვნა შემისრულა. ვილაცამ ახლაც მოხურა კარი. ადგომას აზრი არ ჰქონდა, ისევ მოხურავდნენ და დარაჯად ხომ ვერ ვიდგებოდი მთელი ღამე. თავიანდაკე შევძვერი საბანქვემ. ის იყო წამთვლიმა, რომ ნაბიჯების ხმამ და მომეტებულმა შუქმა ისევ გამომაცოფინა გარეთ თავი.

ბიჭვით თმაშეჭრილი, მომვლელი ქალი და ქერთმიანი ფინელი ყმაწვილი (როგორც მერე გავიგე, სამედიცინო სასწავლებელში სწავლის მოსურნე), ორივე თეთრ შარვლებში, შემოსულიყვნენ პალატაში და ენერგიული ნაბიჯებით მიემართებოდნენ მოხუცისაკენ.

გაოცებული მივჩერებოდი ღრიჭოში, რეზინის ხელთათმანებიანმა თითებმა რა სისწრაფით გაუსუფთავეს და გამოუცვალეს ამ ლოგინიდან გადმოფუებულ სხეულს ყველაფერი: თეთრეული, საფენები, ღამის პერანგი. იგი კი, მადლობის ნაცვლად, ტლინკებს ყრიდა და იგინებოდა. ეტყობა, რალაც ადრინდელი მწარე მოგონების გამო, შეურაცხყოფად აღიქვამდა ინტიმურ ადგილებში სხვათა ხელების ფათურს. ერთ-ერთი ხომ ისედაც კაცი იყო, ბიჭვით თმაშეჭრილი შარვლიანი ქალიც ალბათ კაცთა მოდგმის წარმომადგენლად აღიქვა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რაც გადახდომოდა იმ თავის სუსხიან ზამთრის ომში, ქალიშვილობისას.

— Perkele! Perkele!.. — ტყვიასავით ისროდა სიტყვებს დროდადრო.

ადრე, როცა არ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა და ვიკითხე, ეშპაკს ნიშნავსო, მიპასუხეს. ფინელებში ეშპაკის დაძახება უშვერ გინებად ითვლება. ამ ხანდაზმულ ქალს კი სრულიად არ უჭირდა მისი წარმოთქმა, რაც მართლაც მიანიშნებდა მის ომში, ჯარისკაცების გარემოცვაში ნამსახურობაზე. რაც შეეხება, ჩვენთან გავრცელებულ თავისი, თუ სხვისი დედის გინებას, ფინელებისგან საერთოდ არ მსმენია და მაგონი, მსგავსი რამ არც არსებობს მათი ენის კულტურაში.

განბანილ-გაქათქათებული მოხუცი ისევ ჩაანვიწესე გასრილებულ, სუფთა ლოგინში. გულთან მისი საყვარელი ფისოც დაუდეს. ბოლოს გამოწვავილი თეთრეული, ხელთათმანებიანად, ჩაყარეს ცელოფნის დიდ შავ პარკში, გადაუძახეს გორგოლაჭებიან ურნაში, ურნა თან გაიყოლეს, შუქი ჩააქრეს და წავიდნენ. არც ერთს პასუხი არ გაუცია მოხუცის გინებისათვის. საერთოდ არ ამოუღიათ ხმა.

2.

ჩემს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ პროცედურებს დაემატა მთავარი და ყველაზე საშინელი — ქიმი. ერთი შეხედვით თითქოს უმტკივნეულო, მაგრამ შემდგომი გამოვლინებებით მეტად მძიმე, თუმცა ყველაზე სავალალო შედეგიდან უმეტესწილად დამხსნელი.

ანწელიმ ხსნარების ტოპრაკები დაახვავა მაგიდაზე და საქმიანი გამომეტყველებით, წვეთოვანის გამართვას შეუდგა. ეს ყველაზე საპასუხისმგებლო მოვალეობა იყო მის ხელობაში. თავიდან წამიკითხა ხუთივე ხსნარის სახელი, რომლებიც უნდა გადაეხათ ჩემთვის ყოველ ჯერზე, ხუთი დღის განმავლობაში, მერე ჩამოკიდა ტოპრაკები წვეთოვანის საკიდებზე, ქვევით გააერთიანა, რომ ერთი მილიდან გადმოღვრილიყო წვეთ-წვეთად მთლიანი ხსნარი. შემდეგ გაწაფული ხელით მოძებნა სისხლძარღვი ჩემს მაჯაზე, უმტკივნეულოდ გამიყარა ნემსი, საიმედოდ დაამაგრა და მიუერთა მთავარ მილს. ბოლოს მთელი ეს მოწყობილობა ჩართო დენის ქსელში, თან მასწავლა, საჭიროების შემთხვევაში, როგორ უნდა მემოძრავა, წვეთოვანთან ერთად.

სხვადასხვა მინერალების ხსნარმა წვეთ-წვეთად რომ შეაღწია ორგანიზმში, სიგრილე ვიგრძენი და საბანი დავიფარე. ანწელიმ საჭირო სიჩქარე მოუძებნა წვეთების მოძრაობასაც. ერთი სიტყვით, კარგად იცოდა ამ საქმის ანაზანა. მისი მოქმედების სიზუსტით მოხიბლულმა, თავისუფალი ხელი მოვუთათუნე მკლავზე. სათნოდ გამიღიმა (ასე იღიმოდა ჩემი ანიკოც) და მითხრა:

— საქართველოს ყველა ტურისტული მარშრუტი დავათვალიერე წუხელ ინტერნეტში, ალტაცებული დავრჩი თქვენი ქვეყნით.

ამ დროს რეინოც გამოჩნდა. საგანგებო საში გამოუწერა ანწელიმ და როცა უნდოდა, მაშინ შეეძლო მოსვლა. სავსე ჩანთაზე ეტყობოდა, იმაზე მეტი მოეტანა, ვიდრე ევალეობდა. ანწელის სიტყვებისთვის მოეკრა ყური და სტუმართმოყვარე ქართველი მასპინძელივით, დაპატიჟა ცოლეურში:

— მომავალ ზაფხულს ყველანი ერთად წავიდეთ.

— ჯერ ლაპლანდიაში და მერე საქართველოში, — დააზუსტა ანწელიმ.

დარეკა ჩემმა მობილურმა. რეინომ მიმადო ყურზე. ბიძამ-ვილი მირეკავდა თბილისიდან. იგი ზუსტად ჩემი ავადმყოფობის მკურნალი — მედიცინის დოქტორი გახლდათ თბილისის ჰემატოლოგიურში.

— შენს ავადმყოფობას აქაც ვერვით, — მე კი დამამშვივდა, მაგრამ გული მეტკინა, როცა დაურთო, — ოლონდ ძვირი ჯდება და ჩვენთან ხალხს ფული არა აქვს. მაგალითად, "მაბტერა" ორიათასი დოლარი ღირს თითო ჯერზე.

რალაც არ მეცნო ანწელის ჩამონათვალში ეს სიტყვა და შემოვთებულმა სასწრაფოდ გადავამოწმე:

— აქ „Mabtera“ არის?

— როგორ არა, — გაეღიმა ანწელის, — ოლონდ მეორე სახელიც ჰქვია — "Rituksimabi", — ფრთხილად ჩამოხსნა მან სქელი ცელოფნის ტოპრაკი საკიდიდან და მაჩვენა წარწერა.

— არის! — ვუპასუხე ბიძაშვილს და დავემშვიდობე.

იმედიანად რომ ყოფილიყო, ანწელიმ კიდევ ერთხელ გასინჯა ყველაფერი: ნემსი მაჯაზე, მიღების გამტარობა, წვეთოვანის ელექტროქსელში ჩართულობა, მერე თავზე ხელი გადამისვა, იმანაც შემატყო შემცივნება, — ხსნარმა იცის ასე, — მეორე საბანიც დამაფარა.

— რა ბედნიერებაა, რომ ამ გაჭირვებაში თქვენისთანა ქალბატონი შემხვდა, — კეთილგანწყობა დავუდასტურე მეც. მეუხერხულა მეთქვა, რომ გარდაცვლილ ნათესავს მაგონებდა.

რომელიღაც პალატიდან ზარის ხმა მოისმა და ანწელიც გაიქცა. მე განძრევისა მეშინოდა და გაშეშებული ვინექი. რეინომ დამაღვივინა თაფლით დამტკბარი ბრონეულის წვენი, რომელსაც ვაშლის ღვეზელიც მივატანე.

— სანამ შენი წვეთოვანი ჩამოიწურება, წავალ, ტყეში გავისერიწე. ორი საათისთვის ქართველებს დავხვდები ქვევით და ამოვიყვან, — მითხრა რეინომ, წასვლის წინ.

ტყე მისი სტიქია იყო, ყველა ხესა და ყვავილს, ცხოველსა და ჩიტს სცნობდა. კენკრისა და სოკოს კრეფა ხომ ყველა ფინელის საყვარელი საქმიანობაა.

მოხუცს მისმა რუსმა ექთანმა მოაკითხა. ჩემი გასაჭირი მყოფინდა და ყურადღება არ მიმიქცევია, შეიძლება შევეჩვიე კიდევ, თორემ ამჟამადაც უდავიდარაბოდ არ ჩაუვლია მის პროცედურებს.

სანამ ექთანი ოთახიდან გავიდოდა, დროებით წვეთოვანი გამოვრთე ქსელიდან და წამოვდექი. იგი მიხვდა, რომ ტუალეტში ვაპირებდი შესვლას, დამელოდა და კარი გამიღო. მის ენაზე მოვახსენე მადლი.

— თქვენც გმადლობთ ვარდისთვის! — იმანაც რუსულად მიპასუხა, — ამ ქალმა ისე ამირია ტვინი, გუშინ დამავიწყდა მადლობა მეთქვა.

მავთულაკრეფილ სადგართან ერთად, ტუალეტში შევედი. მე ასეთი სისუფთავე და წესრიგი საზოგადოებრივ დაწესებულებაში იშვიათად მინახავს. ავადმყოფებისთვის გათვალის-

წინეზული იყო ყველაფერი, კბილის ჯაგრისიდან დაწყებული, საწინებთი დამთავრებული.

ადგილზე რომ დავბრუნდი, ისევ ჩავრთე ქსელში წვეთოვანი და წამოვწყე. ლამის უძინარს, წამთვლიმა. თვალი რომ გავახილე და წვეთოვანს ავხედე, თითქმის ჩამონურულიყო. სანიშნე ზარმაც არ დააყოვნა. შემოვიდა ანელი, მომისხსნა ნემსი და გამანთავისუფლა წვეთოვანის ხლართებიდან. პირგამშრალმა წვენი დავლიე.

ტყიდან დაბრუნებულ რეინოს კავკასიელთა მთელი დღე-გაცია მოჰყვა. ქართველებს ინგუში და ოსი მეგობრებიც შეერთებოდნენ, ყაბარდოელი — ლიდა გზაში შეხვედროდათ. იგი ამ საავადმყოფოს სხვა განყოფილებაში მუშაობდა ექთნად.

სულო და გულო, რა არ მომიტანეს და დაახვავეს მაგიდაზე: ხაბიძგინი, ხაჭაპური, სულგუნჩახარშული ლომი, ქათმის ბულიონი, ქათამი ბაჭეში, მანონი, ბრონეული და კიდევ უამრავი რაღაც. რეინოს ტყეში მოცხარიც დაეკრიფა. აგვისტოში კენჭის სეზონია ფინეთის ტყეებში.

ოთახში სულ ორი სკამი მოიძვებოდა. არავინ არ ისურვა დაჯდომა. თავიდან ყველანი შეშინებული და ენაჩავარდნილები შემომყურებდნენ, ისეთი მოულოდნელობა იყო ჩემი ავადმყოფობა, თანდათანობით ამოიდგეს ენა.

— ახლა ვიცი, სადაც წევხარ და მერე შემოგივლი, — ლიდამ ხელი დამიქნია და მაშინათვე გაბრუნდა უკან, იმდენი ხალხი იყო ოთახში.

— აქ რუსულ ლაპარაკს ვერ იტანენ, — უცხვირპირო მეზობელზე მინიშნებით, წინასწარ გააფრთხილა მორუსულენი რეინომ, ამიტომ ინგუშ და ოს მეგობრებს ხმა არ ამოუღიათ.

— ჩვენთან რომ იყავით, არაფერი არ გეტყობოდათ, — წამოიწყა მარიკამ.

— გახდომა ისე მოგიხდათ, ვფიქრობდი, ალბათ დიეტა დაიცვა-მეთქი, — კვერი დაუკრა დალიმაც.

— მშვენიერ ფერზეც იყავით, — თქვა მაიამ.

— ვიღებებოდი, — გამეცინა.

— ნიკოლოზმა ჰაეროვანი კოცნა გამოგიგზავნა, — მითხრა მარიკას ქმარმა — გოგამ მათ წლინახევრის ბიჭზე, რომელიც დაუნანევერებელი ბგერების ენით მელაპარაკებოდა ხოლმე ტელეფონში.

— აკოცე, ჩემს მაგივრადაც და უთხარი დამირეკოს, — გამომაცოცხლა ამ ბავშვის ხსენებამ.

— თუ რამე დაგჭირდა, არ მოგერიდოს, დამირეკე — ამ ავადმყოფობისას შემომირიგდა ლია. უბრად არ ვყოფილვართ, მაგრამ არც თავს ვაკლავდით ერთმანეთს. ქართველებს, მოგეხსენებათ, ერთმანეთში კინკლაობა გვჩვევია. მხოლოდ გაჭირვება გვაახლოებს. მასთანაც ასევე მივცვივდით ყველანი, შვილები რომ მოუყვა ავარიამი.

— მთავარ ექიმს ველაპარაკე და მითხრა, არაფერია საშიშიო, — დამაიმედა კოტემი, თვითონაც ექიმად მუშაობდა საზღვრისპირა ქალაქ — ლაპენრანტაში და მანქანით ჩამოსულიყო, ჩემს სანახავად.

ულრმესი მადლობა მოვახსენე ყველას, ასე რომ შენუხდნენ ჩემი გულისთვის.

სტუმრები დიდხანს არ გაჩერებულან.

— მეც დიდი მადლობა, მთელი კვირა საჭმელზე ფიქრი არ დამჭირდება, — იხუმრა რეინომ და ქვევით ჩააცილა სტუმრები.

რომ მობრუნდა, ჩემი დასაკეცი მაგიდა გაეშალე, ვთხოვე ბაჭეში ჩანყობილი ქათმის ხორცი და სულგუნჩახარშული ლომი მოეცა. საკვებს თავისი მოტანილი წითელი ღვინოც დაუმატა. თითქოს მადა გამეხსნა, ძალიან მესიამოვნა საჭმელ-სასმელი. ბუნებრივია, ყველა ორგანიზმი გენეტიკურად მშობლიურ საკვებს ითხოვს. ქართველები პოლუსზეც ვინარჩუნებთ პირის გემოს.

— რა გიკვირს, — ვუთხარი რეინოს, — შენ არ იყავი, საქართველოში საცივი რომ მოიძულე და კარტოფილის საყიდლად გაიქეცი ბაზარში.

დასატოვებელი რაც იყო, ანელში შეგვანახინა ბუფეტის მაცივარში, დანარჩენი, მართლაც მთელი კვირის სამყოფი ხორაგი, რეინომ წაიღო სახლში.

სალამოს, ჩვეულებისამებრ, დამირეკა, რომ ეცნობებინა სასიამოვნო ამბავი:

— მერაბის მესიჯი მივიღე თბილისიდან. ჩემთან ერთად თენგო და ნიკოც შემფოთებულები არიან... რითი დაგეხმაროთ?.. ძველი და ახალი მეგობრების თანადგომამაც გამამხნევა.

— ავტობუსიდან რომ ჩამოვედი, ისეთი თავსხმა იყო, გასანური გავტხდი. კიდევ კარგი პროდუქტები გადაამირჩა.

— პროდუქტებს ჩივი?! შენი გაცივებულა გვაკლია ახლა! ჩაი დალიე, მაცვლის მურაბით და ჩაწევი. აღარ გკოცნი, მეში-ნია, არ გადაგდო რამე.

— მერე რა, ერთად უფრო მხიარულად ვიავადმყოფებთ, — მითხრა სიცილით.

ზაფხულობით ფინეთში დღეში რამდენჯერმე შეიძლება შეიცვალოს ამინდი. მე არც კი გამიგია, როდის განვიმდა. ჩვენს ფანჯარაში მზე ანათებდა. ჯერ კიდევ იდგა თეთრი ღამეები, რომლებიც ჩემნაირ შეუჩვეველს ხელს უშლიდა დაძინებაში.

დასახლისმა ბოთლით მიწერალური წყალი მომიტანა მაცივრიდან.

— ლამის განმავლობაში უნდა გამოსცალოთ! — ახლა ამან დამანამუსა, დავთარში დაღეული სითხის შესატყვისი ციფრი ჩანერა და გზა დაუთმო ჩემკენ მომავალ კიდევ ერთ თეთრხალათიანს. იგი ლაბორატორიიდან სისხლის ასაღებად მოსულიყო. ხმამალა ამოიკითხა ჩემი გვარ-სახელი, რომ შევეხმიანე, სკამი მოადგა სანოლი და ჩამოჯდა. ამჯერადაც ვენა დამეჩხვლიტა. დავითვალე, მონანკარე სისხლი ექვს სინჯარაში გადანაწილებულიყო. ჩემს შემდეგ, ლაბორანტმა მოხუცთან გადაინაცვლა.

— კირსტი... — გვარი ვერ გავარჩიე, მოხუცის გვარ-სახელის გამოცხადებისას. „კირსტი ალბათ დამახინჯებული კრისტია. სახელიც გაუკულმართებული ჰქონია“, გავიფიქრე. ფიქრებში წასულმა, ვერ გავიგე, როდის წავიდა ლაბორანტი.

როგორც წესი, პირალმა ვენეკარ ხოლმე და არასდროს მიმიქცევიდა ხელების მდებარეობისთვის ყურადღება. ახლა ვიგრძენი, გულზე მაქვს ხელები დაკრეფილი. ქვეცნობიერად შევმფოთდი, სასწრაფოდ ჩამოვიღე და ვუსწორე ხელები სხეულს.

ადრე ლექსებში შევხუმრებდევარ კიდევ სიკვდილს მსუბუქად, თამამ-თამამ. ჯანის სიმრთელეს არ ვუწიოდი და მეიო-ლებოდა თქმა, ადრე, თუ გვიან ყველანი სიკვდილის შვილები ვართ-მეთქი. „ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“, — რუსთაველსაც ვიმონებდი მეტი დამაჯერებლობისათვის. ახლა პირისპირ რომ აღმოვჩნდი სიკვდილის წინაშე, შემიცვალა დამოკიდებულება და სხვა აზრები დამიტრიალდა თავში. უამრავი საფიქრალი გამიჩნდა:

„რამე რომ მომივიდეს, ვის დარჩება ჩემი რამეები? ვინ მიხედავს ფილმებს, წიგნებს? ჩემი თავის გარდა, ვის მოუუკვდები კიდევ?“

სიკვდილზე მეტად მეშინოდა იმისა, რა მელოდა სიკვდილის შემდეგ. მინახავს, როგორ შეაგორეს კრემატორიუმის ლუმელში ჭრელკაბიანი მიცვალებული და ნამდვილად არ მიზიდავდა ასეთი ბედი. არც ჰელსინკის უკიდვრანო სასაფლაოში ჩაკარგვა მინდოდა მრავალნიშნა ნომრით. თბილისში მშობლებთან ადგილი არ იყო. გულზე ხომ არ დავანებოდი?! ძმა კი საბურთალოს მიუდგომელ ფერდობზე იყო დაკრძალული. მე ვერ ვახერხებდი ბოლომდე ასვლას, სხვებს ვაგზავნიდი. ჩემთვის ვინ გაიღებდა ამგვარ მონყალებას?!

უცებ, როგორც ხდება ხოლმე გამოსავლის ძიებისას, გენიალურმა აზრმა გამიელვა: მარტვილის რაიონი, სოფელი საელიაყო!

ერთხელ სინემას გადაღებებზე მარტვილში (ახლად დავფიქრდი იმაზე, რატომ ვიღებდი კახეთში მიმდინარე ამბებს ჩემი წინაპრების საუფლოში) მითხრა იქაური მხარეთმცოდნეო-

ბის მუზეუმის დირექტორმა, ცხონებულმა — გივი ელიაშვილმა, რომ ჩვენი გვარისთვის დასაბამი მიუცია დიდი ჭყონდიდელის მნიგნობარტუხუცესს — გიორგი ელიაშვილს. მას კათოლიკოსის ნაბობქვ მინაზე დაუარსებია სოფელი — საელიაგო და აქედან წამოსულა ჩვენი გვარი. აი, სად უნდა დავიმარხო! რომელიმე ელიაშვილი მამინც მამინც მინდვრის ყვავილებს საფლავზე.

ერთი უხერხულობა ახლდა ამ ამბავს. არ ვიცოდი, სად მიმჩინა ადგილი ჩემი ფინელი მეუღლისათვის. ჯანმრთელ ადამიანს ხომ ვერ ვკითხავდი, სად ერჩინა დამარხვა?!

ამ ფიქრებმა გამომაფხიზლა, ჩანთაში უბის ნიგნაკი და კალმისტარი მოვიძიე. გონებაში ვთხზავდი და ქალაქზე ვარჩევდი სტროფებს. დაუნდობლად, დაუნანებლად ვშლიდი, რაც არ მომწონდა. ადრე ასევე ვექცეოდი ფირებს.

„ხოფი“ — ქალაქ ხობის ძველი სახელია და ნიშნავს ნავს. ეტყობა, აქ ოდითგანვე ზღვისპირა დასახლება ყოფილა. მე ძველი სახელი ყოველთვის მირჩევნია ახალს, ამიტომ ვხმარობ „ხოფს“. აქედან გადასახლეს ჩემი წინაპრები ციმბირში.

ჩემთვის იმ წუთას მთავარი იყო ამომეთქვა, რაც მანუხებდა. მინდოდა, მიმეწინებინა ჩემიანებისთვის (მარტო სისხლით ნათესავებს არ ვგულისხმობდი), როგორ მოქცეოდნენ სულს გაყრილ ჩემს სხეულს, თუ ასეთი რამ მოხდებოდა. თითქოს ანდერძს ვტოვებდი.

ბოლოს თეთრად გადავწერე უბის ნიგნაკში შემდეგი სტროფები:

**ხოფიდან მომთხარეს ძირ-ფესვიან,
თბილისში მტვრად გაქრობას უკვალოდ
გავერიდე, აქ ტყვიას არ ესვრიან,
ცოცხალ მკვდრებს გულს ისე უკლავენ.**

**სული მამინც უკანვე მომინევს
სულში უმზუობაა, მარტვიით...
სამარხად საელიაგოს მინას
ღმერთს შევთხოვ სიახლოვეს მარტვილის...**

ლექსის დაბოლოებამ გამაწვალა. კარგა ხანს ვუკირკიტე. ამეკვირებოდა სიტყვათშეხამება „კერის კვამლი და ბუხრის ბოლი“. მისით მომინდა დამთავრება. კიდევ მსურდა სადმე ჩამესვა მეგრული სიტყვა „ფარფალი“, ანუ პეპელა. მიყვარს დილექტებიდან, თუ ქართველური ენებიდან სიტყვების გამოყენება.

ბოლოს ისევე, როგორც დასაწყისში, ბევრი ვეძებე არაპირდაპირი, მიახლოებული რითმები. ვიპოვე თუ არა, მესამე სტროფიც აენყო:

**რომ აჩრდილებთან ღირს წინაპრების
ვიფარფალიო, ვიპორიალო,
სოფლად ამბობდნენ, ცად რომ ფარფატებს,
კერის კვამლი, ბუხრის ბოლიაო.**

„რა ელექსებოდაო“, იფიქრებს ალბათ მკითხველი. ეტყობა, კრიტიკულ ვითარებაში მძაფრდება ადამიანში კოდირებული მთავარი და ძირეული. მეც ასეთი ფორმით მიყვილა სისხლმა და მიხმო მინამ, სადაც ჩემი ფესვებია გადგმული.

3.

საავადმყოფოში ტყუპის ცალი დღეები მიეწყო ერთმანეთს: სიცხე, წნევა, ქიმია, სისხლის ანალიზი, მომსახურე პერსონალი, ჩემი ქმარი და სხვა მნახველები.

ამ მკაცრად დადგენილ ერთფეროვნებაში ერთი — ჩემი დაბადების დღე მამინც იყო გამოჩენილი. თუ გახსოვთ, ჩემი ქმრის აზრით, იგი ბარსელონაში უნდა გადაგვეხადა, მაგრამ რადგან ამ ოცნებას განხორციელება არ ენერა, სადაც აღმოვჩნდით, იქ მამინც ხომ უნდა აღგვენიშნა. რეინომ, ანელის შუამდგომლობით, ნებართვა ითხოვა უფროსებისაგან. საქეი-

ფოდ თვითონ შემოგვთავაზეს შემინული საკონფერენციო დარბაზი, მაგიდებზე დაწყობილი ნაირნაირი ხილით. რეინომ დაუმატა შამპანური, ტკბილეული, წვენები.

ოთხ საათზე, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დარბაზში შეიკრიბა მთელი პემატოლოგიური განყოფილება. თავიდან ყველამ ერთხმად მიმღერა ტრადიციული „შეპი ბიორს დეი.“ მერე მომართვეს სხვადასხვა სუვენირები და საჩუქრები. ექიმებმა თავისი მოსვლით დამდეს პატივი. ანელის დედამთილი თურმე ჩემნაირი ავადმყოფებისთვის სხვადასხვა ფერის ქუდეებს ქსოვდა უფასოდ. ერთი ვარდისფერი ქუდი მე შემხვდა იმ დღეს. რუსმა ექთანმა ქოთნით ია დამიდგა წინ. ჩემი საკვების არჩევანში ჩახედულმა, დიასახლისმა ასე საყვარელი ვაშლის ღვეზელი მომართვა. რეინომ, ბუკინისტებთან დიდი ხნის წინ შეკვეთილი, ბარსელონას ფერადი ალბომით გამახარა.

ეს სიმბოლური ქეიფი დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩვენც დავბრუნდით პალატაში. მე მაშინვე ბარსელონას ხედების თვალთვრებას შევეუდექი. ეს მერამდენად გავისიერნე რამბლას ბულვარზე, გადმოვხედე ღამის ქალაქს ტიბიდაბოს მთიდან, გავიჩხიბე გაუდის გეინით.

ამასობაში საღამოს პროცედურების დროც დადგა. ალბომი რეინოს ჩაუფდე ზურგჩანთაში და დალილი-დაქანცული, თან ნასვამი ადრე გაუშვი შინ. პროცედურები რომ ჩათავდა, ისევე მარტო დავრჩი ჩემს თავთან.

გამახსენდა ერთი დაბადების დღე, რომელიც არ გადამიხდია, მხოლოდ დამესიზმრა და მამინც ყველაზე ცხოვლად დაანჩნდა სულს.

ეს იყო სტუდენტობისას, სვანეთში. მე და ჩემი თანაკურსელი — ცისანა პრაქტიკაზე ვიყავით მესტიაში. ერთ დღეს შემთხვევით გავიგე, რომ ჩემს უცნობ რჩეულს — გუბაზს, მეგობართან ერთად, წინალამე გაუთევია იმ კარავში, სადაც მე და ცისანა ვიმყოფებოდით სტუმრად. მე მასზე ფიქრში ვათენ-ვალამებდი, იმან კი არც იცოდა ჩემი არსებობა.

ვინ იცის, რამდენი მიტრიალია ოცდაათორმეტი ნომერი ავტობუსით დასშულ წრეში, საბურთალოსა და ვაკეს (ჩემსა და მის საცხოვრებელს) შორის, რომ იქნებ როგორმე დავმგზავრებოდი და თვალში მოვხვედროდი ამ უტყუი მზერის, ჭლარაშერეულ მე-სამეკურსელ ფიზიკოსს. სამწუხაროდ არც სადმე შევეფეთე შემთხვევით, არც სიზმარში მოველანდე. მიუხედავად ყოველივე ამისა, იმდენად ვიყავი დარწმუნებული ჩემი ოცნების აღსრულებაში, რომ გავცინებათ და, მომავალი შვილების სახელებიც, მისი გვარის შესატყვისად, მქონდა შერჩეული: არჩილი და ელისო.

ჩვენი უნივერსიტეტული ნაცნობები: ვახტანგი და ბექა გუბაზის ჯგუფელები გამოდგნენ პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტიდან. ესენი მოგზაურობაზე გადასულიყვნენ, ის კი ძველებურად მთამსვლელობად (სანამ ფეხი არ მოიტეხა). როგორც გვითხრეს, მეგობარი მთამსვლელები დილაუთენია ფეხით ნასულან სოფელ ნაკრაში, უშპის ძირას, სადაც ძირითადი შემადგენლობა იყო დაბანაკებული. დავიჩემე, ხვალ ნაკრაში უნდა წავიდე-მეთქი. დანარჩენებმაც ამიბეს მხარი, თუმცა მაშინ არავინ იცოდა ნამდვილი მიზეზი ჩემი ამ მოულოდნელი ახირებისა. ცისანასთვისაც არ გადამიშლია გული, რადგან იგი ახლო მეგობარი არ იყო. ისიც კი არ იცოდა, რომ ხვალ თვრამეტი წლისა ვხდებოდი. თუ ბედი ამ დღეს მამინც მალირსებდა ჩემი რჩეულის გაცნობის ბედნიერებას, მხოლოდ მაშინ ვაპირებდი, ეს ღირსშესანიშნავი თარიღი გამემხილა. დავიშალენით იმ გადაწყვეტილებით, რომ მეორე დილას ადრე გავდგომოდით გზას.

ღამე დამესიზმრა ჩემი მომავალი დაბადების დღე უშპის ძირას გაშლილ კარავში მკაცრი გარეგნობის, გულთბილ მთამსვლელებთან ერთად. საძილე ტომრებზე ფეხმორთხმულნი, ვუსხედით მუყაოს ყუთებზე გაშლილ სუფრას, რომელსაც საწითელი ანათებდა.

წვერმომვებულმა, ცხვირგადატყაულმა სვანმა თამადამ, ხელისგულზე ბებერებით, ჩემი სადღეგრძელო წარმოთქვა, დალია და დანარჩენებთან გადავიდა ალავერდს. გუბაზმა

სადღეგრძელოს ნაცვლად, გამომიწოდა ვერცხლისფერ კონსერვის ქილაში ჩარგული, მშვენიერი ყვავილი და მითხრა:

— ეს თქვენ კეთილშობილი თეთრი ედელვაისი — ერთგული სიყვარულის სიმბოლო.

რომ გამომეღვიძა, ვერაფრით ვერ გავიხსენე, გამოვართვი თუ არა ეს ყვავილი და საერთოდ მერე რა მოხდა.

ხომ ამბობენ, სიზმარში ნანახ-განცდილი ცხადად რა მოსახმარიაო, მე კი გამომადგა. მოგვიანებით, მოსკოვის კინოინსტიტუტში სწავლისას, როცა დაგვაგვალეს დაბადების დღეზე ეტიუდის შეთხზვა, აღვწერე ის ჩემი დასიზმრებული დაბადების დღე კარავში. ჩემი ეტიუდი ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნიეს სტუდენტებმაც და ოსტატებმაც. კონსერვის ქილა, კეთილშობილი თეთრი ედელვაისით, ყველაზე ორიგინალურ დეტალად დასახელდა. იმაშიც არავის შეუტანია ეჭვი, ხარობს თუ არა ეს ალპური ყვავილი კავკასიის მთებში.

დილას ბიჭებმა გამოგვიარეს სატვირთო მანქანით. სატყეო მეურნეობაში ექირავათ, რომ ჩვენთვის გზა გაეადვილებინათ. გოგოებს დიასახლისის გამომცხვარი ჭვინტარი მოგვქონდა, ბიჭებს — ბედზე გადარჩენილი, თუ საგანგებოდ შემონახული, ქინძმარაული. მძლოლმა გოგოები რიგრიგობით აგვახტუნა ძარაზე. ბოლომდე ასე ოღრო-ჩოღროებზე ხტუნვა-ხტუნვით ვიმგზავრეთ. ბიჭები უხმოდ იგინებოდნენ, ცისანას გული ერეოდა, მე კი, ოცნებით ფრთაშესხმული და ამჩატებული, სულ არ შევწუხებულვარ.

ნაკრაში რომ ჩავედით, მთამსვლელთა კარგები აშლილი დაგვხვდა. მწყემსმა, რომელიც იმ ადგილას ძროხებს აძოვებდა, ვკითხრა, აიკრეს გუდა-ნაბადი და დილაუთენია უშბისკენ წავიდნენო. ეს მერამდენედ ჩამიქრა იმედის ნაპერწკალი. დაბადების დღის ხალისიც დამეკარგა, ალბათ არც გავამხელდი, ვახოს რომ არ გაემჟღავნებინა. ირგვლივ არავითარი საჩრდილობელი არ იყო, მანქანის ჩრდილის გარდა. მძლოლი და მწყემსიც მივიპატიჟეთ და ზეზეურად, თითო ჭიქა ქინძმარაულით და რამდენიმე ლუკმა ჭვინტარით ავლნიშნეთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. თურმე ვახოს ისიც სცოდნია, რომ ვაშლი მიყვარს და დიდი, წითელი ვაშლი მომართვა. ეტყობა, თბილისიდან წამოიღო, თორემ მესტიაში ამხელა და ამფერი ვაშლი ბაზარშიც არ მინახავს. ვაშლი მისივე ჯიბის დანით დავჭერი და ჩამოვუორიგე ყველას. გზაში განვიმდა. ბიჭებმა ქურთუქები მოგვახურეს: ვახომ — მე, ბექამ კი — ცისანას. მან შეიფერა მზრუნველობა, მე კი ვიუარე, მაგრამ არ გასჭრა უარმა. არ მსიამოვნებდა ჩემი რჩეულის სხვა ვინმეთი ჩანაცვლება. სიყვარულის კოშკში გამაგრებული, შეძლებისდაგვარად, ვიგერიებდი უცხოთა აშკარა, თუ შენიღბულ შემოტყვევებს.

თბილისში, საერთო ნაცნობის ქორწილში მაინც გავიცანი გუბაზი. ვერ ვიტყვი, არ შევუმჩნევია-მეთქი, მაგრამ მისი ყურადღება გაიყო ჩემსა და ერთ ძალიან მაღალ გოგოს შორის, რომელსაც უკანასკნელ მოდაზე ეცვა (ნათესავები ჰყოლია საფრანგეთში). მე კი მაღალი ქუსლებით ვიმალეებდი თავს და ვერც ძვირფასი ჩაცმულობით დავიკვივნიდი. ერთადერთი, რითაც გამოვიჩნეოდი თანატოლებისაგან (ჩათვლის წიგნაკში ჩამწკრივებულ ფრიადებს თუ არ ჩავთვლით), უცხო, არაქართული გარეგნობა იყო. თუ ვინმეს მოვწონდი, სწორედ ამის გამო. ვარცხნილობის მიხედვით, ხან იტალიელ მსახიობს მამსგავსებდნენ, ხანაც — ფრანგ მომღერალს. მიუხედავად იმისა, ჩემს თავზე დიდი წარმოდგენისა არასოდეს ვყოფილვარ, რატომღაც მეგონა, პირისპირ როცა შევხვდებოდით, ჩემი რჩეული მიხვდებოდა, რომ მე ვარ ის ერთადერთი, ცხოვრების თანამგზავრად რომ გამოადგება და ვერავის დაინახავდა, ჩემ გარდა, ისევე, როგორც ჩემთვის არ არსებობდა სხვა ვინმე, მისი სადარი, არც გარეგნობით, არც გონებით. სასწაული არ მოხდა. ის ბიჭი ხან მე მეცეკვებოდა, ხან იმ გოგოს. მთელი საღამო ასე დარბოდა ჩემსა და იმას შორის.

ახალდაქორწინებულები სადგურზე ვავაცილებთ. მოსკოვში მიემგზავრებოდნენ საერთაშორისო ვაგონით. ახლობლები, მათ შორის ეკაც (მაღალ გოგოს ეკა ერქვა), ვაგონში ავიდნენ. ჩვენ ბაქანზე დავრჩით. გაზაფხულის მშვიდი საღამო იყო. გუ-

ბაზმა მხარზე გადამხვია ხელი. ასეთი ამაყი და ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ მანამდე. გარინდული ველოდი მატარებლის დაძვრას. ვილაცამ უკვე დაგვანყვილა და შეგვეხუმრა კიდევ:

— თქვენც ხომ არ დაემგზავრებოდით?

ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეცინა. მოქიშვე ეკა არ მთრგუნავდა და გავლადი. გუბაზი ჩემკენ გადმოიხარა და ჩუმიად მითხრა:

— ჯერ ეკა მივაცილოთ და მერე შენ მიგიყვან.

რა ცოტა ჰყოფნის შეყვარებულს სანყენად! როცა ამდენი ხალხი ირეოდა ირგვლივ, იმდენად არ იყო აუცილებელი ეკას გაცილებაზეც მას ეზრუნა, რომ ღიმილი შემაცივდა სახეზე. ვერც კი ვიაზრე, რომ მე უფრო მომგებიან მდგომარეობაში ვიყავი, რადგან ბოლოს მე უნდა მივეცილებინე.

სადგურის დიქტორმა მატარებლის გასვლა გვამცნო და გამცილებლებს მოუწოდა ვაგონი დაგვეტოვებინა. მატარებლიდან ჩამოსული ეკა, ფრანგული ლაბადის შარიშურით, კვლავ ჩვენ შემოგვიერთდა. საბოლოოდ გამიფუჭდა ხასიათი. დავეუბნეთ ხელი ბედნიერ წყვილს და ტაქსის გაჩერებისკენ მიმავალ ხალხს შევუერთდით.

— საბურთალოზე ვინ მოდის? — დაიძახა ვილაცამ იმ რიანიში და ტაქსის კარი გამოაღო. არ ვიცი, უცებ რამ დამარტყა.

— მე! — ვიყვირე და ტაქსისკენ გავიქეცი. უკანა სავარძელზე დავჯექი, გამოლებულ ფანჯარასთან და ველოდი, სანამ სხვებზე ჩასხდებოდნენ. მოულოდნელად გუბაზმა შემოპყრო თავი მანქანაში და მკითხა:

— თქვენ ყველას აცილებინებთ თავს, ვინც შემოგთავაზებთ?

არაფერი მითქვამს, გუნებაში კი გავიფიქრე „თქვენ ყველას აცილებთ, ვინც სუფრაზე შეგხვდებათ?“.

დღემდე ვერ მიპატივია ჩემი თავისთვის ის პატივმოყვარეობა, მაშინ რომ გამოვიჩინე. რა ვიცოდი, რომ აღარასოდეს მენერა მასთან შეხვედრა. საერთოდ დამეკარგა თვალსანიერიდან.

ერთხელ უნივერსიტეტის წინ ავტობუსის გაჩერებაზე შემხვდნენ ის ჩვენი მოგზაური საერთო ნაცნობები. ვითომ სხვათაშორის, ვიკითხე:

— სად დაიკარგა გუბაზი, რაღაც ამ ბოლო დროს არ ჩანს?

ჩემი თავყვანისმცემელი — ვახტანგი დუმდა, ბექამ დანერვილებით ჩამიკაკლა გულის გამგმირავი ამბავი:

— გუბაზი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით გაუგზავნიან ხარკოვში. იქ მატარებელში გაუცნია არ ვიცი რუსი, თუ უკრაინელი, გენერლის შვილი, შეურთავს ცოლად და ახლა თბილისში არიან.

რომ შემატყო, ისე მეცვალა ნირი, ლამისაა ავტირდე, თითქოს გული გამიკეთა:

— კარგი გოგოა, მაგრამ შენ ვერ გჯობია.

„თუ ვერ მჯობია, რატომ ჩემზე არ გაგიჟდა ასე?“ გავიფიქრე.

ბედად დავინახე ჩემი ავტობუსი, საქმეები მოვიმიზეზე და თითქმის დაძრულს შევახტი. მთელი გზა სიმწრით ვიკვნიტდი ტუჩებს, ტირილი რომ შემეკავებინა. შინ რომ მივედი, კიდევ კარგი, მარტო ვიყავი, ბალიშში ჩავრგე თავი და გამოვიტირე ჩემი პირველი სიყვარული.

თვითონაც არ ვიცი, რად მჯეროდა, რომ ჩემს იქით გზა არ ჰქონდა. ჩემი სასიყვარულო გამოცდილება მხატვრული ლიტერატურით იყო ნასაზრდოები: კლასიკიდან: ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, რომეოსა და ჯულიეტას, არსაკიძისა და შორენას თავგანწირული სიყვარულით... ჩემს დროს მოდური ჰემინგუეის, ფიცჯერალდისა და რემარკის გმირთა სასიყვარულო თავგადასავლებით... მაშინ ახლად აღმოჩენილი ცვეტაევას სატრფიალო ლირიკით («Я тебя отбою...»). ვერ ვავითვალისწინე, რომ თეორემებსა და ციფრებში ჩაფლული ფიზიკოსის მსოფლმეგრძნება არ დაემთხვეოდა ჩემსას. ამად ერგო ერთი ნახვით ვილაც გადაამთიელს ის, რასაც მე ამოდ შევალე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. განბილებულმა

ბევრი ვინჩიალე აქეთ-იქით. მაინტერესებდა იმ ქალის დანახვა, რომელმაც ასე მოაჯადოვა.

გუბაზის სახლის მოპირდაპირე მხარეს სკოლის შენობა იდგა. ერთხელ გაკვეთილების შემდეგ, როცა საკლასო ოთახები დატარიელდა, ჩემი მესაიდუმლე და — ლამარა დარაჯად დავაყენე დერეფანში, მე კი მესამე სართულის ფანჯრიდან ვუთვალთვალე მისი ბინის აივანს. აივანზე გამავალი კარი ღია იყო და ილანდებოდა სამზარეულოს კუთხე, მაცივრითა და პატარა მაგიდით. თვითონ ცოლი არ გამოჩენილა, მხოლოდ მისი მაქმანებიანი, ფერადი საცვლები ფრიალებდა აივანზე გაბმულ თოკზე. ცოტა ხნის შემდეგ დავინახე თეთრ-თმიანმა მოხუცმა ქალმა, ეტყობა, დედა იყო, როგორ გამოიტანა მაცივრიდან საქმელი და დააღაგა მაგიდაზე. მალე თვითონაც გამოჩნდა და მარტო დაჯდა სადილად. გული დამწყდა. მე რომ ვყოფილიყავი მისი ცოლის ადგილას, დედასაც არ დავანებებდი შვილის სამსახურს, თანამეინახებოდასაც აუცილებლად გაუწევდი. ცოლი სად არის, რატომ არ აწონებს საყვარელ მეუღლეს თავისი დიასახლისობით თავს? იმედის ნაპერწკალი აკიაფდა სადღაც. აზრადაც არ მომსვლია, რომ იქნებ საერთოდ არ იყო ის ქალი იმ დროს სახლში.

ხავს მოვეჭიდე და უკულმა დატრიალებული ბედის შემობრუნება ვცადე. იმხანად ახლადამოჩენილი, მარინა ცვეტაევას შემოქმედებით ვიყავი გატაცებული და მისგან ხოტბა-შესხმულმა ერთმა პოეტურმა მაგალითმა წამაქეზა ამ საგმირო საქმისთვის — წერილი მიმენერა ჩემი დაკარგული რჩეულისათვის. რამდენადაც შემეძლო, მხატვრულად აღვწერე ჩემი სასიყვარულო თავგადასავალი, რომლის მთავარი გმირიც იგი იყო. გავიგე, როდის, სად ჰქონდა ლექცია, უნივერსიტეტის დერეფანში დავხვდი და უსიტყვოდ გადავეცი წერილიანი კონვერტი, ჩემი მისამართით ზედ. წერილს ცალკე ბარათიც დავურთე, სადაც ეწერა, რომ თუ ამ წერილს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა მისთვის, გამოეგზავნა, ამავე კონვერტით. მალე წერილი უკანვე დამიბრუნდა. ისიც კი ვერ გავიგე, საერთოდ წაიკითხა, თუ არა.

ამ წერილით მეორე საბედისწერო შეცდომა დავუშვი. უნივერსიტეტის პარალელურად ვემზადებოდი მოსკოვის კინოინსტიტუტში წერილით გამოცდისათვის და რუსულად წერაში ვინაფავდი ხელს. ჩემად საუბედუროდ, მასაც რუსულად მივწერე წერილი. ეს მიზეზი ზედაპირზე დევს, უფრო ღრმად თუ ჩავეძიებთ, ადამიანებს არამომბოლიურ ენაზე უფრო გვიადვილდება საჭოჭმანო რამეების თქმა და წერა. ვერ გავითვალისწინე მთავარი, იმის შიშით, ცოლს არ წაეკითხა, სასწრაფოდ რომ მოიშორებდა ამ წერილს თავიდან. მისდა სასახელოდ, ეს ჩემი მყისიერი აფეთქება არასდროს დამხვედრია წინ ცუდად.

ამ რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ კარგა დროა ჩემს ავადმყოფობამდე, რომ ამდენი ხნის უნახავი, ის ჩემი პირველი სიყვარული შემთხვევით შემეფეთა ჰელსინკში.

სამზარეულოში თბილისიდან ჩამოტანილი კედლის კალენდრიდან ფურცელი მოვხიე და საქალაქდემი უნდა გადამეგდო, რომ მეორე გვერდზე ვილაღე გარდაცვლილის გახსენებამ მიიქცია ყურადღება. სურათს დავხედე, არ მეცნო: ჩამქრალი თვალები, ხვეული, თეთრი თმა, საცოდავი გამოხედვა. მხოლოდ სახელითა და გვარით მივხვდი, რომ სისხლის გათეთრებით გარდაცვლილი, ეს ცნობილი ფიზიკოსი ჩემი რჩეული იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ნაქიმიარს ხვეული თმები ამოსდის და გამიკვირდა, ჯავარივით თმები რამ დაუხუჭუჭა ასე-მეთქი. ძალიან დამენანა, ჯერ ახალგაზრდა იყო სასიკვდილოდ. შეიძლება ვცოდავდე, მაგრამ ასე მგონია, მე რომ ვყოფილიყავი მის გვერდით, არ მოკვდებოდა. რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უკვდავების წამალს გავაჩენდი ცხრა მთას იქიდან და გადავარჩენდი. მინდა შემოგთავაზოთ ამ სიყვარულით შთაგონებული ლექსებიდან ერთ-ერთი ბოლოდროინდელი, რომელიც უნებურად გამახსენდა:

**რაც შენ არ დადიხარ ამ ქალაქში,
მეც აღარ მიხარია ჩამოსვლა,
მოცელილა ოცნება ხალასი,
დათალხულა ფიქრების სამოსი.**

**გამქრალა ხალისი ამ იმედის —
ქუჩაში რომ თვალს მოგკრავ შემთხვევით.
ცუდი დაგდგომია ამინდები,
ვაი, რომ გაძარცულხარ შენ ხე ვით!**

**ლანდებს სიზმარშიაც აღარ დავდე,
მაგრამ დავინყებთაც ვერ წავშლი,
განა გაცილებს დაგამადლე,
მირჩენია შეხვედრა ზეცაში.**

ახლა, როცა მეც თითქმის იმავე ავადმყოფობით ვწევარ საავადმყოფოში, სადღაც, გულის რომელიღაც კუნჭულში გამიხსარდა, „თუ ბედი არა, დაავადება მაინც გვექონია ორივეს ერთი. ვინ იცის, სხვანაირად რომ დატრიალებულიყო ბედის ჩარხი, იქნებ არც თვითონ ჩავვარდნილიყავი ასეთ დღეში“. ეს რომ გავიფიქრე, ათას განსაცდელს ბენჯზე გადარჩენილი, დედამთილის სიტყვება ჩამეხსმა, ჩემს ცნობისმოყვარე კითხვებზე, ესა თუ ის, რატომ მოხდა ასე, პასუხად ნათქვამი: „ასე რომ არ მომხდარიყო, შენ ახლა ჩვენი არ იქნებოდი“. არსთა გამომიგემ უკეთ იცის, რა და როგორ უნდა მოხდეს.

მკითხველთან მეჩოთიერებოდა გულის ცხრაკლიტულში ჩაგმანული ამ გრძნობების გამჟღავნება, მაგრამ ისევ რუსთაველმა გამაბედვინა: „მაგრა მეტი უარეა, არა თქმა და ჭირთა მალვა“.

საბედნიეროდ, ჩემს ქმართან არ მჭირდება კუკუმლობანას თამაში. ჩვენ ერთმანეთის წარსულზე არ ვეჭვანობთ. შეხვედრითაც ბედნიერები ვართ, რადგან გადავარჩინეთ ერთმანეთი. თანაც ტომით სხვადასხვანი, ორივენი პოეტური მოდგმისანი აღმოვჩნდით. მღელვარე მოგონებებითა და განცდებით აფორიაქებული გონება სადღაც გამთენიისას ძლივს გათიშა ძილმა.

4.

ღამლამობით გამოუძინებელს, დილით მეძინებოდა ხოლმე და ხან ანწელი მალვითებდა, აბების მისაღებად, ხან დიასახლისი — სასაუზმოდ. ამ დილით კი რაღაც ალიაქოთის ხმებმა დამიფრთხო ძილი. თვალი გავახილე და რას ვხედავ, ჩემი მეზობელი — კირსტი, უკვე დაბანილ-დავარცხნილი და ჩაცმულ-დახურული, თავისი ფისოთი ხელში, ზის ეტლში, რომელსაც მალაჩი ზანგი ოთახიდან მიაგორებს. უკან აღარ მოუყვანიათ. ალბათ დააბრუნეს თავის მუდმივ სამყოფელში — ხანდაზმულთა სახლში. თვალის დახამხამებაში მოცილდა იქაურობას ყველაფერი მისი ნახმარი: თეთრეული, პირსახოცები, ღამის პერანგი, ფაჩუჩები. ამის შემდეგ დამლაგებელმა პალატა გამოგავა. ყველგან, სადაც ფეხი დავადგი, ჩემი თმები ეყარა. აქანდაზი გაივსო ჩემი თმის გორგლებით. მისთვის უცხო არ იყო ეს მოვლენა, მაგრამ მაინც დაენანა სხვათაგან გამორჩეული ჩემი მსხვილი, სწორი თმები და სულ თავს აქნევდა აი აი-ს ძახილით. დამლაგებელი რომ წავიდა, მომვლელმა შემოიტანა სუფთა თეთრეული და მეზობლის საწოლი გაანყო. კონვეიერი ახალ შევსებას ელოდა. ჩქარა ისიც გამოჩნდა. ოთახში თავისი ფეხით შემოვიდა დაახლოებით ჩემი ხნის ქალი (რომ დავაზუსტეთ, როგორც ყოველთვის, ისიც ჩემზე უმცროსი გამოდგა), გულლიად მომესალმა და მისნი-მოსნი ჩვენ შორის გამოყოფა ფარდებით, არ შევინანაღმდეგებოდა. ფანჯარა რომ გამოიღო და ოთახი გაანთავა, პირიქით, მადლობა ვუთხარი კიდევ. როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდა თავს. ეტყობა, პირველად არ იწვა ამ საავადმყოფოში. სად რა იყო ყველაფერი იცოდა, ყველას სცნობდა და ესალმებოდა. ავადმყოფისა არაფერი ეტყობოდა, გარდა, ბიჭვიით მოკლე თმებისა, რომელიც თავსაფრით ჰქონდა წაკრული. რომ წამოწვა და ფეხები გამართა, დაინტერესდა ჩემი დაავადებით. არ დამიმალავს, ვუთხარი. მერე მეც დავარღვიე აქაური ტაბუ და ვკითხე, მას რა ანუხებდა. უცებ ფეხის თითები აამოძრავა.

— აბა, თუ მიხვდებით, რომელ ფეხზე, რა მჭირს? ვერ მიხვდები. ფეხები ჩვეულებრივად გამოიყურებოდა.

— პროთეზი მაქვს მარჯვენა ფეხზე.

— კი მაგრამ, თითებს რომ ამოძრავებთ?

— განა ძველებური პროთეზია? მუხლს ზემოთ დაავადებული ძვალი ამოჭრილია და მის ადგილას ჩადგმულია ტიტანის მეთალი. სხვა ყველაფერი: ნერვები, სისხლძარღვები, კუნთები კანთან, შენარჩუნებული მაქვს.

— სასწაულია პირდაპირ!

— ცეკვა მიყვარს ძალიან და ახლა ვვარჯიშობ, რომ ძველებური ფორმა აღვიდგინო.

— მთავარია, თავისუფლად დადიხართ. რალად გინდათ ცეკვა?

გაუკვირდა შეკითხვა.

— ქმარი სამი წელია გარდამეცვალა და ცეკვით ვაპირებდი, ვინმე ჩემნაირი ბებრის შებმას სტოკჰოლმში, ან ტალინში, გემით მოგზაურობისას (გემზე ცეკვებია ხოლმე).

ისეთი ყოჩალი იყო, ყველაფერს მოახერხებდა. ამასობაში მინერალების თხევადი ტოპრაკებით დატვირთულმა, ანწელიმ მომაკითხა.

ჩემი მეზობლისთვის ქიმია განვლილი ეტაპი იყო. ახლა ფიზიოთერაპიას უტარებდნენ და დაანვინეს იმიტომ, რომ პროვინციული ქალაქიდან იყო, სადაც მსგავსი დაწესებულება არ არსებობდა.

ჩქარა რეინოც მოვიდა, გავაცანი ახალი მეზობელი. რეინოს ისე გაუხარდა კირსტის მოშორება, რომ მაშინვე შემოგვთავაზა, საზეიმოდ აღგვენიშნა ეს ამბავი. ყველაფერი ერთ, ჯანმრთელობის სადღეგრძელოში გაერთიანდა, რომელიც ჩვენი მთავარი სადღეგრძელო გახდა ამ ბოლო დროს. მეზობელიც სასმელის მოყვარული აღმოჩნდა, ბოლომდე გამონრუბა მთელი ჭიქა ასკანელის საფერავი, შავი ქლიავის ჩირიც მიაყოლა და წავიდა თავის ფიზიოთერაპიულ ვარჯიშებზე.

რეინოს მობილურმა დაინკრიალა. შეტყობინება ვოვა პოსტან იყო, გახსოვთ, თავიგული რომ მომართვა საავადმყოფოს შემოსასვლელში. იგი სთხოვდა რეინოს, როგორც აქაური პოეტური გაერთიანების მასწავლებელსა და ოსტატს, გადაეხედა მისი პოემისათვის, რომელიც სანკტ-პეტერბურგში უნდა წაეკითხა, შემოქმედებით სადამოზე. შეტყობინებას ლათინური შრიფტით აკრეფილი პოემა ერთვოდა რუსულ ენაზე.

— ჩემი ლექსებისთვის ვერ მომიცლია და ამხელა პოემის წამკითხველი ვარ ახლა მე?! ისიც ლათინური შრიფტით, თან მობილურზე?! — ნერვები მოეშალა რეინოს. არ ეხერხება ისე დააღწიოს თავი ამგვარ სიტუაციას, არც მწვადი დაწვას, არც შამფური.

— უთხარი, ცოლს ვადგავარ თავზე და არ შემიძლია-თქო, — ვურჩიე.

— ამიტომაც გამომიგზავნა მობილურზე.

— რამე ზოგადი სიტყვები მოიფიქრე. აბა, შენ რა გეგონა, ვარდები მუქთად ყრია ქუჩაში? იცი, რა ძვირია?!

ავტობუსით გრძელი გზა უნდა გაევილო სახლამდე, შინაც უამრავი საქმე ელოდა, ყველაზე მთავარი — ახალი კრებულის ხელნაწერი, რომელზეც ისედაც მუშაობდა ქვეცნობიერად, დღედაღამე. ამიტომაც დიდხანს არ დავაყოვნე, უქმად ჯდომით.

ამ სალამოსაც გადმომეყვანინალამის მოგონებათა კვლი. გონება ნათელი შემრჩა და ამაღ მასხოვს ყოველი ნერვულმანი. პირველივე სიყვარულში იმედგაცრუებულს, მთლად წყალნალეული რომ არ მგონებოდა თავი, ხავსივით, მოვეჭიდე ერთ ამბავს, რომელიც თავის დროზე ყურადღების ღირსადაც არ ჩამითვლია.

ჩემი ერთი ლექტორი, ახალგაზრდა შემოქმედთა რისხვა, ენაკვიმატი კრიტიკოსი, ცოლ-შვილიანი კაცი (ესლა მაკლდა!) ისე იყო ჩემზე შეყვარებული, რომ ლანდევით თან დამდევდა ყველგან. არ ერიდებოდა არავის და არაფერს. ანცი ბიჭივით იქცეოდა ასაკში შესული კაცი. ხანდახან სახლშიც მაკითხავდა, ვითომ რალად წიგნის სათხოვნელად. მეც არ დაგიდევდით მის უფროსობას, თუ პატივსაცემობას, თანატოლივით ვეჩხუბებოდი:

— თავი დამანებე!.. რას გადამეკიდე?..

ის კი ეშმაკურად თვალბმონკურული, ყველაფერს ითმენდა და ღიმილით მპასუხობდა:

— ხომ არაფერს გიშავებ, შეხედვასაც მიშლი?

შესვენებაზე უნივერსიტეტის დერეფანში გამოსვლისა მესწინოდა. დამინახავდა თუ არა ფანჯარასთან მდგარს, ეგრევე გაჩნდებოდა ჩემ გვერდით და მომჩერებოდა, თან ცხვირს აცემინებდა გაუთავებლად.

— ასე ვიცი, როცა ვინმე მომწონს.

ამგვარი ალერგიული სიყვარული გაგიგიათ?!

ზამთარში ამ კაცს მოსკოვში უწევდა მეზუთეკურსელების წაყვანა პრაქტიკაზე. წასვლის წინ უნივერსიტეტის ეზოში დამიდარაჯდა, რომ გავეფრთხილებინე:

— წერილებს გამოგიგზავნი მოსკოვიდან და მთავარ ფოსტაში მიაკითხე ხოლმე.

— ვერ შეგპირდები.

— არა და, იცოდე, შენ ჩემსავით არავინ შეგიყვარებს.

— მწყევლი?

— პირიქით, გლოცავ.

ეს წერილები მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა მომავლის ყოველგვარი იმედი გადამენურა და ისეთ ხასიათზე ვარ, სიცოცხლე არ მინდა.

ტახტზე ვწევარ ცალკე სიცივით გათოშილი, ცალკე — უპასუხო სიყვარულით. ლამარამ თბილი ხალათი წამახურა, ხელები დაუჭირე და ვუთხარი:

— ერთ რამესა გთხოვ... მთავარ ფოსტაში ჩემს სახელზე წერილები იქნება და გამოიტანე. პასპორტი მაგიდის უჯრაშია.

ეზარებოდა ამ ყინვაში გარეთ გასვლა, თან ეუხერხულეობდა სხვისი წერილების მოთხოვნა, მაგრამ ხედავდა, რა დღეშიც ვიყავი და უარი ვერ მითხრა.

კიდევ კარგი, პასპორტის სურათისთვის არც შეუხედავთ, ისე მიუციათ წერილი.

— საყვედურებით ამავსო იმ ფოსტის ქალმა. სადა ხართ ამდენი ხანი? ჩვენ მხოლოდ ერთი თვე ვინახავთ წერილებს. იმდენი იყო, სად წავგელო, არ ვიცოდით. ეს ერთი შეგინახეთ მაინც.

კონვერტს დახვედე. ფსევდონიმი ეწერა, იმ კაცის გვარის ნაცვლად.

— ვინაა ეს ლევან გვარლიანი? — მკითხა ლამარამ.

— ფსევდონიმი.

— იმ ქალმა, ეტყობა, წაიკითხა, ისე ენანებოდა გადაყრილი წერილები.

მე ასეთი ლამაზი სასიყვარულო წერილი წიგნებშიც არ წამკითხავს. როგორც კარგი ლიტერატურის ნიმუში, ლამარასაც წავაკითხე. იგი მიხვდა, ვისგანაც იყო უსტარი.

— ეგ საკენკი თავის ცოლს დაუყაროს, — თქვა ცივად და გამმორდა.

იმ კაცისთვის არ მითქვამს, რომ მისი ერთი წერილი წავიკითხე. დარწმუნებული იყო არც მიმიკითხავს ფოსტაში.

შარს რომ არ გადაყროდი, სხვა ფაკულტეტზე გადავედი და უკვე იშვიათად ვხვდებოდი. აჩემებული მქონდა კინორეჟისორობა და უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, კინოსტუდიაში დავინყე მუშაობა. ვფიქრობდი, საერთოდ რომ ვერ დამინახავს, შემეშვება-მეთქი, მაგრამ სტუდიის წინაც დავლანდე რამდენჯერმე, გაზეთების ჯიხურს ამოფარებული. მერე მოსკოვის კინონსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები და მოვეწყვე. მეგონა, მეც დავისვენე და იმანაც. კინონსტიტუტში სწავლისას, ერთმა ქართველმა სტუდენტმა თბილისიდან პურმარილი ჩამოიტანა. ყველს ცელოფნის გარეთ კიდევ გაზეთი ჰქონდა შემოხვეული. ეს ნახვევი გაზეთი გავშალე და გადავათვალიერე. «ლიტერატურული საქართველო» აღმოჩნდა. ბოლო გვერდზე ჩემზე შეყვარებული ლექტორის ნეკროლოგს გადავანყდი. თურმე სატიკროთო მანქანა დასჯახებია საბურთალოზე, დღისით, მზისით, ფხიხელს და ადგილზევე გარდაცვლილა. ადამიანურად მენყინა, მაგრამ ცხარე ცრემლები არ დამდენია. ნუ მიაწერთ ამას ჩემს

გულქვაობას. შეიძლება თვრამეტი წლის გოგოს შეჰყვარებოდა კაცი, რომელიც სიყვარულს კი ეფიცებოდა, მაგრამ ამავე დროს დასძენდა, თვითონ ობლობაში გავიზარდე და სანამ ბავშვები პატარები არიან, ოჯახს ვერ დავანგრევე?!

ჩემთვის არ ჰქონდა ამ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა, რადგან უპასუხოდ, თუ პასუხით, მე სხვა მიყვარდა. ისე საერთოდ, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ოჯახი მხოლოდ მაშინაა ხელშეუხებელი, როცა სიყვარულზე დგას. და თუ სიყვარულზე დგას, არ უნდა გაღორდე და სხვას ტვინი არ უნდა აურიო. რომ დავფიქრდი, ნამეტანი კატეგორიული ნათქვამი გამომივიდა. ის ჩემი ლექტორი ისეთი ხმელ-ხმელი კაცი იყო, სიტყვა ღორი რომ არაფრით მოუხდებოდა. მოკლედ, რას გაიგებ, სხვის პლანეტაზე რა ხდება. თითოეული ადამიანი ხომ ცალკე პლანეტაა.

რა პატარაა ეს ქვეყანა, რა ჩქარა გარბის დრო. იმ კაცის ნაბოლარა შვილი კინოკომიტეტის უფროსად დანიშნეს. ერთხელ, როგორც რეჟისორს, მომიწია მასთან მისვლა, მომავალ ფილმთან დაკავშირებით. უფრო მაღალი და სიმპათიური იყო, ვიდრე მამამისი, მაგრამ შინაგანად მამის უფერულ ასლად მეჩვენა. რას წარმოიდგენდა, თავის დროზე მამამისისთვის ჰო რომ მეთქვა (იმ წერილშიც იხვენებოდა), ალბათ იგი ვერ იარსებებდა საერთოდ. ახლა მასზე ეკიდა ჩემი ფილმის ბედი. ვერაფერში გამომადგა, რომ ჯიუტი უარით ხელი შევუწყვე მის მოვლინებას ამ ქვეყანაზე.

მისი მამის წერილს კი, როგორც ძვირფას სახსოვარს, სათუთად ვინახავ ზარდახში. ყოველ ნალალატევს გადავიკითხავ ხოლმე და ჩემი თავის რწმენა მიბრუნდება. ისე გაიქეჯა დროთა განმავლობაში, რომ ჯობია, არქივს ჩავაბარო, თბილისში როცა ვიქნები, არ მეტყვება გადასავლელად.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. სახე და სახელწაშლილი მრავალი უხსენებელიშემხვდა კიდევ ცხოვრებაში. მხოლოდ მე ვიცი, რა მტკივნეულად ვახალე ფრთები რკინა-ბეტონს, რა უხეშად დამაჩნდა სულზე იარა... რამდენი ვიბორძიკე ოცნების ციკაბობებზე... მომეჩვენა, თუ მესიზმრა, თითქოს მწვერვალზე გამოჩნდა... ჩემთან ბედისწერის თოკით გადაბმული მენყვილის ეშვების ძახილიც მომიყურა ძილ-ღვიძილში. მაშინდა გავახილე თვალი, როცა განყვეტილ თოკზე ვეკიდე უფსკრული პირას... როგორც არასდროს, მემწარა ღელატის სამსალა...

ისე გაილია ვაზაფხული, ვერ შევისუნთქე ასკილის ყვავილთა მათრობელა სურნელი ჰელსინკის ქუჩებში, ვერც ზაფხულში მივუსწარი თეთრად გადაპენტილი ბუჩქების ნაგვიანე ყვავილობას გზის პირებზე. ვერც ტყის შრიალით და ჩიტების ჭიკჭიკით დავტკბი. ფინეთში ხომ ყველა ქალაქი ტყის მასივებშია გაშენებული.

ამ რუხ, უხალისო ერთფეროვნებაში მხოლოდ მე შევიცვალე, ისიც უარსობისკენ. როგორც უკვე გითხარით, ჩემი საამაყო თემი ბლუჯა-ბლუჯა ჩამომდიოდა, ხელის ყოველ გადასმაზე. ქიმიური პროცედურები რომ ჩათავადა, შინ გამიშვეს. საჭიროების მიხედვით, ტაქსით მიყვავდით, მოყვავდით იქით-აქეთ. აქ ხომ ყველაფერი დათვლილია. ეტყობა, ტაქსი უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ავადმყოფის შენახვა საავადმყოფოში.

რეინომ ბინა მტვერსასრუტით გამოწმენდილი და დალაგებული დამახვედრა. მე რეინომ მოწონებდასაც შეუდგა. ალაგ-ალაგ შემელოტებულნი თავი მოლიანად გადაპარსა. უხერხულად რომ არ მეგრძნო თავი, სოლიდარობის ნიშნად, თვითონაც ძირამდე გადაიპარსა თმა. პარკის ტარებას, თავსაფარი ვარჩიე. სანახევროდ ნამძვრალი ფრჩხილებიც ხელ-ფეხზე თვითონ დამაჭრა. ისე მტკიოდა თითის წვერები, რომ ჩემით ღილებსაც ვერ ვიკრავდი. საერთოდ, აქ ჩემისთანა ავადმყოფებს ეკუთვნით დამხმარე, მაგრამ რეინომ აიღო ეს მოვალეობა თავის თავზე და ისევე, როგორც თარჯიმნის შემთხვევაში, ახლაც ავარიდეთ სახელმწიფოს ზედმეტი ხარჯები. ქიმიამ ყველა სხვა „ბედნიერებასთან“ ერთად, პირის ღრუს ანთებაც დამიტოვა და გადამიყვანა მშრალ დიეტაზე, რადგან წყლის გადაყლაპვაც მიჭირდა. ჩემი დის მსგავსად, მეც ძვალ-ტყავად ვიქეცი და მა-

სავით დოკუმენტურ ფილმებში ნანახ საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეს დავემსგავსე. თავს ძალას ვატანდი და მაინც ცულაპავდი აუცილებელ აბებს, დილა-სალამოს ვივლებდი ანთების საწინააღმდეგო სითხეს, ვიკვებებოდი ყუთიანი საკვებით, რომელსაც რეინომ არ მსჯობდა. ერთხელ დავითვალე და თორმეტამდე, სხვადასხვა სახის ხილი აღმოგვაჩნდა სახლში.

ნამდვილად გამიმართლა, რომ ეს მძიმე ავადმყოფობა მეტაკა ფინეთში და არა სხვაგან, თუნდაც სამშობლოში, თორემ ვერ გადავრჩებოდი. რომელი ჯიბე გასწვდებოდა ამხელა ხარჯებს. კარგია, თუ შევძელი თქვენთვისაც დამენახებინა, როგორ ნანატრი ჩვილივით, პატრონობენ და უვლიან აქ მათ უდიდებულესობა — მოხუცებს, მათი სოციალური მდგომარეობის, თუ ეროვნების მიუხედავად, შინაურსაც და გარეულსაც.

მართალი გითხრა, რატომღაც თვითონ არასდროს მიმითვლია მოხუცთა არმიისთვის თავი. არც სხვებს ეჯერათ აქამდე ჩემი სიბერე. ფინური ენის კურსებზე, იმიტომ რომ შემეყვარდა ეს მეტად მუსიკალური ენა, ახალგაზრდებში თითოთი საჩვენებელი ვიყავი, როგორც ათიანებზე მოსწავლე ამა და ამ ასაკის ქალი. ხომ ხედავთ, აგერ მკითხველსაც არ ვუხმელ ჩემს წლოვანებას. ამის თაობაზე შემთხვევით ოსკარ უაილდის გამონათქვამს ნავანყდი ინტერნეტში: "არ ენდოთ ქალს, რომელიც თავის ასაკს არ მალავს. ასეთმა ქალმა შეიძლება ყველაფერი თქვას." გამიხარდა, დიდი მწერალი რომ დავიგულე თანამოაზრედ. ჩემი ასაკისა არ იყოს, ალბათ მასაც ჰქონდა რალაც დასამალი.

უპირველეს ყოვლისა, განგების ნებასთან, შემდეგ ფინურ მედიცინასთან ერთად, ნელთა სიმრავლესაც მიუძღვის წვლილი ორგანიზმიდან ლიმფომების გაქრობაში, გამოჯანმრთელებაში, გადარჩენაში. ბრძენს უთქვამს, არ არსებობს ავადმყოფობა, არსებობენ ავადმყოფებიო. თმაც ამომივიდა, ხეყული, მაგრამ მაგას ვჩივი?! მკურნალ ქიმიას რა ვუთხარი, თორემ ისე არ ავმჩატებულვარ, თმა დამეხვია ამ სიბერეში. ხელ-ფეხზე დამძვრალი ფრჩხილებიც განმიახლდა, წონაშიც მოვიმატე (ალარ ვგავარ ოსვენციმის ტყვეს). უკვე მეშინია კიდევ, დიეტაზე არ დამჭირდეს ზრუნვა. თითქოს თავიდან დავიბადე. სიცოცხლისადმი დამოკიდებულებაც შემეცვალა. ახლა ყოველი დღე ღვთის ნაჩუქარი მგონია. მაღლობა უფასო, ამ სასწაულისთვის!

როგორც კი გამოვძვერი ამ ხაფანგიდან და ექიმებმაც დამრთეს ნება, მაშინვე თბილისში დავაპირე წასვლა. უთბილისოდ დიდხანს ვერ ვძლებ. ხომ გაგიგონიათ, ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბალდადიც იქ არისო. გარდა ამისა ჩემი და ამისახედი. ბოლოს ხომ უნდა მოვიძიო ჩემი მიუსაფარი ფილმები, იქნებ ვინმემ ისევ მოიკითხოს როდისმე.

მეუღლეს ამ დროს მოსკოვისკენ ეჭირა გეზი. მასაც უამრავი საჭირობოტო საქმე დაუგროვდა ამსალბაში მოსავგარებელი. რაც მთავარია, თავისი ახალი ნივნის მსაკეტი უნდა ენახა.

ჩვენი ცხოვრება განმორება-შეხვედრების გადაბმული ჯაჭვია. მიეჩვიეთ ჩვენი გზების დროგამოშვებით ორად გავიფასა. აუცილებლობისას, ხელს ვუწყობთ კიდევ ერთმანეთს. განმორების სევდას, მონატრება, შეხვედრის სიხარული ცვლის. იქნებ ამიტომაც ვერ მოეკიდა მობეზრების უანგი ჩვენს ოცდაათლიან თანაცხოვრებას. ადამიანი თვითონაცაა თავისი ბედის შემოქმედი: გინდ მკერავი დაარქვით, გინდაც — მჭედელი.

რეინომ ისე აიღო და დაჯავშნა ბილეთები, რომ დილას მე გავეციდებინე აეროპორტში, სალამოს თვითონ გამგზავრებულიყო მატარებლით მოსკოვს.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცისფერი ტრამვაით როდის უნდა ავიდეთ ტიბიდაბოს მთაზე? ხომ უნდა გადმოვხედოთ ზემოდან ბარსელონას?! — ვითომ სხვათაშორის, იკითხა მან, კომპიუტერის გამორთვისას.

ისევე ჰაერში გამოკიდებული დარჩა ოცნება რუხი სინამდვილის გამფერადებელ ბარსელონაზე: ტიბიდაბოს მთაზე, რამბლას ბულვარზე, საგარდა ფამილიაზე...

ეკატერინე ტოგონიძე

საკუთარი თავის ტყვე

(რომანიდან „ასინქრონი“)

ლინას დღიური

არ ვიცი, რა დღეა.

ფურცლები... ფურცლები შველაა... დიანას გარეშე ლამის გავგიჟდე!

ნერა რომ დავინწყე, დავმშვიდდი, ჩემს თავს ვიბრუნებ... ახლა მთავარია ჩემი დაც დავიბრუნო.

რა კარგია, ფურცლები!.. თავიდან ვერ ვეუბნებოდი, მეშინოდა, მრცხვენოდა... ბოლოს გავბედე და მომცეს. კალამიც მომიტანეს და მომაშტერდნენ. იმათი თანდასწრებით ვერაფერი დავწერე. დავილაღე ამ უცნაური ხალხით, თვალს არ გვაცილებენ, გვაკვირდებიან... საბანს გვხდიან, ზოგჯერ პერანგსაც... საშინელებაა... სირცხვილისგან მეტირება. შიშით, იმდენად აღარ მეშინია.

ამათ უკვირთ, რომ ნერა ვიცი. ლაპარაკი რომ ვიცი, მგონი, ისიც კი უკვირთ.

ისე ნერა ლამის მართლა დამავინწყდა, თითები ძლივს ავამოძრავებ... ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს. ჩემი დის გარეშე საერთოდ როგორ ვარ?!

სულ მეშინია, რომ ნანერს წაიღებენ. ზენრის ქვეშ ვმალავ, ღამეც ვფხიზლობ, რომ არ ამომაცალონ. მინდა ისეთი ენა ვიცოდე, რომელიც მარტო მე მესმის და იმ ენაზე ვწერო. დიანამაც იცოდეს, რასაც ვეტიყვი, მარტო მან გაიგოს!

ახლა მთავარია გაიღვიძოს, ოღონდ გაიღვიძოს...

ლინას დღიური

გწევართ და მაინც ვგრძნობ ჩემი დის სიმძიმეს, თითქოს დაბლა მექაჩება. ცხვირში რაღაც მიღები აქვს გაყრილი. ნეტა, ხომ არ სტიკივა? ვფიქრობ, გამოვადრო, იქნებ რამე ცუდს უკეთებენ? მაგრამ იქნებ პირიქით? აღარ ვიცი...

ძლივს ვინძრევი, წერაც ძალიან ძნელია ასე. ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემი და აღარ სუნთქავს. გული მისკდება! ისინი ამბობენ, გაიღვიძებო.

ალბათ ძალიან დაიღალა ჩემი სანყალი დაიკო... ცოტას კიდევ ვაძვით...

ეს ის ხალხია, ტელევიზორიდან... ქალები კაცები, ქალები, ქალები, კაცები... თეთრი ხალათები... ბებია რომ გვაშინებდა... ახლოდან რა სხვანაირები არიან! თვალები მიჭრელდება. ყურები მიგუგუნებს. სახლში მინდა.

რომ გავიღვიძე და წელზე ჩვენი ფოთოლი აღარ გვეკეთა, კინაღამ გავგიჟდი. ტირილი დავინწყე და დამიბრუნეს, თავთან მიდევს.

ამბობენ, ყველაფერი წყალმა წაიღოო. არ მჯერა.

ლინას დღიური

აქ რალაცნაირი სუნი დგას. ერთხელ ბავშვობაში სიცხე გვქონდა. მაშინ ძმრის სუნი მცემდა. ბებია სველი ტილოებით გვზელდა, არ მომწონდა, მცოდნა... აქ სულ სხვა სუნი დგას, ბევრად ცუდი. მაშინ თითქმის ერთდროულად ვიძინებდით და ვიღვიძებდით. ახლა რა სჭირს ჩემს დას? როგორ ჩაეძინა ასე ღრმად? პირველად ვარ მარტო. მეშინია.

ლინას დღიური

ჩაქუჩიანი ქალი დამარცვლით მელაპარაკება, პომადა უსვია ტუჩებზე და ცოტა კბილებზეც. ჩემი სახელი ვერ დაიმახსოვ-

რა და მეუბნება: „აბა ლიანა, მითხარი, აქ გრძნობ? აბა აქ თუ გრძნობ? აი, აქ?“ ჩაქუჩს რომ მირტყამს, არ მტკივა, უბრალოდ ზოგჯერ უნებურად ვხტები. დიანასაც ურტყამს. ვერ გავიგე, ჩემს დას რომ ეხებიან, მე რატომ უნდა ვიგრძნო? გიჟები არიან!

ერთი სული მაქვს, მარტო როდის დავრჩები. სულ ვილაც შემოდის, გადის, შემოდის და აღარ გადის... ერთი ქალი ფანჯარასთან ჯდება და გვყარაულობს. ყელზე ძენკვი უკეთია. ამოიღებს ხოლმე უბიდან, დაიჭერს ხელში ვერცხლისფერ ჯვარს და ფრჩხილებს ისუფთავებს, ჯერ ერთ ხელზე, მერე მეორეზე, გაუთავებლად. ნერვებს მიშლის! დღეს ვილაცამ შემოაკითხა, არ დაილაღე, წამო, გოგოებმა ნამცხვარი ამოიტანესო. გამიხარდა, გავა-მეთქი, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა, ასე თქვა, მარხვავზე ვარო.

ნამცხვარი მომინდა.

ლინას დღიური

ისინი ამბობენ, რომ მე ძლიერი ფილტვები მაქვს. ჩემზე ამბობენ, ეს რომ არა, წყალდიდობას ვერ გადაურჩებოდნენო. დიანას ჭუჭყიანი წყალი უყლაპია.

მინდა მალე გაიღვიძოს!

ბოდიში უნდა მოვუხადო, დედას სურათის გამო რომ ვეჩხუბე. იმ მომენტში ძალიან გავმწარდი... მართლა ძალიან მენყინა... ახლა ოღონდ დამიბრუნდეს და ყველაფერს ვაპატიებ! მის გარეშე აზრი არა აქვს არაფერს. ჩემი ნებაც რომ იყოს, მაინც ასეთად დავრჩებოდი - დიანას დად, ტყუპის ცაღად.

ლინას დღიური

ფურცლები მეჭმუჭნება ლოგინში, მაგრამ, რაც მთავარია, საიმედოდ მაქვს დამალული.

ამ სუნს შევეჩვიე, თითქმის აღარც მცემს. კედლები პრიანებს, სუფთაა. ჭერი ძალიან მაღალი, ზემოთ აბლაბუდებია. თეთრხალათიანების გარდა აქ მოხუცი ქალიც შემოდის. იატაკს სველ ტილოს უსვამს. ამ დროს სახლი მახსენდება, ზუსტად ისეთი სუნი დგება და მსიამოვნებს. მგონი, კარგი ქალია. ალაგებს, გვიყურებს და ხმას არ იღებს, არაფერს გვეკითხება, მარტო ოხრავს ბებიასავით. ექიმებს ჯობია. იქნებ მას ვკითხო, რა დღეა. დღიურს მინდა დავანერო, როგორც ადრე...

კიდევ კარგი, დღიურები ჩვენს ჩანთაში შევინახეთ! ჭკვიანია დიანა! ხეში დავმალეთ. რაც შეიძლება, მალე უნდა დავიბრუნოთ.

ზაზამ იცის, აქ რომ ვართ?

ლინას დღიური

14 ივნისი

ამ ოთახს პალატა ჰქვია.

თავში სულ სხვადასხვა სახე და ხმა მიტრიალებს, ერთმანეთში ირვეიან. ზოგჯერ ეს ხალხი მესიზმრება კიდევ. დავილაღე. კარგად არ მესმის, რას ლაპარაკობენ, რაღაც უცხო სიტყვებს ამბობენ... ანალიზი, კულაგრამა, თუ რაღაც... რენტგენი, კარტიგრამა. ზოგი მეცნობა.



ჩვენი ლოგინი ბორბლებიანია. დერეფანში დაგვაგორებენ, ეს მომწონს, მაგრამ თან მეშინია, არასდროს ვიცი, სად მივყავართ, რას გვიზამენ... პერანგს რომ გვიხსნიან, ჩემს დას ლოყას ლოყაზე ვადებ და მაგრად ვხუჭავ თვალებს.

რასაც გვიკეთებენ, დიდად მტკივნეული არაა. ზოგჯერ რაღაცა ცივს და სველს გვისვამენ, მერე ყურმილებს გვადებენ, ტელევიზორში უყურებენ შავ-თეთრ ფიგურებს. ნეტა რას იგებენ? ბევრი ხალხი გროვდება, ერთმანეთს ეუბნებიან, შეხედე, შეხედე, ორი გული, ერთი ღვიძლი, ორი ნაღვლის ბუშტი... კიდევ ამბობენ რაღაცებს, ვერ ვიმასხოვრებ... უნდა ჩავინერო. ჰო, კიდევ ამბობენ: ერთი შარდის ბურთი, საერთო მენჯი.

როდის გაიღვიძებს დიანა, რომ წავიდეთ აქედან? აღარ შემიძლია წოლა! წამოჯდომა მინდა, გავლა. ეს ხალხიც აღარ შემიძლია.

როსტომი იმ დღეს არ მუშაობდა, კარგა ხნის გაღვიძებული ლოგინში იწვა და ფეხს ითრევდა. უმწეოდ ებლაუჭებოდა საკუთარ რეალობას, რომელიც თანდათან სულ უფრო მყიფე ეჩვენებოდა. მის გარშემო აგორებული აბსურდი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და მყარდებოდა. „რა შვილები? როგორ? ვისგან? ეჰ, მე რომ შვილი მყოლოდა...“ - წრიალებდა ლოგინში — „ნეტა მართლა მყოლოდა შვილი, კაცად ვაქცევდი, ნამდვილ ვაჟკაცად...“ - ამ თემაზე ძირითადად სიმთვრალეში ფიქრობდა. ფხიზლად ცხოვრება ძალიან უშეძლებოდა. მოსვენებას კარადაში შენახული არაყიც უკარგავდა.

— არც ერთი დეფექტიანი გვარში მე არა მყავს! ყველა ჯანმრთელია, ყველა! — წამოიძახა როსტომმა.

„მე ასეთები როგორ მეყოლებოდა?!“ — ლაპარაკი ისევ გულში განაგრძო და სანოლიდან წამოიზღაზნა. ფეხით ჩუსტები მოძებნა. სახე მოისრისა.

— მე რომ ესეთები მყოლოდა, თავს მოვიკლავდი! — თქვა ბოლოს გადაჭრით და წამოდგა.

სამზარეულოს მაგიდაზე საპურესთან პოლიციელის მოტანილი უწყება იდო და მადას უკარგავდა.

ლინას დღიური

15 ივნისი

მინდა წერა იქიდან განვაგრძო, სადაც შევწყვიტე, მაგრამ ვერაფრით ვისხენებ ჩემი დღიურის ბოლო გვერდებს. სად გავჩერდი? რას ვამბობდი? ლექსებიც აღარ მახსოვს. რამდენი დავწერე? ორი? სამი?

ბებია გარდაიცვალა, ეს ვიცი. და მერე ყველაფერი აირია...

წყალდიდობა ტელევიზორში მინახავს. ჩვენს თავს რაღაც სხვა მოხდა, სულ სხვა. მე და ჩემი და უცნაურად დავპატარავდით და თითქოს იმ ტაშტში ჩავცვივდით, სახეს რომ ვყოფდი ხოლმე. ან ის ტაშტი გახდა უცებ უზარმაზარი! თუმცა ეს მგონი მესიზმრა. სინამდვილეში არ ვიცი, რა მოხდა. მახსოვს, რომ იმაზე მეტ ხანს არ მქონდა ჰაერი, ვიდრე უჰაეროდ ყოფნა შემეძლო... ვიდრე თამაშის დროს ვაკეთებდი ხოლმე... ვცდილობდი, პირი არ გამეღო. ჩემს თავს ვეუბნებოდი, ლინა, პირი არ გააღო, როგორც არ უნდა გაგიჭირდეს, პირი არ გააღო მეთქი. მახსოვს, რომ რაღაცამ ლოგინს აგვაგლიჯა... ან ჩვენი ლოგინი გავარდა სახლიდან. უცნაური იყო, არც ვინეკით, არც ვიდექით. ყველაფერი დაყრავდა. ვერაფერს ვეჭიდებოდი, ვერც ერთმანეთს ვგრძნობდით. ან ჩვენ მივექანებოდით სადღაც ან ყველაფერი ელვის სისწრაფით დაიძრა ჩვენ გარშემო. ზუსტად არ ვიცი, რა მტკიოდა, მაგრამ საშინლად ვიყავი, საშინლად. ბნელოდა.

იქნებ მართლა მეძინა და საზიზღარ სიზმარს ვხედავდი? მაგრამ აქ როგორ აღმოვჩნდით? ნეტა ახლაც ხომ არ მიძინავს?

ამათ არ იციან, ჩვენ ვინ ვართ. ბებიაზეც არაფერი იციან. ესენი, მგონი, არც ზაზას იცნობენ. არადა ზაზაც ხომ აქ ცხოვრობს, სადღაც აქ...

სულ მგონია, რომ ზაზა მოვა და სახლში წაგვიყვანს.

ლინას დღიური

16 ივნისი

დიანას თავზე შნურები დაუმაგრეს და პატარა ტელევიზორიდან გრძელი დახაზული ფურცლები ამოვარდა.

ნეტა უფრო ღრმად ხომ არ აძინებენ? ოპერაცია ხომ არ უნდა გაგვიკეთონ?

დიანას რომ რამე სტკიოდეს, ხომ იტყოდა... გაინძრეოდა, წამოიყვირებდა...

ათას კითხვას მისვამენ, სად ვცხოვრობდით, ვისთან ერთად, სახლში რას ვაკეთებდით, სიარული თუ ვიცით... ბებიაზე უნდათ, მათქმევინონ. არ ვიტყვი! დიანას შეუძლია მშვიდად იყოს, ვერაფერს მათქმევინებენ. დედ-მამა თუ გყავთო, ვინ გვივლიდათო... არაფერსაც არ ვიტყვი დიანას გარეშე!

ლინას დღიური

17 ივნისი

აქ კარგი საქმელია, ხორცი, ყველი, თევზი. ყველაზე მეტად ჭამის დრო მიხარია. ჯერ სუნი შემოდის ოთახში და მერე ბორბლებიან მაგიდას შემოაგორებს ხოლმე ერთი ქალი. ეს ქალი მოხუც დამლაგებელსაც ჯობია. თავიდან არ მომწონდა, თვითონ რომ მაჭმევდა, დავიტანჯე. ახლა სუპს ჭიქიდან ვსვამ ჩემით, სულ ცოტათი მეხმარება. კატელეს და პიურეს მაროლი აკლია, მაგრამ მაინც ძალიან გემრიელია.

ამ ქალმა დღეს ტელევიზორი ჩაგვიერთო. საინფორმაციო გადაცემა არ მიყვარს, ვერ ვიტანდით, ბებია რომ უყურებდა, მაგრამ ახლა ესეც კი გამიხარდა.

ჩადრიანი ქალები აჩვენეს. ეს ქალები როგორ ჭამენ ამ შავი ნაჭრებით? ექიმებსაც უკეთიათ სახეზე თეთრი ჩადრებით პირბადეები, ზოგჯერ მწვანე. ექიმები ხანდახან იხსნიან. ისინი? ნეტა ღამეც ასე სძინავთ?

როგორ მინდა სარკეში ჩახედვა! თავი დასაბანი მაქვს, თმა წოლისგან აბურღული. დიანაც განუწილია. ვცდილობ თმა თითებით გავაცალკეო. დიანასაც ვუსწორებ, აბა თვითონ არ შეუძლია... ჩემი დაიკო მაინც ლამაზია. დედა ძალიან ლამაზი იყო და ჩვენ ორივენი ვგავართ. აქ ერთ ქალს მოვეწონეთ, ჩვენზე ასე თქვა, „არადა რა კარგი სახეები აქვთო“...

ისევ ვილაც მოდის, ფურცლები უნდა დავმალო!

ნეტა დიანას ზაზას ნომერი თუ ახსოვს? უნდა დავურეკოთ, წაგვიყვანოს აქედან! ვჭამოთ კარგად და წავიდეთ! ნეტა ჩვენი ტანსაცმელი სადაა?

დღეს ერთმა კაცმა თქვა, თუ დილაზე არ მოვიდა გონს, გადასხმა გაუმეორეთ ორმაგი დოზითო. ეს რას ნიშნავს? მგონი ბრაზობს ეს კაცი.

დიანა, უნდა გაიღვიძო, გესმის? ბრაზობენ უკვე.

სპირტის სუნი არყის სუნს მაგონებს. ტილოებიანმა ქალმა განმენდა დაგვიწყო. ოთახში სხვებიც შემოვიდნენ. როგორ ვბრაზობ!.. ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, თავს აქნევდნენ. მომეხმარეთ მაინცო, ამ ქალმა უთხრა და ერთ-ერთი ჩვენს გადაატრიალებამი დაეხმარა. გვერდულად დაგვიჭირეს და ზურგი გაგვიწმინდეს.

ახლა კმაყოფილიც კი ვარ, თითქოს დავისვენე...

ცხელა. ოქროს მტვერი აქაც ყოფილა! რა საოცარია?! მეგონა მარტო ჩვენს სახლში იყო... მზეს მოყვება, ყოველთვის მზესთან ერთად ჩნდება. ახლაც ვუყურებ, როგორ ციმციმებს ფანჯრიდან შემოსულ სხივებში. მინდა შევხეხო.

ტილოებიანი ქალი არც ისე ცუდი ჩანს. მარტო შემოვიდა და სხვები აღარ შემოუშვა, მაცალეთო... სირცხვილმაც გამიარა. რომ გადიოდა, ძლივს გაგებდე მეთქვა, რომ სარკე მინდა. ლამის დამავინყდეს, როგორი ვარ. დიანას პროფილს ვხედავ, დახუჭულ თვალს, გაფითრებულ კანს. ნეტა მე როგორ გამოვიყურები? სახეზე ხომ არ გამომაყარა? თმა, ვიცი, საშინლად მაქვს...

სალამოს ექთანმა შემომიტანა სარკე, ეტყობა იმ ქალმა უთხრა. ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა, რომ ჩემს გემოზე ჩამეხედა. თავზე დადგა და მომამტერდა. გამონვდილი ხელით მელოდა.

სარკე ისეთი პატარა იყო, უცებ მარტო ჩემი თავი დავინახე. აქამდე სულ ერთად ვჩანდით მე და დიანა. ოდნავ რომ შევატრიალე მერე მისი მილებიანი ცხვირიც გამოჩნდა. ჩემი თავი მეუცხოვა. სხვანაირი ვარ. ჩვენი სახლის სარკე მინდა.

ნეტა მამა როგორია? როგორი თვალები აქვს? ალბათ ზაზაზე მაალაია, ლონიერი. აქ რომ ერთი ექიმია, ალბათ იმას გავს. არა, იმაზე კარგია!

მამამ რატომ მიგვატოვა? ყველაფერი ჩვენი ბრალია, ასეთები რომ ვართ... იქნებ მოვძებნოთ და ვთხოვოთ... ვთხოვოთ, რომ მაინც იყოს ჩვენი მამა... ეს რომ დიანას ვუთხრა, მომკლავს.

ლინას დღიური

19 ივნისი

საჭმელზე უფრო ამ ქალის მოსვლას ველოდები. ნელა გვმეძღვს. დღეს ადვილად გადაგვარუნა. ჩემგან იწყებს, ჩემს ხელ-ფეხს რომ მორჩება, დიანაზე გადადის. ველოდები, ისევე როდის დამიბრუნდება. ძალიან მსიამოვნებს ზურგის განმენდა, ფეხის, მუხლის... ტერფზეც რა სასიამოვნო ყოფილა... ოდნავ მეღუტუნება, ვითმენ. ტილოს კისერზე რომ მისმევს, ხორკლი მაყრის, თითქოს მცვივა. დღეს ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მეც პირველად ვათავალიერებდი ჩემს ტანს. რაც აქ ვართ, მგონი ცოტა გავსუქდით. ადრე უფრო გვეტყობოდა ძვლები. კარგია თუ ცუდი?

ეს ქალი მუხლზე რომ გადამატარებს ტილოს, მაშინაც ვიხორკლები. მრცხვენია... მუცელზე მინდა უფრო დიდხანს მეხებოდეს. ნეტა დიანა თუ გრძნობს ამ ყველაფერს?!

პირსახოციტ მკერდი რომ გაგვიწმინდა, გული ამიჩქარდა. ერთი წიგნის ერთი მომენტი გამახსენდა... თვალები თავისით დამეხუჭა, ჭიპთან სითბო ვიგრძენი. მუცელი დამეჭიმა. ტილო დაასველა, განურა და ფეხებს შორის ამოგვისვა. შევხტი... ყურადღება არ მომაქცია. ისევე გაიმეორა იგივე. ჩემდაუნებურად ხმამალა ამოვიოხრე. რა დამემართა? თავბრუ დამეხვა. ოდნავ გამაკანკალა. უცებ ყველაფერი დამიბუჟდა და დახუჭულ თვალებში გაჩნდნენ ყაყაროები! წითელი, დიდი, ხასხასა, ბოლომდე გაშლილი... ჩემი ტაშტის ფსკერზე დახატულ ყვავილებს გავდნენ, ჯობდნენ კიდეც... ასეთი უცნაური გრძნობა არასდროს მქონია. ძარღვებში ზრიალი ვიგრძენი. ქალმა ჩვენი გამშრალეა დაინყო. მინდოდა თავი გაენებებინა. მშვიდად მინდოდა ნოლა და იმ ყვავილების ყურება.

ახლა ვიცი, ეს გრძნობა მხოლოდ ჩემია. დიანას არაფერი გაუგია, თორემ აუცილებლად დაეტყობოდა.

და მე პირველად მაქვს რალაც ჩემი, მხოლოდ ჩემი...

ლინას დღიური

20 ივნისი

გამთენიისას მომეჩვენა, რომ დიანა გაინძრა. გული ამიჩქარდა. ლაპარაკი დავწყვე. ხმა არ გამცა. მეც ვაჭრემდი. აღარ დამეძინა.

უცებ ვიგრძენი, რომ დიანამ თვალები გაახილა! სიხარულისგან კინალამ წამოვხტი, მაგრამ მარჯვენა მხარე ისევე დაბლა მექაჩებოდა. ხელი ჩავიკაფე, დიდ ხანს ვეფერე. ჩუმად იყო,

თვალებს ნელა ახამხამებდა. თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ ხმას რომ არ მცემდა, ვიფიქრე, ვაითუ აღარ ესმის-მეთქი ჩემი... ლოყა ლოყაზე მივადე. ვთხოვე, თუ გესმის, ხელი მომიჭირე-მეთქი და მომიჭირა. ამოვისუნთქე.

ვიყავით ხელიხელჩაკიდებულები, ერთ რიტმში ვსუნთქავდით. მე ყოველთვის ვცდილობ დიანასავით ვისუნთქო. ბავშვობიდან ასე იყო. ძილის წინ სუნთქვაშეკრული ველოდი, მის რიტმს ვუსმენდი და ნელ-ნელა ვყვებოდი. არ მიყვარს აცა-ბაცა ყოფნა.

„სასწრაფოზე ტყუილად დარდობდი“, თქვა ჩემმა დამ მოულოდნელად. ხმა ამოიღო! სიხარულისგან უფრო მაგრად მოვუჭირე ხელი. - არ ყოფილა ხომ საშიში? ექიმები უბრალოდ გვივლიან, ხო? - ვეკითხებოდი გახარებულად. „არა, ეგ არა...“ - დაიჩურჩულა დიანამ - „ჩვენ მისამართი არა გვაქვს“.

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ცოტა ხანს ისევე ჩუმად იყო და ბოლოს თქვა:

„ლინა, შენ იცი, სად ვცხოვრობთ? სადაა ჩვენი სახლი?“

ოთახი ნათდებოდა. ჩიტების ხმაც შემოვიდა. უცნაური იყო, რაც მითხრა... ჩვენი მისამართი... რა იყო ჩვენი მისამართი? მდინარე და ორი ხე... მხოლოდ ეს ვიცით. და კიდეც ნაგავსაყრელი...

სასწრაფოს როგორ გამოვიძახებდით?! ტყუილად ვდარდობდი...

ვაიმე... ჩვენ ზაზას გარეშე სახლშიც ვეღარ დავბრუნდებთ!

ლინას დღიური

21 ივნისი

მორჩა, აღარა ვართ დაბმულები! დიანას მილები მოხსნეს. აგვაყენეს. ქალი ექიმი ამბობდა, ჯერ ადრეა, სუსტად არიანო. კაცმა ექიმმა არ მოუსმინა. ერთი სული მქონდა, როდის წამოვდგებოდი, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდა. დიანას უფრო. ორი ქალი გვეხმარებოდა. ფანჯრამდე ძლივს მივედი. დავილაღეთ.

რალაც ჯოხები მოგვიტანეს. ილღიებში უნდა ამოვიდოთ. ძნელია.

მეასევე გვეკითხებიან, ადრე თუ დადიოდითო. დიანა ჩუმად და, გაბუტულივით. მე უკვე მივეჩვიე აქაურობას, ნემსებსაც და წამლებსაც. ამბობენ, რომ მალე აღარ დავგჭირდება. წიგნები მენატრება.

ლინას დღიური

21 ივნისი

ღამეა. დერეფნიდან ზოლად შემოდის შუქი, ვცდილობ ფურცელზე მოვახვედრო. ზოგჯერ წერის სურვილი ყველაფერზე ძლიერია, ყველა სხვა სურვილზე...

ჩვენ რომ მონაზვნები ვიყოთ, დიდ შავ ნაჭერში გავხვევოდით,

დავმალავდით უცნაურ სხეულს,

ღმერთსაც ასე ვეჩვენებოდით.

ჩვენ რომ მუსლიმები ვიყოთ, ორ ჩადრს

გადავაკერებდით,

მერე ერთ ქმარს გავყვებოდით, იქ ხომ

მრავალცოლიანობაა...

ჩვენ რომ მსახიობები ვიყოთ, ორსახიან ნიღაბს

გავიკეთებდით,

ერთ ლამაზ კაბას ჩავიცვამდით და ვიცეკვებდით

ცირკის არენაზე...

მაგრამ ჩვენ აქ ვართ.

საავადმყოფოს თეთრ კედლებში.

ერთ ლოგინში...

მოლოდინში...

მუდმივ მოლოდინში...

ლინას დღიური

22 ივნისი

მზეა. კარგ ხასიათზე ვარ. ჩემი ლექსი გადავიკითხე და მომეწონა. მართალია ურითმოა, მაგრამ მაინც.

პირველად მომინდა, დიანასთვისაც მეჩვენებინა. დიანამ გამომართვა, დახედა და ერთადერთი რამე თქვა: „ეს ცირკი საიდან მოიტანე?“ რო ვიცი-მეთქი, მხარი ავიჩიქე. მე მეგონა მომესმაო, დიანამ მითხრა. იქნებ მართლა მოესმა, მაგრამ ამბობს, რომ ექთნები ჩვენზე და ცირკზე ლაპარაკობდნენ. დავიჯერო, ცირკში წაგვიყვანენ? ღმერთო, რა იქნება, მართლა წაგვიყვანონ ცირკში?! თეატრშიც წაგვიყვანონ! მე ყველაზე მეტად მაინც ზღვის ნახვა მინდა...

გული ისევ ამევსო სიხარულით და მოლოდინით. ასეთ დროს მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მგონი რალაც ახალი იწყება.

ზაზასაც ვეტყვით, ისიც წამოვიდეს ცირკში.

ლინას დღიური

22 ივნისი

ვაიმე, ტილოებიანი ქალი მოვიდა! რომ დავინახე, უცებ ისე შემრცხვა, სუნთქვა შემიკრა. თვალი ვერ გაუხსნორე. ლოყები ამენვა, ეტყობა გავწითლდი. ნეტა შემატყო რამე? მგონი მეზიზღება ეს ქალი!

ექთანმა უთხრა, უკვე დგებიან და აბაზანაში გავიყვანოთ. უკან გააბრუნა. კიდევ კარგი!

დიანამ მკითხა, რა გჭირსო. რას ვეტყვოდი?... ძალიან მრცხვენია... ეს რა დამემართა?..

სადილის მერე მარტოები, რომ დავრჩით, უცებ ისევ მომინდა ყაყაჩოების ნახვა. ფეხის თითებამდე დამიარა შურულამ... ნეტა მარტო იმ ქალს შეუძლია მათი გაჩენა?

კიდევ მინდა ყაყაჩოები! ოღონდ ისე, რომ არავინ გაიგოს! ეს ჩემი საიდუმლოა, მარტო ჩემი! არავინ უნდა იცოდეს, არც დიანამ! ღმერთმაც კი არა...

ლინას დღიური

დიანა სულ მაჩუმებს, ცდილობს ექიმებს მიაყურადოს.

დიანამ თქვა, რომ აქედან უნდა გავიქცეთ. ზაზას ტელეფონის ნომერი არ ახსოვს.

როგორ უნდა გავიქცეთ? ან რატომ? სად? სახლს მივაგნებთ? იქნებ, მართლა წალეკა წყალმა ყველაფერი?

გვერდზე ოთახიდან ზოგჯერ ყავის და სიგარეტის სუნი შემოდის. მსიამოვნებს. სიგარეტს ზაზა ენეოდა. ყავას ბებია სვამდა. ჩვენ ძალიან იშვიათად გვასმევდა, ისიც მარტო ნახევარ-ნახევარ ჭიქას. ნალექის ჭამას გვიშლიდა. არადა ყველაზე გემრიელი ნალექია.

ბებია მაღულარას გაზზე რომ შემოდგამდა, თავზე ედგა, თვალს არ აცილებდა, რომ არ გადმოსულიყო. ცოტა ხანში მანც გვესმოდა შიშხინი შუშუ... და ბებიას ბუზლუნი, ჯანდაბა ჩემს თავსო. ვკვდებოდით სიცილით. ეგრე უნდა, ჩვენ რომ არ გვასმევს, ჩურჩულებდა ჩემი და.

დიანამ პირზე ამაფარა ხელი. მე აზრი ვერ გამომაქვს ამ ბუტბუტიდან. ხან ტელევიზორის ხმა მიშლის, ხან თვითონ ლაპარაკობენ გაუგებრად. რალაც გაზეთს ახსენებდნენ, ჟურნალისტებს, „ანომალიას“. დიანამ თქვა, რომ ეს ჩვენ ვართ. ჩემი და, რამდენი უცხო სიტყვას გაიგებს, „პათოლოგია-ანო-

მალა-თერაპია“ სულ გონია, რომ ჩვენზე ლაპარაკობენ. მე კიდევ ლამის ლექსებივით ჩამესმის, ანალიზი-დიაგნოზი-ანამნეზი... კარგად ერთიმება. ნეტა რას ნიშნავს?

ჟურნალისტებს აქ მოსვლა აუკრძალესო, რალაცა სტატიაო... ფულიო, დირექტორიო, ყველაფერზე წამსვლელიაო... რა გავიგო? კიდევ თქვეს, ლამის შოუ არარეგალბულიო... თუ რალაც... უჰ, მიჩვენია ისევ ვნერო. რაში მაინტერესებს სხვისი ლაპარაკი? ვაი! ცირკი ახსენეს! დიანამ ისევ ამაფარა პირზე ხელი, თუმცა ხმა არ გამიღია.

როსტომს დედის სურათზე გაუშტერდა თვალი. ეს სურათი გასადიდებლად მამიდამ აარჩია. პორტრეტი მამის გადაღებული იყო. დედას თმა ჯერ ოდნავ შევერცხლოდა და გვერდზე გადავარცხნილი ჩვეულებისამებრ უკან შეეკრა. შავი ბლუზიდან ძენკვი მოუჩანდა, რომელზეც მედალიონი ეკეთა. სურათზე სამკაული ცუდად გაირჩეოდა, პასპარტუ ფარავდა, მაგრამ როსტომს ეს მედალიონი კარგად ახსოვდა.

ცივი მამის ბოლოს როსტომი სახლში რომ შემობრუნდა, დედის დაბადების დღის საჩუქრებიდან ერთ-ერთი აიღო და უბეში დამალა. მამიდის ნაჩუქარი შეფუთვით დაემახსოვრებინა. ჩათვალა, რომ მორიგ სუნამოს არავინ მოისაკლისებდა. პარფიუმერიას დედა თითქმის არ იყენებდა, მოჩუქურთმებულ თეთრ თაროზე აწყობდა და ისევ საჩუქრებად გასცემდა.

დილით ყუთი სწრაფად ჩაიდო უბეში და სახლიდან გავიდა. ავტობუსში გახსნა სცადა, მაგრამ ბაფთებიან ქალაღდს ვერაფერი მოუხერხა და შეფუთვის გაფუჭებას მოერიდა. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ყუთში სუნამო იდო, საჩუქარი ყურთან მიიტანა და შეანჯღრია.

ელენე დიდი ხნის გაღვიძებული ან საერთოდაც უძილო დახვდა. თმაგანწილი სამზარეულოში ჩაის ამზადებდა. როსტომის დანახვაზე მორჩილად გაიღიმა და კარადიდან მეორე ჭიქაც გადმოიღო. ერთი ჩაის ფერი ორივეს ამყოფინა. უშაქრო და შაქრიანი გაპიზინებული ფინჯნები ფრთხილად მიიტანა მაგიდასთან და თვალი შეფუთული ყუთისკენ გაექცა.

— არ ნახავ? — კმაყოფილმა ჰკითხა როსტომმა.

ელენე სიამოვნებით დასწვდა საჩუქარს. სათუთად შემოაცალა ფერადი ბაფთა და ჭრაჭუნა ქალაღდი. როსტომი სუნთქვაშეკრული მისჩერებოდა ხელეში. ელენეს სახეზე გაკვირვება და სიხარული გამოეხატა. მის ნატიფ თითებში ოქროს მედალიონმა გაიელვა ცალ მხარეს შავ-თეთრი ემალთი. როსტომმა ნერწყვი გადაყლაპა. უცნაურ ნივთს ორივენი ყურადღებით დააქცერდნენ.

— ინი და იანი! — ჩაილაპარაკა როსტომმა.

ელენემ გაკვირვებულმა შეხედა. მედალიონი გადმოატრიალა. ოქროს მხარეს ტყუპები იყვნენ გამოსახული. ემალრეზულ ზედაპირზე კი ორი ცრემლი მერწყმოდა ერთმანეთს ზედ შავი და თეთრი წერტილებით.

— მოგწონს? — ხმა ჩაუნყდა როსტომს და ჩაი მოსვა.

— საოცარია... — ფართოდ გახელილი თვალები შეანათა ელენემ. — აკი ჰოროსკოპებში ვერ ვერკვევიო?

— ჰო... რა ვიცი... — როსტომმა ნერვულად აიჩეჩა მხრები.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

ელენემ მაისურიდან ვერცხლის ჯაჭვი ამოიძვრინა, მამის ერთდარტი სახსოვარი — პატარა ვერცხლის ფოთოლი ჩამოხსნა და მედალიონი ჩამოიკიდა.

— შემიკარი! — ხალისით უთხრა როსტომს, ზურგი შეაქცია და კისრიდან თმა აიკრიფა. როსტომი დაბნეული იდგა და იმის გაფიქრებაც აფრთხობდა, რომ საჩუქარს მალე მოითხოვდნენ.

ლინას დღიური
24 ივნისი

არ ვიცი, აქ დროებით ვართ თუ... ღამე პალატაში შუქი აგვინთეს, წამოგვადგეს. ორი თეთრხალათიანის გარდა შავებში ჩაცმული კაცებიც იყვნენ. ზენრიდან ფურცლების გამოძრობა ძლივს მოვასწარი. შარვალი და ჯემპრი ჩაგვაცვეს. პატარა ოთახში შეგვიყვანეს, კარი თავისით დაიხურა. კედელზე ერთ-ერთ ლილას დააჭირეს და ოთახი დაიძრა. გული გამისკდა! მერე მივხვდი, რომ ეს იყო ლიფტი.

ქუჩაში ბნელოდა. მანქანაში ჩაგვსვეს.

ზაზას მანქანაში მე და ჩემი და ორჯერ ვისხედით, მაგრამ გაჩერებულში. არასდროს გავუსეირნებია...

არ ვიცი, თითქოს ოცნებები მიხდება, მაგრამ აღარაფერი მიხარია.

ფანჯრიდან სხვა მანქანებსაც ვხედავდით. ზოგი ჩვენზე სწრაფად მიდიოდა. ქუჩებში ბნელოდა, ზოგან ლამპიონები ენთო და უზარმაზარი შენობები ჩანდა. რამდენი რამე მოხდა ამ ერთ საათში... თუ ორში...

ეს ოთახი პალატაზე პატარაა, დაბალი. ლოგინშიც ძლივს ვეტივით. საშინელი სუნი დგას. სიჩუმეა.

დიანას კარის გაღება უნდოდა, მაგრამ გარედან ვართ ჩაკეტილები.

საბანი არ გვაქვს. მცვივა.

ლინას დღიური
25 ივნისი

ხმაურზე გაგვეღვიძა. თვალები რომ გავახილეთ, თავზე ვილაკ დიდი კაცი გვედგა, დიდი თავით. ტირილი მომინდა. ოთახში სხვა კაცი და ქალიც იყვნენ. უცებ გავიდნენ. ისევ გარედან ჩაგვეკეტეს. ამ ოთახს ფანჯარა არა აქვს. სული მეხუთება.

სად ვართ-მეთქი, დიანას ვკითხე და შემომიღრინა, მე რა ვიციო. ხომ გითხარი, საავადმყოფოდან უნდა გავქცეულიყავითო, იმეორებს.

აკი ცირკში უნდა წავეყვანეთ? ეს ხალხი ვინაა? ჩვენგან რა უნდათ? ღმერთო, გვიშველე!

მშია.

კარის ჩხაკუნზე წამოვხტი. ზღურბლზე ცოცხალი თოჯინა იდგა. გავშეშდი. გვიცინოდა. ვიგრძენი დიანა როგორ დაიძაბა. თოჯინამ ნაბიჯი გადმოდგა. წითელი ტუჩები და ლოყები ჰქონდა. ბრჭყვიალა კაბა ეცვა. მაგიდაზე ძეხვი და პური დადო. ჭამეთო, თქვა. ლაპარაკიც იცის! რომ გავიდა, გასაღების გადატრიალების ხმა ისევ გავიგეთ.

— ნამდვილი იყო? — მკითხა დიანამ.

მგონი, ბავშვი იყო... ასეთი პატარები ბავშვები არიან, მაგრამ არ ვიცი...

ჩვენი ბავშვობა სახლის სარკიდან მახსოვს. თვალწინ მიდგას, კოპლებიანი კაბა რომ გვეცვა და სარკეს ცხვირებს ვადებდით. ორი ლინა, ორი დიანა, ვამბობდით და სარკე იორთქლებოდა. თმა მოკლე გვქონდა, ბებია გვჭრიდა, სანამ პატარები ვიყავით.

ამასაც მოკლე თმა ჰქონდა. იქნებ ბავშვია?..

ძეხვს კანი მოვაგლიჯეთ, შუაზე გავტეხეთ და შეეჭამეთ. ამ ოთახს ტუალეტიც ქონია. რატომ გვეტეხავენ? ბებია არასდროს ჩავუქეტივართ.

ლინას დღიური
26 ივნისი

დიანამ ფურცლები მთხოვა. ჩემთვისაც აღარ მაქვს, იმას რა მივცე? გაბრაზდა და კალმისტარი წამართვა. ვერ ვიტან, ასე რომ იქცევა.

დიანამ თქვა, მოდი დავაბრაზუნოთ, ვიყვიროთ, გაგვიშვან აქედანო.

ვერ გავბედეთ.

ალბათ დაღამდა, ასე მგონია. შუქი არ ჩავაქრეთ, გვემინია. ეს ფურცელი მითავდება, რა მეშველება? სისულელეებს ვწერ, ტყუილად ვხარჯავ... ძირს ორი ყუთი დგას. იქ ფურცლები არაა, მაგრამ ფერადი ნაჭრები ვიპოვეთ და ზედ დავიფარეთ.

ტუალეტში რომ მოგვინდა, დიანამ დღიური გამოგვგლიჯა, ვერ ხედავ, ქალაღი არააო. არანორმალური! როგორ მამწანარებს! წავართვი, მაგრამ გაიხა.

დიანა შენ ხარ დებილი! ხო ცდილობ, ჩემი დღიური წაიკითხო, თან ისე, ვითომც არ გაინტერესებს! აჰა იკითხე, რამდენიც გინდა: მტერო! ბოლმა! უტვინო!

— მოხსენი! — უთხრა როსტომმა შიშველ ელენეს, რომლის კისერზეც გაუჩერებლად ქანაობდა ოქროს მედალიონი. ელენემ თვალები გაახილა და ძენკვი გაშლილ თმაზე გადაიტარა.

მას შემდეგ ელენე სამკაულსაც სკამზე, ტანსაცმელთან ერთად ტოვებდა. როსტომის ხმელ სხეულს მთელი ძალით ეკვროდა, გრძელი თითებით ებლაუჭებოდა და ამბობდა: „მიყვარხარ“... უპასუხოვს შეჩვეული მოთმინებით უსმენდა როსტომის სუნთქვას.

— მეც. — თქვა ერთხელ როსტომმა.

იმ დღეს ელენემ ბევრი იტირა. თვალები შეშუპებისგან უფრო დაუნვრილდა.

— მაპატიე რა... რაღა ვქნა ახლა? ეს ცუდის ნიშანია?.. ყველგან ვეძებე, არსად არაა... — ცარიელი ჯაჭვი ჩაებლუჯა ელენეს.

— არა უშავს... - ამშვიდებდა როსტომი. — სხვა რამეს გაჩუქებ... — პირდებოდა და ერთი სული ჰქონდა, მისგან თავი დაეხსნა.

მედალიონი როსტომმა დედას დაუბრუნა, მალულად.

ოჯახში მთელი კვირა არ დამცხრალა შფოთი. შენუხებულებმა აღარ იცოდნენ, რომელ სტუმარზე ეფიქრათ... ეჭვი დამლაგებელზეც კი მიიტანეს. როსტომი შეშინდა. მეტი ვერაფერი მოიფიქრა და მედალიანი ელენეს სკამიდან ჩუმად ააცალა.

— ასე იცის ოქრომ მიმალვა... — როსტომის ოჯახში შვებით ამოისუნთქეს და დანაკარგის გამოჩენას მარტივი ახსნა მოუძებნეს.

— ასე იცის ოქრომ მიმალვა... — გაიმეორა როსტომმაც და გულგატეხილ ელენეს მხარზე მოუთათუნა ხელი.

საპასუხოდ სიტყვა „მეც“ აღარასდროს წამოსცდენია. სინდისის ქენჯნამ მალე გაუარა და ახალი საჩუქარიც აღარ გახსენებია.

ლინას დღიური
ივლისი

ფურცლები ვიპოვეთ.

არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. ზუსტად არც ის ვიცი, რამდენი დღე გავიდა. ჯერ კიდევ არ გვაქვს პასუხი კითხვებზე, სად ვართ, როდემდე და რატომ. ავად აღარ ვართ, მაგრამ დიანა წოლას მაიძულებს, ვითომ ჯერ ისევ სუსტად ვგრძნობთ თავს. დიდი კაცის მეშინია. უნდა, რომ მალე ავდგეთ და დავინყოთ. რა უნდა დავიწყოთ, ვერ გავიგეთ. აქ ლაზარეთი კი

არ მაქვსო, ყვირის. საჭმელი იმ პატარა ქალს მოაქვს, ბავშვი ნამდვილად არაა, თოჯინა მითუმეტეს. აქ ცოტას გვაჭმევინ, საავადმყოფოში ჯობდა. სამინელი სუნის გარდა, ძალიან უცნაური ხმებიც გვესმის, ზოგჯერ ღრიალის თუ ბლავილის... აზრზე არა ვარ, რა ხდება... ხანდახან მუსიკაა ისე ხმამაღლა, ლამის ყურები გამისკდეს. ამ დროს მეც ვინცე სიმღერას, ტექსტი მე მოვიფიქრე, მელოდიაც. ცოტა მშველის.

დროდადრო კარს აღებენ, ვილაც შემოდის, ჩვენზე ეუბნებიან, ესააო და ლოგინიდან გვაგდებენ. დღეს ერთ ქალს და ორ კაცს უთხრეს, მოიფიქრეთ აქედან რა შეიძლება გაკეთდესო. ქალს ჯიბეებში ფუნჯები ეწყო და თითები ჰქონდა დასვრილი. ხელი ნიკაპზე მოკიდა, მშვენიერი სახეები აქვთო.

საშიში კაცი გვაიძულებს ავდგეთ, დავსხდეთ, ჩავიცუცქოთ, ხელები ავნიოთ. ცალ ფეხზე ვერ ვდგებით.

ეს ყველაფერიც სიზმარივითაა, საავადმყოფოზე უფრო არეული და ბუნდოვანი, ბევრად უარესი. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სხვის სიზმარში მოვხვდი... აკი ცირკში წაგვიყვანებო?

ლინას დღიური

3 ივლისი

ფუნჯებიანი ქალი მხატვარი მეგონა. გუშინ მარტო შემოვიდა, ხელახლა დაგვათვალიერა. რაღაც ლენტით გაგვზომა. მერე კანფეტი მოგვცა. მგონი კეთილია. ფურცლები ვთხოვე. გაუკვირდა. არა მაქვსო. ეგ როგორ? რანაირი მხატვარია? მერე დაბრუნდა და პატარა ბლოკნოტი მოიტანა, აი, ეს მქონდა ჩანთაში და რამდენი ამოგიხიოთო. „სულ!“ — წამოიძახა დიანამ. შემრცხვია. დიანას ისე ენატრებოდა დღიური, რამდენიმე დღის წინ კალმისტარი გამომართვა და ზენარზე დაიწყო წერა. ნაკითხვა მინდოდა და ალაგ-ალაგ ძლივს გავარჩიე. მუცელზე მაიძულებდა წოლას, სხვანაირად ვერ წერდა. დამტანჯა! ახლა დავისვენებ.

ბლოკნოტი შუაზე გავხიეთ. წინა ყდა ლამაზია, ვარდისფერი გული ახატია, ჩემია! უკანა, უნახატო ყდა და საწუნწი კანფეტი — დიანასი.

ჩემს დას არაფერი მოსწონს ჩემი. მე ვფიქრობ მშვენიერი ლექსი დავენერე და კარგადაც ვმღერო:

**ზღვა იქნებოდა ალბათ ლურჯი ანდა ცისფერი,
თითრი ტალღებით, მღელვარე და ვეება ფრთებით...
გულგადახსნილი მიგვიღებდა რძისფერ ნისლებში,
ჰორიზონტამდე მიგვარწევდა საკუთარ მხრებით...**

დიანას რა ესმის... ზენარზე დაუნერია, ჩემს სულელ დას აქაც ემღერებო. და, თუ სწორად გავარჩიე, კიდევ ეწერა, რომ ცირკიდან უნდა გავიქცეთ. კი მაგრამ, სადაა აქ ცირკი?

დიანას დღიური

4 ივლისი

მელირსა ფურცლები...

მეზიზღება ცირკი! ეს ჩაკეტილი ოთახი და ამ ოთახის მიღმა ყველაფერი, ვინრო დერეფნები, მტვრიანი ტანსაცმლით სავსე ოთახები, უცნაური, გიჟი ხალხი, მაღალი, საშინელი კაცი... აქ ჩვენთვის სახელი არავის უკითხავს. დგოიკას გვეძახიან. მგონი რუსული სიტყვაა, რას ნიშნავს, არ ვიცი. რუსულ სიტყვებს ხშირად ამბობენ.

ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ამ შენობას კარი საერთოდ არ აქვს. სადაა გასასვლელი? ფანჯარა ორგან ვნახე, გავიხედე და გარეთ ისევე კედლები მოჩანს. თითქოს რაღაც ბეტონის ყუთში ვართ ჩაკეტილები. ის უცნაური ბავშვი-ქალი ლილიპუტი ყოფილა, ეტყობა, ლილისაც მაგიტომ ეძახიან.

ბლოკნოტის ქალს ცოტა შევეჩვიეთ, მაგის ოთახშიც უკეთესი სუნია. უამრავი რაღაც უყრია მაგიდაზე, ფერადი საღებავები, პომადები, ფანქრები, ფუნჯები. ჩვენნაირი მუშაობის ჩანთებიც აქვს, ზუსტად ისეთი არა, მაგრამ მსგავსი. კედელზე ორი დიდი სარკეა, ჩარჩოზე ნათურებით. ეს ქალი ყველას ღებავს. სულ ჩქარობს და თავისთვის ლაპარაკობს. ჩვენც უნდა შეგვეღ-

ბოს. შეღებვის არ მეშინია, უბრალოდ ვერ გავიგე, რას გვიპირებენ. აქ ყველა სწრაფად დადის, დერეფნებში დარბიან. დღე და ღამე ამერია. აღარ ვიცი, როდის თენდება. მუსიკა გვალვიძებს. დღეში ორჯერ ისმის, ზოგჯერ სამჯერაც. კიდევ მესმის ტაშის ხმა, გრიალი. იქით აშკარად ხალხია, ბევრი ხალხი. მემშინია.

ლინას დღიური

5 ივლისი

დავიჯერო, მართლა ცირკში ვართ? დღეს იმდენი ადამიანი შემოგვივარდა ოთახში, ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო, ლოგინიდან ვერ გადმოვედი. ხელებს გვკიდებდნენ.

ესენი ვიცი, ვინც არიან! დახატული სახეები, ფერადი თმა და ცხვირები... ესენი არიან კლოუნები! წესით კეთილები უნდა იყვნენ. პატარა ქალიც შემოძვრა. იმის დანახვა მგონი მიხარია, უწყინარია. კიდევ ერთი დიდი, ლამაზი ქალია, მოკლე და ბრჭვილა კაბით. ასეთი კაბების შეკერვაზე მეც ვოცნებობდი.

ეს ხალხი საშიში კაცის ღრიალმა გაფანტა. მარტო ლილი და ლამაზი ქალი დარჩნენ. დგოიკას ნახვას მერეც მოასწრებთ, კი არსად გარბიან, საქმეს მიხედეთო, ყვიროდა კაცი. მხრებში მოხრილი შემოდის აქ, ძლივს ეტევა. ჩვენზე იკითხა, სიმღერა თუ შეუძლიათო. ლილიმ თქვა არაო. მე ხომ ვიცი, სიმღერა?

მერე ლამაზ ქალს მიუბრუნდა, რეჟისორმა რა მოიფიქრაო. ქალმა უთხრა, ორი ასეთი გოგო გვჭირდება, ხვალ კასტინგიაო. რას ნიშნავს?

საერთოდ რა ხდება? გარედან შემოსული ხმები ძალიან მაშინებს. ვერ ვხვდები, ვინ ან რა ღმუის... ხან ფრუტუნებს, ხან ჭყავის.

საშიშმა კაცმა, გვკითხა, რამდენი წლის ხართ. რომ ვუთხარით, 16-თქო, ძალიან გაბრაზდა. 16-ის კი არა 18-ისო, დაგიღვრიალა. 18-ის როგორ ვართ? 17-ის სექტემბერში გავხდებით.

ლინას დღიური

4 ივლისი

ნამდვილი ცხენი... რამხელა ყოფილა! დერეფანში მოყავდა კაცს. კედელს ავეკარით.

ფუნჯებიანი ქალის ოთახში ხუთი გოგო შემოვიყვანეს და დაგვატოლეს. ეს გოგოები ისეთი სახეებით გვიყურებდნენ, თითქოს ჩვენი ეშინოდათ. ახლოს მოსვლა არ უნდოდათ. ბოლოს უთხრეს, ამ ორის გარდა, ყველანი თავისუფლები ხართო. გოგოებს ჩვენსავით ქერა თმა აქვთ, ოღონდ უფრო მოკლე, მხრებამდე.

დიანას დღიური

4 ივლისი

აქ ცხოველები ჰყოლიათ, ეტყობა იმათი ხმა გვესმის. სუნიც იმათია? აწვალევენ თუ რა აღრიალებთ? კიდევ კარგი ცხოველებისაა ის ხმა... ჩვენთვის ჯერ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ მაინც სულ დაძაბული ვარ, ცუდის მოლოდინში.

ვილაც ახალი ქალი მოვიდა და საგრიმიოროში დაგვიბარა, იქ გელოდებითო. ახლა მივხვდი, რომ ჩაკეტილები აღარ ვართ. ნეტა საგრიმიორო რომელია?

დიანას დღიური

5 ივლისი

ლინა ტირის. თმა შეგვჭრეს, მხრებამდე ძლივს გვწვდება. მე უარესის მოლოდინში ამაზე არ ვდარდობ. თუმცა ძირს დაყრილ თმას რომ გვიდნენ, გული მომეწურა. დედას გრძელი თმა ჰქონდა... ოთახში ვიცდით. ჩვენზე თქვეს, შავ-თეთრად უნდა შევღებოთო. ლინა შავი იქნება, მე - თეთრი. ჩემთვის სულერთია...

ლინას დღიური

5 ივლისი

ასე ცუდად არავინ მოგვექცევია, ის საშინელი კაციც კი, სულ რომ გვიყვირის და ოთახში გვკეტავს. თითქოს ჩემი ნანი-

ლი მომაჭრეს. თავი დამიჭირეს, გამიკავეს. მაკრატლის ხრამში შუნი ყველაფერი მეკუმშებოდა, თითქოს მტკიოდა. თმასთან ერთად ცრემლები მცვიოდა. საზიზღარი ქალი!!! ბოროტი!!! როგორ გაბედა ამის გაკეთება...

ფუნჯებიანმა ქალმა, რალაც წამალი მომცა, დაგამშვიდებსო. დიანამ არ დალიოო, ამიკრძალა. ოთახში დავმალეთ.

ბებია ამბობდა, რომ წამალთან ძალიან ფრთხილად უნდა იყო. გვეუბნებოდა, ჩემი წამალი რომ დალიოთ, მოკვდებითო. აქ კიდევ რა გველის ნეტა?

ფრჩხილები საავადმყოფოში დაგვაჭრეს. რა კარგი იყო იქ, რა ტყუილად გვეშინოდა...

ლინას დღიური

6 ივლისი

დერეფნიდან სადღაც დაბლა ჩავვიყვანეს. იქ პატარა კიბეა და მერე ვინრო ასაძრომი. გვიტხრეს, რომ დოლის ხმაზე, იქ უნდა ავძვრეთ. ძლივს ვეტივით. ჩქარაო, გვიყვირიან. ახლა ჭამის დროა, მერე კიდევ დავეწერ.

დიანას დღიური

6 ივლისი

თუ არ შევასრულებთ, რასაც გვეუბნებიან, რა იქნება? დაგვატარებენ წინ და უკან, გვხდიან, გვაცმევენ, სადღაც ძრომიანს გვაიძულებენ. დაფიქრებასაც ვერ ვასწრებთ. სამში იჯერ არაფერი დაუვალებიათ...

ვერაფრით ვისხენებ, საიდან შემოგვიყვანეს. უნდა მივაგნოთ, როგორმე უნდა ვიპოვოთ... გასასვლელიც ეგ იქნება!

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი გასაძრომი ვიცი და ისიც ბნელ ყუთში გვახვედრებს. უცნაური გრძობა მაქვს, თითქოს აქ წამყოფი ვარ. რანაირად?..

ზემოთ დოლზე აბრაგუნებენ და გვეძახიან, ჩქარაო. სულ ეს გვევალება? ამისთვის მოგვიყვანეს აქ? ნეტა ლილი და ის ქალი რას აკეთებენ? ან დანარჩენები. ლილის რატომ არ დაავალეს აქ შეძრომა? ჩვენზე ადვილად შეეტეოდა.

ლინას დღიური

10 ივლისი

სუნთქვა შემიქრა. სინათლემ უცებ დამაბრმავა, მერე ნელ-ნელა დავინახე სკამები. დარბაზი უსასრულოდ დიდია. ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორ შეივსება ბავშვებით. ამდენი ბავშვი მოვა? ალბათ დიდებიც იქნებიან. ექიმები თუ მოვლენ? ტილოებიანი ქალი არ მინდა.

თუ მოვეწონებით, ტაშს დაგვიკრავენ. მუსიკა აღარაა გამაყრუებელი, შევეჩვიე. მოვეწონებით ხალხს? რომ არ გამოგვივიდეს? მთავარია, ქვემოდან სწრაფად ამოვძვრეთ და მერე ყუთიდანაც გამოგვიშვებენ.

რატომ გვღებავენ, ეს ვერ გავიგე. მარტო ჩვენ კი არა, იმ გოგოებსაც შეღებავენ. ერთს — ჩემსავით — შავად და მეორეს — თეთრად.

აქამდე დვოიკას თუ დვაინოის გვეძახდნენ. ახლა რალაც ახალი მოგვიფიქრეს, ჯერ ვერ დავიმახსოვრე.

დიანას დღიური

10 ივლისი

ყუთი გაგვიღეს. ზედ არენაზე მდგარა. რა დიდი ყოფილა აქაურობა, უზარმაზარი. ყველაფერი ბრწყინავს და ანათებს. გული ამიფრიალდა. არ ვიცი, კარგი განცდა მაქვს თუ ცუდი, მაგრამ რალაც უცხო და ახალი. ჭერი ძალიან მაღალია, ძააა-ლიან. მოგინდება, აფრინდე! ზემოთ რკინებია გადებული, რალაც მილები, თოკები... მე და ლინას გვითხრეს, რომ წინ უნდა გადავდგათ 4 ნაბიჯი, ბალკონზე გამოდითო. რა არის, არ ვიცი, მაგრამ ბალკონით დავიმახსოვრე. თავი უნდა დავხაროთ და კულისებში გავიდეთ. სულ ესაა.

ლინას დღიური

13 ივლისი

აქ იმაზე მეტი ხალხი ყოფილა, ვიდრე მეგონა. კლოუნების გარდა ერთნაირად ჩაცმული მოცეკვავეებიც დარბიან კულისებში. ერთმანეთისგან ვერ გაარჩევ. ბებია ამას ჩაცმულს კი არა გახდილს ეძახდა. ბრაზობდა ასეთ ქალებზე. როგორც ვიცი, ხალხი ასე ზღვაზე დადის.

აქ არავის არაფრის რცხვენია. პირდაპირ იხდიან და იცვამენ.

დღეს ლამაზი ქალი გრიმიორს ელაპარაკებოდა, კალგოტკა დამიხია და 10 ლარით მეტი მოვთხოვეო. გრიმიორმა, ვაიმე, ეგეთი მხეციაო. იმან უთხრა, ხელები აქვს შკურკასავით. არ მომცემს და მაგისი აჯობებსო. უამრავ ასეთ ამბავს ვისმენთ, მაგრამ ვერაფერს ვიგებთ. ნიგნებში და კინოებში გასაგებად იყო ყველაფერი...

ლილი საყვარელია, მისი ადვილად გვესმის. იმ დღეს კურდღელი დაგვაჭერინა ხელში. როგორი ფუმფულა ყოფილა, არ იკბინება!

დიანას დღიური

13 ივლისი

რა შეიცვალა მას მერე, რაც ბებია მაგიდის ფეხზე გვაბამდა? აღარ გვაბამდა და ჩვენ მაინც არსად წავსულვართ. საავადმყოფოში ექიმებმა მილები რომ მომხსნეს, ვერც მაშინ გავიქეცი ვერსად. აქ გვეკეტავდნენ, ახლა კარი ღიაა და რას ველოდები? წარმოდგენას? პირდაპირ სცენიდან გავიქეცივით თუ რა? ვერსადაც ვერ გავრბივართ... ან სად დავიშლები, ჩემს დას სად გავექეცივით? ჩემს თავს? რაში გამოვიყენებ თავისუფლებას?

როგორ ცხოვრობენ ისინი, ვინც ტყვეები ან პატიმრები არ არიან?

ლინა ოცნებობს მაინც, ზღვაზე, დიზაინერობაზე, მამაზე... და მე? რა მინდა მე?

იქნებ ყველგან წასვლა შეუძლებელია. იქნებ განსხვავება მარტო მანძილებშია? ხალათის ქაშარი მაგიდის ფეხიდან კარამდე არ მყოფნიდა. აქ ძალიან პატარაა ჩვენი ოთახი, საავადმყოფოს პალატის ნახევარი. ახლა ამ ბეტონის ყუთშიც შემოდის ვიმოდრაო. ყველგან არ გვიშვებენ, მაგრამ აი, უკვე სცენაზეც აგვიყვანეს. რა იქნება უფრო შორს თუ წავალ? ქალაქის ქუჩებში. ვნახავ შენობებს, ტყეებს, მთებს. ზღვას მეც ვნახავდი... გადავკვეთავ ზოლებს, რომლებიც ჩვენს რუკაზე იყო დახაზული. სხვა ქვეყნებში წავალ. დედამინა მრგვალიაო და ბოლოს ალბათ ისევე აქ მოვალ. განსხვავება მანძილებშია. რისი ტყვე ვარ მე? ჩვენი სახლის, პალატის, ამ ოთახის, მთელი ცირკის თუ დედამინის? განსხვავება ზომებშია... ვის რამხელა საკანი ერგო...

ლინას დღიური

13 ივლისი

მესიზმრა ეზო, ჩვენი ეზო, ფერად შეცვლილი გამრავლებულა ვაშლ-ატამა, გაუვალი ტყე... მიწყნარებულა მდინარეა უწინ შემულილი... და სიჩუმისგან უნებლიედ ისიც შევიტყვევ, რომ არ წავსულვარ, კვლავ იქ ვდგავარ გახვევებული, მინის, ჰაერის, სიცოცხლის თუ ჩემი თავის ტყვე.

* * *

როსტომმა სამსახურში თანამშრომელს ჩანაცვლება სთხოვა და დეკანს რამდენიმე დღით გაენთავისუფლა. ექიმთან მივდივარო, იცრუა. მუშაობა ბოლო დროს უჩვეულოდ უმძიმდა. სასმელის გარეშე თანდათან ყველაფერი გაუფერულდა, თანამშრომლებთან სალაპარაკოც ერთბაშად გამოელა.

სამსახურიდან წამოსული ლიფტში გაიჭედა. როსტომის გარდა კაბინაში კიდევ რამდენიმე ადამიანი იყო. ერთ ქალს

ემინოდა, საკუთარ ფეხსაცმელებს ნერვულად დაჰყურებდა და პატარა სივრცეში უხერხულად წრიალებდა. მეორეს შვილთან აგვიანდებოდა, მობილურზე რეკავდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა. პორტფელიან კაცს კრებაზე ეჩქარებოდა, წამდაუნუნებდა. კაბინაში ლექტორებთან ერთად სტუდენტებიც იყო, გოგო ბრელიკებიანი ზურგჩანთით ყველას ავიწროვებდა, ლიფტის კარს მიღმა შეყვარებულს ელაპარაკებოდა, ღრიალში კალმისტარს ყოფდა, რომ ბიჭს შეხებოდა და უდარდელად კისკისებდა.

როსტომი კი მდუმარედ იდგა, არც ემინოდა, არც არავინ ელოდა. სხვების ცხოვრების უნებური მაყურებელი გაურკვეველი სევდით ივსებოდა. ისეთ სიცარიელეს გრძნობდა, როგორც დაწოლის წინ მოპირდაპირე კორპუსის მყუდროდ განათებული ფანჯრების დანახვისას.

როსტომი მეორე დღეს პროკურატურაში იყო დაბარებული.

ლინას დღიური

16 ივლისი

დღეს შეგვლებავენ. დღეს, დღეს, დღეს...

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა...

შავ-თეთრი კაბა შეგვიკერეს. დიანას თეთრ ნაჭერზე შავი ბურთი ახატია მუხლთან. მე ჩემს შავ კაბაზე მაქვს თეთრი ბურთი მკერდთან. დავიმახსოვრე, რასაც გვეძახიან: ინი და იანი. ასე ჰქვია ჩვენს ნომერსაც. თმა აგვიწიეს. ის ორი გოგოც ჩვენსავით შეღებეს, შავად და თეთრად. ჩვენნაირი კაბები ჩააცვეს. დაგვამსგავსეს. დაჯდომას გვიკრძალავენ. ოთახშიც იმ პირობით გამოგვიშვეს, რომ არაფერს მივედებით. ვდგავართ და ისე ვწერთ. ვწერვილობ...

ბავშვებს ვნახავთ, ნამდვილ ბავშვებს. მიხარია! წარმოდგენამდე ჯერ დროა, მგონი ორი საათი. რეპეტიცია დილით გავიარეთ. შეგვაქვს. წესით ყველაფერი უნდა გამოგვივიდეს. მაინც შემინია...

დიანას დღიური

16 ივლისი

გავშემდით უკვე, აღარ შემიძლია! გრიმიორმა გვითხრა, 10-15 წუთიც და მერე შეგიძლიათ, დაჯდეთო. კანი დამეჭიმა, გამიქვავდა. სარკეში ვერ ვცნობ ჩემს თავს. ქანდაკებას ვგავართ. საგრძობად კედელზე საათი კიდეა. ნეტა სწორია? ამ დროს ჩვენ გვეძინა უკვე. აკი ბავშვებიც ადრე იძინებენო? თურმე კი არ იძინებენ, ცირკში დადიან.

დღეს ჩვეულებრივზე ბევრი ხალხია. ისინიც აქ არიან, სინქრონული მოცეკვავეები, ნახევრადმშველები. ერთი ისე უხეშად გამედო, ჩემი საღებავი გადაუვიდა და ჩხუბი დაიწყო. რა თქვა, არ ვიცი. სხვა ენაზე ლაპარაკობს, ალბათ რუსულად.

ლინას დღიური

16 ივლისი

ერთი წუთით დავბრუნდით, ვჩქარობთ. დაბლა უნდა ჩახვიდეთო, გავგაფრთხილეს. ამ დროს დერეფანში კაცი გადავიდგა წინ. უცებ შემეშინდა. ეს კაცი... არ ვიცი, როგორ ვთქვა... სხვანაირია, ყველასგან განსხვავებული, ჯადოქარი! ისეთი საოცრება გააკეთა, დაჯერებაც კი მიჭირს. ცარიელი ხელებით ჩვენს თვალებს თაიგული გააჩინა! კინაღამ გავგიჟდი! ჩემი ყაყაჩოები! ნამდვილი არა, ხელოვნური, არასდროს დაჭკნება! სულ მექნება... დიანა მაჩქარებს, რა დროს წერააო. ჩვენი ნომერი იწყებააა...

დიანას დღიური

16 ივლისი

ბავშვები არ იყვნენ. შუქი ძალიან მჭრიდა თვალს, მაგრამ, რაც გავარჩიე, უამრავი კაცი იყო და მხოლოდ რამდენიმე ქალი... მარტო ტამს კი არ უკრავდნენ, უსტვენდნენ და ყვიროდნენ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც გვასწავლეს. სცენიდან

გასვლა რომ დავაპირეთ, უკან დაგვაბრუნეს, ცოტა ხანს კიდევ დაგვაყენეს, რამდენჯერმე დაგვატრიალეს.

არავის უთქვამს, კარგად გამოვედით თუ არა. ერთმანეთში რალაცას ლაპარაკობდნენ, ისევ ვერ ვიგებ ამ სიტყვების მნიშვნელობას: ანლაგი... ფურორი... მერე ლილის ვკითხავ ან გრიმიორს.

უცნაური ემოციით ავივსე. მომეჩვენა, რომ რალაც მნიშვნელოვანი გავაკეთეთ. არადა რა? მაგრამ ხომ ყველამ დაგვიკურა ტაში?! ე. ი. მოვენონეთ.

გვეძახიან, უნდა წავიდეთ.

ლინას დღიური

16 ივლისი

ისეთი აფორიაქებული ვარ, მგონი ვეღარც დავიძინებ. ხელ-ფეხში ძალა გამომეცალა, მაგრამ გული სიხარულისგან მიფრიალებს... ყველაფერი გამოგვივიდა.

კაცებმა ყვირილი რომ დაიწყეს, უცებ შემეშინდა. ბავშვები საერთოდ არ იყვნენ. იქნებ მაინც არა ვართ ცირკში? ან ეს სხვა ცირკია... დიდების.

კაცები უსტვენდნენ. ეტყობა, ძალიან მოვენონეთ. მერე უფრო მეტს დავწერ, ახლა დრო არ მაქვს.

დიანას დღიური

16 ივლისი

საშინელება იყო!

ცოტა დავწყნარდით და ლილი გავიდა. დიდ ხანს იჯდა აქ, ორივეს გვეფერებოდა: „ნუ გეშინია, ნუ გეშინია... არაა საშიში“ — ათასჯერ გაიმეორა... როგორ არაა საშიში?... როგორ თუ არაა საშიში?

კაბა გავგხადეს, პლედი მოგვახურეს და ცხენებთან წავვიყვანეს. იქ ცოტა ხანს ვიცდიდით. უცნაურმა კაცმა შემოყო თავი, რალაცებს რომ აჩენს. რა სასწაული კაცია მართლა... ლინა მის დანახვაზე შეიკუმშა, პლედს ჩაებლაუჭა და ნიკაპამდე აიფარა, შერცხვა.

კაცმა დაიძახა: „ინი-იანი მალაცი!“ და გაქრა.

მეორე ოთახში გავვიყვანეს და იქ მოხდა ეს კომშარი. ახლაც მაკანკალებს. კედელთან დაგვაყენეს ფეხშიშველები. პლედი გამოგვართვეს და ტიტვლებს ისე ძლიერად მოგვიშვირეს წყალი, კინაღამ წავიქეცი. მეგონა დავიღუპეთ. მე და ლინა არაადამიანურად ვყვიროდით. ხალხი შემოცვივდა. ჩვენ არაფერი გვესმოდა ერთმანეთის ხმის გარდა. შიშისგან კინაღამ მოვკვდი. სანამ წყალი არ გამოართეს, ვყვიროდით. თუმცა მერეც ვყვიროდით... ძლივს გავგაჩუმეს.

იქნება, ეს ხმები გვესმოდა ოთახში. იქნებ ცხოველებს კი არა ხალხს აწამებენ? რა ხდება აქ?

ხომ ყველაფერი გავაკეთეთ, რატომ მოგვექცნენ ასე?

გრიმიორმა გადაგვარჩინა. გამოგვიყვანა, პირსახოცით გავგვწმინდა. ძლივს მოგვაშორა საღებავები. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო...

ლინას დღიური

16 ივლისი

ღმერთო, რისთვის დავგსაჯეს ასე?

ფუნჯებიანი ქალი რომ არა, ახლა ცოცხლები აღარ ვიქნებოდით! რისთვის გვხოცავდნენ?! ამ ერთი წარმოდგენისთვის ვჭირდებოდით მარტო? ლილიმ გვითხრა, უბრალოდ გახანდნენო, რა სისულელეა?! ცხენებსაც კი ემინოდათ, ისინიც აჭიხინდნენ. ახლაც ვკანკალებ, ძლივს ვწერ... რატომ გვატყუებს ლილი? არ ესმის, რას გვიპირებდნენ? არ სჯერა ჩვენი... წყალდიდობას ფუნჯებიანმა ქალმა გადაგვარჩინა. დაუყვირა, რას უკეთებთ, არ იცით, ამათ რა გადაიტანესო... კიდევ კარგი, ღმერთო, კიდევ კარგი...

ლილიმ არაყი მოგვიტანა, საშინელი გემო აქვს, ვერ გადავყლაპეთ.

დღეს ყაყაჩოებთან ერთად დავიძინებ.



პოეტური ესე? რა ვიცი... ნერას რომ მოვრჩი, მერე გავაცნობიერე ყოველივე. ესეც ჯაკომოს ბრალია: მაღალი პოეზიაა, კულტურული... და შთაბეჭდილებაც — ზესკნელი... დაე, დარჩეს ისეთად, როგორც თავად ჯაკომომ დამანერინა — მარტო ჩემი რომ იყოს, პროზად დავწერდი.

ზაზა მრელაშვილი

ფიქრები, აღქმული „ჯაკომო პონტისგან“

Со мною люди без имен
Дерева, дети, домоседы.
Я ими всеми побежден
И только в том моя победа.
ბორის პასტერნაკი

ბევრი პოეტი ლაპარაკობს. მაგრამ მხოლოდ დათო მალრადე ლაპარაკობს „ეგრე“: ჯაკომო პონტის ასამართლებენო, ისე ამბობს, თითქოს დიდი ხანია მასთან ერთად ცხოვრობს და მასთან ერთად განიცდის ავტოკრატიის ნეგატივს... თუმცა, რაღა „თითქოს“, ნამდვილად ეგრეა — თავადაა ჯაკომო, ძე კოზიმოსი... ასე ვთქვათ, „ვიზუალურად“ იგრძნობა ის სახეცვლილი, დამახინჯებული სამართალი, რომელსაც ჯაკომოს სახით ჰყავს მძევალი, ხოლო ბრალმდებელი, გინა საქმის მკერავი და მწარმოებელი გახლავთ ხალხი, სახელმწიფო, ავტორიტარული ფრაქცია, რაღაც ამორფული და წარმავალი წყობილება, რომელსაც მომავალი არ გააჩნია. თუმცა პოემაში არ იგრძნობა ეს. არ იგრძნობა, რომ ამგვარ უსამართლობას მომავალი არა აქვს. თითქოს სამარადჟამოდ დაივანა ამ ისედაც ცოდვილ ირგვლივითში, სადაც ადამიანები ანგარიშიუცემლად, უპროტესტოდ, ავტომატურ რეჟიმში განაგრძობენ ცხოვრებას... დათო კი ხედავს ყოველივე ამას და სამყაროც კი ეცოტავება სასუნთქად.

დიქტატურა... რა ამაოა მისი არსებობა. მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითი შენარჩუნებაა იმ ყალბი ფასეულობებისა, რომელთაც დემოკრატიულ სივრცეში თავისთავადი შენარჩუნება უწერიათ. ახლა კი ნაშლა, ალგვა ემოქრებათ. აქ უკვე პიროვნება-ტირანზე აღარაფერია დამოკიდებული, აქ უკვე დრო მოქმედებს:

„და ეს შეკითხვა გამიჩნდა მტერი: — დრო მე გამასწრებს, და ან დროს თუ მე?!“
ახალ კოსტუმსაც დაედო მტვერი, არც რამე ხდება სამკოსტუმე.“
მართლაც-და, არც არაფერი ხდება...

არც მოხდება, რადგან ფსევდო- და მასკულტურის ეგზალტაციის პირობებში (რომელიც, ჩვეულებისამებრ, ყველა დროისა და ეპოქის დამახასიათებელი ატრიბუტია) თავად პოეტს უჭირს ჯანსაღი სიახლის ვინმესთვის გაგებინება და დაჯერება... ბრბო მიეჩვია, თუმცა საზოგადოება (მოაზროვნე) ისევ სიახლის ძიებაშია, ოღონდ წარსულში! ჰო, წარსულში, რადგან აწმყოში თითქმის აღარაფერია მათ ირგვლივ დარჩენილი სულის საამებელად. ყველა ყვავილი მონყვიტეს, ტყეც გაკაფეს და ბალახიც გადაქელეს. ახლა მარტოა ჯაკომო, ირგვლივ კი უსამართლობა და ვანებული...

სასამართლოა... ჯაკომოს ოცნება ედება ბრალად!

მთელი პოემიდან ჩანს და მკითხველიც აშკარად გრძნობს, რომ პოეტისთვის უცხო და მიუღებელია ისეთი სახელმწიფო, როგორშიც ჯაკომო პონტის უწევს ცხოვრება. უსამართლობისა და ტირანიის ბუნებრივი სიმბოლო აბრკოლებს კულტურის განვითარებას და ადამიანებს მომავლის რწმენას ურყევს. **კულტურული** საზოგადოებისთვის მეტისმეტად ძნელია ყოველივე ამის გაცნობიერება, გადახარშვა და მონელება. და სწორედ ამ დროს ავტორის წარმოსახვაში ჩნდება ორი საოცრად მართალი და ადამიანური გრძნობა — **სინანული**:

ისე ვახუნდა წმინდანის ფრესკაც,
როგორც სარკეში ჩემი ბავშვობა
და ვხედავ იმას,
რაც დარჩა ჩემგან, —
ბალი მებალეს როგორ დაშორდა.

და პროტესტი:

ამორალური ცელქობს ელიტა...
ვზივარ და ვდევნი ფიქრებს უამურს,
ერთი ადგილის თამაშს ვერ იტანს
პირბასრი ფიცი და სამურაი.

რა ხდება?
ნუთუ იმისთვის ჩნდებიან, ცოცხლობენ
და კედებიან ჯაკომოები, რომ ასეთი ქვეყანა აშენონ?
ქვეყანა, სადაც ოცნების უფლებაც
ჩამორთმეული აქვთ ინდივიდებს.
ეგაა, ინდივიდებს-მეთქი, თორემ
ბრბო ოცნებებით არც გამოირჩევა.
არც იმ მიწიერ და პროზაულ ფიქრებზე მაქვს საუბარი,
რაც, ჩვეულებისამებრ, მასას ახასიათებს
(„გზა, დენი, საჭმელი“...).
პიროვნულ თავისუფლებასა და ღირსებაზე ოცნება
მხოლოდ ინდივიდთა ხვედრია
და ამგვარი ოცნებებიც მაშინ მძაფრობს,
როდესაც მათ ირგვლივ დიქტატურა და ტირანია ზეობს.
ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა მოაზროვნეთათვის,
ვინაიდან ვინ, თუ არა ისინი, ნათლად ხედავენ,
რა ემართება კულტურას,
როდესაც არაბუნებრივი რეჟიმის პრესის ქვეშ იმყოფება:
ველარ ვითარდება ხელოვნება,
კვდება ლიტერატურა,

წიგნები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იბეჭდება,
რომ უნდა დაიბეჭდოს.
ხოლო ადამიანები კი გადაქცეულნი არიან ერთ მთლიან მასად,
რომელსაც ერთმანეთისაგან ველარ განურჩევია
მხატვრული გამოცემა და საჩივრის წიგნი:

მოქალაქე კი ქცეული მასად
რაც ხდება გარეთ,
შეიტანს შიგნით,
წიგნის თაროდან აირჩევს რასაც,
იქნება ალბათ საჩივრის წიგნი.

დიდებული ნათქვამია და, რაც მთავარია, სიმართლეა...

აი, ასეთი უსახური და უპერსპექტივო მომავალი აქვს
უკულტურო საზოგადოებას...
ამიტომაც, რომ პოეტი წარსულის
გაუხუნარ სურათებს იშველიებს
ყოფიერების შესაღამაზე ზებლად,
დღევანდელით უკმაყოფილო იხსენებს
„აივნი თუჯზე გადმოდგარ ბებოს“,
რომელიც შინიდან გასულს პირველად ადევნებს და
პოეტს ამ სიტყვებს ათქმევინებს:
„რა ხალხი ესხდა ჩაიზე ფინჯანს,
რა თეთრი იყო თეთრი საყელო“...
ზუსტად დასმული აქცენტია:
„თეთრი“ — არამარტო სისუფთავის,
არამედ როგორც სინმინდის, პატიოსნებისა და
კეთილშობილების სიმბოლო...
თუმცა ეს არ გახლავთ
ბუნებით რეტროგრადი ადამიანის ნაუბარი,
რომელიც ანმყოფად პირდაპირ წარსულში გადაგიშვებს,
ისე, რომ აქეთ მოხვედრის სურვილიც კი გაგიქრეს.
ასეთი ადამიანებისთვის დამახასიათებელი მელანქოლია
სრულიად ბუნებრივად ესადაგება იმ მდგომარეობას,
რომელშიც ჯაკომო იმყოფება.
ეს უფრო ერთგვარი ნოსტალგიაა
იმ დროისა და ვითარებისა,
რომელიც მინიმუმ ერთი თაობით ადრე სუფევდა.
ამქვეყნიდან წასულ უახლოეს პიროვნებებთან
აზრობრივი და სულიერი კავშირი
მთელ პოემას ასაზრდოებს და მკითხველს რიდით ამცნობს,
თუ რაგვარი მოწინება და პატივისცემა გააჩნია ჯაკომოს
მათ მიმართ.

რად ხდება ასე?
იმად ხომ არა, რომ მაშინ უფრო მეტი სინმინდე,
პატიოსნება და სულიერება ფეთქავდა ადამიანებში?..
რისი ბრალია ეს?
შემთხვევით იმის ხომ არა,
რომ ტირანიისა და დიქტატურის პირობებში
ცუდი წარსულიც მოსანატრებელი უხდება მოაზროვნეს?
ჰოო... ადეკვატურია, რა თქმა უნდა.
მითუმეტეს მაშინ, როცა იმდროინდელი სოციალური
და კულტურული გარემო
გაცილებით მეტ სულიერ სარჩო-საბადებელს
სთავაზობდა ადამიანს, ვიდრე ჯაკომო პონტის ეპოქა.
და სწორედ აქ ვლინდება დათო მალრადის პოეტური ოსტატობა.
იგი ფილიგრანული სიზუსტით სვამს აქცენტებს
ისეთ სათუთ თემებზე,
როგორცაა ბავშვობა და ყმანვილკაცობა.
მისი ყრმობის დროინდელი სამშობლო...
სახლი („მამის სახლიდან... მამის სახლისკენ...“)...
ოჯახი... მშობლები...
ნეორეალისტური ფილმის
შავ-თეთრი კადრებით გაუკრთება თვალწინ
ან გარდაცვლილი მამა, რომელსაც კალთაში უზის...
დედა, რომელიც საინჰალაციოდ ამზადებს:

ინგალაცია საათით ქვიშის...
თან კეფას სუნთქვა ესება მამის
და ქრება უცხო სამყაროს შიში
და ქრება შიშის ყოველი ნაში.

ასეთი ზედმინეწილობა და სიმძაფრე განცდისა,
თუნდაც ემოციისა...
ასეთი დოკუმენტურობა და სიცხადე მოგონებისა...
იმდენად შთამბეჭდავია ეს „კეფას სუნთქვა ესება მამის“, რომ...
ეჰ, რამდენი ჩვენგანი მჯდარა ბალღობისა მამის მუხლებზე,
მაგრამ მისი სუნთქვა რომ კეფაზე გვეგრძნო
და გონებაში ჩავგრჩენოდა,
საამისოდ დათო მალრადის პოეტური ნიჭია, ალბათ, საჭირო.

ანდა ეს კიდევ:

აქეთ დედაა თვალების სარკით,
იქით ნისლია, შიშის ეჭვებით,
ორი სამყარო —
ცუდი და კარგი,
გადატიხრული მამის ბეჭებით.

გენიალური სურათია, ყრმის თვალთ დანახული...

აი, სწორედ ამგვარი პოეტური ტილოებია სრულყოფილი,
სრულფასოვანი კულტურის ერთგვარი ინდიკატორი.
კულტურა არა მხოლოდ ერის (ხალხის, საზოგადოების)
ისტორიული ღვანლის ანარეკლია ხელოვნებასა და
მეცნიერებაში,

არამედ უდიდესი სულიერი საკვებიც,
რომელიც მომავალი თაობის სწორად აღზრდისთვისაა
აუცილებელი.

სწორად აღზრდა, თავისთავად, გულისხმობს ზრდილობას,
რაც, თავის მხრივ, ბევრ რამეზე უარის თქმასთან,
ანუ **თავშეკავებასთან** ასოცირდება.
„ბევრ რამეზე“-მეთქი, — საცდუნებელი ვიგულისხმე.
ამქვეყნად კი მართლაც ბევრი რამაა საცდუნებელი...
„მინდა და მორჩა!“ „მე ასე მსურს!“ —
ამ პრინციპების ავტორიც ადამიანია,
თუმცა...ამგვარი პრინციპების მქონე ადამიანთა

კულტურულობა,

რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოა.
ეს პრინციპები,
თავიანთი შინაარსობრივი თვალსაზრისიდან გამომდინარე,
ფაქტურ ინსტიტუტებთან უფრო ახლოა,
ვიდრე ადამიანურ გრძნობებთან.
ჩვენ, ჯაკომოები, ხომ ხშირად, მიუნჰაუზენივით ვცდილობთ,
საკუთარი თავი საკუთარივე თმით ამოვართით ბინძური
წუნწუნებიდან...

ჰო, ამას მხოლოდ ჯაკომო ცდილობს,
სხვები კი ძველებურად ისევ იმ
საცდუნებლებით ნაბილწულ ფარვატერში ბანაობენ.
გონებაში თავისთავად მწიფდება ბანალური კითხვა —
სადა ბანაობთ?!

თუმცა, საეჭვოა, მობანავთაგან ადეკვატური პასუხი მივიღოთ.
მათ ასე სურთ და მორჩა!
ერთიან სიბინძურეში მცხოვრებნი
თავშეკავებისაკენ ვერ მოუწოდებენ ერთმანეთს.
პირიქით, ეჯიბრებიან კიდევ ერთიმეორეს,
ვინ უფრო მეტ სიბინძურეს შეინოვს და
წარმოშობს თავის გარემო.

ვნების გრძნობა ადამიანურია და
ცხოველებისაგან იმითაც განვსხვავდებით,
რომ შეუსაბამო ვითარებაში თავის მოთოკვა შეგვიძლია.

თუმცა ჯაკომო პონტის ეპოქაში საზოგადოება (განსაკუთრებით ახალგაზრდობა) ამ საკითხისადმი, რბილად რომ ვთქვათ, ინფანტილური გახდა. ფართო გასაქანი მიეცა ეპატაჟს, სკაბრეზს და აქედან გამომდინარე — სკანდალურ ვარიაციებს, რის შედეგადაც, ცალკეული ინდივიდები, მასის გარკვეული ნაწილისთვის ცნობილები ხდებიან. საავალალო ისაა, რომ ყოველივე ეს დემოკრატიითა და ადამიანის უფლებათა დეკლარირებით მართლდება

(და რა შუაშია ყოველივე ზემოთქმული „ჯაკომო პონტისთან“?)

აი, ასეთი აზრები მომდის...).
XXI საუკუნეში ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს, რომ **უფლება, თავშეკავების** გარეშე, **უზრდელობასთან** ასოცირდება და საკუთარი „მე“-ს არაეთიკური გამოხატვა, მიუღებელი ფორმებით თვითდამკვიდრების მცდელობა **უკულტურობის** უტყუარი მაჩვენებელია. ხოლო უკულტურობა, თავშეკავების უნარის არქონა, ხშირად გამხდარა მიზეზი თვით ერებისა და სახელმწიფოების გადაშენებისაც კი. ალბათ, სწორედ ამიტომაც ამბობს დათო მალრაძე:

*ფხიზელი თვალით, მტერმა უყურა,
ამ ვინრო გზებზე ვარდნას ზევაების,
და ვფიქრობ ხოლმე,
თავად კულტურა, —
ისტორიაა თავშეკავების.*

*ვინ როგორ თოკავს პირვანდელ ვნებას,
და რისთვის უღირს მოთოკვა ვნების,
მიჰყვება კაცი მოძღვარის ნებას,
მზით და ოცნებით,
თმენით და ნებით.*

ეს გახლავთ ზუსტი დეფინიცია, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი აქ, ამქვეყნად. ნება, თმენა და ოცნება — თავშეკავების გარეშე? თმენა? — კი ბატონო: თავისთავად, თავშეკავებას გულისხმობს, მაგრამ — ნება და ოცნება? ვოჟების გარეშე, ამ ორ რამეს ადამიანის სულიერი გადაგვარება ძალუძს! და აი, სწორედ ამ დროსაა საჭირო რწმენა და მოძღვარი...

საერთოდ, პოემის ეს თავი (თავი X. პრეზენტაცია. აღმოსავლურ-დასავლური დივანი) მეტადრე მეინტერესა იმ თვალსაზრისითაც, რომ პოეტი აქ ახდენს აზიისა და ევროპის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა და მენტალიტეტთა ერთგვარ შეჯერებას. საგულსხმოა, რომ სწორი პოეტური ანალიზის ფონზე არც ერთს არ ენიჭება რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა (თუმცა აღმოსავლეთი მაინც „უტევს“ დასავლეთს), ორივეს თავისი ხიბლი და კანონზომიერი (საპიენტი სატ) **საარსებო სივრცე** გააჩნია. მაგრამ:

*და ტურისტისთვის მხოლოდ თუ ცეკვა
ესპანურ ვნებას მეტი მზე უნდა,
ძველების ძვლები დაფარა ძელქვამ
ევროპაც ცოტა მიმუზეუმდა*

რა ვიცი, რა ვიცი... ორივე ხელით...

თუმცა ის ფაქტი, რომ დათოს სამშობლო ამ საარსებო სივრცის გზაგასაყარზეა აღმოცენებული, მაინც რალაც განსაკუთრებულ, განუმეორებელ თავისთავადობას და როლს ანიჭებს ამ ქვეყანას. სულაც არ არის საჭირო, ჩაკირკიტებით იკითხო ყოველი სტრიქონი — აქ ისედაც ნათლად ჩანს ის გზაჯვარედინი, სადაც ეს ორი დიდი კულტურა ერწყმის ერთმანეთს... და არც მაინცდამაინც დიდი ინტუიცია, ან ალლო სჭირდება ყოველივეს დანახვას: ყველაფერი ზედაპირზე ძვეს — ღვთის მიერ ბოძებული კანონზომიერება — ევროპის გზაჯვარედინი და... „განწირული სამშობლო ამ მხრივ“. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა სიმართლითაა დაჭედილი. და საერთოდაც, დათო მალრაძის პოეზია, განსაკუთრებით კი „ჯაკომო პონტი“ მთლიანად გამსჭვალულია მკითხველის სულიერ განწყობაზე პრევენციული „ნერტილოვანი დარტყმებით“. ეს ის დარტყმებია, საკუთარ თავს რომ დაგანახებს, გაგრძნობინებს — ვინ ხარ, რისთვის ცოცხლობ, საით მიდიხარ...

ღმერთმანი, ამ თავის წაკითხვისას ცხადად ვიგრძენი, რომ თავად ვარ საწყისი დასავლეთისაც და აღმოსავლეთისაც (უტრირებას მოუკვდა პატრონი!), თითქოს „ათენის რაციო“, „რომის სამართალი“ და „იერუსალემის რწმენა“ ჩემში და ჩემ ქვეყანაში გაერთიანდა და აქედან მიეცა დასაბამი წესწყობილებას დანარჩენ სამყაროში! სხვა რა არის ეს, თუ არა სწორედ ის „ნერტილოვანი დარტყმა“, რომელიც ზუსტადაა გათვლილი მკითხველის სულიერ განწყობაზე ამ პოემის კითხვისას:

*და ჩემს ქვეყანას, ოცნებებს სადაც
აბრეშუმის გზა ქსელავს ძაფებად...
აღმოსავლურად გახსნილი მადა
დასავლურ ყოფას დაენაფება.*

და აი, ის, რამაც საბოლოოდ ამამალა, საკუთარი გულისცემა „დამანახა“:

*მიშვებულობა ცხენის სადავე,
აღმოსავლეთი დასავლეთს უტევს...
ვარ ერთი წყალის ორი სათავე,
— გნებავთ,
დამარქვით ბოსფორის სრუტე.*

ამგვარი რამ არ თქმულა ქართულად, ქართულად კი არა, არც სხვა ენაზე! სხვა ენაზე ვერც იტყოდნენ, რადგან ამ ქვეყნის შვილები არ არიან. არ ცხოვრობენ ისეთ მიწაზე, სადაც „ერთი წყალის ორი სათავეა“... მაგრამ მარილი, იცით, სადაა? ჯაკომო იმას კი არ ამბობს — ვარ **ორი** წყალის **ერთი** სათავეო, მეტისმეტად კულტურული და დახვეწილია საიმისოდ, რომ ეს არ თქვას, ანდაც, რამხელა ამბიციია!

პროვინციულ პატრიოტ-პატეტიცუმ-ულსაც წააგავს...
დიადი ევროპა თუ სადა აზია?
სადა დასავლეთი თუ დიადი აღმოსავლეთი?
და რაოდენ სიმბოლურია, რომ
ყოველივე ამას მოსდევს მშობლიური:

*მოსჩანს საყდარი, არსად პათეტი.
კედელზე მწვანე ხავსის ხავერდით,
— რა სისადავის სიდიადეთი...
— რა სიდიადის სისადავეთი...*

აი, ერთ კუპლეტში ჩასმული ჯაკომოს სამშობლო,
მისი ხასიათიც და ისტორიაც!
ესაა სწორედ ის ქვეყანა — „ერთი წყალი“,
რომელსაც „ორი სათავე“ აქვს —
ევროპა და აზია, აღმოსავლეთი და დასავლეთი,
ორივე ჩვენშია — არავითარი „სამყაროს ჭიპი“!
სამშობლო და, ასე დაწვრილმანება?!
ჭიპი კი არა, მთელი სამყაროა,
მოქცეულია ყოველი ჩვენში,
თვით ჩრდილოეთიც და სამხრეთიც კი...

ჯაკომოს კი ისევე ასამართლებენ.

ახლა შვილები? მომავლები? გზასაცდენილები?
მომიტევოს ჩემმა მკითხველმა,
მაგრამ ცოდვა უნდა გავამხილო:
არასდროს გახლდით გულმხურვალე ჰუმანისტი,
ვერ ვეგუებოდი ურაპატრიოტებს, ლგბტ-ებს,
თუმცა ჯაკომომ მითხრა:

*არც ერთი იყო პატრიოტი
და არც მეორე ლიბერალი...
ორივე ბედურული საქართველოს
შვილები იყვნენ.*

და მალევე გავაცნობიერე ვისთან მქონდა საქმე —
აი, ჰუმანიზმი, გინა ფილანტროპია,
გნებავთ — ალტრუიზმი
(საშინელებაა ამდენი ბარბარიზმი!),
აი, **კულტურა**, მთელი თავისი შენაკადებით:
შვილებიო, კაცო, შვილებიო! —
ესეც კიდევ ერთი „ნერტილოვანი დარტყმა“,
გრძნეული სიტყვაა „შვილი“
(აკი ჩამატარა მალრაძემ კათარზისის ორლობემი,
თავად „უიარალომ“ ვერ მოახერხა ეს...),
ამიერიდან მეცოდება ყველა ასეთი...

საერთოდ, სამშობლოს მიმართ დამოკიდებულების გზა,
დიდი ხანია, გაკაფულია მწერლების მიერ:
წარღვენამდელი დროიდან ისმენს კაცობრიობა
ხოტბებს, ოდებს და დითირამებს,
ზოგიერთებმა გენიოსის სახელიც ჰპოვეს...
მაგრამ, აბა, წაიკითხეთ „ჯაკომო პონტის“ XIX თავი —
„პაემანი სამშობლოსთან“ —
და მიპასუხეთ:
რომელიმე პოეტს ასეთი კუთხით,
ამგვარი ორიგინალური თვალთახედვით თუ
უგრძნობინებია თქვენთვის —

რა არის სამშობლო?
ანდა, არის კი სამშობლო ის,
რომლის მიერ „არ შეძლებულიც“ და „შეძლებულიც“
ზამს გიყვარდეს?
ხარ იმის ღირსი, რომ მისი „შემცვლელის“ პონტის შემთხვევაში
ისევე იმად დარჩენილიყავ, ვინცა ხარ
და მოლაღატის იარლიყი არ აგეკრა?

არა! დილეტანტთათვის, უნიჭოთათვის
ეს თავი, ალბათ, ერთი დიდი საყვედურია.
დათო მალრაძემ კი მთელ პოემაში სწორედ აქ დაისვენა,
სამშობლოსთან შესახვედრ ალაგას...
და დაწერა ის, რისთვისაც მთელი პოემაა დაწერილი!
ყელში ბურთის მოდგომამდე, აცრემლებამდე ჭეშმარიტია
ჯაკომოს მიერ ახსნილი სიყვარული სამშობლოსადმი,
იმ სამშობლოსადმი,
რომელიც ნიადაგ ერთგულებას, თავგანწირვას
მოითხოვს შენგან,

რომელიც მუდმივად გითვალთვალეს
და ერთ შეცდომასაც არ გააბატიებს —
წახვალ და ივლი მოყვენებულები...
და როს მოკვდები, ღმერთმანი,
ერთ ციდა მინას არ დაგაყვედრის —
შენც ისევე ჩაგისუტებს გულში,
როგორც მირიად შენნაირს.
მაგრამ, როგორ გინდა ახსნა ეს სხვანაირად?
როგორ გინდა აუქციო გვერდი
მწერლების მიერ გაკვალულ გზას?
„ჩემო სამშობლოვ...“-ს?
„სხვა სამშობლო ამაზე მეტი...“-ს?
„საქართველო უპირველეს ყოვლისას“-ს?
როგორ და, აი, ასე, მალრაძისეულად:

*ეს პაემანი გაუძლებს თოვას,
ქარსა და წვიმას, ცრემლის კარატებს,
ამ პაემანზე სამშობლო მოვა,
ბავეს შეგახებს და გილაღატებს.*

*მოვა, რომ შენი სული დაპებლოს,
გაგაცნობს კანონს, მოყრის ჯალათებს,
მოვა სამშობლო, როგორც სამსხვერპლო,
შემოგხვევს მკლავებს და გილაღატებს.*

*მოვა სამშობლო მკლავით განივით,
არ დასჭირდება იწილ-ბინილო,
შუბლს წაგიტუსავს,
რომ ბატკანივით
ბანტი შეგაბას და შეგინიროს.*

და სადაა ის, მთავარიო, დიადიო, არა?
განვავგრძოთ:

*თუ შესძელი და ისე დამინდი,
რომ მოუძებნე შუქი დასავალს,
ან თუ სამშობლოს ისე განიცდი,
როგორც საკუთარ თავგადასავალს...*

*თუ გარიჟრაჟის მამლების მსგავსად
შენც მოინდომე მოხმობა დილის,
მოვა სამშობლო, თან ისე თარსად,
რომ შავი კატაც დაგიტომობს ბილიკს.*

სინდისს ვფიცავ, სათვალსაჩინოდ
ორიოდე კუპლეტიც საკმარისი იქნება-მეთქი, ვიფიქრე,
მაგრამ... იყოს, რაც არის:

*შენ სამშობლოში სამშობლოს ეძებ,
ის ჩაგიქროლებს, თან ისე მალე,
როგორც მანქანა დამტვერილ გზებზე,
და გიძღვნის მინით აცრემლილ თვალებს.*

და თუ მოარღვევ საკრალურ მესერს,
მოგწვდება სხივი მანათობელი...

შენ სამშობლოში სამშობლოს ეძებ,
სამშობლო შენში ეძებს ობელისკს.

სამშობლოსა აქვს ალლო და გემი,
ქედს მოვისინჯავს, მოვიჩენს ზემდეგს,
თუ ამოუყვან სილაღს ყელში,
ძეგლსაც დაგიდგამს სიკვდილის შემდეგ.

დაბინდულ გზაზე დაგანევს ბანდას,
მას ასე ესმის შეილთან ამური, —
რომ გაგიფინოს გოლგოთა, ანდა
გამოთოფილი ტყე წინამურის.

...ჰგონია კაცის მხურვალ სუროვაცს,
რომ მიწურიდან ატრიუმს იხსნის...
მის აგრესიულ უნიგნურობას
შეარქვეს ჩვენში პატრიოტიზმი.

და ბოლოს — მთლად გილიოტინა:

— არა სამშობლო ღმერთი არ არი,
ის ღმერთთან ახლოს დაეძებს ნიშას
და ნანვიმარი და ნაქარარი
ატარებს მაინც ღვთაებრივ ნიშანს.

ასეთ სამშობლოში ცხოვრობდა და ცხოვრობს ჯაკომო,
გაცნობიერებული აქვს მისი „ღვთაებრივი ნიშანი“,
მზადაა, იტანჯოს და უპირობოდ შეეწიროს მას,
მხოლოდ მას და არა უსამართლო, დიქტატორულ კანონებს,
რომლებიც ისეთმა სახელმწიფომ წარმოშვა,
სადაც ბანდარ-ლოგიც კი
სტაბილიზაციის გარანტორია,
სადაც „მოხელის პრანჭვას და აგრესიას
ან ენოდება ლიბერალიზმი“,
სადაც „პატრიოტიზმში ფეთქავს რევანში,
მეორეების, პირველთა მიმართ...“
სადაც იციან, რომ ჯაკომო დამნაშავე არაა,
მაგრამ უცხოა მათთვის მორალი,
უცხოა ზნეობრიობა,
უცხოა კულტურა, როგორც ასეთი.
ისინი ამ უკანონო კანონებით ასამართლებენ ჯაკომოს,
როდესაც, თუნდაც ამ კანონების მიხედვით,
თავად არიან დამნაშავენი...
და რადგან თავად გახლავან დამნაშავენი
(წითელი დპოლები, ბანდარ-ლოგები),
სწორედ დამნაშავეს ეძებენ ჯაკომოში,
ჯაკომო კი „ადამიანს — დამნაშავეში“...
დასტურ, აღარც არის ჯაკომოს ადგილი
ამ ცოდვილ დედამიწაზე,
ზეცა ეძახის, თავისთან უხმობს...

მაგრამ მანამდე — ცოტაოდენი
ამ ავადმყოფი ეპოქის გარშემო,
პოეზიისა და პიტიკოსთა შესახებ:

ტყუილად არ აღიქვამს დათო მალრადქ
არსებულ ვითარებას პროვინციულ სცენად,
სადაც, წარმოდგენილი კათაკმეველნი და პოეტნი,
იგივე „ტუსოვკის ლომები“
რალაც არაამქვეყნიური, არაბუნებრივი, ნაძალადევი მიმიკით,
ამაოდ ცდილობენ თავიანთი უნიჭობის შელამაზებას
„და თუ კითხვისას გულიც წაუვა (წაგივა),
ო, ნამდვილ ტალანტს იცნობენ მასში (შენში)“...
ღმერთო, რა ნაცნობი და „მშობლიური“ სიყალბეა,
როგორი ჰარმონიაა ტირანის და უნიჭობისა!

ამას მე ვამბობ, თორემ ჰუმანისტი მალრადქ
მაინც დანდობით იხსენიებს დეკორაციასაც
და ამ ნორმად ქცეული ტუსოვკის მონაწილეთაც:
პირველს შაპიტოს უწოდებს,
მეორეს — მასხრებად ნათლავს:

ალბათ ეს არის
ანი და ჰოე,
— ვაშა შაპიტოს ერთგულ მასხარებს!
პერიფერია ვერ უძლებს პოეტს
და კლოუნადას უხსნის ასპარეზს.

მთელ ამ ჩემს ბოდიალში პირველად გამეღიმა!
ისე მოსწრებულადაა ნათქვამი,
რომ თვალწინ დამიდგა ყოველივე
და ძალაუნებურად მეღიმება,
კატალიზატორი კი დამაგვირგვინებელი სიტყვა —
კლოუნადაა —
კარგად ალესილი მახათი...
აი, ასეთ ეპოქას ებრძვის ჯაკომო,
ასეთი ეპოქა ებრძვის პონტის...

ასამართლებენ ჯაკომო პონტის.

ბოლოს მაინც მოახერხებს და გაიქცევა,
დაუსხლტება პოლიციას და დაიმალება.
თუმცა ჯაკომოსნაირნი არც გარბიან და არც იმალებიან,
არც მას უფიქრია დამალვა,
უბრალოდ, დრო იხელთა და...
მამის სახლს მიადგა
(„მაინც რა არის ეს მამის სახლი!“),
ამ სახლში ცხოვრობდა კოზიმო პონტი,
სწორედ აქ სუფევდა ოდესღაც სიდარბაისლე,
ამ კედლებს შორის წარწარებდა **კულტურა**
ჩაის ფინჯნებთან, თეთრ საყელოებთან...
მაცეტრო კოზიმოს დროინდელი გუნდრუკი ისევ ბოლავს,
სულ სხვა სურნელი აქვს ირგვლივ ყველაფერს,
ღმერთო დასწყევლე ყოველი მუზა,
რომელიც ამ დროს არ შეგიფარებს!
და შეიფარავენ ჯაკომოსაც —
სულიერად მშვიდდება, წყნარდება,
„სტიენეის“ მიუჯდება და დაკვრას იწყებს...
მიმალვაზე რომ ეფიქრა, დაკვრას დაიწყებდა?!
ჰოდა, ჭაობი რისი ჭაობია,
ახლომახლო ერთი გველი რომ არ სისინებდეს?
მეზობელს მოეყურება მუსიკის ჰანგები
და დააბეზლებს ჯაკომოს
(მალრადქ რომ ჰკითხოთ, არც ისაა ცუდი ადამიანი,
უბრალოდ, „ჩაშვების ინსტიტუტის“ იდეოლოგიის მორიგი
მსხვერპლია).
პოლიცია დაადგება ჯაკომოს,
მათ შორის იმართება დიალოგი,
სადაც ჯაკომოს სიტყვები, ღმერთმანი,
სიმართლისა და სისპეტაკის აპოთეოზია:

— თქვენ გაქვთ დუმბილის სრული უფლება
და გაქცევაშიც გედებათ ბრალი,
ყველა ბრალდება გამოუკლებლად
გეხებათ, პლიუს, არევა კვალის.

— თქვენ სად მეძებდით,
რომ კვალი გაქრა,
მე მამის სახლის წიაღში ვცხონდი,
სადარბაზოზე ვერ ნახეთ აბრა? —
რომ აქ ცხოვრობდა კოზიმო პონტი.

და იქვე — პოსტ სკრიპტუმი,
რომელიც, ჩემი აზრით, ნაღდი შედეგია:

— მე მამის სახლში აღვავლენ ლოცვას,
მაინც რა არის ეს მამის სახლი...
მარადიული სიძველე როცა
მარადიული განცდაა ახლის.

ვეღარ გაუძლო ჯაკომომ ამდენ სტრესს
და ოცნება აისრულა — ზეცას ეახლა,
„მარადიული ახლის განცდას“ ეზიარა...
მრავალი პოეტური სახე მინახავს სიკვდილისა,
მრავალ მწერალს უწვავია გარდაცვალების
თავისთავად თუ ორიგინალურ აღწერაზე...
მეც სხვებივით მაშინებდა
ადამიანის მოკვდავი ბუნებითობა,
მაგრამ,
თუკი გარდაცვალება
„მარადიული განცდაა ახლის“,
უფლის სამწყსოში აზეცავების...
მართლაც, რომ — ჰოპლა! —
კაცობრიობავ, ამიერიდან ნუ შეგაშინებს გარდაცვალება
ან და მარადის!

ასეთია „ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში“,
ამას გვასწავლიდნენ სკოლაში,
ახლა კი, ამ თავისუფლებისა და დემოკრატიის ჟამს,
ალარ ასწავლიან არავის...
აქ, ჩვენთან არ ასწავლიან, თორემ,
იტალიაში, ერთ-ერთ სასკოლო პროგრამაშია ჩართული
დათო მალრადის „ჯაკომო პონტი“.

უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით —
საკადრისად ვერ გადმოვეცი ის ფიქრები,
რაც ამ პოემის კითხვისას აღმეძრა.

ეჰ, მე კაი, ჯანდაბას, მაგრამ...
სად გაიპარნენ პროფესიონალი შემფასებლები?
კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები?
ჩემმა მზემ, მარტო მე უნდა მრცხვენოდეს,
რომ ევროპამ გვაჯობა ჩვენი თანამემამულის,
უნიჭიერესი პოეტის სათანადო შეფასებაში?
ინგლისურად თარგმნეს, იტალიურადაც,
თურქულადაც და ფრანგულადაც,
ბოლო-ბოლო, კაცი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი!
პოემა — ეს სულთამბრძოლი ჟანრი მოაცოცხლა,
დაარწყულა და მოახედა...
ალარაფერს ვამბობ თავად დათო მალრადის
განუმეორებელ ხელწერაზე, წერის **კულტურაზე**,
ეპიგრაფებზე, ეპიგრამებზე, რიტმსა და რითმაზე,
ეს ყოველივე ცალკე თემაა განსჯისა
(ისევე, როგორც თავად დათო მალრადი,
ვითარცა პიროვნება —
სამართლიანობისა და ღირსებისთვის მებრძოლი და,
ამდენად, მუდმივი მეთვალყურე-ობოზიციონერი)...
ჩვენ კი რა გვაქვს ხელთ?
სხვას, უკეთესს, რას ვთავაზობთ ქართველ მკითხველს?
კარგად დააკვირდით თანამედროვე ქართულ პოეზიას
და მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.
ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი...
მოკლედ, ასეთია ჩემი აზრი ამ პოემაზე:
ბევრი ნიგნი დანერილა ზოგადად ჯაკომოებზე,
და შემატებია მსოფლიო **მაკულატურას**.
დათო მალრადის „ჯაკომო პონტიმ“
უკვე გაამდიდრა მსოფლიო **კულტურა**...
და არ ვაჭარბებ —
ვინც მიცნობს, დამიჯერებს...
ხოლო ვინც არ მიცნობს,
ნაიკითხეთ და თავად მიხვდებით,
რა გვაკლდა და რა გვაქვს ხელთ.

რატომ ლექსად?

ერთი შეხედვით, უბრალო, ბანალური ფაქტია. ნიგნზე რეცენზია იწერება. გამოითქმება აზრი, ვკითხულობთ, ვხედავთ, გვესმის. ყველაფერი გასაგებია — სიტყვები, ფრაზები, სილოგიზმები, დასკვნები. მაგრამ სადღაც შუაში, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, ავთარივით წამოიჭრება კითხვა: რატომ ლექსად?!

„რა ვიცი... წერას რომ მოვრჩი, მერე გავაცნობიერე ყოველივე. ესეც ჯაკომოს ბრალია: მაღალი პოეზიაა, კულტურული... და შთაბეჭდილება — ზესკნელი... დაე, დარჩეს ისეთად, როგორადაც თავად ჯაკომომ დამანერინა — მარტო ჩემი რომ იყოს, პროზად დავეწერდი“. — ეს ავტორია, ავტორის წინასიტყვა, როგორც ჩანს, იძულებითი.

ზაზა მრელაშვილი, „ფიქრები, აღძრული „ჯაკომო პონტისგან“, რეცენზია (ესეი, წერილი, სტატია, გამომხაურება...) დათო მალრადის ნიგნზე.

რატომ ლექსად? ალბათ იმიტომ, რომ პოეტური ქმნადობა და მისი აღქმა უწყვეტი, მუდმივი პროცესია. სიტყვის ელემენტარული მნიშვნელობა საკმარისი არ არის, სიტყვას უნდა ჰქონდეს რეზონანსი, ვიბრაცია, მრავალხმიანობა, რათა ცნობიერებაში წარმოშვას მნიშვნელობათა სიმრავლე კონცენტრირული წრეების სახით.

ენის ბუნება შეუვალა, დაუმორჩილებელია მისი სტიქია. ენა გვეკარნახობს წესებს, რომლებსაც თუ არ დავემორჩილეთ, ვერაფერს გამოვხატავთ, ყოველ შემთხვევაში, ნათქვამი არ იქნება ის, რასაც ვიგულისხმებთ. ენის დაუფლება ილუზიაა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ვგვონია, რომ ენა დავიმორჩილეთ, ჩვენ თვითონ ვიდგამთ მონობის ულელს.

მდინარეში რომ შედისარ, ცურვის წესებს შენ კი არა, სტიქია ეკარნახობს.

ენა ბატონობს ქმნადობაზე. ამიტომ კრიტიკა, როგორც ტექსტის ანალიზი, გულისხმობს შეხვიდე ამ „საბატონოში“ და გამოიტანო პირობითობათა ის სისტემა, რითაც არის აშენებული ეს ტექსტი. ამ თვალსაზრისით, ანალიზი თანაშემოქმედებაა. კრიტიკის მიზანია მოგვეცეს სისტემა, ქმნადობის მიკროსქემა.

მწარედ სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ კრიტიკას შეუძლია ნაწარმოების ახსნა. კრიტიკოსის მოვალეობა უფრო საქმიანია — მან უნდა წაგვაკითხოს ნაწარმოები.

ზაზა მრელაშვილის მიზანი იყო გადმოეცა თავისი შთაბეჭდილებები ისე, რომ არ დაეკარგა პირველი წაკითხვის ეფექტი და ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი იყო — დაყრდნობა როგორც განსჯას, ისე ემოციას. მას უნდა შეექმნა ზემოქმედების უწყვეტი განცდა. მშრალი სილოგიზმებით ამას ვერ მოახერხებდა. საჭირო იყო საზეიმო ინტონაცია, კარნავალური ტონალობა, რათა მკითხველს კი არ წაეკითხა, არამედ გაეგო, მოესმინა, მიეყურადებინა.

პოეზია ზემოა. ზემო კარნავალია, კარნავალი — თამაში. პოეტი — კრიტიკოსი — მკითხველი: ანუ შემოქმედი, ინტერპრეტატორი, მიმღები — თამაშის სამი რგოლი.

ზაზამ დიდხანს ეძება და „ჯაკომოს“ რიტმში მიაგნო კამერტონს, რომელზეც ააწყო თავისი ხმა.

ივანე ამირხანაშვილი

თემურ გაბუნია

ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი ბრძოლა

ჯერომ სელინჯერს სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში. ძნელად მოიძებნება სხვა მწერალი, ასე რომ ჰყვარებოდეს მკითხველს და ამავე დროს ასე ინტენსიურად აკრიტიკებდნენ ლიტერატორები. სელინჯერის პოპულარობას მშრალი სტატისტიკაც ადასტურებს. რომანის „თამაში ქვავის ყანაში“ უკვე 65 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაახლოებით ასეულობით მილიონ ადამიანს აქვს წაკითხული. ამ თვალსაზრისით ის მეთერთმეტე ყველა დროის ერთგვარადაა ნივანთა შორის. უახლესმა ჰამესის კვლევამ კი, ამერიკელი მკითხველის აზრს რომ სწავლობდა, სელინჯერს მეათე ადგილი მიაკუთვნა ყველა ეპოქის მწერალთა შორის...

სელინჯერი ნამდვილი ბრძოლაში იყო ჩართული მთელი ცხოვრება. II მსოფლიო ომში იბრძოდა ელიტურ მეოთხე დივიზიაში, რომელმაც ხელწართული ბრძოლებით გაიკვლია გზა ნორმანდიიდან გერმანიამდე და 1944-45 წლებში პირადი შემადგენლობის დაახლოებით 250% დაკარგა.

მშვიდობიანობის დროც საკმაოდ რთული გამოდგა მისთვის. უპირისპირდებოდა ფულის დიქტატურას დაქვემდებარებულ სამყაროს, ცრუ ფსიქოანალიტიკურ მოძღვრებებსა და ათეიზმს, რომელსაც ამხელდა საკუთარ პერსონაჟთა — ძირითადად ბავშვების — პირით...

კორნიში განმარტოებულ სელინჯერს თმა ჯარისკაცისებრი ჰქონდა გაკრეჭილი, წერისას ხშირად სამხედრო ფორმა ეცვა და ეს სიმბოლურიც იყო... ის ისევ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდა, მძიმე ბრძოლების გადატანა უნებდა საკუთარ თავსა და მყუდროების დამრღვევებთან; ლიტერატორებთან, ყოველი მხრიდან რომ უტყვედნენ; ბიოგრაფოსებსა და ყურნალისტებთან, რომლებიც თანდათანობით კომპრომატთა მაძიებლებს ემსგავსებოდნენ, ასევე პაპარაცებთან, მასზე რომ ნადირობდნენ. სელინჯერი თვალთმაქცებს უწოდებდა ყველას, ვინც ფულის გულისთვის საკუთარ ნიჭს ყიდდა; წინააღმდეგი იყო მასკულტურით ადამიანის ზომბრების; სწავლა-განათლების, რომელიც სიბრძნის დაუფლებას არ ისახავდა მიზნად... ბრძოლა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და აი, სელინჯერის ავტობიოგრაფიულმა პერსონაჟმა, ზადი გლასმა, ასეთი შეკითხვაც კი დაუსვა საკუთარ თავს: იმათ მხარეს ხომ არ გადავედო („სიმორი — შესავალი“)?..

თუმცა არა, ჯერი არავის მხარეზე არ გადასულა, ეს უბრალოდ თავის გამამხნეველი სამხედრო შეძახილი იყო...

ასეთი გახლდათ დიდი ამერიკელი მწერალი ჯერომ დ. სელინჯერი!

I სელინჯერის ბიოგრაფია

„მე არ გიცნობთ, ვინ ხართ თქვენ“, — ასე მიმართა სელინჯერმა თავის ბიოგრაფოსს.

ძნელად მოიძებნება მსოფლიოში მწერალი, რომელსაც ისეთი რთული დამოკიდებულება ჰქონოდა საკუთარ ბიოგრაფოსებთან, როგორც ჯერომ სელინჯერს, მეტიც, საერთოდ წინააღმდეგიც კი იყო სიცოცხლეშივე დაენერათ მისი ბიოგრაფია. ერთ-ერთი პირველი, ვინც მწერალს განუცხადა, რომ მისი ბიოგრაფოსობა სურდა, დონალდ ფინი იყო. მან სელინჯერს ჯერ კიდევ 1962 წელს მიმართა თხოვნით, დახმარებოდა მასზე წიგნის დაწერაში. ფინი შეუპოვარი გამოდგა, სელინჯერის უარის მიუხედავად, განაგრძობდა წიგნზე მუშაობას. ხოლო როდესაც მწერლის ერთ-ერთ საუკეთესო მეგობარს, ყოფილ თანამებრძოლს, ჯექ ალტარასს მიმართა ინ-

ფორმაციის მოპოვების მიზნით, სელინჯერს მოთმინებამ უმტყუნა. მან ფინის გამაფრთხილებელი წერილი მისწერა, რომელშიც აღშფოთებას გამოხატავდა მისი მოურიდებელი საქციელის გამო და სთხოვდა წიგნზე მუშაობა შეენწყვიტა.

დაახლოებით მსგავსი რამ განმეორდა 1983 წელს, ამჯერად მწერალს გამომცემლობა რენდომ ჰაუსის წარმომადგენელმა იან ჰამილტონმა მიმართა თანამშრომლობის თხოვნით. სელინჯერმა ამ შემთხვევაშიც უარი განაცხადა. მწერლის სურვილი ურყევი იყო, არ სურდა სიცოცხლეშივე დაენერათ მისი ბიოგრაფია. ჰამილტონი ფინიზე შეუპოვარი გამოდგა, უარის მიუხედავად მომდევნო სამი წელი წიგნზე მუშაობას მოანდომა, რომლის სათაურიც უნდა ყოფილიყო „ჯ.დ. სელინჯერი: მწერლის ცხოვრება“. ბიოგრაფოსი იმედოვნებდა, რომ „სელინჯეროდაც იოლად გავიდოდა ფონს. ჰარვარდის, ტეხასისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში ხომ უამრავი პირადი წერილი იდო, მიწერილი გამომცემლებისადმი, სახელმწიფო მოხელეებისა თუ მეგობრებისადმი. მართალია, მათი გამოყენება აკრძალული იყო ბიბლიოთეკის ნებართვის ან მათზე ლიტერატურული საკუთრების მქონე პირის თანხმობის გარეშე, მაგრამ პერიფრაზი ხომ შეიძლებოდა და აი, ბიოგრაფოსმაც სელინჯერის წერილების შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა დაიწყო. ასე იქცა მწერლის ერთ-ერთი პირადი წერილიდან ამოღებული გამონათქვამი: „ალბათ, ფული უფრო დიდი დაბრკოლებაა ხელოვანისთვის, ვიდრე შიმშილი“ — იან ჰამილტონისეულ ფრაზად: „მეორე მხრივ, ფული სერიოზული დაბრკოლება უნდა იყოს ხელოვანისთვის“. მსგავსი პერიფრაზებით იყო სავსე წიგნი სელინჯერის შესახებ. მწერალი, რომელმაც მიიჩნია, რომ მის პირად ცხოვრებაში უხეშად შეიჭრნენ, აღმოფრთხა. სელინჯერმა სასამართლოში იჩივლა, მისი აზრით, ჰამილტონს თაღლითურად ჩაეგდო ხელში სხვისი საკუთრება და თან ამტკიცებდა, არაფერი მომიპარავსო. პირველი პროცესი სელინჯერმა წააგო, თუმცა მანვეტენზე გამართულმა მეორე პროცესმა წიგნის გამოცემა დაბლოკა. ჰამილტონი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, წყალში უნდა ჩაყროდა ამდენი ხნის შრომა, მაგრამ მეორე მხრივ, რატომ უნდა გამხდარიყო მწერლის პირადი ცხოვრების ამსახველი წერილები საჯარო, თუკი მას ეს არ სურდა? უნდა ითქვას, რომ ჰამილტონი არ დაბნეულა, მოგვიანებით მაინც შეძლო გამოეცა წიგნი „ჯ.დ. სელინჯერის ძიებაში“, სადაც აღწერს, თუ როგორ აუკრძალეს ბიოგრაფოსობა. წიგნი ერთგვარი რევანშისტული განწყობითაც იყო სავსე. ჰამილტონს სელინჯერი გამოყვანილი ჰყავს ომში მიღებული სტრესით ფსიქიკადაზიანებულ ადამიანად, რომელიც ვითომდაც იმის გამო განმარტოვდა კორნიში, რომ უფრო იდუმალებითმოცული გამხდარიყო და უკეთ გაეყიდა თავისი ერთადერთი რომანი „თამაში ქვავის ყანაში“. თითქოს შეგნებულად არ აქვეყნებდა სხვა ნაწარმოებებს, რათა საკუთარი პიროვნებისგან მითი შეექმნა.

განაწყენებულმა იან ჰამილტონმა კომპრომატთა ძიებას მიჰყო ხელი. შეეცადა აღმოეჩინა პატარა სიბილ კარპენტერის პროტოტიპი მოთხრობიდან „ბანანათევზას ამინდი“ და აი, „ტაიმის“ არქივში წააწყდა კიდევ ვინმე რიჩარდ გეჰმანის გამოუქვეყნებელ ბარათს, რომლის ავტორიც ამტკიცებდა, 50-იან წლებში სელინჯერმა არასრულწლოვან გოგონას ქორწინება შესთავაზაო. ვინ იყო გოგონა, რომელსაც წერილის ავტორი სახელის პირველი ასო „ჯ“-თი მოიხსენიებდა?

ჯინ მილერის აღმოჩენას, რომელიც 1949 წლის ზაფხულში დეიტონ ბიჩზე ისვენებდა, დეტექტივებმა მრავალი წელი მონადომეს, თუმცა კიდევ სამოცი წელი გახდა საჭირო მის ასალაპარაკებლად... და რა? ჯინ მილერს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც სელინჯერს ჩირქს მოსცხებდა... თურმე ჯერი (მწერალი დაჟინებით ითხოვდა, მისთვის ასე მიემართათ) მოთმინებით ელოდა, როდის შეუსრულდებოდა თვრამეტი წელი, მაგრამ ჯინს სულმა წასძლია, მოვლენები დააჩქარა, რითაც ყველაფერი გააფუჭა...

დაიხ, სელინჯერი კონტრდაზვერვის ოფიცერი იყო, კარგად იცნობდა ადამიანთა ფსიქოლოგიას და, აქედან გამომდინ-

ნარე, ალბათ, მშვენივრადაც ხვდებოდა, რა სურდათ მისგან ბიოგრაფოსებს...


იან ჰამილტონის მსგავსი ადამიანებისთვის შესაძლოა მართლაც გაუგებარი იყო სელინჯერის ცხოვრების წესი. მწერალს, რომელმაც რომანის ეკრანიზაციისთვის ჰოლივუდისგან შეთავაზებული 10 მილიონი დოლარი უარყო, ვგონებ, ჰქონდა კიდევ უფლება ეთქვა: „ალბათ, ფული უფრო დიდი დაბრკოლებაა ხელოვანისთვის, ვიდრე შიმშილი“. რად უნდოდა ამ წინადადებას პერიფრაზი? ნუთუ ჰამილტონს მიაჩნდა, რომ სიტყვებს მწერალზე უკეთ დააწყობდა? სელინჯერს თავისი ბარათების გამოქვეყნება რომ ნდომებოდა უნაო'ნილისა ან, ვთქვათ, ერნესტ ჰემინგუეისადმი, განა თვითონ ვერ მოახერხებდა? მთავარი სულ სხვა რამ იყო, სელინჯერის ბიოგრაფიას ვერ დაწერდა ადამიანი, რომელსაც მისი არ ესმოდა. იან ჰამილტონი კი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, სწორედ ასეთ პიროვნებათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

II კრიტიკის პირველი ტალღა — ომის სტრასი

დანის სამეფოში ჰამლეტის გიჟად გამოცხადება ბევრს გაახარებდა, უპირველეს ყოვლისა კი საზარელი დანაშაულის ჩამდენებს, პრინცის ბიძასა და მის ლაქიებს. ჰამლეტის სწულად წარმოჩენა უზურპატორთათვის იყო მომგებიანი, რადგან ეს მათთვის ძალაუფლების შენარჩუნებას ნიშნავდა...

სელინჯერის სტრესული ფსიქიკის ადამიანად გამოცხადებაც, რა თქმა უნდა, იმათ ნისქვილზე დაასხამდა წყალს, ვინც მწერალს დაუპირისპირდა 60-იანი წლების დამდეგს, მას შემდეგ, რაც „ფრენი და ზუი“ ერთ წიგნად გამოიცა. თუმცა ბზარი ლიტერატორებსა და სელინჯერს შორის ჯერ კიდევ 1957 წელს გაჩნდა, როცა მწერალმა „ნიუ იორკერში“ მიიტანა „ზუი“ და განაცხადა, ეს მანამდე გამოქვეყნებული მოთხრობის „ფრენის“ გაგრძელებააო. ჟურნალში მომუშავე ლიტერატორთა ჯგუფს ძალიან უნდოდა ეს ნაწარმოები დაებლოკა, თანაც ტაქტიკადაც, იმ საბაბით, რომ გაგრძელებებს არ ბეჭდავდნენ. რომ არა მთავარი რედაქტორისა და სელინჯერის უახლოესი მეგობრის, უილიამ შონის, სიმტკიცე, ეს ნაწარმოები ჟურნალში, ალბათ, არც გამოქვეყნდებოდა. რა იყო ლიტერატორთა გაღიზიანების ფარული მიზეზი? სელინჯერის შემოქმედებაში სრულიად ახალი, რელიგიური თემის გაჩენა. მათთვის მიუღებელი იყო ჟურნალში ინდუსტრიული ან მართლმადიდებლური რელიგიური ტრაქტატების მსგავსი ნაწარმოებები გამოქვეყნებულიყო (განსაკუთრებით კი მართლმადიდებლები). სალონები, ღვთის გლახები და მოხეტიალე მომლოცველები უკვე თვით რუსეთშიც კი აღარ ახსოვდათ. რა დამართნოდა სელინჯერს? „იესოს ლოცვა“ ეკლესია-მონასტრების საქმე იყო და არა „ნიუ იორკერის“. რატომ იხსენიებდა თავის ნაწარმოებში რუზველტის მრჩეველს დამცინავად, ან რად მოუწოდებდა ახალგაზრდებს XIX საუკუნის რუსი მომლოცველის ცხოვრებას ჩაღრმავებოდნენ, უსახლკარო, ღვთისათვის თავგადადებული ადამიანი დაესახათ იდეალად, ეს ხომ ამერიკული ოცნებისა და ცხოვრების წესის აღზრდად აგდება იყო. ვინ ეგონა სელინჯერს საკუთარი თავი, ნუთუ უზენაესი ქურუმი?

„სელინჯერის სამყარო არაფერს შეიცავს სელინჯერის, ასევე მისი მასწავლებლებებისა და ნალოლიავები აუდიტორიის — ...გარდა; გარეთ დარჩენილები ყველანი თვალთმაქცები არიან, რომლებიც ამაოდ ითხოვენ შემშვებას...“ — ასე ირონიულად ახასიათებს მწერლის სამყაროს მერი მაკკართი, რომელიც ჯონ დიდიონთან, ალფრედ კაზინსა და ლაიონელ ტრილინგთან ერთად სელინჯერის აქტიურ კრიტიკოსად მოგვევლინა 60-იანი წლების დასაწყისში. „ფრენი და ზუის“ ბესტსელერთა ნუსხის სათავეში მოქცევამ ჩივერიც გააღიზიანა. სე-



ჯერომ სელინჯერი

ლინჯერის პოპულარობით განრისხებული ჩივერი თურმე „ნიუ იორკერის“ რედაქციაში რეკავდა და ყურმილში ღრიალებდა: „რატომ შემომოკლეთ მოთხრობა?! თუ კიდევ მოგიწინააღმდეგებთ ვინმეს სასტესო ორგანო მოაყოლოთ მოჯახუნებულ კარში, სხვა შეარჩიეთ, ხომ გყავთ მეექვსეხარისხოვანი მწერალი სელინჯერი...“

მექვსეხარისხოვან მწერლად შერაცხული სელინჯერი კი თავის ამბობებას განაგრძობდა. 1959 წელს „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებულ მორიგ ნაწარმოებში „სიმორი — შესავალი“ ის უკვე დასავლური სამყაროს ერთ-ერთ კერძს, ზიგმუნდ ფროიდსაც შეეხო. ფსიქოანალიტიკოსებს „ყურებმოკალული არისტოკრატები“ უნდა, რომლებსაც სიყრუის გამო ოდნავი უნარიც კი არ გააჩნდათ ადამიანის ტკივილის არსს ჩასწვდომოდნენ. ბუნებრივია, ლიტერატურულ ელიტას არც ეს მოეწონებოდა, რადგან ისინი ფროიდის თეორიის ცდილობდნენ არა მხოლოდ ფოლკლერისა და სხვა დიდ მწერალთა შემოქმედების ახსნას, არამედ ბიბლიური მოვლენებისა და თვით რელიგიების წარმოშობისაც. საჭირო იყო რაღაც ელონათ, ამიტომაც ბუნებრივია, „ნიუ იორკერით“ დაიწყეს, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სელინჯერის უახლოესი მეგობარი უილიამ შონი რედაქტორობდა. ჟურნალზე თავდასხმის ერთ-ერთ ინიციატორად „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ ახალგაზრდა ჟურნალისტი ტომ ვულფი მოგვევლინა. 1965 წლის 11 აპრილს მისი ავტორობით გამოქვეყნდა პასკვილი „ცეროდენა მუმიები“. მოარული მკვდრებით სავსე „ნიუ იორკერში“, ვულფის აზრით, ბიზონისთავიანი ადამიანები მიმოდოდნენ ძველმოდური აპრეხელსაყლოიანი თეთრი პერანგებით და ერთი დეპარტამენტიდან მეორეში წერილები გადაჰქონდათ. სიბნელეში თავებითაც კი ეჯახებოდნენ ერთმანეთს... მოგვიანებით ვულფი აღნიშნავს, რომ 60-იანი წლების „ნიუ იორკერში“ ნეპოტიზმი იყო გამეფებული. ვერაფერს გამოაქვეყნებდა, თუ ვინმეს ნათესავი არ იყავი. იქ თურმე, ნუ იტყვით და, აპდაიკის დედა მუშაობდა კონსპირაციულად, ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს, მაშინ როდესაც იმავე ჟურნალში მისი ვაჟის ჯონ აპდაიკის ნაწარმოებებიც იბეჭდებოდა... განრისხებულმა სელინჯერმა საპროტესტო ბარათი გაუგზავნა „ჰერალდ ტრიბიუნს“, რომელშიც აღნიშნული პასკვილის გამოქვეყნებას უღირს და არაკოლეგიალურ საქციელად მიიჩნევდა.

1965 წელი უიღბლო გამოდგა სელინჯერისთვის. „ნიუ იორკერში“ გამოქვეყნებულ მის თხზულებას „ჰაპუორთი 16, 1924“ არნახული კრიტიკა დაატყდა თავს. იმავე წლის „ტაიმმა“ დაბეჭდა რევიუ „ჰაპუორთის“ შესახებ. ავტორი გაოგნებულია, როგორ შეძლო დაენერა 7 წლის სიმორ გლასს 28 000 სიტყვიანი

წერილი, რომელშიც საუბარია ღმერთზე, ინკარნაციებზე, ბალ-
ზაკზე, პრუსტსა და ისეთ მაღალ მატერიებზე, რომლებიც წე-
სით და რიგით 7 წლის ბავშვს ვერც უნდა ალექვა. ეს ნაწარმოები
დღესაც აღიზიანებს ლიტერატორებს: მარკ ვეინგარტენს, პოლ
ალექსანდერს, დევიდ შილდს... გამომცემელი ქრის კუბიკა,
მაგალითად, დაუფარავად აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე
უკვე ლიტერატურას კი აღარ ეხება, არამედ პიროვნებას. „რა
მოუვიდა სელინჯერს, ნუთუ შერიყა?“ — სვამს რიტორიკულ შე-
კითხვას კუბიკა. კვლავ ზვირთდება კრიტიკის ტალღა, ლიტერა-
ტორებს არ ესმით, როგორ შეიძლება „ზუის“ მთელი ორმოცი
გვერდის მოქმედება აბაზანაში ხდებოდეს, „სული შეგვეხუთა,
დახურული სივრცის შიში დაგვეწყო“, — ჩივიან ისინი. თუმცა
მათთვის, ვისაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია ინდუიზმთან,
დღესაც ნათელია, რატომ ყოვნდება ზუი აბაზანაში. ეს განწ-
მენდის რიტუალია. სომ პ. რენჩენი თხზულებაში — „მოგზაუ-
რობა ვედანტაში: ჯ. დ. სელინჯერის გლასების ოჯახი“ — მად-
ლობასაც კი უხდის მწერალს, რომ ვედანტას სულისკვეთება ინ-
დოეთის ტყეებიდან ნიუ იორკის ბინის საძინებელში, მისაღებასა
და სააბაზანოში შეიტანა. აბაზანის წყალი მას განგის ჩხრიალს
აგონებს, ზუის ანთებული სივრცეები — ინდუსიტურ რიტუალის
ერთ-ერთ შემადგენელ ატრიბუტს. ნიჭიერი ბავშვების ხმები კი,
რადიოგადაცემას რომ უძღვებიან — ძველინდურ საგალობელს.
რენჩენის აზრით, სელინჯერმა ვედანტა ბევრ დიდ ინდოელ მქა-
დაგებელზე უკეთესად კი იქადაგა. შესაძლოა, ავტორი არც ტყუის,
თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სელინჯერი არცერთი რელიგიისა
თუ მოძღვრის (მათ შორის ვივეკანანდას) ბრმა თაყვანისმცემე-
ლი არასოდეს ყოფილა. ვივეკანანდას ვერ წარმოედგინა, რო-
გორ შეიძლება ადამიანს მიეშვირა მეორე ლოყა მას შემდეგ,
რაც ერთ ლოყაში გარტყამდნენ. მას არ ესმოდა იესოსი, სელინ-
ჯერი კი მაცხოვარს ღვთის ძედ მიიჩნევს, ეს გარკვევითაა ნათ-
ქვამი თხზულებაში „ფრენი და ზუი“...

ამრიგად, სელინჯერს შემთხვევით არ ჰყავდა გამოყვანი-
ლი თავის პერსონაჟებზე ამდენი ბავშვი. დიახ, მას სწორედ
უცოდველ პატარა ადამიანთა პირით სურდა ემხილებინა ათე-
ისტური სამყარო ურწმუნოებაში.

„ამერიკაში ყველას გიჟი ჰპონიხარ, თუკი ღმერთი გნამს,
თვით საკუთარ მშობლებსაც“... — ამბობს 10 წლის ტედი.

7 წლისაა სიმორი „ჰაპუორთში“, როდესაც უშველებელ
წერილს სწერს მშობლებს რელიგიის შესახებ.

12-ის — ესმე (“ძღვნად ესმეს“ პერსონაჟი), ტაძარში რომ
გალობს... ეს ბავშვების ხმებია!

სელინჯერს სწორედ ეს ხმები სჭირდებოდა ღვთის საგა-
ლობის აღსაველნად, ლიტერატორები კი ამას მწერლის ომის
ტრავმით ხსნიდნენ. მოგვიანებით მისი თითქმის ყველა ნაწარ-
მოების შექმნის უმთავრეს მიზეზად ომის სტრესს დაასახელე-
ბენ და არა მხოლოდ ლიტერატორები, გამომცემლებიც, რეჟი-
სორებიც, ფსიქოლოგებიც... ისინი შეეცდებიან მწერლის ნე-
ბისმიერი ქმედება ამ მიზეზით ახსნან. მეტიც ზოგიერთი სე-
ლინჯერის შემოქმედებით პროცესს შავ მაგიასაც კი ადარებს.
დებრესიაში მყოფმა სელინჯერმა მაგიური აქტი ჩაატარაო,
მიაჩნია ფსიქოლოგ ჯეი მარტინს, მან თურმე განკურნების
მშვენიერი საშუალება იპოვა, თავისი სწეულება რომანის „თა-
მაში ჭვავის ყანაში“ პერსონაჟს, ჰოლდენ კოლფილდს, გადას-
ცა, თვითონ კი დებრესიისგან გათავისუფლდა. ამ თვალსაზ-
რის იზიარებს 2013 წელს გამომცემელი ნიგინის „სელინჯერი“
თანაავტორი შეინ სალერნოც. ამრიგად, სელინჯერის სტრე-
სული ფსიქოლოგიის ადამიანად შერაცხვის მომხრე მხოლოდ
მწერლის უკონტაქტობით განაწყენებული იან ჰამილტონი არ
ყოფილა. ეს აზრი გაიზიარეს შემდგომი თაობების ლიტერა-
ტორებმაც: პოლ ალექსანდერმა, დევიდ შილდსმა, იჰაბ ჰა-
სანმა... თუმცა სელინჯერის ბიოგრაფოსები არც ისე გულუბ-
რყვილონი არიან, რომ მხოლოდ ცუდი თქვან, მაშინ ხომ ცალ-
მხრივობასა და არაობიექტურობაში დაადანაშაულებდნენ,
ამიტომ იძულებულები არიან კრიტიკაში მიღებული „სენდვი-

ჩის“ პრინციპით იხელმძღვანელონ, ანუ ცუდიც თქვან და კარ-
გიც. ალბათ მხოლოდ ამ პრინციპის გამო აღმოჩნდა შილდსისა
და სალერნოს 700 გვერდიან ნიგნში სელინჯერის შემოქმედე-
ბის სრულიად განსხვავებული შეფასებანი, რომლებიც ძირი-
თადად ძველი თაობის მწერლებს ეკუთვნით. როგორც ცნობი-
ლია, XX საუკუნის ტიტანები უილიამ ფოლკნერი და ერნესტ
ჰემინგუეი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდნენ სელინჯერს.
ჰემინგუეიმ ის გამორჩეული ნიჭისა და სმენის მწერლად შე-
რაცხა 40-იან წლებში, როცა „თამაში ჭვავის ყანაში“ ჯერ არც
კი იყო გამოქვეყნებული. რაც შეეხება ფოლკნერს, 1958 წელს
ვაშინგტონისა და ლის უნივერსიტეტში სტუმრობისას მან
სტუდენტებს განუცხადა, რომ „თამაში ჭვავის ყანაში“ საუკე-
თესო გახლდათ ახალი თაობის მწერალთა ნაწარმოებებს შო-
რის. მისი აზრით, სელინჯერმა აღმოაჩინა თანამედროვეობის
უდიდესი შეცდომა, უფრო სწორად, დანაშაული, და გაილაშქ-
რა კიდევ მის წინააღმდეგ. მაინც რომელ დანაშაულს ებრძო-
და სელინჯერი? ფოლკნერის თვალსაზრისით, დანაშაული
იყო სწორედ ის წნეხი, რომელსაც ხელისუფლება ახორციე-
ლებდა თითოეულ ადამიანზე: „ძნელია იყო ინდივიდი ჩვენს
კულტურულ გარემოში. ჩემი აზრით, რაც იმ ნიგნში დავინახე
— ტრაგედიაა, გარკვეული თვალსაზრისით ეს სელინჯერის
პიროვნული ტრაგედიაა. იყო ახალგაზრდა კაცი (იგულისხ-
მება ჰოლდენ კოლფილდი — თ. გ.), ინტილიგენტური, ოდნავ
მგრძობიარე, ვიდრე სხვები, რომელსაც მარტივი რამ სურდა,
შეეყვარებინა კაცობრიობა, და როდესაც მოისურვა ადგილი
დაემკვიდრებინა სხვებს შორის, რათა შეეყვარებინა კაცობ-
რიობა, აღმოაჩინა, რომ იქ ადამიანი აღარ იყო“.

დიახ, სიტყვის დიდობნა ფოლკნერმა არა უბრალოდ
შეცდომა, არამედ დანაშაული უწოდა იმას, რაც ამერიკაში
ხდებოდა, სადაც ადამიანს აიძულებდნენ, თავისი აზრი გამო-
ეთქვა არა როგორც ინდივიდს, არამედ როგორც რომელიმე
დაჯგუფების წევრს.

შილდსისა და სალერნოს ნიგნში მხოლოდ ეს ერთი აბზა-
ცია ციტირებული ფოლკნერისა და სტუდენტების ვრცელი
საუბრიდან, ამიტომ მკითხველს შესაძლოა სრული წარმოდ-
გენა ვერც შეექმნას იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა მწე-
რალი. ფოლკნერი ამ შემთხვევაში ეიზენშტაინის გეგმას აკ-
რიტიკებდა. რას ეხებოდა ეს გეგმა? პრეზიდენტს სურდა,
რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შეძლებოდათ თავი-
ანთ პრობლემებზე საუბარი. ამას კი სჭირდებოდა ორგანიზე-
ბა, პროფესიული კავშირების შექმნა, რათა ამერიკელ მუშას,
მეცნიერს, ექიმს, კომერსანტს, ბანკირსა თუ ხელოვანს ესა-
უბრა უცხოელ კოლეგებთან.

თავისთავად იდეა დასაწინი არ ყოფილა, თუმცა, ფოლკნე-
რის აზრით, დასაძრახი ეიზენშტაინის ამგვარი სიტყვიერი წყო-
ბა იყო: მუშა მუშას, ხელოვანი ხელოვანს, ბანკირი ბანკირს...
სწორედ ამ გამონათქვამში იყო ჩამარხული ის ბოროტება, ამე-
რიკულ კულტურას რომ ახასიათებდა. რაში მდგომარეობდა ეს
ბოროტება? იმის რწმენასა და დაჯერებაში, რომ თითქოს პი-
როვნებას აღარ შეეძლო პიროვნებასთან საუბარი, იმ უბრალო
მიზეზის გამო, რომ ვითომდაც პიროვნება საერთოდ აღარ არ-
სებობდა და რომ ადამიანებს დაკარგული ჰქონდათ ისეთი თვი-
სებები, როგორცაა პატიოსნება, სიბრალული, პასუხისმგებ-
ლობა და თანაგრძნობა. ხელისუფლება ცდილობდა მოქალაქე-
ები დაერწმუნებინა, რომ რაკილა ყოველივე ეს უკვე აღარ არსე-
ბობდა, ადამიანს იმის იმედიღა უნდა დარჩენოდა, რომ ორგანი-
ზებულ ჯგუფებში ეარსება, სადაც თავის ინდივიდუალობას
უკეთ უარყოფდა და ჩაიხშობდა. საზოგადოება კი ერთმანეთ-
თან დაპირისპირებულ ახირებულ ჯგუფებად და ფრაქციებად
იყო დაყოფილი. სინამდვილეში ეს ფრაქციები ერთსა და იმავე
დროს ერთსა და იმავე რამეს გულისხმობდნენ — ორაზროვნად,
აბსტრაქტულად. „ხალხთა დემოკრატია“, „უმცირესობის უფ-
ლებები“, „სამართლის თანასწორობა“, „სოციალური კეთილ-
დღეობა“ — ფოლკნერის აზრით ეს სიტყვები იმ დეკორაციას

წარმოადგენდნენ, რომლითაც უსირცხვილოდ ამართლებდნენ უპასუხისმგებლობას და ადამიანებს კი არ ინვედენენ, არამედ აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღოთ ამ ფარსში.

დაახ, ხელისუფლება ქმნიდა მითს, რომლის მიხედვითაც, პიროვნება არარაობა იყო და წონასა და მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენდა, როცა უსახელოდ ჩაიკარგებოდა რომელიმე ჯგუფში.

ფოლკენერს მიაჩნდა, რომ ხელოვანი ვალდებული იყო წინ აღდგომოდა ამ პროცესს, გაელო თავისი ძალა და ენერჯია ამ საყოველთაო ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა ღირსი, ხელოვანი რქმეოდა. მისი აზრით, ახალგაზრდა მწერალთაგან ყველაზე ღირსეული ჯერომ სელინჯერი იყო, მეტიც, იგი სრულყოფილად გამოხატავდა იმას, რის ახსნასაც ახლა ცდილობდა სტუდენტებისთვის. გამორჩეული იყო რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ პერსონაჟი ჰოლდენ კოლფილდიც. „თვითონ კი არ მიიჩნევს ასე, არამედ ღმერთს დაუსაზღვრავს მისთვის ეს ადგილი“, აზუსტებს ფოლკენერი. მისთვის ჰოლდენის ტრაგედია გაუბედობა კი არაა (როგორც თვითონ ჰგონია), არამედ ის, რომ „ადამიანურ სამყაროს ვერსად პოულობს“. ამრიგად, სელინჯერის დეპრესია, ისევე როგორც მისი ლიტერატურული გმირისა, ფოლკენერის აზრით, გამონეგული იყო საზოგადოებაში ადამიანის არარსებობით და არა ე. წ. ომის სტრესით, როგორც ამის წარმოჩენას თანამედროვე ლიტერატორები ცდილობენ.

ჰოლდენი ეძებს სულიერ მეგობარს, ვისაც გამოელაპარაკება, თავის აზრს გაუზიარებს, მაგრამ ვერაფერს პოულობს. სანაცვლოდ შუბლით ეჯახება ადამიანთა ჯგუფებს, დაშტამპულად რომ აზროვნებენ. დაახ, ნებისმიერი მთავრობისთვის გაცხადებით ადვილია ადამიანთა ჯგუფების მართვა, ვიდრე ინდივიდების. მისთვის უკეთესიც კია პიროვნების აზროვნება გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს. სწორედ ამის შესახებ განაცხადა სელინჯერმა თავის ერთ-ერთ უიშვიათეს ინტერვიუში 1980 წლის გაზაფხულზე, ჟურნალისტ ბეტი ექსთან: პოლიტიკოსები ადამიანს ჰორიზონტს უზღუდავენ, მე კი ვცდილობ გავუფართოვო.

რა თქმა უნდა, ამგვარ რადიკალურ პოზიციაზე მყოფი სელინჯერი ვერ შეეგუებოდა სკოლებში გამეფებულ ატმოსფეროს, რომლებიც, ჰოლდენის აზრით, „სულ თვალთმაქცებით არის გატენილი“, და სადაც „სწავლითაც იმიტომ სწავლობენ, რომ ცოტა გამოიქექონ და ერთ მშვენიერ დღეს ის ოხერი კადილაკი შეიძინონ. ...და მთელი დღეები ცარიელი ყებდობა — გოგოებზე, დაღევაზე, ხვევნა-კოცნაზე. ყველას თავისი ბინძური ბანდა ჰყავს და იმათთან ტრიალებს. კალათბურთელები ცალკე დაძრწიან, კათოლიკები — ცალკე. ეს დაწყველილი ინტელექტუალისტები — ცალკე, ბრიჯის მოთამაშეებიც თავისთვის არიან, იმ ბითურული „ნიგნის ყოველთვიური კლუბის“ მკითხველებიც კი ცალკე მიიწვევენ. ძალიანაც რომ მოინდომო გამოლაპარაკება...“ აქ ჰოლდენს ფიბი აწყვეტინებს, თუმცა, ცხადია, რისი თქმაც სურდა — ძალიანაც რომ მოინდომო გამოლაპარაკება, მაინც ვერ მოახერხებ, რადგან საკუთარი აზრი არ გააჩნიათო.

დაახ, ბავშვებს სკოლიდანვე წვრთნიდნენ კოლექტიური აზროვნების გამოსამუშავებლად. ფოლკენერი მშვენივრად ხვდებოდა ამას, სელინჯერიც... სახელმწიფო ამზადებდა კონტინგენტს პარტიებისთვის, პროფკავშირებისთვის, ანალიტიკური ცენტრებისთვის...

„მერე რალაც ოხერი საიდუმლო საზოგადოება მოიგონეს — ვაჟკაცობა არ მეყო, რომ უარი მეთქვა და არ შევსულიყავი“, განაგრძობს ჰოლდენი სკოლიდან

წამოსვლის ისტორიის მოყოლას. „ერთი გულისგამანვრილებელი ზღმურდლიანი ბიჭია, რობერტ ეკლი, იმანაც მოინდომა შესვლა. ძაან გულით უნდოდა, მაგრამ არ მიიღეს. იმიტომ რომ გულისგამანვრილებელი და ზღმურდლიანი იყო, გახსენებაც კი არ მსიამოვნებს. აქოთებული სკოლაა. დამერწმუნე.“

საიდუმლო საძმოებზე ბევრი დიდი შემოქმედი წერდა — ტოლსტოი, დიუმა, ჯოისი... მაგრამ მსგავსი რამ არცერთი მწერლის პერსონაჟს არ უთქვამს, შემეშინდა და იმის გამო შევედი საიდუმლო საძმოშიო. ამ ორგანიზაციაში ყველა მშვენივრად გრძნობდა თავს: პიერ ბეზუხოვიც, არამისიც და ლეოპოლდ ბლუმიც. პიერი, მაგალითად, გმირად და სამშობლოს მხსნელადაც კი მიიჩნევდა თავს, მას, მართალია, არ ესმოდა, რატომ ურჩევდა ბიბლიური საძმოს მეთაური, წვერით ქვევით მიმართულ სამკუთხედზე იფიქრე ყოველ დღეო, მაგრამ სამაგიეროდ დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ქველმოქმედება, ფიქრი იმაზე, რომ ჩამორჩენილი რუსეთი უნდა ეხსნა... დადებით პერსონაჟებად არიან გამოყვანილები არამისიც და ლეოპოლდ ბლუმიც, ისინი კარგად არიან მორგებულნი ამ ორგანიზაციას და დიდ სიამოვნებასაც კი განიცდიან თავიანთი საქმიანობით, ერთადერთი, ვინც არაკომფორტულად გრძნობს თავს, ჰოლდენ კოლფილდია...


აი, როგორ ეწინააღმდეგებოდა გლობალურ ლიტერატურულ ტენდენციებს სელინჯერი, რადგან ის, რაც მან თავის პერსონაჟს ათქმევინა, ფაქტობრივად დინების სწინააღმდეგო ცურვას ნიშნავდა... თუმცა რომანის წაკითხვისას იზადება კითხვა, ნუთუ ამ ახალგაზრდა კაცს, ყველასა და ყველაფერს რომ აკრიტიკებს, რაიმე მაინც თუ მოსწონს? ამ ბუნებრივ კითხვას სელინჯერი პატარა ფიბის ასმევივნებს.

„ — შენ ხომ არაფერი მოგწონს! ...აბა ერთი რამე დამისახელე, რა მოგწონს.“

და აი, ჰოლდენიც დაიბნა, რადგან უცებ ვერაფერი მოაგონდა თავისი გარდაცვლილი თანაკლასელისა და მონახუნების გარდა, ჭილის ჩანთებში შესაწირ ფულს რომ აგროვებდნენ. მისი კლასელი ჯეიმს კასლი ერთი განლიკული ბიჭი იყო ფანქრის სიმსხო მაჯებით, მაგრამ ფიზიკური სისუსტის მიუხედავად საოცარი გამბედაობა გამოიჩინა, როცა შვიდი ბიჭი შეუვარდა ოთახში და მოსთხოვა, საკუთარი სიტყვები უკან წაეღო. კასლმა უკან არ დაიხია და როცა შეურაცხვეს, ისღა მოახერხა — ფანჯარა გაეღო და გადამხტარიყო. კასლი ჰოლდენის იდეალია, ის ჯოგურ აზროვნებას უპირისპირისპირდება, ბედავს და საკუთარ აზრს გამოთქვამს ერთ ნაძირალა ბიჭზე, მერე კი თავისი სიტყვები უკან აღარ მიაქვს. საგულისხმოა, რომ კასლის პროტოტიპი ველი ფორჯის სამხედრო აკადემიის მოსწავლე უილიამ უოლტერსი გახლდათ, სელინჯერის თანაკლასელი, რომელმაც საერთო საცხოვრებლის სახურავიდან გადმოხტომით დაასრულა სიცოცხლე.

ჰოლდენს თავისი გარდაცვლილი ძმა ელიც უყვარს, მერე რა, რომ ცოცხალი აღარაა. „სიკვდილის გამო ხომ არ გადაიყვარებ ადამიანს?!.. მითუმეტეს ცოცხლებზე უკეთესი თუა ის კაცი...“

ამრიგად, კოლფილდის იდეალები გარდაცვლილები არიან, ასევე მონახუნები და ბავშვები, ანუ წმინდა ცნობიერების მატარებელი ადამიანები. კოლფილდის გამოგდებული თინეიჯერისთვის ნიუ იორკში სამდლიანი ყოფნა თანდათანობით ჯოჯოხეთში მოგზაურობას ემსგავსება, მწერალი მიგვანიშნებს, რომ ხსნა მხოლოდ წმინდა ცნობიერების შენარჩუნებაშია. ჰოლდენს უნდა, ჭვავის ყანაში მოთამაშე ბავშვები უფსკრულში გადაჩეხვისგან იხსნას, წმინდა ცნობიერებას მოუფრთხილდეს, რათა მისი მეშვეობით გამოვიდეს ჯო-



ჯოხეთიდან. აი, რომანის მთავარი იდეა, დედააზრი. საინტერესოა, სად ხედავენ ლიტერატორები აქ ომში მიღებული ტრავმით გამოწვეულ სტრესულ მსოფლმხედველობას? ამ ლოგიკით ტოლსტოისა და ჰემინგუის რომანებსაც საბრძოლო სტრესის კვალი უნდა აჩნდეს, რადგან მათი ავტორებიც ომის მონაწილე იყვნენ, მაგრამ ეს ასე არაა...

საზოგადოდ სელინჯერის შესახებ გამოთქმული შეფასებანი შესაძლოა ორ ნაწილად დავყოთ — პიროვნულად და კორპორაციულად. ფოლკნერი და ჰემინგუეი თავიანთ საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ, იან ჰამილტონი და მისი მსგავსი ლიტერატორები კი — კორპორაციულს. ამის ნათელი მაგალითია ჟურნალისტ ტომ ვულფის ერთ-ერთი იდეური მომხრის, მწერალ მარკ ვეინგარტენის გამოხატულება სელინჯერისა და მისი თაობის მწერალთა შესახებ: „ისინი შინაგანად გრძნობდნენ, რომ მათი დრო წასული იყო... რომ უფრო ძველი თაობის აუდიტორიისთვის წერდნენ. იყო რაღაც ელეგიური ერთი ეპოქის გასვლისა და ახლის დადგომის შეგრძნებაში.“

დააკვირდით, ფოლკნერი და ჰემინგუეი საუბრობდნენ მხოლოდ რიცხვში საკუთარი აზრის გამოთქმისას. ტომ ვულფი, იან ჰამილტონი და მარკ ვეინგარტენი კი მრავლობითი: „ჩვენი ეპოქა“, „ისინი“, „მათი აუდიტორია“, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ისინი იმ ჟურნალ-გაზეთებისა და გამოცემლობათა აზრს გამოხატავდნენ, რომლებთანაც თანამშრომლობდნენ. საგულისხმოა, რომ ეს სწორედ ის კოლექტიური მსოფლმხედველობაა, რომელის შესახებაც ფოლკნერი და სელინჯერი ძალიან დაბალი აზრისანი იყვნენ.

თუმცა ყველაზე „ანტიისტებლიმენტურ და ანტიამერიკულ“ მწერალზე განხორციელებული კოლექტიური თავდასხმის მიუხედავად სელინჯერის პოპულარობა არ იკლებდა, პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამაზე „ფრენი და ზუის“ გაყიდვების სტატისტიკაც მეტყველებს. გამოქვეყნების პირველივე წელს ამ წიგნის 938 000-მდე ეგზემპლარი გაიყიდა... პირველ ორ კვირაში კი 125 000... სელინჯერის პოპულარობა მის კრიტიკოსთა სიმამის პარალელურად იზრდებოდა. იგი სასურველი სტუმარი იყო სახელისუფლებო წრეშიც, რაზეც ჟაკლინ კენედის სატელეფონო ზარიც მეტყველებს, სელინჯერს 1963 წლის გაზაფხულზე თეთრ სახლში გასამართ სეიმზე იწვევდნენ... მწერალი თეთრ სახლში არ წასულა, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ტელევიზიით ჯონ კენედის დაკრძალვის ცერემონიას უყურებდა, ცრემლები ველარ შეიკავა, სელინჯერი ტიროდა, რაც წარმოუდგენელი რამ იყო... ყოველ შემთხვევაში, სელინჯერის ქალიშვილს, მარგარეტს, არასდროს უნახავს ატირებული მამა...

სელინჯერის ცრემლები წინასწარმეტყველური იყო. მწერალი თითქოს 60-იანი წლების ამერიკას მისტიროდა. იმხანად მართლაც დიდი ეპოქა დასრულდა მტატებისთვის: 1961 წელს თავი მოკლა ჰემინგუეიმ, 1962 წელს გარდაიცვალა ფოლკნერი, 1963 წელს მოკლეს ჯონ კენედი, 1968-ში კი — მისი ძმა რობერტი. კენედების მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა არ ყოფილა ამერიკისთვის. ძმები კათოლიკურ ოჯახში იყვნენ აღზრდილნი. განსაკუთრებით მკვეთრი კათოლიკური ორიენტაცია ჰქონდა რობერტ კენედის, მას რომ დასცლოდა, შესაძლოა ამერიკა ოდნავ სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე დღესაა. ყოველ შემთხვევაში, ნებას არ დართავდა ტაძრები საკონცერტო დარბაზებად და თეატრებად გადაკეთებულიყო, სადაც ყველას მიეცემოდა საშუალება (მათ შორის ფემინისტებსა და ლგბტ თემებს) პოეზიის საღამოები და კონცერტები მოეწყოთ.

ჯონ ფიცჯერალდ კენედი რალაცით ჰგავდა ჯერომ დეივიდ სელინჯერს, მასაც სურდა ემხილებინა თვალთმაქცები ანუ ის ადამიანები, ამერიკაში რეალურ ძალაუფლებას რომ ფლობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტ კენედის წინასწარჩვენი დაპირების შესრულება არ დასცალდა... 60-იანი წლების ბოლოს უკონტაქტო გახდა სელინჯერიც, მას 1965 წლის შემდეგ აღარაფერი გამოუქვეყნებია...

მეთუ სელინჯერს საკუთარი დის მარგარეტის წიგნი რომ წაუკითხავს — *Dream Catcher: A Memoir*, გაოგნებულა, რადგან მამა ვერ ამოუცნია. „ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ისაა, რომ სრულიად განსხვავებულ სახლში გავიზარდე“, ასე აკრიტიკებდა მეთუ მეშუარული წიგნის ავტორს „ნიუ იორკ ობზერვერის“ ფურცლებიდან. მისი აზრით, მარგარეტის ნაწარმოების მთავარ გმირს არაფერი ჰქონდა საერთო მამასთან. აი, ნათელი მაგალითი, თუ რა რთულია რაიმე დაწერო ადამიანზე, ვინც ორმოცდაათ წელზე მეტი გაატარა მიყრუებულ კორნიში განდევნილად. დიახ, თვით მეთუა და მარგარეტსაც კი უჭირდათ გაერკვიათ, როგორი იყო მათი მამა, დიდი ამერიკელი მწერალი ჯ. დ. სელინჯერი, მამ რალა თქვან სხვა ბიოგრაფოსებმა, მას ხან სერიულ მკვლელობათა ნამახალისებლად რომ მიიჩნევენ, ხან კი უხამსობათა შემთხვევლად, რომელიც კორნიში თურმე მხოლოდ იმის გამო გადასახლებულა, ომით მიღებული ფსიქიკური ტრამები რომ მოეშუშებინა...

მაინც რატომაა რთული სელინჯერზე რაიმე დაწერო? ალბათ, იმის გამო, რომ მწერალი თვითონვე იყო საკუთარი თავის ბიოგრაფოსი. ძნელად მოიძებნება სხვა შემოქმედი, რომელსაც უფრო მეტი ავტობიოგრაფიული პერსონაჟი ჰყავდეს გამოყვანილი თავის ნაწარმოებებში. დაწერო მასზე, ნიშნავს გაეჯიბრო სელინჯერს, რაც ადვილი არაა. შესაძლოა, მავანს ნიჭიც ჰქონდეს და არც ენთუზიაზმი აკლდეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდეს, რადგან ამერიკელი განდევნილის ცხოვრება მხოლოდ ბიოგრაფიული ცნობებისა და მოვლენათა ნახავი არაა. თემას ვერც მხოლოდ ინტერვიუებით ამწურავ, თუნდაც მწერლის ნაცნობი ათასზე მეტი ადამიანი გამოკითხო. 2013 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული 700-გვერდიანი წიგნის „სელინჯერის“ ავტორები, დეივიდ შილდსი და შინ სალერნოც, ხომ სწორედ ზედაპირულობის გამო გააკრიტიკეს. უორნერ ბრაზერსის ვებსაიტზე (*Rotten Tomatoes*) დადებული რევიუების მხოლოდ 31% აფასებდა მათ წიგნს დადებითად, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

მაინც რას ემართლებიან დეივიდ შილდსსა და შინ სალერნოს? მათ ხომ ტიტანური შრომა გასწიეს, უამრავი ადამიანი გამოკითხეს, მასალები შეაგროვეს. თურმე სალერნოს საკუთარი ფინანსებიც კი არ დანანა, დოკუმენტური ფილმიც რომ გადაეღო განდევნილ მწერალზე. გულჩვილ მკითხველს სალერნო შეიძლება შეეცოდოს კიდევ, თუმცა მას ვინმეს შესაცოდი მართლაც არაფერი სჭირს, რადგანაც წიგნი გამოცემისთანავე იქცა ბესტსელერად, ფილმი „სელინჯერიც“ უკვე წარდგენილია 2014 წელს გასამართ კინოაკადემიის დაჯილდოებაზე და, ალბათ, ფართო აუდიტორია მოიწონებს კიდევ, თუმცა სალერნოსა და შილდსის თანავტორობით გამოცემული წიგნი სელინჯერის ყველაზე ერთგული მკითხველის გულს მაინც ვერ მოიგებს, რადგან ბიოგრაფოსობისთვის ხელი ჰოლივუდის რჩეულს — შინ სალერნოს („არმაგედონისა“ და „ავატარი IV“-ის ერთ-ერთი სცენარისტს) რომ მოუკიდია, მათთვის თვით ეს ფაქტიც კი უცნაურია. სელინჯერს ხომ ყველაფერი სძულდა, რაც ჰოლივუდთან იყო დაკავშირებული? მეტიც, მისი ერთ-ერთი ავტობიოგრაფიული პერსონაჟი ჰოლდენ კოლფილდი იმ მწერლებს, ნამდვილ ხელოვნებას იაფფასიან ჰოლივუდურ დიდებაზე რომ ცვლიდნენ, *prostitute* – ებსაც კი უწოდებდა. „ახლა ჰოლივუდშია დ. ბ., ხელიდან წავიდა. ყველაზე უფრო კინოს ვერ ვიძან — ჭირივით მძულს, ნურც მისწავნებთ“. ქართულ თარგმანში ვახტანგ ქელიძეს ავტორის მკაცრი ტონი შეურბილებია და „ხელიდან წასვლა“ უხმარია *became a prostitute*-ის ნაცვლად, ეს პირველ აბზაცში, სხვაგან კი უბრალოდ ამოუღია — *he prostituted himself* (თავი გაიბოზა) და ჩაუწერია „ჰოლივუდში წავიდა“. აი, როგორი დაუნდობელი იყო მწერალი კინოინდუსტრიის წარმომადგენლებისადმი, ამიტომ, ალბათ, არავის უნდა გაუკვირდეს, რომ სელინჯერის თაყვანისმცემელთა გარკვეული ნაწილი ამ ახალ წიგნს უარყოფითად შეაფასებს.

III გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები

როგორც ცნობილია, სელინჯერს 1965 წლიდან მოყოლებული არაფერი გამოუქვეყნებია. 1970 წელს კი გამომცემლობა Little, Brown-ს უკან დაუბრუნა გამოსაცემი ნიგნისთვის ავანსად გაცემული თანხა — 75 000 დოლარი, რაც იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ აღარ აპირებდა ახალ ნაწარმოებთა გამოცემას. მწერლის შემოქმედების თავყვანისცემლებს ძირითადად უკვე ერთი კითხვა ანუხებდათ: „წერდა თუ არა სელინჯერი?“

მსგავსი კითხვა გაუჩნდა ცნობილი ავტობიოგრაფიული ნიგნების ავტორს, პულიცერის პრემიის მფლობელ სკოტ ბერგსაც, როდესაც 70-იან წლებში ჰემინგუეის, ფიცჯერალდისა და ტომას ვულფის ლეგენდარული გამომცემლის, მაქს პერკინსის დას, ფენი კოქსს, ესტუმრა პატარა ქალაქ კორნიშის მახლობლად მდებარე ვერმონტში. ფენი მაშინ 80 წლისა გახლდათ. იგი იყო კოლორიტული ქალბატონი, რომელსაც ხანდახან ამერიკის სიმბოლოსაც კი უწოდებდნენ.

სადილობისას საუბარი სელინჯერზე ჩამოვარდა. ბერგმა აღნიშნა, გზაში კორნიშის ხიდს მოვკარი თვალიო. მას ძალიან უნდოდა სელინჯერი ენახა, არა იმის გამო, რომ მისი თავგამოდებული ფანი გახლდათ, უბრალოდ აინტერესებდა, წერდა თუ არა რაიმეს ეს დიდი ადამიანი. თუკი მხოლოდ ეს გაინტერესებს, ნასვლა არ დაგჭირდება, მეც გიპასუხებ, რადგან სწორედ გუშინ ვუმასპინძლე, თანაც ზუსტად იმ სკამზე იჯდა, რომელზეც ახლა შენ ზიხარო, მიუგო მასპინძელმა და დაამატა, რომ სელინჯერი განუწყვეტლივ მუშაობდა, თანაც საკვებით ჯანმრთელად იყო...

სელინჯერის აქტიურ შემოქმედებით პროცესზე სხვა ბიოგრაფოსებიც საუბრობდნენ. მაგალითად, ჯოის მეინარდი იხსენებს, რომ მხოლოდ ერთ — 1972 წელს მწერალს თურმე ორი ახალი რომანი დაუსრულებია. ახალ ნაწარმოებებზე მუშაობის ფაქტს ადასტურებს მარგარეტ სელინჯერიც, მე-მუარულ ნიგნში მოგვითხრობს, რომ მამა ფერადი ავტოკალმით აღნიშვნებს აკეთებდა. ნითელი ნიშანი, რომელსაც დასრულებულ ნაწარმოებზე სვამდა, უნდა გავკვირვო ასე: „თუკი გარდავიცვალე... გამოაქვეყნეთ როგორც არის“, ხოლო ლურჯი აღნიშვნა — „გამოაქვეყნეთ, მაგრამ ჯერ გაარედაქტირეთ.“ სელინჯერის მეზობელი ამტკიცებდა, მწერალმა ერთხელ მითხრა, თხუთმეტი გამოუქვეყნებელი რომანი დამიგროვდაო. ბუნებრივია, ისმის კითხვა, სად გაქრა ეს ნაწარმოებები? ხომ არ შეეწირა 1992 წელს მწერლის კარმიდამოში გაჩენილ ხანძარს, რომელმაც შენობა საგრძნობლად დააზიანა?

ამ გაურკვევლობას ნათელი მხოლოდ ახლახან მოეფინა, 2013 წლის 3 სექტემბერს, როცა დეივიდ შილდსისა და შეინ სალერნოს თანავტორობით გამოქვეყნდა ბიოგრაფიული ნიგნი „სელინჯერი“, სადაც წერია, რომ მწერალმა გარკვეული მითითებები დატოვა, თუ რა გრაფიკით უნდა გამოქვეყნებულიყო მისი ნაწარმოებები 2015-20 წლებში. ბიოგრაფოსთა თანახმად, ამ პერიოდში დღის სინათლე უნდა იხილოს — ხუთმა ახალმა მოთხრობამ გლასების ოჯახური საგიდან; რომანმა, რომელიც ეხება მწერლის ურთიერთობას მის პირველ მეუღლესთან სილვიასთან; ნოველამ II მსოფლიო ომის მონაწილე კონტრდაზვერვის ოფიცერზე და ახალმა მოთხრობებმა ჰოლდენ კოლფილდის შესახებ.

მკითხველი ჯოის მეინარდის, მწერლის კორნიშელი მეზობლის, და მარგარეტ სელინჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგად გაცილებით უფრო დიდი რაოდენობის რომანებისა და მოთხრობების მოლოდინში იყო, მიუხედავად ამისა, ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა მაინც რჩება, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ჯერომ სელინჯერს 45 წელი კორნიშში მხოლოდ მედიტაციამ არ გაუტარებია...

რევზ ინანიშვილის სახელობის ერთი მოთხრობის კონკურსის გამარჯვებულები



თამაზ ხმალაძე, ივანე ჯავახიძე, თამარ შაიშველაშვილი

საქართველოს მწერალთა სახლში ლიტერატურულმა ჟურნალმა „ანეული“, თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით, **რევზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში** გამარჯვებული მწერლები დააჯილდოვა.

კონკურსის წლებიდანვე ჟიურის თავმჯდომარეობდა ცნობილი მწერალი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი **თამაზ ხმალაძე**. ჟიურის წევრები იყვნენ: პოეტი, „ანეულის“ მთავარი რედაქტორი **თამარ შაიშველაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **სოფიო ჯავახიძე**, ფილოლოგი **ლილა ქიტოშვილი-სახლბუციშვილი**. დაჯილდოებას „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრები დაესწრნენ, რომლის სარედაქციო ჯგუფშიც არიან: ცნობილი მწერლები და მეცნიერები: **თამარ მიქაძე, ლილა ქიტოშვილი-სახლბუციშვილი, ჯუბა ლეხელი, თემურ ჩალაბაშვილი, მანანა ჩიტოშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი, თამარ შაიშველაშვილი** (მთავარი რედაქტორი და კონკურსის დამფუძნებელი), **თამაზ ხმალაძე, ივანე ჯავახიძე, სოფიო ჯავახიძე** (პასუხისმგებელი რედაქტორი), **ჯუმბერ ჯიშკარიანი**.

დაჯილდოებას **რევზ ინანიშვილის** მიუღწეველნი, ქალბატონი **როზა ინანიშვილი** დაესწრო.

ჟიურის თავმჯდომარემ **თამაზ ხმალაძემ** კონკურსის მნიშვნელობას გაუხსნა ხაზი, რომ ის უწინარესად პროზაში მცირე ჟანრის ნაწარმოებთა ნახალისებას და, ამავდროულად, რევზ ინანიშვილის სახელის უკვდავყოფას ემსახურება. დაჯილდოებაზე გამოითქვა აზრი, რომ ეს დღე რევზ ინანიშვილის დღედ გამოცხადდეს.

კონკურსის 2013 წლის გამარჯვებულს **ზურაბ ჯოხარიძეს** (მოთხრობისათვის „**მგზირი**“) პირველი პრემია გადასცა **როზა ინანიშვილმა**, მეორე პრემიის მფლობელი **გიორგი ცოცანიძე** (მოთხრობისათვის „**ფიცის სამანები**“) დააჯილდოვა პოეტმა **თემურ ჩალაბაშვილმა**, ხოლო **გია არგანაშვილს** (მოთხრობისათვის „**ობოლა და ნავსა**“) მესამე პრემია გადასცა თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის თანამშრომელმა **ნანა გიორგაძემ**.

კონკურსის ნომინანტები და ჟიურის სიმპათიის პრიზის მფლობელები გახდნენ: **მარიამ ბექაური** — „**ომის მამაჩემი**“ და **ბექა ადამაშვილი** — „**ღვთ ვუ, როგორც არასეთი**“.

პრიზიორები, დიპლომებთან ერთად, **რეზო (ემელიანე) ადამიას** ნახატი დაჯილდოვდნენ. მხატვარი უკვე მეოთხე წელია გამარჯვებულებს საკუთარ ნამუშევრებს უანგაროდ ურიგებს.

გადაეცათ პოეტ **ნინო ტარყაშვილის** მიერ შედგენილი ნიგნიც: „**ქართველ ნმინდანთა პოეზია**“.

დაჯილდოებასთან ერთად გაიმართა „ანეულის“ ახალი ნომრის წარდგინებაც გამარჯვებულ ავტორთა ნაწარმოებებით. ეს ახალი ნომერი სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის** თანადგომით გამოიცა.

სალამოს „ანეულის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი **ივანე ჯავახიძე** უძღვებოდა.

პაატა ჩხეიძე

ტომას ელიოტის „ბერნი მინა“ და ლექსები, როგორც... გია ჯოხაძის ნიგნი

უცხოური ლიტერატურის (მაღალი დონის) კარგი ქართული თარგმანი ქართული ლიტერატურის კუთვნილებაა, გამდიდრება ქართული ლიტერატურისა. ეს ჩემი აზრი არ გახლავთ, ამას ამბობდნენ: გერონტი ქიქოძე, ვახტანგ ჭე-ლიძე, ოთარ ჩხეიძე და სხვანი; მე მხოლოდ ვე-თანხმები, ვიზიარებ ამ აზრს და ვამბობ, რომ ქართულმა ლიტერატურამ კარგი ნიგნი შეიძი-ნა, გია ჯოხაძის, „თ. ს. ელიოტის „ბერნი მინა“ ჰერმენევტული ინტერპრეტაცია“.

უთუოდ ვრცელი მსჯელობის საგანია როგორც ნიგნის სათაური, ისე ფორმა და ში-ნაარსი. ამ მცირე გამომხატურებაში ეს არ მო-ხერხდება.

მოდერნიზმები შენუსებულნი იყვნენ ლი-ტერატურის გადემოკრატიზაციით, იმით, რომ ნატურალისტებმა ყველასათვის ხელმი-საწვდომი გახადეს ლიტერატურული ტექსტი, ხოლო იაფფასიანმა გამოცემებმა და ჟურნალისტიკამ წერ-აკითხვის მცოდნეთა მრავალმილიონიანი მასების ყურადღება დაიპყრო. მოდერნიზმების რეაქცია ლიტერატურის დემოკრა-ტიზაციას მოჰყვა. ცნობილი ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნე-ბისათვის“ სწორედ მათ ნიაღში იშვა, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ლიტერატურული (მაღალი დონის) ქმნილება მხოლოდ მკითხველთა მცირერიცხოვან წრეს შეეძლო გაეგო და დაეფა-სებინა. ამას ასაბუთებდნენ: „ახალი კრიტიკა“ ამერიკაში, ფორმალისტები რუსეთში, მოდერნიზტული წრეები ევროპაში და მათ სათავეში იდგა ტომას სტერნზ ელიოტი, საპროგრამო ესეით „ტრადიცია და პროვინციული ნიჭიერება“.

ამ კონტექსტში ძალაუნებურად უნდა შევეკამათო ნიგნის წინათქმამი გამოთქმულ მოსაზრებას, „ბერნი მინას“ ბევრი კითხულობსო. ჩემი აზრით, სიტყვა „ბევრი“ დაზუსტებას მო-ითხოვს, და თუ ორიც ბევრია, მაშინ შეიძლება წარმოვიდგი-ნოთ, თუ როგორია „ბერნი მინის“ მკითხველთა სიმრავლე. მე ვიტყვოდი, რომ „ბერნი მინას“ ცოტა კითხულობს, ისე როგორც ცოტა კითხულობს ჰომეროსს, რუსთაველს, დანტეს, რაბლეს, შექსპირს, გოეთეს, ბაირონს, ეკლერიჯს, პრუსტს, კაფკას, ჯოისს... და კიდევ უფრო ცოტა იგებს.

გია ჯოხაძის ნიგნს ბევრი არ წაიკითხავს საქართველოში, მაგრამ ვინც წაიკითხავს, გაიაზრებს, ჩაფიქრდება, იმსჯე-ლებს, შეედავება, უთუოდ გამოადგება. ნიგნი ძვირფასი შენა-ძენია აკადემიური წრეებისათვის, უნივერსიტეტებში ინგლი-სური ლიტერატურის მოდერნიზტული კურსების წამკითხველ-თა და მსმენელთათვის. არც ისე ცოტა გამოდის, არა? და მცი-რე შევება გამოდგება ამ უმაღლური ღვანლის გამღებისათვის.

ტ. ს. ელიოტის „ბერნი მინა“ პოემაა, პოეზიაა, დიდი პოე-ზია. არაინგლისელი მკითხველი ამას ძნელად თუ იჯერებს, იმიტომ, რომ ლექსის თარგმანში ადეკვატურობის მიღწევა ძნელია; უცხოენოვანი ლექსის აღქმას კი იმ ენის ნიუანსობ-რივი ცოდნა სჭირდება, რომელზეც ლექსია შექმნილი; ჩინე-ბული მთარგმნელი იყო ზვიად გამსახურდია და არც მისეული თარგმანია დასაწუნი, მაგრამ „იავარქმნილი მინა“ და მის მი-ერვე მონოდებულები ანალიზი ანგლო-ამერიკული, მოდერნი-სტული ლიტერატურის შემოღწევად და... დისიდენტურ აზ-როვნებად აღიქმებოდა ჩვენში და ასეთს ვენაფებოდით, მაგ-რამ მერე მაგნიტოფირზე ავტორისეული დეკლამაცია მოვის-



მინეთ და მივხვდით, რომ დიად პოეზიას ვე-ზიარებოდით.

მაგრამ ძნელი გასაგები რომ იყო? ამას ელიოტიც მიხვდა და კომენტარები დაურთო. „ახალი კრიტიკის“ მესვეურები წინააღმდეგნი იყვნენ პოეტური ტექსტის ისტორიული კვლე-ვისა, მაგრამ მათაც არ დაიზარეს „ბერნი მი-ნის“ კომენტარებმა, სადაც ისტორიაც შეეპა-რათ. და იზრდებოდა კომენტარები და იკარ-გებოდა პოეზია კომენტარებში. ოთარ ჩხეიძემ უკომენტაროდ გამოაქვეყნა „ბერნი მინის“ თარგმანი და ელიოტოლოგთა რისხვა დაიმსა-ხურა. და ამ არცთუ მცირეწიანი ნიგნშიც ჩა-კარგულია „ბერნი მინა“ და ვერაფერს უშვე-ლი, თუნდაც უფრო დიდი შრიფტით ააწყო.

არადა ამ ნიგნში „ბერნი მინის“ გარდა ბევრი სხვა ლექსიცაა და „ჰერმენევტული ინტერპრე-ტაციების“ სათაურით გია ჯოხაძემ მცირე პოე-ტური კრებული „შემოგვაპარა“. ტ. ს. ელიოტის: „ქარანი რამის რაფსოდია“, „კუზინა ნენსი“, „დეიდა ჰელენი“, „ისტერია“, ნანყ-ვეტი „პროფროკიდან“, „გერონტიონი“, „წმ. ნარცისის სიკვდი-ლი“, „მოხარული კვერცხი“; ეზრა პაუნდის: „მისალმება“ და ელიოტისადმი მიძღვნილი ლექსი; შარლ ბოდლერის: „შვიდი ბე-რიკაცი“, „ბრმები“, „მკითხველისადმი“; პოლ ვერლენის „პარცი-ფალი“; ედმუნდ სპენსერის „პროთალამიონის“ ნანყვეტი; ანონი-მი ავტორის „ნითელი ფრთა“; რეგტიანი „შეიქსპირიან რეგ“; ნანყვეტი ჯონ ვებსტერის პიესიდან „თეთრი ეშმაკი“; მედისონ ქუიონის (ქაუინი ხომ არ აჯობებდა?) ლექსი „ბერნი მინა“; ტო-მას მელორის „არტურის სიკვდილის“ ორი თავი.

გია ჯოხაძე გამოცდილი მთარგმნელია და გაუაზრებლად არაფერს აკეთებს, მას ალბათ აქვს თავისი მოსაზრება თარგმა-ნის ფორმის შესახებ. თარგმანი ძირითადად თოთხმეტმარცე-ლიანი ლექსით არის განწყობილი და, ვფიქრობ, იმაზე მეტად არის გართიმული, ვიდრე ორიგინალი. ორიგინალში ძირითა-დად იამბური პენტამეტრია, მაგრამ, ამასთან ერთად, უამრავი სალექსო მეტრია გამოყენებული და სტრიქონთა უმრავლესო-ბა, პირველიდან მოყოლებული, აბურღულისა და დაუსრულე-ბელის განცდას ტოვებს. ეს განცდა წარმმართველია პოემი-სათვის — სიბერნის განცდასთან ერთად. შთაბეჭდილება დამ-რჩა, რომ გია ჯოხაძის „ბერნი მინა“ უფრო „მონესრიგებულია“.

ნიგნის გარეკანით ანუ სათაურით გია ჯოხაძე გვეუბნება, რომ ეს მისი ნიგნია და არა მხოლოდ თარგმანი. ვფიქრობ, რომ უფრო თარგმანია — ვიდრე ორიგინალური ნიგნი და, სურვილი მაქვს, ასეთი თარგმანები სხვათაც შემოგვთავა-ზონ. აქამდე მხოლოდ ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე გვანებიერებ-და ასეთი საჩუქრებით. სწორედ რომ საჩუქრებით, რადგან ვი-ცი, რომ არც მას და არც გია ჯოხაძეს ადეკვატური ანაზღაუ-რება არ ღირსებიათ მძიმე შრომისათვის.

გულს მაკლდება სახელის საკითხი, ვერა და ვერ შევთანხ-მდით, რომ დიდი ინგლისელი პოეტის სახელი ქართულად უნ-და იწერებოდეს **ტომას სტერნზ ელიოტი**.

და კიდევ ერთი, სათაურით „ბერნი მინა“ ელიოტის პოემის თარგმანი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ოთარ ჩხეი-ძემ გამოაქვეყნა. კარგია, რომ ეს სათაური მკვიდრდება. ჩემი აზრითაც, ეს სათაური — „ბერნი მინა“ — უკეთ წარმოაჩენს ელიოტის პოემის არსს.

ო რ ი ე ს ე ი ე რ თ მ ნ ე რ ა ლ ზ ე

სოსო სიგუა

„ლაზერმოუ“

„ლაზერმოუ“ ოთარ ჩხეიძის ბოლო რომანია. იგი დაწერა 85 წლის კაცმა, რაც იშვიათი ფაქტია ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ ისიც იშვიათი ფაქტია, რომ 70 წელს გადაცილებულ მწერალს დაეწეროს 6 რომანი, კიდევ უფრო გაემალოს საკუთარი სტილი და თვალთახედვა, ჰქონოდეს მახვილი დაკვირვების უნარი, ყოფილიყო დროის მემკვიდრე და თანაც მდგარიყო ლიტერატურულ სიახლეთა კურსში.

ოთარ ჩხეიძის მიერ ბოლო წლებში დაწერილი ეს ექვსი რომანი გახლავთ — „არტისტიკული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „2001 წელი“, „მორჩილი“ და „ლაზერმოუ“.

ისინი ქმნიან სრულიად განსხვავებულ ნაკადს ქართულ ლიტერატურაში, ერთმანეთს აგრძელებენ და ავსებენ, აყალიბებენ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საგას.

მათგან 10 წლის წინათ მე განვიხილე პირველი ოთხი მათგანი ესეიმი „ტრაგიკული ათწლეული“. მას შემდეგ გამოვიდა „მორჩილი“ და „ლაზერმოუ“.

„მორჩილის“ წინასიტყვაში ავტორი ამბობს, ახალი რომანის დაწერას არ ვაპირებ, ძალა აღარ მეყოფაო, ისევ ეტიუდებს თუ მივუბრუნდებიო. მაგრამ ისე შეძრა მწერალი ანტიქართულმა ექსპერიმენტებმა, რომ ერთ წელიწადში დაწერა ბრწყინვალე რომანი „ლაზერმოუ“. ალბათ სტიმულს ძლევდა ის უსამართლობა და ძალმომრეობაც, რაც მისი ოჯახის მიმართ გამოიჩინა ვარდოსანმა ხელისუფლებამ.

„ლაზერმოუში“ ასახულია ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ განვითარებული მოვლენები, როცა ქვეყანას მართავდა ახალი ტრიუმვირატი — სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია. შევარდნაძე უკვე ისვენებს კრწანისში, თავის ყოფილ რეზიდენციაში, მაგრამ მისი ლანდი ხშირად გაკრთება ნიგნში, რომლის გადადგომა და ხალხის აზვირთება შესანიშნავად არის ნაჩვენები „მორჩილში“. ახალ დროს მოჰყავს ახალი პოლიტიკური ფიგურები, მათი აქტივისტები (მაგ., ბენდუქიძე, ჭიბერაშვილი, გრიგალაშვილი).

მოძრაობს მასა, რეალური და გამოგონილი. აქ ცალკეული ინდივიდები პროცესს ვერ სცვლიან. ისინი მხოლოდ ერთგებიან, განსჯიან, აკვირდებიან ანუ, ნაპოლეონის სიტყვით რომ ვთქვათ, პოლიტიკა ბედისწერად ქცევიან.

თითქოს ყველას ქვეყნის სიკეთე უნდა, რეალურად კი საშველი არ ჩანს. პრობლემას პრობლემა ემატება, ობიექტური თუ სუბიექტური. პოლიტიკური ნწეხი შეცდომას გაშვებინებს და სავალალო დღეში გაგდებს. საბჭოთა „ვაის“ ცვლის თავისუფლების „ვუი“. ამიტომ აქვს ნიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული ეთიმ გურჯის სტრიქონები: „წინათ ვიყავ დაჩაგრული, ახლაც ცეცხლი მიკიდა“.

ამ სიტყვებში არის სიმბოლურად კონდენსირებული ტექსტის არსი ანუ გამოუვალნი მდგომარეობა.

რომანის მთავარი პერსონაჟია ვარაზ კარგარეთელი, პროფესიით არქიტექტორი. იგი ბრუნდება თავის დამტვერულ ბინაში, რომელიც სოლოლაკში მდებარეობს. აქ ხვდებიან მეზობლები — ცოლ-ქმარი სოფიო და ამბროსი — მარადიული პროტესტანტი, მიტინგების აქტივისტი.



ვარაზი ყველა მწვავე პოლიტიკური პროცესის მონაწილეა, ბედისწერის ყველა გორგალი გაუვლია:

აღრე კომუნისტებმა დააპატიმრეს და ვორკუტაში უკრეს თავი; შემდეგ დევნილი პრეზიდენტის მომხრე იყო; თბილისის ომში ებრძოდა ვაჟა ადამიას ბანდას, გასაქცევ გზას უკაფავდა ზვიად გამსახურდიას. შემდეგ იარაღს ინახავდა; თავის სადარბაზოსთან ესროლეს, ქალაქში მანქანა დააჯახეს, რიკოთზე მანქანა გადაუბრუნეს, პროექტები დაუწუნეს, მათ შორის — სამების ტაძრისა.

ბაბუას სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი დაემთავრებინა, იქაური გარუსებული ციციშვილის ქალი შეერთო. თავად არც მოსკოვი მოსწონს, არც ვაშინგტონი, ე. ი. ვერ ეგუება ვერცერთი ფორმის გლობალიზაციას.

ჰყავს ორი შვილი, ორი რძალი და ორი შვილიშვილი, რომელთაც არ გვაცნობს ავტორი. ცოლი ჩამოდის ამერიკიდან, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატის კერის ბიძას მოსწონებია და ხელიც უთხოვია.

ვარაზი მონაწილეობს 2004 წლის სამაჩაბლოს ავანტიურაში, ორკაპის აღებასა და დატოვებაში, იარაღიც შეაქვს კონფლიქტის ზონაში. ამდენი ფათურაკის გადაძვინდეს გული ღალატობს და გრძნობას კარგავს ხოლმე, ვერც სასწრაფო შველის და ველარც სარკოფაგი.

ვარაზის ბიოგრაფიის დეტალები რომანში გაფანტულია. მკითხველმა უნდა ამოკრიბოს ფაქტები და დააკავშიროს, ასევე შეაერთოს სხვა პერსონაჟებთან მიმართებები, მათი წარსული და აწმყო.

ავტორის ცნობიერება ტალღისებურად მოძრაობს. პერსონაჟები ჩნდებიან და ქრებიან. ისინი გიგანტური პროცესის ნაწილებია, სადაც ლიდერებიც მონაცვლეობენ, ამოიწვებიან და იძირებიან.

მწერალს ისტორიულ პროცესებში შემოჰყავს გამოგონილი პერსონაჟები, რათა მათი მეშვეობით, მათი მონაწილეობით დოკუმენტურ მასალას მისცეს რომანის ფორმა. მაგრამ აქ მთავარი პერსონაჟები როდია, არამედ თავად ისტორიული პროცესი, რომელსაც ჰყავს წარმმართველები, რეალური ფიგურები, ჰყავს წევრები. მათ შორის კი კონფლიქტია, რადგან ლიდერები კონიუნქტურას ემორჩილებიან და საზოგადოების რეფორმირებას ცდილობენ. ახალი ტრიუმვირატისათვის ეს არის გლობალიზაცია, რომელმაც ცხოვრება აქცია შოუ-სპექტაკლად. მწერალი ამ პროცესს კრიტიკულად უყურებს, რადგან მას მოსდევს ეროვნული ინტერესების უგულვებლყოფა, კულტურის გადაგვარება, პიროვნების ნიველირება ანუ იმისი გაბატონება, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძოდა ვარაზ კარგარეთელი.

ამ რეალობაში წესრიგი და ჰარმონია არ არსებობს. მაგრამ ეს არც ქაოსის საუფლოა, საიდანაც შემდეგი წესრიგი უნდა იშვას. ეს აბსურდის, უაზრო ყოფისა და ბრძოლის ასპარეზია, სადაც არაფერი ფასობს, სადაც მხოლოდ ის შეიძლება, რომ ყველაფერს ირონიით უყურო და პარადიულად წარმოისახოს.

ოთარ ჩხეიძე ნიგნის წინასიტყვაშიც ახსენებს გლობალიზაციის პროგრამას, შემდეგაც არაერთხელ ეხება. ამისი შედეგია ქვეყნის დაშლა და გაყიდვა, რაზეც წერდნენ გრიგოლ ორბელიანი და ნიკო ლორთქიფანიძე. აუქციონზე ყველაფერი იყიდება, იყიდება ჩვენს თვალწინ:

„იყიდება. იყიდება. იყიდება. იყიდება საქართველო: ქართლი კახეთიანადა. იმერეთი აფხაზეთიანადა. იყიდება ბათუმი. ფოთი. სოხუმი. სანაოსნოებითა და მისადგომებიანადა. ბითუმადა.

ცალ-ცალკე. მადნეული. შავი ქვისა და ქვანახშირის საბადოები. ელსად- გურები. ბრძმელები. ქარხნები და ფაბრიკები. საავიაციო. საავტომობი- ლო. ელმავალმშენებელი. მანქანათმშენებელი. აბრეშუმისა. ბამბეულისა. ტრიკოტაჟისა. მაუდკამოლისა. რისი აღარა. საკონსერვოებს ხო ვერც ჩამოვლი. გზებიც იყიდება. სატრანსპორტო საშუალებები. აეროდრო- მები. თვითმფრინავები. ქაბურღილები. ნავთსადენები. დენსადენები. გაზსადენები (ჩუმად, ჩუმად. ეს არ გავგივონ). აბრეშუმის გზაც იყიდება. ბაქო-თბილის-ჯეიჰანიცა. ბაქო-თბილის-ერზერუმიცა. იყიდება. იყიდე- ბა. იყიდება ყველაფერი. თუ რამე გამომრჩა — შენ თვალი დაადგი. იქ გან- ნდებიან ჩვენი კურიერები. შინ მოგართმევენ. შენ თვალი დაადგი. შენ ოლონდ ინებე!... იყიდება დიდი და პატარა. მოხუცი და ახალგაზრდა. კაცი. ქალი. ქაბულები და ასულები. ასულები ასულებადა. ქაბულები — ასულე- ბადაცა. იყიდება ლომია. კობახიძე. ბენდუქიძე. ესენი თვითონვე იყიდე- ბიან. გაყიდულან და იყიდებიან. ათასჯერა. ათათასჯერა. ყველაგანა. ყო- ველთვისა და მარადიულადა. ერთად. ბითუმადა. ლომია მწვანადა. კო- ბახიძე ჩახოხილადა. ბენდუქიძე მრგვალად მოხარშული. კიდეც ვის ინე- ბე. შენ მადა თქვი!... იყიდეთ. იყიდება. იყიდეთ. შეგარგოთ უფალმა!...

იყიდება და ჰყიდის: პრეზიდენტი. პრემიერმინისტრი. მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე. მოადგილე. კომიტეტების თავმჯდომარე- რები. თვითეული დეპუტატი. ცალ-ცალკედაცა. ერთადაცა. მინისტ- რებიც ასევე. არასამთავრობო ორგანიზაციები. ტელემაუწყებლობანი. რადიომაუწყებლობანი. პრესა. უღმერთო პრესა და უღმერთო მა- უწყებლობანი. ჰყიდინ. ჰყიდინ. ჰყიდინ და ჰყიდინ!...

სიუჟეტი ვითარდება ასეთი ასოციაციების ჯაჭვური გადაბმით, მო- გონებათა და ფაქტების ანალიზით, როცა ცნობიერება გამუდმებით მოძრაობს და ამ მდინარეებს აფიქსირებს დაწყვეტილი ფრაზები, მთრთოლარე პუნქტუაცია. მაგ., ვარაზს ღამე არ ეძინება. ბინა დალა- გებულია, მაცივარი — სავესა. ამისი ორი მონმეც ჰყავს — სოფიო და ამბროსი. ორი მონმის ხსენება ფიქრებს სასამართლოსკენ წარმართავს. ორი მონმით სასამართლო ყველაფერს დაგიმტკიცებს. ასე ამტკიცებს სასამართლო ჭანტურიშვილის დისიდენტობას, რისი გამახსურდია ან კოსტავა. ფიქრები ისევ მაცივარს უბრუნდება. მაგრამ უმაღლესი ჭანტუ- რიშვილიც ჩნდება, რომლის მონმეც ხელი ედოთ ბიბლიასზე.

ასე მოძრაობს ფიქრების გორგალი. ანმყო დროიდან გადავიდვართ წარსულში, რომელიც აფართოებს სივრცეს. ძირითადი და პრობლემუ- რი სწორედ წარსულში ხდება, რასაც პერსონაჟებთან ერთად განსჯის ავტორი, უფრო სწორად — ავტორი სახლდება პერსონაჟთა ფსიქიკაში, არეგულირებს მოგონებათა არეულ სურათებს, პოულობს უმთავრესსა და არსებითს, ხოლო წარმავალს, რაც ასე უხვადაა ცხოვრებაში, განა- ზავებს მსუბუქი ირონიით. ამ ირონიას ხშირად ახლავს ხაზგასმული „რალა თქმა უნდა“. ასეთი კომენტარი, ჩვეულებრივი კომენტარი, ზრდის ირონიას და აკონკრეტებს სიტუაციას.

ავტორის ინტელექტუალურ-ისტორიული ასოციაციები პრობლემის გარშემო ტრიალებს. აქ მთავარია ერის მდგომარეობის ჩვენება, არა ეგო- ისტურ-ბიოლოგიური ინსტინქტების ძიება და პოეტიზება. სიუჟეტური ქარგა საჭიროა იმდენად, რამდენადაც უნდა აიკინძოს პრობლემები, მათი გაშლა კი ხდება ასოციაციებითა და ირონიით, ჭკრნით და არა მოქმედე- ბით. სიმძაფრე ახლავს მათ გააზრებას, დოკუმენტური ნაკადის, ცნობილი ფაქტების განსჯას. საერთოდ კი „ლაზერშოუ“, ისევე როგორც ოთარ ჩხე- იძის სხვა რომანები, მოითხოვს გონების აქტივობას და ძიების უნარს. არ კმარა ერთჯერადი ნაკითხვა, საჭიროა იმ მასალისა და გარემოს, რეალურ- ისტორიული ფაქტების ცოდნაც, რაზეც წერს მწერალი. ამიტომ განეკუთ- ვნება ისინი ავანგარდისტულ, კერძოდ — „ცნობიერების ნაკადის“ ლიტე- რატურას, რომელშიც ასოციაცია, ირონია, პაროდია, გროტესკი, ჭკრეტა და ანალიზი, ენობრივი ექსპერიმენტები ახდენენ დაშლილი სიუჟეტისა და გაფანტული ხასიათების კომპენსირებას. ეს არის ინტელექტუალური თა- მამი, რომელშიც მონანილეობა უნდა მიიღოს მკითხველმაც.

მწერალი ყოველივე ამას აქცევს რეალობის ჩარჩოში, ისტორიულ პერიპეტეტიკაში და არ ცდილობს მხოლოდ ექსპერიმენტული ხასიათის ფსიქოანალიზურ ენობრივ ძიებებს, როგორც არის, ვთქვათ, არნო შილდის „ფსკერას სიზმარში“.

85 წლის ოთარ ჩხეიძემ შემოქმედებითი გამირობის მაგალითი გვიჩ- ვენა, გვიჩვენა ნამდვილი ეროვნული პოზიცია, გვითხრა, რომ ავანგარ- დიზმი საჭიროა, ოლონდ — ზომიერად. იგი სულ წინ მიიწევდა და თით- ქოს დრო არ ეყო, რომ კიდეც უფრო დაიდი სიტყვა ეთქვა.

ეთერ თათარაიძე

ემფატიკური „ა“ — მთავარი ღამნაშავე

ეს არ იქნება სამეცნიერო განხილვა და შეფასება უძვირფასესი მწერლის შემოქმედებისა. ეს ჩემი ფიქ- რებია. უფრო სწორად, ფიქრების ნაწყვეტი...

„ესეც მესამე წიგნი „ჩემი სოფლის ეტიუდებისა“... თავიდანვე ეტიუდები ვუწოდებ. არცა ვფიქრობდი გავცილებოდი ეტიუდის ჟანრსა. არც სოფელს არ უნდა გავცილებოდი. სოფელი იქნებოდა ფონი უსათუოდა... არა მხოლოდ ეტიუდის ჟანრმა არ დაიტია ცალ- ცალკეული თემები, არც მხოლოდ სოფლით არ შემო- იფარგლა მოვლენები. უფრო შორს გავიდა. გამრავ- ვალფეროვნდა ჟანრიცა. თავიდან შერჩეული ლი- რიზმიცა — მოირთო სატირა, იუმორი, დრამატიზმი, ტრაგიზმი და მაინც სათაურს ვერ შეველიე: ველარც „ჩემი სოფელსა“, ველარც „ეტიუდებსა“.

ასეთი აღსარებით იწყება 2010 წელს „ჩვენი მწერლობის“ მიერ გამოცემული წიგნი ოთარ ჩხეიძი- სა „ჩემი სოფლის ეტიუდები“.

პირველივე განწყობა: ფეხი შედგი, შეაბიჯე უსუფთავესი ადამიანის კარმიდამოში. უნდა გაისუ- სო და დატკბე უთბილესი და უგამორჩეულესი ემფა- ტიკური „ა“-თი, რომელიც მწერლის სრულ თავისთა- ვადობასა და სიალაღეს გაიზიარებს. ეს ხმა სხვის- გან არასოდეს გავიგონია, ეს ერთადერთია და შენია. ამ „ა“-ს ნაწყავხარ შენი ქვეყნის ფესვებისაკენ და ძა- ლიან სანდოა, ძალიან მშობლიურია. ეს შენთვის და შენნაირებისთვის... ზოგისთვის კი...

„ბ-ნო ოთარ, აღარ უნდა მოეშვათ ამ ემფატიკურ „ა“-ს?

ოთარ ჩხეიძე „ცისკრის“ რედაქციაში იმყოფება, „ბორიყის“ ბედი აინტერესებს, არც უარით ისტუმრე- ბენ, მაგრამ სანუგუმოც ვერაფერი უთქვამთ, ორჭო- ფობენ, მიკიბ-მოკიბავენ, შემდგომისთვის იბარებენ.

მე რა ამ სახელთან მოსატანი ვარ და... უცებ ყუ- რები მიგუბდება:

„— ეთერ, თქვენ ისევ თუშურ დიალექტზე წერთ?“ — მკითხა ერთხელ ტარიელ კვანჭილაშვილმა...

საქართველოში დრო არ იცვლება, ბოლმა არ იკურნება...

მაგრამ სწორადაც ხომ ესმით: ენა კი არ ფლობს პოეტს და პროზაიკოსს, არამედ ისინი ფლობენ ენას.

მაშ: „— აღარ უნდა მოეშვათ ამ ემფატიკურ „ა“-ს? კითხვას კითხვა შეეგებება:

— რას გიშლის, ტარიელ?! — ნერვებს, ბატონო ოთარ!

და შეჩქვიფდება, მეტი ხომ არ მომივიდაო. ის რომ გაიცინებს, მოსწრებულ სიტყვას დაუფა- სებს, ესეც გახალისდება და შემსწრენი მხიარულად აჰყვებიან.

დაიხ, ეს ქართული მანერული ხასიათია, კოლექ- ტიური, ჯგუფ-ჯგუფური, ნაუკითხავის განკითხვის გულდასანწყვეტი მანია, ისე გაგთელავენ, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადას...

მხოლოდ ემფატიკური „ა“-თი ნუ შემოვიფარგლე- ბით, სხვა რამესაც მივადევნოთ თვალი. ეგ ხომ ვიცით, როგორი ღამნაშავეცაა და ყველაფრის მქმნელიც...

„კედარზე შაშვი გალობდა. კედარზე გალობდა შაშვი. გალობდა შაშვი კედარზე. გალობდა კედარზე შაშვი. შაშვი კედარზე გალობდა. შაშვი გალობდა კედარზე.“

ყველა ქართულია, ყველა სწორია, ჩემი ნებაა და რომელს ავირჩევ, სწორია და ჩემი ნებაა. სწორია და არავის არაფერს ვაკითხებ, არავის არაფერსა, ქართულია. თუ ვინმეს ცნება არევიან თუ ცნობა არევიან, მოუაროს თავის ცნებასა თუ ცნობასა, თავისასა, იმას მოუაროს, — ყველამ თავის მკვედარი იტყროს.

ჰოდა ასეო, შაშვი გალობდა კედარზედა. ესეც სწორია, ნუ მოეჩვენება ნურავისა მოძველებულადა, რადგან რო არ არის არაფერი ახალი, რაც რო ძველი არ ყოფილა.

გალობდა, გალობდა, გალობდა მართლაც, სევდასა გალობდა...

ახლა სულერთია, აგალობებდა თუ არა შაშვი ისევე იმავე ხმაზედა, სევდიან ხმაზედა, უამრავი ვარიაციებითა, უსასრულო ვარიაციებითა, სევდამ რომ იცის, სევდამა, სევდამა; ალტაცებამ არ იცის ვარიაციები. ასე მომიყვია და ასე დავწერე, —

ალტაცებამ არ იცის ვარიაციები, თუმცა რო შემეძლო, ისეც დამეწერა, —

ალტაცებამ ვარიაციები არ იცის;
არ იცის ალტაცებამ ვარიაციები;
ვარიაციები არ იცის ალტაცებამა;
ვარიაციები ალტაცებამ არ იცის“.

ბევრ მძიმე განსაცდელგამოვლილი იყო ოთარ ჩხეიძე, სევდიან ქვეყანაში ცხოვრობდა, წერდა სევდიან ქართულ ხმაზე, უამრავი და უსასრულო ვარიაციებით... ფლობდა უღრმეს ქართულ ენასა და უსასრულო ვარიაციების ფერადოვნებათა ქმნალობაში ეშვებოდა ყველა ქართული ბგერა — მათ შორის ასო-ბგერა „ა“, ემფატიკურ „ა“-დ რომ მონათლულა და დამკვიდრებულა საენათმეცნიერო საზოგადოებაში, პირადად მე გამუდმებულად ჩემი ანბანის დასაწყისს რომ მახსენებს და თავის უუძველეს და უხნიერეს დანიშნულებას განმიახლებს ამ მწერლის წყალობით... უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება ნუთისოფელში. თავად ირჩევს უფალი, ვის რა სიმძიმის ტვირთი არგუნოს და აზიდვინოს მუხლჩაუხრელად. ამსახუროს თავის ქვეყანას და დანიშნულებას ადგილამდე მიატანინოს... ამ უტკებეს ბგერის მთავარ ნიშანსვეტად აღმართვა ოთარ ჩხეიძეს ერგო წილად. ბევრი დაუმსახურებელი ტკივილი გადაატანინა, მაგრამ წამითაც არ დაიხია, არ დათმო, იცოდა ამ ერთი ნამცეცა ბგერის საეროვნო დანიშნულება... იცოდა, როგორ მიჰყავდა „ა“ ასო-ბგერას სიტყვა სიტკობებისკენ, როგორ აბადაგებდა, როგორ აქადაგებდა ეს ერთი ციდა, ცისკენ პირგახსნილი ნიშანი, დასაწყისი ჩვენი უუძველესი ქართული ანბანისა...

„მიანაბიჯებდა, მიანაბიჯებდა — აღიოდა და აჰყავდა!


„რამდენი კილომეტრი იქნება გრაკლიდან ქახველამდისა?

„ალარც სამსახური, არც რო ნივანი საგამომცემლო გეგმაში. მატარებლები. ავტობუსები. ავტობუსები. მატარებლები. იქიდან იქა, იქიდან იქა, აქედან იქა, იქიდან აქა, აქა, იქა, იქა, აქა, აქა, იქა, იქა, აქა... ვაკვირვარ გზასა.

„ვხუმრობდი, ვირთობდი თავსა. ჩემთვისა, ჩემთვისა.

„შინ ვინვე. უარობს. არ მოვეშვები. ეს რამდენი საუკუნეა ქართლში გადმოვსულვართ, გადმოვყოლია მაინც იმერული, — არ მოვეშვები. შემოვუსხდებით მცირე ტაბლასა.

„მისწყდა ზარიო. შელაგდა ყველა. მიიხურა კარი აუდიტორიათა, დიასადგურა მდუმარებათა, გაიკმინა უნივერსიტეტი.



ოთარ ჩხეიძე

კაპიტანი ბოგასა სტოვებს. ამაყი, კმაყოფილი. ჩამოდის და რასა ჰხედავს?... შალვა ნუცუბიძე ამოდის დინჯი ნაბიჯითა, ნელინელ ამოსდევს საფეხურებსა, ნელინელა, ახლა თუ ფიქრობს ლექციისთვისა. მრისხანე იგი მრისხანებს, ცხადია, მრისხანებს და იოკებს თავსა:

„ბატონო შალვა!..“

„ბატონო?..“

„როგორ ფიქრობთ, როდის იწყება ლექციაი?!“

„როცა პროფესორი აუდიტორიაში შედის“.

აღარც შეკითხვაო, აღარც პასუხიო, მდუმარედ აუქცევენ მხარსა ერთმანეთსა...“

მწერლის ეტიუდებიდან, რომელიმე ერთს ვერ აირჩევ. ყველა ცალ-ცალკე გიხმობს და გხიბლავს, თუმცა ნებისმიერ ერთშიც უამრავს ამოიკითხავს, სულს მორთქვამ, გაიმდიდრებ, ჩაფიქრებ, დაიჯერებ, შეიყვარებ, შენიდან წაუსვლელად შეიყვარებ და ფიქრობ, თან დაგყვება, სულ შენთანაა ეს უკიდურესად მისანდობელი ადამიანი. როგორმე უნდა მოწყდეს და ვერა... აქ თუ ორ ფრაზაში გამყინვარებულ პორტრეტს შემოგთავაზებს დიდი შალვა ნუცუბიძისა, ეტიუდი „ის“ ისეთ უმშვიდეს ქართულ იუმორს გაგიშლის, რომ ვითომ იქა ხარ, ვითომ ამ ყველაფერს დაენახარი, ოდნავ ნასვამი მწერალი საჭეს მართავს, სოფლისკენ — ყელქცეულისკენ აულია გავი:

„წამომენია ვილაცაი გნიასითა.
გზა გადამიჭრა.
გადმოხტა.
ინსპექტორია, ახალია. არ მეცნობა. ახალია. ყველაფერი რო ახალია გორში. გორი ძველია...
„საბუთები!“

მრისხანებს ინსპექტორი.
უნდა მეტი მითხრას ვერ მეუბნება. მრისხანებს ისე, ყველა ხმოვანზე მახვილითა: სა-ბუ-თე-ბი!..
რა დავაშავე-მეთქი.

მე მეკითხება!.. ახლა რო შეხტა, „მანქანა დავამტვრიე“ ძლივს დაგენი!..“

რა ძალა გადგამეთქი.
„მადგა, ქუჩები რვიანებით დახატეთ“. ისე ვინ დადის, ქუჩები ორმოებითაა სავსემეთქი. ეს ქალაქის საბჭოს უსაყვედურეთმეთქი.

ვერ დაიჯერებ, თუკი ბ-ნ ოთარს იცნობდი, ამ კითხვით — „რა ძალა გედგამეთქი“ — ინსპექტორი რომ ახატუნა და იონავრა...
იქვე მანქანის გასაღებწართმეული, შინისკენ ფეხით მიმავალი მწერლის ფიქრია თავის მიწაზე, გზასა და ლიხავზე:

„გზა თუ იცინის, უხარიან. ფეხი დაივიწყა გზამა. ბორბლებად იქცა. ტერფი მოსწყდა. ადამიანი მოსწყდა. მოსწყდა და დაადგა, გაუდგა, მიდის, მიდიოდნენ და მიდიოდნენ ურმებითაცა, ეტლეთითაცა. უფრო ფეხითა. გორიდანა, გორისკენა. მიდიოდნენ და მივიღვარ, ოლონდ თუ საით, გორიდანა თუ გორისკენა?... საითაც უნდა იყოს, ვიარო, ეგაა, საითაც იქნება, იქით იყოს, იყოს, ვიარო...“

ლიახვი ასე ღრმად აღარ მისუნთქია კარგახანია, აღარც განმიცდია, აღარც მისუნთქია, ვსუნთქავ. ვსუნთქავ თუ სულს ვიბრუნებ? ახლა ეგ ირკვიე, მივიღვარ...“

რა მომჭირნედ, რა ზუსტად, რა გემოვნებით წნეხს მწერალი ყოველ სიტყვას, რამდენ მიეთმოეთს აშორებს მკითხველს ამ დაწურული, ქვეტექსტებით ნაგები სიტყვის ციხე-კოშკში (გამახსენდა, ქისტის ხელოსანი ლებაისკრის ციხეს რო აგებდა დაგემოვნებით, მთელი დღე ნაგებობაზე რო იტრიალა და საღამოსხანს ძირს ჩამოსულმა, დაქანცულმა ხევსურებს გაუმიხი-

ლა, დილიდან აქამდე სამი ქვით მეტი იქნა ციხეო, მთელი დღე სამი ქვის დადებას მოანდობა და დღესაც მყარად და ურყევად დგას — ეს გასაკვირი სიმამრე.

რატომღაც ის ქისტი ქვითხურო მაგონდება ოთარ ჩხეიძის ამ და სხვა არაერთი ეტიუდის კითხვისას...)

ამ ეტიუდში ატეხს მინის სიყვარულსა და მინის გმინვას, გაფრთხილებას ამ მინისას, დასაბიჯებლადაც რო ებრალება, არათუ ბორბლებით საქელად და საღრიანცელოდ ტრაქტორებისა.

აქ არის ლიახვის უკვდავებაც და სასიცოცხლო ძალაც (თავდაცვით ლიახხავით ლონივრად და დაუმშვრალად რო შეუერთდა თავის დედა მდინარეს) — ქართული სალიტერატურო ენა რასაც ჰქვია და დაუსრულებლად რო მორწყავს და ამოსავლებს ქართველი ადამიანის სულს და წყურვილს ქართული სიტყვისას... რო აღმოაჩინებს დღემდე მიძინებულ ბევრ ქართულ განცდას, ქართულ ბგერას, ქართულ ადათს, როგორც თავად ამჟღავნებს ამ ეტიუდში ლიახვის ნაპირებზე ჩამწკრივებულ მითოლოგიურ არსთა ხასიათსა და ზედმინევილ ცოდნას...

„ლოდებზე როკაპი წამოსკუშულა“, როკაპია, ჩხავის, ყმუის, ხითხითებს, მერე ტრიალებს, ბზრიალებს, კლანჭებზე შედგება, აიფშექს თმებსა, შავსა, შავსა. ყორანი რა არისო. კანიც ეგრეთივე. შიშველი კანი, ჩამოდღედილი თითქოსაო, მოოოდი... ფეხსა ვკრავ ლოდსა როკაპისასა...

„ჩამოდღედილიო“ — შემადრწუნებელი დემონოლოგიური პერსონაჟის დასახატად სიტყვათქმნადობის ამაზე მეტი მწვერვალი სადღაა, გამცივნებს, გაყრიალებს... ჩამოდღედილიო, თან ქართული, საუკუნეებგამოვლილი, შელოცვების მუსიკაც შეუნყვია მწერალს ამ ზემოაღწერილობის სამსიუხუქოდ და კიდევ... ამ ტექსტში რამდენი რამის ცოდნაა.

ეტიუდში „ის“ ორ ადამიანს (მწერალსა და მის მეუღლეს, ქ-ნ მარიაშ) შორის წამიერი დიალოგი რომ გაიმართება, მთელ მათ სიყვარულსა და ურთიერთგაგებით გაჟღენთილ საიდუმლოს შეიტყობ, წამდვილი ქართული, ტრადიციული, სულიერად ამაღლებული ოჯახი რომ ერქვა:

მწერლის მანქანა მიიყვანეს, ის ლამის გამთენიისას ფეხით მივიდა შინ:

„ჩემი მანქანა ჭიშკართან დგას, ჩემს ჭიშკართანა, რაღა თქმა უნდა.

„სადა ხარ?!“

„აგერა ვარ“...

„მანქანა აქ არის... შენ არ ჩანხარ...“

„აგერა გამოვჩნდი...“

„მადლობა ღმერთსა!“

„მადლობა. ჩაი დაადგი“.

„დულს...“

უცნაურია!!!

რა მადლი და მადანია ასეთი ოჯახის ყოფნა.

აქ ხომ არაფერი მოგონილი არაა, ეს ხომ იმ იდილიის ერთი ნამია, რითაც იცხოვრა მწერალმა მისთვის თავშენიერულ (ამ სიტყვის ამაღლებული გაგებით) ადამიანთან ერთად...

ხშირად გამკრავს ფიქრი: როგორ ვერ გადავლახე უაზრო მორცხვობა და ერთმანეთის შესახებ რატომ არ ვკითხე ბ-ნ ოთარს და ქ-ნ მარიამს ამბები-მეთქი. ამ დიალოგმა ეს გულისწყვეტა განმიკურნა. ანკი ამის მერე სხვა რაღა საკითხავი!..

„ახალმა რექტორმაც ახალი საბჭო მოიწვია. განახლებული. მოიწვია. ბრძანა: ლენინისა და პუშკინის ენაზე უნდა წავიკითხოთ ლექციები ამიერიდანაო. მსოფლიო ენაზეო. მსოფლიო ახლა აქეთ ისწრაფის... ავდექი. კარისკენ გავემართე.

ის ვინ არისო, — იკითხა ახალმა რექტორმა.

მოახსენეს.

სად მიდისო.

განცხადებას დავტოვე კანცელარიაშიმეთქი“.

სხვებისა რა მოგახსენოთ, გრძლად და ჩახლართულად წერას რომ საყვედურობდნენ გენიალურ მწერალს. ჩემთვის ამაზე ლაკონიური და დახვეწილი, ასე ორი სიტყვით დახასიათებული პერ-

სონაჟები — პირველი მედროვე რექტორი, ხოლო მეორე ენისა და ქვეყნის სიცოცხლის ფასად არდამთობი სხვაგან არ მაგონდება...

ეგ ხო სულ თანამდევია ამ ყველაფრისა, ყველაზე დიდი დამნაშავე ემფატიკური „ა“, კონკრეტულ საილუსტრაციო მაგალითებს რატომ გაკადრებთ, ეგ ხომ ისედაც ცხადზე ცხადია, როგორ არ გვტოვებს, როგორ მოგვეყვება და „ნერვებს გვიშლის“... ვკადნიერდები და... თუმცა რას გავწვდები, რას ჩავხვდები ბოლომდე, მაგრამ მაინც... როგორ ავცდე:

„ვითარცა თქმულა: უკეთ მაინც არაფერი თქმულა... ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს. ბევრი სხვა თქმულა... წუთისოფელი რო წუთისოფელია, რო არ შერჩება არავის არაფერი, წუთისოფელი რო არაფერია. არ არის და წუ არის, აღარცა ნაღვლობს. თამარმა რო ინაღვლა, დიდმა თამარმა, ვითომ რა უშველა წუთისოფელსა, ამდენი საქმის მოძქმედმა ცხრა ადლი ტილო წავილეო...“

რა გასაკვირია! თამარს რო გაძარცვავდნენ, ილიას რო მოჰკლავდნენ, დავით აღმაშენებელს გულზე რო დააბიჯებდნენ ფეხსა და გუნდრუქს უკმევდნენ სააკაძესა და სტალინსა, წუ გაგიკვირდება გაუნღებელი თავბრუსხვევა იმ ქვეყანაში...

მთელი ჩვენი ბედუკულმართი წუთისოფლის წამიერი აღწერილობა „რო“ და არა „რომ“ კავშირის თანხლებით...“ წუთისოფლის ამაოების ცოცხლად დანახვის გენიალური ნიმუში!..

და წავიდე ბოლოსკენ, გვითხრას სიმართლე ოთარ ჩხეიძემ, რა არის წამდვილი მწერლობა და ჩავგვიტაროს „პროზის სემინარი“. შეფიქრებულსა და შენუბულს თემა რომ უნდა უკარნახოს და მერე დაწერენ. ვითომ დაწერენ...მწერალი მოძღვრავს:

„თემები ჯიბეში არავის უწყვია, არც პორტფელში არავის არ უწყვია თემები. თემები იქაა, სიუჟეტები იქაა, სახეები იქაა, იქა ცხოვრებაშია, იქაა, იქა, ცხოვრებაშია, იქაა, იქა, იქა ჰყრია, აგროვია, ახროვია, ქვას რო ფეხი წაჰკრათ, ნოველაა, ნოველა წამოხტება, ყველა ადამიანი მოთხრობაა, ყოველი, თითოეული, განსაკუთრებული და თავისებური მოთხრობა, თქვენ ოლონდ კარგად მომართეთ ტელესკოპები თქვენი გონებისა, ოლონდ მომართეთ და კარგად მომართეთ, მეტი არაფერი გინდათ, — მეტი არაფერი, არც თუ შორეული დაკვირვებანი გჭირდებათ, — არა, არა! აი, თუნდა აჰაა — თვითეული თქვენგანი ნოველაა, ერთად რო შეიძლება რომანიც გამოვიდეს...“

რომანიც სწორედ იქ არის, სადაც არავის არავინ უყვარს-მეთქი...“

დაეწყობიან და მიდიან შვიდ თუ შვიდჯერშიდლიან სემინარებზე. აქ ჩაიხედე, ამ უშურველ შეგონებაში, რად უნდა დაკარგო დრო, როცა დღესავით ნათლიერად ავიხსნა მწერალმა, ისიც როგორმა! სანდო, საიმედო მწერალმა...

ცოტათი კიდევ წავინიოთ წინ, თორემ თემებს რა ამონურავს, სათქმელს რა დალევს ან სამადლობელს ამ ღვთის რჩეულ მწერალზე...

შევყვეთ თავის გამორჩეულ თბილისელ სტუმართან ატენში, ატენური რომ უნდა დააჭაშნიკებინონ, წამდვილი ატენური:

„წუ გაალვიდებ ქვევრებსა, ცხადია თუ გაალვიდი, მერე თვითონ იცის — შენ შეგყრის ძილსა, თუ ჭკუა გყოფნის, თუ არადა, ცოფს შეგყრის. ცოფსა. ვერც შენ ველარ მოისვენებ, სხვებსაც დაუკარგავ მოსვენებასა. ატენური ატენურია. სიფრთხილე გმართებს ატენურთანა“.

ატენიდან გორისკენ მიმავალი ფიქრს ხმამაღლა გვიმხელს: „რა კარგია მზისჩასვლისას გორი, ურმულივით ახლოვდება შედამებაო. ან ურემი სადღაა ან ურმული ან ამ შედარებას რას მთუხვდება. არა, ურმული მაინც გასძლვდება, რო არ შესეოდნენ ეს უღმერთო აფრო-ამერიკული მოძღვრებები — რო არ აემღვრიათ, რო არ წახვდინათ. ამას მაინც რაღას ერჩოდნენ — გაერყვნათ ხმაი, როგორც რო ენებათ, დაეგრისათ, დაენაკუნებინათ, როგორც ენებათ, ვის თუ როგორაო. თავისი გაერყვნა, თავისი გაეყოლა. ან ურმულს რაისთვის გადაჰკიდებიან ან საუნჯესა ერთიანად, ქართულსა. ხალხურსა. რადა, რაისთვისა?! ან ეს უფლება ვინ მისცა ამათა. წარღვნის უფლება ვინ მისცა ამათ იკითხე, ვინ გისმენს!..“

სიტყვას ვერ შეუბრუნებ, შეუმცდარია...

კარგ მექართულებასთან ერთად ასევე კარგად მომზადებული მკითხველი რომ სჭირდება ოთარ ჩხეიძეს, ეს სადავო არ უნდა იყოს. დიდ ოსტატობასთან ერთად ის იცნობს როგორც შინა, ისე მსოფლიო ლიტერატურას, მან იცის თავისი ქვეყნის ფოლკლორი ყველა დარგითა და ჟანრით. და რა არ იცის, რას არ გასწავლის, რაზე არ გამახვილებს, როგორ არ გამზადებს. ის ინახავს თავის წინაპართა უმდიდრეს ისტორიას და თანამედროვეობას, გიტოვებს სწორ და ფასეულ ამბებს

საქართველოზე შეყვარებული

საქართველოზე შეყვარებულ ბევრ უცხოელზე ნაგვიკითხავს და გაგვიგონია. ზოგს რისთვის და ზოგსაც რისთვის (თუნდაც ვისთვის) უყვარს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არიან გამონაკლისები, არიან ადამიანები (მართალია, ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც), რომელთაც უნრფლესი გრძნობით უყვართ საქართველო. მათთვის სიტყვა — საქართველო — ყველაფერია — ისტორია, კულტურა, ყოფა, ადამიანური...

უყვართ, მორჩა და გათავდა!

სიყვარულით აკეთებენ ყველაფერს საქართველოსათვის, ხშირად შეუძლებელს ძლევენ, იმიტომ, რომ უყვართ, და ეს სიყვარული არაა გაუაზრებელი, იციან, რა ქვეყანაა, რა ხალხია (ბოლოსდაბოლოს, როგორი გემრიელი ხილი იცის ამ დალოცვილ მხარეში), რა წარსული ჰქონდა და დღევანდელი მემკურე როგორი მომავალი შეიძლება ჰქონდეს.

მარი-მადლენ ბარტს გულისგულით უყვარს საქართველო. სხვანაირად **სოფიკო ჯერვალის** ესეიში „**მარი-მადლენ ბარტი, საქართველო და რევაზ გაბაშვილის გადარჩენილი საფლავი პარიზში...**“ („ჩვენი მწერლობა“, 10 იანვარი, 2014) მოთხრობილი ამბები ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა.

ქალბატონ ბარტს სამშობლოსათვის რომ არ უყვარდეს მამული ჩვენი, ფშვში მწერებისაგან დაკბენას როგორ აიტანდა?! მასპინძელზე ადრე გამოიქცეოდა იქიდან და დაგვამუნათებდა, მაგრამ საკუთარივით რომ უყვარს, იმან აატანინა პირველყოფილ ბუნებაში პირველყოფილი ყოფიერებისათვის ნიშანდობლივი რამ.

რაღა მწერების დაკბენით დავინწყე?! მაგრამ ამ ამბავში საოცარი სინათლით გამოსჭვავის უცხოელი ქალბატონის კეთილმოსურნე ბუნება, ჭირისუფლის განცდა. ყოფილ პირველ დედისა და როგორი გულწრფელობით უზიარებს გულისტკივილს, დაურიდებლად ეუბნება: ფშავს კარგად ვიცნობ და მოსახლეობას ძალიან უჭირს, არა აქვთ სამედიცინო მომსახურება და ბავშვები შორი სოფლებიდან სკოლაში, მგლების შიშით, მშობლებთან ერთად დადიანო.

მარი-მადლენ ბარტს გამორჩეულად რომ არ უყვარდეს საქართველო და ძალიან კარგადაც არ იცოდეს მისი ძველი და ახალი ყოფიერება, არ იტყოდა: თიღნაღი უკვე ქართული კი არა, ევროპული ქალაქია, თავი თეატრის დეკორაციებს შორის მგონია, აქ ქართული სული დაკარგულიაო.

უცხოელი ჩვენზე უკეთ ხედავს, რა იკარგება და რისი შენარჩუნებაა აუცილებელი. ჩვენ კიდევ ფასადური შეთხიზნულეებით ვცდილობთ დავამგვანოთ სხვისას, დავკარგოთ ჩვენი — ღირებული, ფასეული.

გავარძელოთ, ფრანგ ქალბატონს გამორჩეულად რომ არ უყვარდეს ჩვენი ქვეყანა, მასპინძლებისაგან ქართული ხილის მოკითხვისა და გატენვის დროს არ იტყოდა: ესაა თქვენი განძი, ასეთი გემრიელი ხილი არსადააო.

ჩვენ კიდევ უცხოურს ვეტანებით.

რომ არ უყვარდეს...

თავის გარშემო მოტრიალებზე, ღირებულ ხალხზე, გიამბობს ცოდვილებსა და უსახურებზეც...

ოთარ ჩხეიძე მფლობელია დიდი, მდიდარი ქართულისა. თუ გენატრება და კითხულობ, ჯერ ისევ იცი ქართული; თუ ღიზიანდები, ვაი და ვუი შენს ყოფასა და წუთისოფელს — დედაენას ემშვიდობები!..

ამიტომაც ქცეულა სანთელივით მოციმციმე ეს ემფატიკური „ა“ ქართულისაგან შორსმყოფათათვის მთავარ დამნაშავედ...

ქართული თოჯინების მუზეუმს თავის ბავშვობისდროინდელ ელზასურ თოჯინას საჩუქრად არ გამოუგზავნიდა.

არც წეროვანში ჩავიდოდა და აგვისტოს ომის მერე ჩასახლებულებს მონახულებდა, მონახულებასთან ერთად, ერთ-ერთს ფინანსურადაც დაეხმარებოდა. „წეროვანში შესულები შეეცრად ვხედავთ ახალგაზრდა ქალს, — წერს სოფიკო ჯერვალის, — რომელსაც ერთი ბავშვი ხელში უჭირავს, ორი უკან მოჰყვება, ყველას გველიმება, უფალმა გვიჩვენა, ვის უნდა დავხმარებოდით“.

რომ არ უყვარდეს, არ იტყოდა: თბილისის აღდგენითმა სამუშაოებმა ქალაქის არქიტექტურული იერი თითქმის გადაასხვაფერა, ზოგი დაამახინჯა, ზოგიც შეცვალა, თავის დროზე გადავიღე ისინი, ერთ დისკზე გადავიტან და საჩუქრად დაეუტოვებ საქართველოსო.

და მთავარი:

მარი-მადლენ ბარტმა საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარული რევაზ გაბაშვილის საფლავის მოძებნითაც გაამჟღავნა. ვისაც ვინმეს საფლავი უძებნია ოდესმე, დამეთანხმება, რაოდენ რთული და ძნელი საქმეა, ხშირად შეუძლებელიცაა.

ქალბატონმა ბარტმა შეუძლებელი შეძლო. არამარტო იპოვა საფლავი გამოჩენილი ეროვნულ-დემოკრატიისა, არამედ — ფრანგული ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვით — ათი წლით დაუსაკუთრა საქართველოს.

ამას ჰქვია უსამანო სიყვარული.

სოფიკო ჯერვალის ესეიში მოთხრობილ ამბებზე კიდევ ბევრი რამეს თქმა შეიძლებოდა (სწორედ ამ მემუარული ჩანაწერების მეოხებით გახდა ეს ფრანგი ქალბატონი ქართული ბიოგრაფიული რომანის პერსონაჟიც: როსტომ ჩხეიძის „ვითა სიზმარი ღამისა (რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“), მაგრამ ბოლოს იმით მინდა დავასრულო, რითაც მსურდა დამეწყო, ესეიში არაფერია ნათქვამი ქალბატონ მარი-მადლენის ჯანმრთელობაზე. არადა, ტექსტის ნაკითხვის მერე უპირველეს ამან დამაინტერესა. ღმერთი უშველის ასეთი უანგარო სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს, ღმერთი გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს, გადაარჩენთ...

დღესაც ეცოცხლოს საქართველოს კეთილი საქმეების მკეთებელ ქალბატონ ბარტს.

სოფიკო ჯერვალის ათი ათასი მადლობა, ასეთი ღვთისნიერი, ჩვენი ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულით გულანთებული ქალბატონი რომ გაგვაცნო.



მარი-მადლენ ბარტი

ანა ბერძენიშვილი

„ხევისპარის დროშაზე შეხვეული ეჟენიზმი“

(შეხვედრა და ნაყურები)

— მაინც ფშავლები არიან და რამდენად მოუხდება მათი სალამო ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნასო, — ასეც უკითხავთ **როსტომ ჩხეიძისათვის**, როცა გამოცხადდა, რომ ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** სალონში „ქართულ ჰომეროსად“ წოდებული მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართებოდა შეხვედრა მუსიკალურ ტრიოსთან „დები ნაყურები“.

— ეტყობა, ამის მოქმედებს ალექსანდრე ყაზბეგი მხოლოდ ხევის — სტეფანწმინდელი მწერალი ჰგონიათ. ალექსანდრე ყაზბეგი საერთოქართული და საკაცობრიო მოვლენაა და ნებისმიერ ენაზე ნამღერი შეიძლება მიეძღვნას მას. დღევანდელი სალამოც სწორედაც რომ მის ხსოვნას მიესადაგება, იმ თვალსაზრისითაც, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ძალიან იყო დანიტერესებული ახალგაზრდებით — მწერლებით, მსახიობებით, მუსიკოსებითაც კი, რადგან იგი ქართული ესტრადის სათავეშიც იდგაო.

მესუთე წელია, რაც **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა** და საინიციატივო ჯგუფის (**ლიზი ჩქარეული, ანა გელაშვილი და შალვა ელოშვილი**) თაოსნობით აღინიშნება ამ დიდი მწერლის იუბილე.

თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რომ ეს შეხვედრები ერთფეროვანი არ ყოფილიყო. პირველად ლიტერატურული სალამო გაიმართა, შემდეგ — ყაზბეგის ნაწარმოებთა თემაზე შექმნილი ილუსტრაციების გამოფენა, მისი ღვაწლი ერთგვარად თეატრალიზებული სალამოთაც გაიხსენეს და სამეცნიერო კონფერენციითაც, ამჯერად კი ამ მწერლის ხსოვნას მუსიკალური სალამო მიეძღვნა — შეხვედრა ტრიოსთან, რომელიც ახლა გამოდის ასპარეზზე, ახლა იმკვიდრებს თავს და საკმაოდ წარმატებულადაც.

ნინო (პირველი ხმა), მანანა (ბანი) და ლელა (კომპოზიტორი, მეორე ხმა) ნაყურები ფშავში, მალაროსკარში ცხოვრობენ, თვითნასწავლი მუსიკოსები არიან და თვითონ წერენ სიმღერებს... მათი შემოქმედება ქართული ხალხური მუსიკის ტრადიციებს აგრძელებს და საგრძნობლად ავსებს მთის — პოეზიით მდიდარ, მაგრამ მელოდიურად მწირ — მუსიკალურ საგანძურს.

გოგონების რეპერტუარი მრავალფეროვანია. სიმღერების დიდი ნაწილი ფშაური პოეზიის ნიმუშებზეა შექმნილი, თუმცა საკუთარ ლექსებზეც წერენ.

ქართული მთის სიმღერებისადმი სიყვარული ოჯახიდან იღებს სათავეს — მშობლებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მათი მუსიკალური ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ფანდურზე დაკვრა და სიმღერა ადრეული ასაკიდან დაიწყო.

გოგონების მუსიკალურ განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ანსამბლი „პირიმზე“ — როლანდ ვაჩიშვილის ხელმძღვანელობით — 4 წელს რომ იარსება. დები „პირიმზესთან“ ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსში. ანსამბლის დაშლის შემდეგ გააგრძელეს დამოუკიდებელი მოღვაწეობა და 2008 წელს პირველად, როგორც ტრიომ „დები ნაყურები“, მონაწილეობა მიიღეს გოგი დოლიძის სახელობის ფესტივალში და ლაურეატებიც გახდნენ.

ამავე წელს ისინი წარდგნენ ფესტივალზე „არტ-გენი“ და ხევსურულ სალამოზე „მთის საჩუქარი ბარს“.

გოგონები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებასა და კონცერტში.

პირველი სოლო კონცერტი 2013 წლის 10 მაისს ქალაქ დუშეთში გამართეს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა

და საკრებულოს მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ სალამო საქველმოქმედო მიზნით გაიმართა — შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა დედათა მონასტრის მშენებლობის დაწყებას ჩარგალში და მალაროსკარის საჯარო სკოლას.

პირველი საკონცერტო გამოსვლების პარალელურად, ინტერნეტსივრცეში გაჩნდა გოგონების სიმღერების სამოყვარულო ვიდეოჩანაწერები...

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ირაკლი გოგოლაურის ლექსზე შექმნილი სიმღერა „ხევისპარი“, რომელიც 2012 წლის 25 იანვარს პირველად ჩანერა სტუდია „გუთანის“ გადამცემმა ჯგუფმა ფშავში, სახალხო მთქმელისა და გმირის — მიხა ხელაშვილის — დაბადების დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე.

სწორედ ასე — შემთხვევით მოისმინა და აღმოაჩინა ისინი **ზურაბ ქოროლიშვილმა**, მუსიკასა და ქართულ ფოლკლორზე შეყვარებულმა ადამიანმა, ვინც მოძებნა კიდეც ეს გოგონები, ტექნიკური მხარდაჭერაც შესთავაზა და მერე მეგობრებადაც იქცნენ.

— დები ნაყურები ალბათ სიმღერით უფრო მეტს იტყვიან თავიანთ შესახებ, მე კი იმის თქმა მინდა, რომ დღეს საქართველოში მუსიკალური ნიჭით ვერავის გააკვირვებ, ამ გოგონებს კი აქვთ გამორჩეული თვითმყოფადობა, თვითონ წერენ მუსიკას, ქართულ საძირკველზე აშენებენ საკუთარ შემოქმედებას და ახალ სიცოცხლეს ანიჭებენ აქამდე უცნობ ლექსებს — არა მხოლოდ ხალხურს; ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ მათი ამღერების შემდეგ აქამდე უცნობი ავტორებიც ჩნდებიან. ასე დადგინდა, რომ ლექსი „ახუნის გორი“, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც გოგონებმა სიმღერად აახმიანეს, თურმე პელაგია ზურაბაშვილს ეკუთვნის.

ამ სალამოს ორგანიზატორებს კი დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ალექსანდრე ყაზბეგი ხომ არა მხოლოდ დიდი მწერალი, დიდი მოღვაწეც იყო, ამიტომ სასიამოვნოა და საგულისხმოც, რომ მისი სახელი ათწლეულების შემდეგაც გზას უკვალავს ახალგაზრდებსო, — აღნიშნა მან.

შეხვედრა კი გოგონების კონცერტის ფონზე წარიმართა და აი, ასეთი დიალოგებიც გაიმართა ამ სიმღერებს შორის.

მანანა გაბაშვილი:

— როდის ჩამოყალიბდა თქვენი ანსამბლი?

— ჩამოყალიბებას ასე ვერ დაგიკონკრეტებთ, რადგან ოჯახიდან მოგვდევს ეს ყველაფერი. დედამ გვასწავლა ფანდურზე დაკვრა. მერე იყო ანსამბლი „პირიმზე“, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო დაიშალა, ამ ბოლო ხანს კი ტრიომ „დები ნაყურების“ სახელწოდებით გამოვიჩნდით...

იოსებ ჭუმბურიძე:

— ცნობილი პოეტების ლექსებზე თუ მღერით?

— ძირითადად ფშაველი პოეტების ლექსებს ავამღერებთ ხოლმე, თითქოს უფრო ახლოსაა ჩვენთან, ირაკლი გაფრინდაშვილის ლექსზეც გვაქვს სიმღერა...

კითხვა დარბაზიდან:

— მშობლები მუსიკოსები არიან?

— პროფესიონალი — არა, თვითნასწავლი. დედა ისეთი ნიჭიერია, თავისით ისწავლა დაკვრა ფანდურზე, გარმონზე... და მერე შვილებსაც გვასწავლა. მუსიკალური განათლება არც ჩვენ მიგვიღია...

დალილა ბედიანიძე:

— აბა, მუსიკას როგორ წერთ ან როგორ ინახავთ?

— სმენით, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით...

სოფიო ჯერვალიძე:

— რამდენიმე წლის წინათ ფშავში დავესწარი თქვენს კონცერტს, ფრანგ სტუმრებთან ერთად. მაშინ გარკვეული ჯგუფი მუშაობდა პროექტზე: „წინაქრისტიანული და ქრისტიანული ტრადიციების შერწყმა ფშავში“, გადაცემაც მომზადდა. და აი, ამ პროექტის ფარგლებში ფრანგებმა ეს გოგონები რომ მოისმინეს — მაშინ ანსამბლი „პირიმზე“ ერქვათ — აღფრთოვანებული დარჩნენ, დისკი მთხოვეს, რომელიც როლანდ ვაჩიშვილმა მომცა და დღეს ეს ხმები საფრანგეთში მოგზაურობენ. მე კი წლების შემდეგ მინდა გითხრათ მაღლობა იმ ცრემლებისთვის, იმ სიამაყისთვის, რაც მაშინ განმაცდევინეთ.

როსტომ ჩხვიძე:

— ამ სტუმრებს შორის იყო მარი-მადლენ ბარტი, ადამიანი, რომლის შემწობითაც მოხერხდა რეზო გაბაშვილის საფლავის გადარჩენა პარიზში. იგი შთაგონებული იყო საქართველოთი, ამ კულტურით, ტრადიციებით... ამ სიმღერებითაც... და სწორედ ამიტომ, თორემ ფრანგული ბიუროკრატიის გარღვევა ურთულესი რამაა...

ნინო დეკანოიძე:

— ტექსტებს ვინ გირჩევთ?

— თვითონ ვარჩევთ.

— ვაჟა-ფშაველას ლექსებზე თუ მღერით?

— არა, იცით... იმხელა პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ვაჟას წინაშე, ის ისეთი გენიალურია, რომ ჯერ ვერ შევებდეთ და ვერ შევეჭიდეთ.

— თქვენ არაჩვეულებრივად მღერით, მაგრამ ზოგჯერ ეს ტექსტები ისეთი მდარეა, კარგი იქნებოდა, მეტი ყურადღება მიგექციათ ამისთვისაც.

კითხვა დარბაზიდან:

— ალბომი თუ გაქვთ ჩანერილი?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ უახლოეს მომავალში ვაპირებთ.

იოსებ ჭუმბურიძე:

— გარკვეულწილად ჩემი სათქმელიც გითხრათ ქალბატონმა ნინომ. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ გამოჩნდით ასპარეზზე და ასე წარმატებულად დაიწყეთ დამკვიდრება ქართულ მუსიკალურ სფეროში. ძალიან მაინტერესებს პროფესიონალთა აზრი თქვენს შესახებ — მაგალითად, რას ფიქრობენ „დებ ნაყეურებზე“ ანზორ ერქომაიშვილი, თამარ ჭოხონელიძე... — და როგორც კი მომეცემა საშუალება, აუცილებლად ვიკითხავ. მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ ეს შეკითხვები შემთხვევით არ წამოსულა თქვენ მიმართ — როცა ასეთ ფესვებზე დგახართ, ქართულზე, და ამ სიმღერას ერთგულებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტების ხარისხს. სხვათა შორის, დიდხანს იყო გაბატონებული აზრი, რომ სიმღერას სულაც არ სჭირდება გალაკტიონი ან უმაღლესი რანგის პოეზია, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს აზრი მცდარი მგონია. შორს რომ არ წავიდეთ, დებმა იშხნელებმა ბარათაშვილის ლექსიც კი აამღერეს. თითქოს უფრო რთულად ასამღერებელიც რა უნდა იყოს, მაგრამ გახსოვთ ალბათ, მოვისმენიათ, როგორი იყო.

წლების წინათ მერიასთან არსებობდა მრჩეველთა საბჭო, კულტურის ცნობილ მოღვაწეთა შემადგენლობით. მე, როგორც გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი, ამ საბჭოს წევრი ვახლდით. ერთხელ, შენობიდან გამოსვლისას, საათმა რომ დარეკა და რეზო ლალიძის „თბილისო“ ახმინდა, გიგა ლორთქიფანიძემ გადაულაპარაკა მურმან ლებანიძეს:

— რა ღვთაებრივია, არა, მურმან?

— კი, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ პეტრე გრუზინსკის ტექსტზე არ უნდა დაენერაო, — მიუგო პოეტმა.

— რას ამბობ, აბა ვის ტექსტზე უნდა დაენერა? — გაიკვირვა რეჟისორმა.

— აი, მაგალითად, აკაკის...



დები ნაყეურები: მანანა, ნინო და ლელა

— ეგ როგორ, თბილისზე, კაცო?! — გაოცდა მაშინ ბატონი გიგა.

ეს ამბავი იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ან ერთს ვემხრობი, ან მეორეს, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ ლექსს დიდი ადამიანები. ახლაც, ამ შემთხვევაშიც, როცა თქვენ კარგ ლექსზე მღეროდით, სულ სხვა მუხტი და ემოცია იყო დარბაზში და ჩვენც სხვაგვარი განცდები დაგვეუფლა.

ცხადია, კარგია, ლექსებს რომ წერთ, ფშაველ პოეტებს რომ აცნობთ საზოგადოებას, მაგრამ კარგი იქნებოდა, მაღალი რანგის პოეზიაც შეიტანოთ რეპერტუარში, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა — როგორც გირჩიეს — ან ანა, შესანიშნავი ფშაველი ციკლი რომ აქვს, რომელიც მარგალიტებითაა სავსე და კარგად იცით, რამდენად მოიგო ლელა თათარაიძის რეპერტუარმა, როცა მან რამდენიმე ლექსი აამღერა ამ ციკლიდან.

თქვენც მხოლოდ ამ სურვილით გირჩევთ, ეს საკითხიც გაითვალისწინოთ და ის ლექსები, თავისთავად ძალიან ლირებულის, სიმღერებადაც დაატრიალოთ ქართულ სივრცეში.

მაკა ჯოხაძე:

ასეთი არაჩვეულებრივები რომ არ იყოთ და არ ვხედავდეთ თქვენში დიდ პოეტენციას, ალბათ არც ეს სურვილი თუ მოთხოვნა გაჩნდებოდა, რომ პირველ რიგში ვაჟას, ანას, აკაკის, ზოგადად ჩვენს კლასიკაზე, ხალხური პოეზიის შედეგებზეც შექმნილიყო თქვენი მუსიკა. მთის ბროლივით გამჭვირვალეა ეს ხმები, მისი ჰაერით სუფთა და სალბუნი.

არადა, თითქოს ბოლომდე ვერ შევიტყებ... მივხვდით რატომაც. დალილა ბედიანიძემ გკითხათ — რას იზამთ, როცა უნივერსიტეტს დაამთავრებთო. ვაგიფიქრე — ალბათ იმასვე, რაც ბევრმა მოიმოქმედა ამ წლებში — გათხოვდებიან, დარჩებიან აქ-მეთქი და კიდევ ერთი გვარის კიდევ ერთი კეთილი და ძლიერი შტო მოაკლდება მთას. არადა, რომ დაბრუნდნენ, ფშავში დარჩენილი ბიჭები ნეტა როგორები არიან? მთისთვის ჩვეული ღირსების გრძობა და კაიზნე თუ აქვთ ნეტა იმ ბიჭებს შენარჩუნებული?

ფრანგები და, საერთოდ, ევროპელები რომ ასე ესაუბრებიან თავიანთ ფოლკლორს უკვე რამდენიმე ათეული წელია, გასაგებია. ეს უკვე ნოსტალგიაა. ვიდეოფორზე თუ სხვა ჩანაწერებით შენახული თითქმის სამუზეუმო ექსპონატი. მაგრამ ჩვენც რომ დავვიდგა ნელ-ნელა ეს ჟამი?! ჩემთვის თქვენი სიმღერები უკვე არა მხოლოდ მთის ნოსტალგიაა, ქვეყნის, სამშობლოს ნოსტალგიაცაა, რომელიც სადღაც მიდის, ნისლივით მიედინება. სამშობლო — ჩვენი ნოსტალგია!.. ჩნდება უმძაფრესი სურვილი, რომ შეაჩერო, ჩაებლაუჭო, არ გაუშვა. და თქვენნაირი პატარ-პატარა ოაზისებიც ამ განცდას ამძაფრებს... ამიტომ ისეთი მრუშე ფიქრები ამეშალა, კომპლიმენტებს ვერ ვამბობ.

იმდენად კარგი იყო ეს ყველაფერი, იმდენად ჩემი, მშობლიური, ამავე დროს ისეთი სევდიანი და ტკივილიანი, მეგონა, ამასაც ვერ ვიტყოდი, რაც ვთქვი. მადლობა ამ განცდებისათვის. იფიქრეთ იმაზე, რაც გითხრეს, გაითვალისწინეთ, რათა უფრო ძლიერად თქვათ თქვენი სათქმელი, უფრო იმედიანად ხშიანდებოდეთ და ახშიანდებდეთ სამყაროს.

მიხეილ ლანიშაშვილი:

— ძლიერადაც იმღერებენ და იმედიანადაც, რადგან ისინი ეროვნულ ფესვებზე არიან ამოზრდილნი და ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ყველას გახსოვთ ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვები:

— ჩვენი ხალხური სიტყვიერება უძირო ჭა არის, რამდენიც უნდა ხაბო, ვერ ამოავსებ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზეც, რასაც დები ნაყურები გვთავაზობენ. თითქოს წარმოუდგენელიც იყო, რომ თეონა ქუშისაშვილის შემდეგ კიდევ გამოჩნდებოდნენ გოგონები, რომლებიც ასე შთამბეჭდავად შემოვიდოდნენ მუსიკალურ სივრცეში, მაგრამ... საქართველოში არა მხოლოდ ფოლკლორის, ნიჭიერების საგანძურიც არასოდეს დაიღვევა.

კარგადაც იმღერებენ და კარგ ლექსებზეც იმღერებენ. ჯერ მხოლოდ ახლა გამოდიან ასპარეზზე, ახლა იმკვიდრებენ ადგილს და მე ისიც მიხარია, რომ ფშაური სამოსით გამოდიან სცენაზე. როცა მათ ვუსმენ და ვუყურებ, ისეთი სიამაყის გრძნობით ვივსები, ერთიორად მაღალი ვხდები...

ლაშა ნოზაძე:

— მადლობა, რომ ფშაური კულტურის მადლს გვაზიარეთ. გოდერძი ჩოხელს აქვს კარგი მოთხრობა, სადაც მოხევე ასეთ სადღეგრძელოს ამბობს:

— მღვრიემდე გაგიმარჯოთო.

მინდა გისურვოთ, რომ ფშაური მიწის, ბალახების, გარემოს სურნელება, რაც ასე შემორჩენია თქვენს ხმას, ასე გვხიბლავს და სულისა და გულის კარს გვიღებს, ბოლომდე შეგენარჩუნებინოთ.

თამარ რაზმაძე:

— პირადად მე ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ხევისბერის დროშაზე შებმული ეფენების წკრიალი მესმოდა...

ნანა კუცია:

— და ასეთი ხმების, ასეთი სიმღერის შემდეგ სიტყვები უძღურებო, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა:

არსებობს გამოთქმა — ქრისტიანს ტანსაცმლითაც იცნობო.

და აი, დგას უკვე ისეთი უშიშროება, როცა ქრისტიანს ნამდვილად იცნობ ჩაცმით... ღვთისმშობლის პორფირისფერი სამოსით... ასეთი ღვთაებრივი ხმებით, ძალიან ქართულით, თავანკარათი და მართალით, თუნდაც ჯერ ბავშვურით, მაგრამ... თავისი მადლი რომ მოჰყვებათ. ვინ იცის, იქნებ ვილაც ანაა მათ შორის... აქამდეც აუცილებლად მივლენ — ანამდეც, ვაჟამდეც... მაგრამ დღეს ისეთი გულწრფელი და მართალი იყო მათი პასუხი: ჯერ ვაჟას ვერ შევხვდეთო, — რომ თქვეს...

თქვენმა ხმამ სწორედ ვაჟას ლექსი უნდა იმღეროს;

ანას პოეზია უნდა აახშიანოს... — რა თქმა უნდა, თქვენს ლექსებთან ერთად — ოღონდ ახლა, 19-20-21 წლის ასაკში, ეს ჯერ ის არის, რაც ღვთისგანაა მათთვის, თანდათან ამას შეეღვრება სხვაც, შეეღვრება ამ სიტყვის კარგი გაგებით, და შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ გაეხსნებათ გზა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ოთარ ტატიშვილის შოუში რამდენიმე ანსამბლი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის ტრიო „დები ნაყურებიც“. პირველად მათ მაშინ მოვუსმინე. საერთოდაც, შოუ კი არა, საოცარი კონცერტი შედგა. შემდეგ დაიწყო „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოების ცერემონიალი და, იცით, ისეთი ბედნიერი ვიყავი... ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, ამ სიმღერების მერე იმ დალხინებული, აყვავებული ქვეყნის „ოქროს გლობუსი“ ისეთ კომპარად, ისეთ არარაობად მეჩვენა... რომ ამ განცდისათვისაც მადლობა მინდა გითხრათ. ღმერთმა შეგანარჩუნებინოთ ეს მადლი.

თემურ ნადარეიშვილი:

— სწორედ ამ მადლზე გიჟდებიან და ტირიან ფრანგები. გლობალიზაციამ დაახრჩო საფრანგეთი და რაც ნამდვილია, რაც სუფთა და ჭეშმარიტია, იმისი ნოსტალგია აქვთ...

რამდენიმე წლის წინათ თეატრალურ სარდაფში გაიმართა საღამოები, სადაც სრულიად უცნობი ადამიანები დგებოდნენ მიკროფონთან და წარადგენდნენ საკუთარ თავს. ბევრი ტალანტი გამოიჟღავნა მაშინ. ასეთ საღამოებს ეს მნიშვნელობაც აქვთ. ამიტომ დღევანდელი შეხვედრა, გარდა იმისა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნას მიეძღვნა, ამ თვალსაზრისითაც საგულისხმოა — თქვენ გაგიცნობთ საზოგადოება, შეგაფასებთ, რჩევებს მოგცემთ და... დაგილოცავთ შემოქმედებით გზას მომავალი წარმატებებისაკენ.

იკა ქადაგიძე

როცა დუმილი მართლაც ღალატის ტოლფასია

კურთხეულ არს დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელმაც არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებთან და ყიზილბაშებთან და აგრეთვე სხვა წყეულთ და შეჩვენებულთა იმით. ეგოდენი სტანჯეს, აწვალეს და გარყენეს ჩვენი უბედური მამები, რომ შემენდობა მათი დაწყევლა.

გაბრიელ ეპისკოპოსი

არცთუ კეთილზმოვანი უღერადობის სიტყვა „კოჰაბიტაცია“ იძულებულია კონკურენცია გაუწიოს თავის ძველთაძველ მეტოქეს — ტოლერანტობას. რომლის სამშობლოც საქართველოში იღებს სათავეს და ყველა დროისა და ჯურის დამპყრობლის ვადაგაუსვლელ კოზირად თამაშდება. წესად იქცა პროკრუსტეს სარეცელზე დაუკითხავად მიგაჯაჭვონ და ამ საუცხოო „ცნებებთან“ თანაცხოვრება დემოკრატიული დემაგოგის თანხლებით მოგისაჯონ.

შესაბამისად ჩვენი ბუნებრივი შემწყნარებლობა ყავღაუსვლელი მონობის ბორკილებითაა დაფერილი. შინ გტანჯავს და გარეთ გაუმაძღარი მტრის თვალს ახარებს.

მოკლედ, მონიანევე სახელმწიფოებს მრავალმხრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, კოჰაბიტაციისა და ტოლერანტობის მეზალიანსი მხოლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის ემეტებათ და ვინც ამ მონაპოვარს ეჭვქვეშ დააყენებს, სულ მცირე ასოციალური პირის სტატუსით შეიმოსება. ებადალებული შემწყნარებლობის შედეგს რაგვარად ვიმკით, ეს ჩვენს „კეთილისმყოფელ“ უცხოელ მრჩეულებსა და გაზულუქებულ შინაგამცემებს წარმოსათქმელადაც ეზედმეტებათ.

რა დასამალია და ამ უწინათო შემწყნარებლობამ საქართველოს მიწა-წყალი შაგრენის ტყავივით დააპატარავა და ახალი, მსუყე ლუკმის მოლოდინით ატროვებული შინაურ-გარეული მეზობლები სიდუხჭირეში ჩავარდნილი ქვეყნის დასაფლეთად ათასმეერთედ დარაზმა!

ცნობილი მეცნიერის ბონდო არველადის ახალი წიგნი „როცა დუმილი ღალატის ტოლფასია“ მტკივნეული სიმართლის მუხტითაა გაჯერებული და ათასი საფრთხით გარემოცულ ქართველობას მოუდუნებელი სიფხიზლისკენ მოუწოდებს. მართლაც უხერხულია მუდამ სხვის ნადავლად გინანილებდნენ და ამ ქრონიკულ უმწეობას ფარისევლური ღიმილითა და გაუმართლებელი უმოქმედობით პასუხობდნენ.

ვინც მკვლევარის ნაშრომებს საფუძვლიანად იცნობს, კარგად მოესწენება, რომ კეთილსინდისიერი მეცნიერი დღენიადაგ ბუნების ხიდზე გადის,

უმწვავეს თემატიკას შეუპოვრად დასტრიალებს და ქართველი ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენებს გვერდს არასოდეს უქცევს.

„ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა XX საუკუნეში“ (1967)

„ქართულ-სომხური ურთიერთობანი“ (1979)

„სომხური თუ ქართული ეკლესიები საქართველოში“ — ქართულ და სომხურ ენებზე (1996)

„ქვანი კვლავ ღაღადებენ“ — რუსულ ენაზე (2004)

„როცა უდავო სადავო ხდება“ (2006)

„ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება“ (2006)

„ბაგრაძიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნონიმენდა აფხაზეთში“ (პროფესორ თემურ მიხრაიანთან ერთად (2990)

ნაშრომთა ჩამონათვალი მკვლევარის ფართო თვალსაზრისით და სწორ მოქალაქეობრივ მრწამსს გამოკვეთს, რასაც ჩვენს უკულმართ დროში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აქ გასათვალისწინებელია მთელი რიგი „წერილმანი“ გარემოებანი, კერძოდ, ეროვნულ ფასეულობათა გადასარჩენად წარმოებულ უთანასწორო ომში დიდძალი ფულითა და გავლენიანი მფარველებით შეიარაღებული მტრების საპირწონედ კეთილსინდისიერი ქართველი მწერალი (მეცნიერი) მხოლოდ საკუთარი ძალებისა და რისკის იმედად ირჯება. მეტიც, მისთვის წარმოუდგენელი ფუფუნებაა, თუ ხელისშემშლელთა ლეგიონის პარალელურად საქმეში სახელმწიფოც არ ერევა უხეშად და დონ კიხოტად გამოცხადებულ უნუგეშო „წარმონაქმნს“ ხელ-ფეხს არ უბორკავს.

ზემოთ დასახელებული წიგნი ყველა სატიკვარს მიუკერძოებლად და ღრმად აღწესსავს. ავტორი მკითხველის გასაცნობიერებლად ძალ-ღონესა და ცოდნას არ იშურებს. ბონდო არველაძის არჩევანი დაქსაქსული ქართველების შეკავშირების ურთულეს გზაზე გადის. ულვეი საფრთხის მოგერიების ჟინი და გამოცდილება ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით განივრცობა და წიგნის ერთიან ქსოვილს თვალში ამოგვირისტებული შეუიანი იმედვით გარს ევლებს. მზერამაგახვილებული მკვლევარის მხედველობის არეში მუდამ ის ქართველები აღიბეჭდებიან, სამშობლოს ჯოჯოხეთური სიძნელეების მიუხედავად რომ ერთგულობენ და გაუსაძლისი წინააღობის ფონზე ეროვნულ საქმეს საარაკო მოთმინებითა და გამძლეობით აღასრულებენ.

ახალი კრებული ამ მოვლენების მთავარ გმირთა დაუვინყარ ღვანლზე მოგვითხრობს. თუმცა საკვანძო თემა თავიდანვე გამოკვეთილია. ბონდო არველაძის სანუხარი ძირძველ ქართულ მხარეს — ჯავახეთს — დასტრიალებს, რომლის მისასაკუთრებლადაც მოყვრად შეხიზნული მეზობელი დიდხანია გააფთრებთ იბრძვის. უძიმეს ისტორიულ ქარტყილთა გამო ქართველთაგან დაცლილ რეგიონს სომხები დაპატრონებიან და გაუთავებელი ტერიტორიული პრეტენზიების კვალდაკვალ შუღლის გასაჩაღებლად მცირე საბაბს „მეცნიერული აღმოჩენებით“ ამარგებენ. ეს ე. წ. ფსევდომკვლევარები მკვიდრ მოსახლეობად იმ ხალხს ასაღებენ, ჯავახეთში — მეფის რუსეთის პოლიტიკის თანახმად — 1830 წელს კომპაქტურად რომ ჩამოასახლეს, რათა მოგვიანებით მორიგი ტერიტორიის მისატაცებლად ნაყოფიერი ნიადაგი მომზადებულიყო.

„სომხების მასიური შემოსახლება ჯავახეთში მოხდა 1830 წელს გენერალ პასკევიჩის ხელმძღვანელობით. შემოსახლებული სომხები დაასახლეს მეფის მთავრობის მიერ იძულებით გასახლებული ქართველი მაჰმადიანების სოფლებში. ერთი ფაქტიც — 1830 წელს სომეხი ახალმონაშენების პირველ ტალღას წინ მოუძღვოდა კარაპეტ ეპისკოპოსი ბაგრატიონი. მისი გვარია ეზნიკიანცი. ჯავახეთის მიწაზე ფეხი დაადგეს თუ არა, კარაპეტ ეპისკოპოსმა მიწას სამჯერ დაჰკრა ეპისკოპოსის ჯოხი და სთქვა — სომხური მიწიდან მომბლიურ სომხურ მიწაზე მოვე-



დითო. აი, ასეთი ცრუ პროპაგანდით გაბრუებული ხალხი შემოიყვანა კარაპეტ ეპისკოპოსმა ძირძველ ქართულ მიწაზე — ჯავახეთში. ეს სიცრუის პროპაგანდა დღესაც მუშაობს“.

ძნელია ავტორის შფოთვა არ გაიზიარო.

გამრუდებული პოლიტიკის არსი იმპერიული ზრახვის მკაფიო გამოხატულებაა. როგორც უკვდავი დევიზი, დღენიადაც „გათიშე და იბატონეს“ განხორციელებას ესწრაფის.

ანტიქართული გეგმების მრავალწინაგოვან ვარიანტებში — დაშნაკთა ვერაგული ჩანაფიქრში — განსაკუთრებული მიზანდასახულობა ეკისრებოდა 1919 წელს მათ მიერ გამოცემული ე.წ. „დიდი არმენის“ რუკებს, რომლის თანახმადაც თბილისის მეთაურობით მთელი აღმოსავლეთ საქართველო სომხეთის საზღვრებში მოექცა. სტამბოლის კონფერენციაზე თურქეთის წარმომადგენელმა ეს გაუფიქრებელი

ნაბოღვარი უმაღლესი გააბათილა. სამარცხვინო ფალსიფიკაციის მცდელობა სამარადუამოდ უნდა დასამარებულიყო, მაგრამ „სახელოვანი წინაპრების“ მიერ სხვის მიწა-წყალზე დაგვილი თანამედროვე ავანტიურისტები თავს მეცნიერებად რომ ასაღებენ, ძველი ოცნების ხორცშესხმის იდეას გაუტანჯავთ. შედეგმაც არ დაივიანა. „დიადი რუკები“ ძველი სკივრიდან (ნოეს კიდობნად რომ ესახებათ) ამოფერთხეს და რუსულ-ინგლისურ ენებზე გამოამზეურეს, რათა მსოფლიო ისტორიული სომხეთის უკიდევანო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შესრუბოდა. ფაქტია, დაშნაკები მაინცდამაინც ომარ ხაიამის რობაიას სწყალობდნენ რომელიც გვასწავლის „არარსებული არსებულად ჩათვალე, ძმაო, და არსებული მიიჩნიე არარსებულად!“

ცალკე საკითხია, ამ მზაკერული ჩანაფიქრის ასამოქმედებლად ტოპონიმიკა რაოდენ საშიში იარაღია. ეს გარემოება სამადლოდ შემოხიზნულ მეზობელს მშვენივრად მოეხსენება და ქართველთა კვალის ნასაშლელად უკადრის ხერხსა და ხრიკს არ იშურებს.

მითვისება-მისაკუთრების მცდელობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ცნობილ მეცნიერს მერაბ ბერიძეს რომლის მონოგრაფიაც „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურული ისტორიისათვის“ ე. წ. სადავო საკითხების მეცნიერული დასაბუთების გზაა. სოლიდური ნაშრომის მნიშვნელობას ბონდო არველაძე ჩვეული კეთილსინდისიერებით ეხმაურება, რაც კოლეგიალური სოლიდარობის მისაბაძ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ:

„ეს წერილი არის ამ ფრიად საყურადღებო მეცნიერული ნაშრომის წაკითხვის შემდეგ გამოწვეული ფიქრის და ანალიზის შედეგი. გულახდილად ვიტყვი იმასაც, რომ გული დამწყდა, ბ-ნი მერაბის ამ ნაშრომმა, რომელიც, ჩემი აზრით, დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შენაძენია ტოპონიმიის კვლევის დარგში, რატომღაც ჩუმად ჩაიარა და მეცნიერული საზოგადოების განხილვის საგანი არ გახდა“.

მართლაც რა გვებრკოლებს, ესოდენ საფუძვლიანი კვლევა მივაჩუმათოთ, მაშინ, როცა მტერს იერიში იერიშზე მოაქვს და მასთან გასამკლავებლად ტოპონიმიკა ყველაზე სრულყოფილი, ეჭვმუუვალი დასაყრდენია?!

ყბადღებული ტოლერანტობის ღოზუნგით გამოლაშქრებული ვაიმეცნიერთა წინააღმდეგ ბონდო არველაძე შეუვალობასა და მიუკერძოებლობას ავლენს. იგი ფაქტების მეშვეობით აღწერს ანტიქართული პროპაგანდით მონამლული სომხების მდგომარეობას, რომლებიც ჯავახეთში იმდენად მომძლავრდნენ, რომ „თავიანთ მიწაზე“ მონულ დოვლათს ძირითადად სომხებს ახმარენ.

ესოდენ იდეალურ პირობებს მეცნიერულ კომუნიზმში შეგრილებების დროსაც ვერავინ შეუქმნიდათ.

ამგვარი გალალების ფონზე სამარცხვინო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებული უსინდისო ბრალდება, თითქოს მას საქართველო მხოლოდ

ქართველებისთვის ემეტებოდა! ნიგნის ავტორი ამის თაობაზე ვინმე აივანზიანს კომუნისტური ინტერნაციონალიზმის წინაშე მიუთითებს, რომლის წყალობითაც საქართველოში მუდამ ქართველი იჩაგრებოდა.. თითქოს დღეს სხვაგვარად ხდება? ბუნებრივია მსგავსი შინაარსის ბრალდებით ცილისწამებაში ის ადამიანი დაადანაშაულო, რომელმაც სამშობლოს დამოუკიდებლობას სიცოცხლე ანაცვალა!

ანალიზებს რა მსგავს ბრალდებთა სიმძიმეს, ავტორი მომხედურთა „მალიერების ყესტს“ უახლეს ისტორიულ კონტექსტში ათავსებს. კერძოდ, ოსებისა და აფსუების მიერ ქართველთა უმონყალო ჟღერის ფონზე აფხაზეთში ბაგრატიონის სომხური ბატალიონის როლს წარმოაჩენს, რაც ამაზრზენი სინამდვილის გამოძახილია. როდესაც ამ თემაზე გამოცემულ ნიგნს ვკითხულობდი, ერთი კვირა უძილობა მტანჯავდა. სხვათა შორის „ბაგრატიონის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნონიმენდა აფხაზეთში“ არსად განხილულა და შესაბამისად ჯეროვნად არ შეფასებულა. საამისო გამბედაობა არავის აღმოაჩნდა. სამწუხაროდ, ძველი ინერცია კვლავ ძალაშია. გარეულის მიერ გაყალბებულ ისტორიას არც შინაური აკლებს ხელს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ისტორიის ოთხტომეული, რომლის მთავარი რედაქტორიც აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე გახლავთ, ხოლო რედაქციის წევრებად აგრეთვე აკადემიკოსები როინ მეტრეველი, ოთარ ჯაფარიძე და დავით მუსხელიშვილი. ცნობილი მეცნიერები, სამწუხაროდ, ძველი ტენდენციის გამგრძელებლებად მოგვევლინენ.

ამ გამოცემამ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კერძოდ, კრიტიკის ქარცეცხლში ქართველ ისტორიკოსთა არამდგრადი პოზიცია მოექცა, რაც დიდი ქართველი მოღვაწეების მეშვეობით და სახელგანთქმული ძეგლებისადმი ნელთბილ დამოკიდებულებაში გამოვლინდა. ბუნებრივია, ეს მტრის ნისქვილზე ასხამს წყალს. ამ საკითხს სამეცნიერო კვლევის ცენტრის „აია-კოლხეთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი რაულ გვეტაძე შეეხო. მან გულისტკივილით შენიშნა, რომ ახალგაზრდა ნიგნში სხვა სერიოზული ხარვეზების გარდა უგულვებლყოფილია ბ-ნი გია კვაშილავას ნაშრომი ფესტოსის დისკოსთან დაკავშირებით, რაც არაერთმა უცხოელმა მკვლევარმა თავის მონოგრაფიებში შეიტანა და გარდამტეხ აღმოჩენად შეაფასა. საუბედუროდ, ამგვარი მთავალითი არაერთია და „ნაფიც“ ისტორიკოსთა პოზიცია ისედაც ჩიხში მოქცეულ სფეროს უარესად აზარალებს. ყურის მოყრუების ხარჯზე ფსევდომკვლევარები მძლავრობენ და, რა გასაკვირია, მავანმა ჩვენი უნიათობა სათავისოდ გამოიყენოს!

ბონდო არველაძემ სერიოზული ნაშრომები მიუძღვნა ე. წ. სადავო ეკლესიების თემას. სომეხ მეცნიერთა ცალსახა აგრესიული პრეტენზია ქართველი კოლეგებისადმი ორი უძველესი ერის კეთილმეზობლურ ურთიერთობას უკიდურესად ართულებს. ფსევდომკვლევართა მხარდამხნარ სომხების საეკლესიო პირთა აქტიურობა იმ მზარდი ინტერესის მიმანიშნებელია, რაც არაჯანსაღ აუიოტაჟს ხელოვნურად ამძაფრებს. უაღრესად საფრთხილო თემას ტაქტიანი მეცნიერი დიპლომატიური კუთხით წარმოაჩენს, მაგრამ ბარბაროსული ფაქტების გადმოცემისას წინ გადმოინაცვლებს სამართლიანობა და პირუთვნელობა, რაც დღეს საგრძნობლად გვაკლია და მტრის დაკრულზეც უღაზათოდ გვაცეკვებს! საგანგებო წერილი ეძღვნება ნორაშენის ეკლესიაში სომხეთის უმაღლესი საეკლესიო და საერო პირების შეჭრას და კარის შემტვრევას. ეს გაუგონარი აგრესია 2008 წელს რუსეთთან ომში ჩვენი დამარცხების შემდეგ განხორციელდა.

ტრაგედიას საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცემული ნებართვა ამძიმებს, რომელიც მელრი-ერევანი-ნიონონინდა-ახალციხე-ახალქალაქი-ბათუმის გზის გაყვანას ითვალისწინებს. მტრის ულტიმატუმში შესრულებულია, იმპერიასთან ნაგებულ ომს გაუმართლებელი დათმობის პოლიტიკა ენაცვლება. „უპატრონო ეკლესიას ემშაკი დაეპატრონაო.“

ეროვნულ ფასეულობებზე გაზრდილი მწერლისა და მეცნიერის მსგავს უპასუხისგებლობასთან შეჯახება ორმაგად სავალა-

ლოა. უგულო უნდა იყო ან სამშობლოს ფული გერჩიოს, განუკითხაობას გულგრილი დამკვირვებლის თვლით რომ უმზერდე!

ასეთ გაუხარელ რეალობაში მართლაც სასიხარულოა, ესოდენ წინდახედული და მამულზე მზრუნველი კაცი „საბედისწერო თემატკას“ ასე სისხლხორცეულად რომ ეხება. კვლევა-ძიებას არ წყვეტს. მუდმივი ბრძოლით მოუღელვს მითვისებული ტაძრის ერთი წარწერაც არ ავიწყდება და უიდეოლოგობით დაქსაქსულ ქვეყანაზე დარდს საქმიანი ფუსფუსით იქარვებს. მიტაცებული ეკლესიების მეზობლად ახალი სტატია ფრთიანდება, საქართველოს თავდადებული ერისკაცისა და მწერლის ლევან გოთუას დრამატულ ცხოვრებას რომ აცოცხლებს. მრავალმხრივ მკვლევარს არც XX საუკუნის ოციანი წლების მჩქეფარე ლიტერატურული მოვლენების შეფასება გამოორჩება. ბონდო არველადის ნიგნის ღირსება მანამდე გაუშუქებელი მასალის გაცოცხლებაა. ჯერ მარტო ვახტანგ კოტეტიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას პოლემიკური წერილები რად ღირს, გრიგოლ რობაქიძესა და დანარჩენ ცისფერყანწლებთან ჭიღბის რომ ააშკარავებს. „რუსთაველი დაძლეულია“ — ამ ფრაზას არავის, თვით რობაქიძესაც არ პატიობენ და იმართება ცხარე დისპუტი, შესხლა-შემოხლა, ვნებათაღელვა ჩარჩოს სცილდება!

დღეს მსგავსი შინაარსის პაექრობებისთვის არავის სცალია. მწერლები მზარდი გავლენისა და ფინანსური კეთილდღეობისათვის გაუთავებლად ქიშპობენ. პირველი მეტრი ყველაზე დიდი თანამდებობის ფულიანი „ცნობადი ტელე სახეა“, რომელსაც რუსთაველთან გატოლება სარკაზმის დონეზეც არ „ეკადრება!“

ბონდო არველადისთვის უპირველესი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ამოუწურავი შთაგონების წყაროა. მწერალი, რომელიც სამშობლოს ზვარაკად შეენირა, რჩეულ მამულიშვილთა თანაგარსკვლავედში იმკვიდრებს ადგილს. დაუცხრომელ ინტერესს ინვესტ ბონდო არველადის საგანგებო წერილები რომელიც მეზობელი ერის ხელისუფლების, მეცნიერებისა და საეკლესიო პირებისადმი მიმართული. მან პრესის საშუალებით მიმართა სრულიად სომხეთის კათოლიკოსს გარეგინ II-ს. სტატილაში ხაზგასმულია, ვიდრე სომხებისთვის გადასაცემ ეკლესიებზე მიდგებოდა საქმე, უწინარეს ყოვლისა, ბაგრატიონის ბატალიონის მიერ განხორციელებული დანაშაული დაეგმოთ, რასაც, ბუნებრივია, პასუხი არ მოჰყოლია. იგი ნაპრეზიდენტალ ლეონ ტერ-პეტროსიანის მისამართითაც ამბობს, რომ კაცთმოძულე უმაღლესი ხელისუფლის ყოლა ერისთვის უბედურებაა, და სამართლიანად მიიჩნევს ხალხის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მას პრეზიდენტის პოსტი დაატოვებინეს.

ბონდო არველადის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ უმწვავესი პოლემიკის დროს იგი შესაშურ ტაქტს ინარჩუნებს. ოპონენტთაგან განსხვავებით ცალმხრივ შეფასებას გაურბის და სრულფასოვანი სურათის დასახატად ისტორიის შავ-თეთრი კადრების ფონზე გზას უფრო თბილ ფერებს უხსნის. ამის ნიმუშია სომეხი მწერლის ხაჩატურ აბოვიანის რომანის „სომხური ჭრილობები“ გახსენება.

რომანში ასახულია 1826-28 წლების რუსეთ-სპარსეთის ომი, რომელიც გენერალ პასკევიჩის მიერ ერევნის ციხის აღებითა და აღმოსავლეთ სომხეთიდან სპარსელთა განდევნით დასრულდა. სომხეთის გათავისუფლებაში ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს. ძნელბედობის მიუხედავად ქართველები დავით აღმაშენებლის გზას არ ღალატობდნენ და მეზობლის დასახმარებლად ძალ-ღონეს არასდროს იმურებდნენ. აბოვიანის ნაწარმოებში აღწერილია სიმამაცით გამორჩეული პოლკოვნიკი ლევან სავარსამიძე. რუსი ისტორიკოსის პოტოს ცნობით, სავარსამიძე უზომოდ გამბედავი და სამხედრო ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებაა. ერევნის ციხის აღების დროს მძიმედ დაჭრილი ციხის შესასვლელთან დაცემულა. საყვარელი მეთაურის გადასარჩენად ჯარისკაცებმა თავი გადადეს. ერთ-ერთი სავარსამიძეს მთელი ტანითაც გადაეფარა და მისკენ გამიზნულ ტყვიას ემსხვერპლა.

რანდული ბუნების ქართველს პოლიგლოტობის ნიჭიც თან დაჰყოლია. იგი კარგად ფლობდა სომხურ, თათურულ და სპარ-

სულ ენებს, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდ ავტორიტეტს უქმნიდა. დაქირავებულ მკვლელთა სამიზნედ ქვეულს ღმერთის მფარველობის გარდა ხალხის სიყვარული საიმედოდ იცავდა.

ყიზილბაშებისგან „დელი კინაზად“ მონათლული, შერქმეული მეტასახელთა და ბრძოლის ყინით დიდ წინაპარს, ქართლის მეფე სვიმონს ენათესავებოდა. მაინც როგორ პარადოქსებს იტევს ზედისწერა. ლევან სავარსამიძეს ცოლად ჰყავდა ოღლა გურამიშვილის მამიდა სიდონია გურამიშვილი, რომელმაც მოგვიანებით განსაცდელში ჩავარდნილ ძმისშვილს თავისი ქონება დაუტოვა.

სამწუხაროდ, რჩეული წყვილი უძეოდ გადაეგო. მოგვიანებით სავარსამიძეთა ვიშის უკანასკნელი ნაშვიერი ტრაგიკული ხატოვანებით ჩნდება კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიონისოს ღიმილი“. საუკეთესო ქართველი დასაღუპად გაიწირა. ეგებ „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორს ლევან სავარსამიძის შესახებ რაიმე სმენოდა? იქნებ პროტოტიპის ძიებისას სწორედ რეალურად არსებულ პიროვნებაზე შეაჩერა არჩევანი?

ვარაუდს ფაქტი გადასწონის. ნიგნის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობის რთულ წინააღმდეგობრივ ქსოვილში მას ლევან სავარსამიძის დაუფინყარი ხატება შემოაქვს. იმპერიათა ჭიდილში რუსთაველის იდეალთა ერთგული ქართველი კაცის ბუნებას აღწერს, რათა ავანტიურისტებს შეახსენოს, რომ ქართველი შემწყნარებელი ხასათით გამოირჩევა, დაჩაგრულს ქომაგობს და თავის ღვანლს არავის აყვედრის!

შესაბამისად ტოლერანტობის საქადაგებლად გლობალისტებმა სხვაგან უნდა გადაინაცვლონ და საქართველო — ამ მხრივ სანიმუშო ქვეყანა — „მცირედით დააჯილდუონ“. საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა თვითონ დაანახონ!

მკვლევარის დასკვნა გამართლებულია. ადრე თუ გვიან ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. გამრუდებული ისტორიაც თავის კალაპოტს მიაკვლევს და ყველა ერს თავისი პასუხისმგებლობის ზიგვა დაეკისრება.

რადიოგადაცემაში სტუმრობისას, ზემოთ ხსენებული ნიგნის განხილვას რომ ისახავდა მიზნად, ბ-მა ბონდომ ჯავახეთთან მიმართებით უახლესი ცნობები საჯაროდ გაახმაურა. კერძოდ, იგი შეუხო ამ რთულ რეგიონში არსებული ანტიქართული პროპაგანდით დაკავებული ჯგუფების მიერ წამოყენებული მორიგ აბსურდულ მოთხოვნას ე. წ. რეგიონული ენის სტატუსის მიღების შესახებ. მსოფლიო პრაქტიკა ამგვარ პრეცედენტს არ სცნობს. მათ შორის თვით სომხებიც, რომელთა მინა-წყალზე დასახლებულ მრავალრიცხოვან ქურთებს (60

ათასი) მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება ჩამორთმეული აქვთ და კვირაში ერთადერთი სატელევიზიო გადაცემით კმაცოფილდებიან. „ტოლერანტობის“ ბუმერანგი ყველასთვის მიუღებელია. ამ პრინციპის განხორციელებ ერთა შორის იმგვარ შუღლს გამოიწვევს, მესამე მსოფლიო ომი მონაგონი იქნება.

ამდენად, ორმაგად სამწუხაროა, რეგიონული ენის მოთხოვნას მხარი ქართველებმაც რომ დაუჭირეს.

აქვე დავძენთ, სომხეთში ვიზიტისას საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და სომხურ მხარეს შორის სადავო ეკლესიებთან მიმართებაში თანხმობის მისაღწევად ქართველმა პრემიერმა განაცხადა, რომ ეკლესიების რესტავრაციის პროექტი უნდა განხორციელდეს. ბუნებრივია, ესოდენ საშურ საქმეს მეზობლის მხრიდან საპასუხო ქმედება თუ არ მოჰყვა, თეორიული მსჯელობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სასიკეთო ინიციატივას სომხს მეცნიერთა პროტესტი მოჰყვა. იქაურ აკადემიკოსთა მტკიცებით, თურმე სომხეთში არცერთი ქართველი ეკლესია არ არსებობს, რაც — რბილად რომ ვთქვათ — დამნაქურ ყაიდაზე დაფუძნებული მცდარი განაცხადია. წესით, სხვის მინა-წყალზე თვალმიციებულმა ავანტიურისტმა, რუკებზე არარსებული ტერიტორიების მონიშვნით რომ არიან დაკავებული, უნდა შეიგნონ, რას სჩადიან. გაიხსენონ, მრისხანე დამპყრობლებისგან ათასგზის დაქცეული მათი სამშობლო ჩვენმა წინაპრებმა რამდენჯერ გამოიხსნეს. რამდენი ქართველის სისხლი ჩაშენებია ნიადაგს, რომლის უხსოვარ შრებესაც კავკასიაში გვიან მოსულთა კვალს მიუკერძოებელი დამკვირვებელი ვერსად წაანყდება!

ისტორიული გამოცდილების გათვალისწინების გარეშე კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას მუდამ პროვოკაციული „გამობდომები“ დაჩრდილავს.

ამდენად, ბონდო არველადის ნაშრომებს ყალბი ისტორიის ხუნდებისგან გათავისუფლება აკისრია, რაც ამ ჩინებული ნიგნის დედააზრია.

ჩვენს საზოგადოებას სინამდვილეში ეროვნულ ფასეულობათა გადარჩენა რომ აღარდებდეს, ესოდენ მაღალი რანგის მკვლევარს სათანადოდ დააფასებდა, 80 წლის ავტორს საკადრის იუბილეს გადაუხდინდა და ღირსეულ პრემიასაც მიაკუთვნებდა, მის წიგნებსაც დიდი ტირაჟით გამოცემდა, რათა უთვალავი მტრისგან სულშეხუთული ქართველობა სამშობლოს დასაცავად შინაგანად უკეთ მომზარებულიყო და მომხდურის მიუღებელ მოთხოვნებს საკადრისად დახვედროდა!

შესხვედრა ეთერ თათარაიძესთან

მწერალთა სახლმა შესანიშნავ შემოქმედს — ფოლკლორისტსა და პოეტს — **ეთერ თათარაიძეს** უმასპინძლა. საღამო, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. მწერალთა სახლის დირექტორი, **ნატა ლომოური**, მიესალმა რა სტუმრებს, აღნიშნა: ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ეს საღამო ჩვენთან შედგა, დიდი მადლობა, რომ სწორედ მწერალთა სახლი აირჩიეთ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა პოეტი და მთარგმნელი **გიორგი ლობჯანიძე**: დღევანდელი ხალხმრავლობა კიდევ ერთი დასტურია, რომ ეთერის შემოქმედებას მრავალი თავყანისმცემელი ჰყავს. მას აქვს თავის ხაზი პოეზიაში — თუშური კლოკავი, ის ერთგულია თავის შემოქმედებითი პრინციპის — დიალექტის. ეთერი დიდი და განსაკუთრებული შემოქმედია, ადამიანი, რომელიც ყველაფერს აცოცხლებს. მე მინდა, და დარწმუნებული ვარ, არამარტო მე, ეთერმა დღეს წაიკითხოს თავის ლექსები, რადგან როცა თვითონ კითხულობს ლექსებს, ეს კიდევ ცალკე შემოქმედებაა.

ენათმეცნიერმა **ცაცო კოტეტიშვილმა** აღნიშნა: მთელი ცხოვრება, ეთერის აღმოჩენიდან დაწყებული, მასთან ვარ დაკავშირებული, ვარ მისი პოეზიის თავყანისმცემელი. ფოლკლორის სახლის აღდგენა ეთერისა და მისი მუულის, **ამირან არა-**

ბულის დამსახურებაა. შეუძლებელია არ გავიხსენოთ ეთერის ჩანაწერები და ურთიერთობა **ვაჟას** ქალიშვილთან, **გულქან რაზიკაშვილთან**, რომელსაც მან სიცოცხლე გაუხანგრძლივა. ეს ყოველივე კიდევ ერთი დასტურია, რომ ეთერი და ამირანი ყველაფერს სიყვარულით აკეთებენ.

ტარიელ ხარხელაურის თქმით, ეთერი არის ერთადერთი პოეტი, რომელმაც წარსული გადმოიტანა ანწყომი და მომავალსაც გადასწვდება მისი მზეურა. საღამოს კიდევ უფრო მეტი ემოცია შესძინა **ლელა თათარაიძისა და მანანა მენაბდის** სიმღერებმა. ფოლკლორისტმა **ტრისტან მახაურმა** გაიხსენა მეგობრული თავგადასავლები და ერთად გატარებული დრო. ფოლკლორისტმა და პროზაიკოსმა **გიორგი ცოცანიძემ** აღნიშნა: პოეტისთვის წარმატების საწინდარია, როცა კარგად იცნობს სამყაროს, რომელსაც მკითხველს წარუდგენს. ეთერი რასაც წერს თავადაც განიცდის, მის ლექსებში წარმოჩენილი სამყარო შეგვიძლია ცხადად წარმოვიდგინოთ. მსახიობმა **ქეთევან კანდელაკმა** ნაიკითხა ლექსები პოეტის ახალი კრებულიდან.

დასასრულს მწერალმა **ლევან ლორიამ** ქ-ნ ეთერს მიუძღვნა ლექსი — ექსპრომტი, რომელმაც დიდი მხიარულება გამოიწვია.

თეიმ კავანაძე

როსტომ ჩხეიძე

თავგანწირვის იდუმალება

□

ირაკლი ბათიაშვილის ნიშნი-აღსარება

— რა ხარ შენ, უფალო? მდუმარე და უჩინარო ღმერთო! უსასრულობავ და მარადისობავ! მე შენ გეკუთვნი თავიდან ბოლომდე! შემიძნე ჩემი ცოდვები და სისუსტეები, აღმაზევე სულიერად და ხორციელად, მაზიარე შენთან და დამიფარე ჩემს ოჯახთან და ქვეყანასთან ერთად!

მაინც საიდან შეიძლება იყოს ეს სტრიქონები ამონერილი? ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებათა“ ვარიანტიდან ხომ არაა, სულიერი მამა დაუნებლადაც რომ გაიმეტებდა გადასახაზავად, მაგრამ ჩვენთვის მაინც ძალზე მნიშვნელოვანია მის მიერ წაშლილი სტრიქონებიც? ან ეგებ რომელიმე წმინდა მამის მინაწერი აორიგინალური თხზულებისა თუ თარგმანის აშიაზე?

თუმცა... მაინცდამაინც საუკუნეთა სიღრმისაკენ რატომ გაგვექცა მზერა, ხომ შეიძლება მისი მთქმელი ჩვენი თანამედროვეც იყოს, ღმერთსმოკლებული სინამდვილის ნაშეიერი, უეცრად რომ იგრძნობს ზეციურ გაბრწყინებას და შეუდგება სასულიერო გზას — ბერისა თუ მღვდლისა?!

— სად გეძიო? უნდა გავიდე ჩემი მიმდინარე მუნდყოფობის ვინრო საზღვრებიდან: სულ უფრო და უფრო შორს „გავსტყორცნო“ შინაგანი მზერა, სულ უფრო და უფრო შორეულ სივრცეებში გავიჭრა ჩემი წარმოსახვის და აზროვნების ძალით და ცხადად გავაცნობიერო, თითქმის შევიგრძნო ერთი რამ: მე ახლა ვიმყოფები არა მხოლოდ ამ ოთახში, სადაც ტელევიზორით „ახალ ამბებს“ ვეცნობი, არამედ უზარმაზარ განფენილ სამყაროში თავისი პლანეტებით, ასტეროიდებით, ვარსკვლავებით, ვარსკვლავთაშორისი გაზებით და მტვერით, გალაქტიკებით, გალაქტიკთა გროვებით... ბნელი მატერიით, ბნელი ენერჯით... ჩამქრალი ვარსკვლავებით, რომლებიც ჩანან საოცარი ნისლოვანებების სახით, ახალდაბადებული ვარსკვლავებით... კოსმოსში, რომელიც მუდმივად ფართოვდება, თანაც აჩქარებულად ფართოვდება... დიხს, წარმოუდგენელი, გრანდიოზული მასშტაბების სამყაროში!

ესაა ის ბუნებრივი შეგრძნება, ის წრფელი ალტკინება, რომელსაც ლიტერატურული გზით ვერ შეითვისებ, თუკი თვითვე არ ეზიარე მის გულისგულს. ლიტერატურული გზით შეგიძლია ვარიაციები ააგო და ეგებ საკმაოდ მოხდენილი ვარიაციებიც წმინდა მამათა სულიერ ძიებათა თემებზე, ლოცვისა და აღიარების გარეგნულ იმიტაციასაც მიაღწიო, მაგრამ გულწრფელობის გარეშე როგორ გინდა სტრიქონებს შორისაც ჩაფინო გზება?!. ეს უკვე შენს ხელთ აღარ არის და მართოდენ იდუმალი ქროლვა თუ შეგიძლება იმ ლაბირინთში, სადაც წყვედიადმი აქეთ-იქით მიმონყდომისას უნდა ეძიო ბრდღვიალა მზე.

და ამ სულიერი ექსტაზისას სრულებითაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ბერის კაბა გემოსოს ანდა მღვდლის ანაფორა, საერო კაცსაც შეიძლება დაეუფლოს ამგვარი განცდანი და მისწრაფებანი, თუკი მის რელიგიურ

ცნობიერებასაც განმსჭვალავს ეს ორი ნაკადი — ლოცვა და ჭკრეტა, ჭკრეტა და ლოცვა. და როდესაც ჩაეფლობა ნეტარი ავგუსტინეს აღსარებათა მდინარებაში და მოწინებით გადმოიტანს თავის მონათხრობში ამ წმინდა მამის მართლაც საოცარ ჰიმნს, ხმის გაგონებას რომ შესთხოვს უფალს და ენუკვის, რაკილა თვითონ გულით უსმენს, დაე ღმერთმაც გაუხსნას გულისყური და ამცნოს მის სულს, რომ ახლო არს ხსნა, და მის ამ სიტყვებს მოისმენს თუ არა, ესეც გამოიჩქარებს, ოღონდ როგორ არ შეევედროს: ნუ მოიბურავ სახეს რიდით, იდუმალებით, ნება მიბოძე შენი ხილვისაო, — გიდასტურდება ის მიხვედრა, რომ ერთ-ერთ გზამკვლევად რელიგიურ ძიებათა გზაზე ირაკლი ბათიაშვილს მართლაც ნეტარი ავგუსტინეს ის წრფელზე წრფელი ღალადისი დაუგულებია და ამ ღალადისს მიადევნებს თავის ფიქრებსაც.

სსოვნით ახსოვდა ოდესღაც ფილოსოფოსი რომ გახლდათ, მაგრამ ველარ მოეცალა საამისოდ, ისე გადაშვებულყო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძვრებისა და მოვლენების აღმურში რომ აღმოჩნდებოდა და აღფრთოვანებისა და ტრაგიზმის ტალღებში გახვეული, დაუღალავი და დაუცხრომელი, არ იკმარებდა მიტინგებისა და მანიფესტაციების თაოსნობას, არც სახელმწიფო სამსახურს და პუბლიცისტური სტატიებისა თუ პოლიტიკური დიალოგების მთელ წყებაში გადმოღვრიდა ყველა იმ განცდასა და შეხედულებას, რაც გაუჩნდებოდა უმწვავესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განსჯა-შეფასებისას, და არც პირადი შეცდომების აღიარებას ითაკილებდა და არც ბრალისას, როდესაც მარტო სხვებს კი არ დაადებდა ხელს, ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ვინც მონაწილეობდნენ თბილის-მოსკოვის გზაზეც გაკრულნი და იქ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად დამგეგმავნი ზვიად გამსახურდიას განადგურებისა, არამედ საკუთარ თავსაც მოსთხოვდა პასუხს, და ის წერილი — „მანკიერი წრე“ — იქნებოდა ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთანაგანი, რომელიც შიგნიდან გამოსტყნდა საგულდაგულოდ ნაშენებ სიცრუის კედლებს, თითქოსდა საიმედოდ აგებულ პროპაგანდისტულ მანქანას და გადაგვიხსნიდა „დემოკრატიულ რევოლუციად“ მონათლული სამხედრო გადატრიალების მექანიზმსაც და შიდა დინებებსაც.

მრავალმხრივ საგულისხმო ნიგნადაც — „დანაღმული ველი“ — შეიკვროდა ეს ყოველივე, შინაგანი წინააღმდეგობებით აღბეჭდილი ხელისცეცებით რომ მიიკვლევდა გზას უკეთესი საქართველოსაკენ, და უპირველესად სწორედ ეს აფორიაქებული და მაძიებელი სული ხიბლავს მკითხველს (ისევე როგორც პოლიტიკურ პამფლეტში „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“) და აიყოლიებს საფიქრალადაც, განსაჯელადაც, საკამათოდაც, თუნდ მძაფრი დისკუსიისთვისაც... და ამ აფორიაქებულობასა და მაძიებლობას გვირგვინად ადგას სწორედ ის ვრცელი პუბლიცისტური სტატია („მანკიერი წრე“) მემუარული ჩანარებით.

იმ ყაიდის ნარკვევის შემქმნელი არც სხვა დროს დაიხვედა უკან სიმართლის წინაშე და მოსალოდნელი გახლდათ მისგან ასეთივე გულგადახსნილი წერილი, შეცდომებისა თუ აშკარა ბრალეულობის გამომამზეურებელი, მაგრამ... ასე ღრმად ჩაძიება საკუთარი სულის ყველაზე დაფარულ, ყველაზე იდუმალ კუნჭულებში?.. ადამიანი ხშირად თავის თავსაც რომ ვერ უტყდება და ცდილობს იმ კუნჭულებიდან დაძრული განცდა უკანვე ჩააბრუნოს... და ირაკლი ბათიაშვილი სულაც საქვეყნოდ გამოიტანდა?.. გამოუტანია კი „ენიგმის“ სახელწოდებითა და სამ ნაწილად, ეპილოგად პუბლიცისტურ მონახაზს რომ დაურთავდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თემაზე — მკითხველის სულის მოსათქმელად უფრო, ვიდრე მსჯელობის გასაშლელად, რადგანაც ამ

მსჯელობას ცალკე უფრო ვრცლადაც წარმოადგენდა, აქ მხოლოდ თეზისურ თვალის გადავლებას რომ კმარობს, ეპილოგს რაც შეჰფერის.

თვითონ თხზულება, ეტყობა, მისთვისაც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, რაღაც ხმა რომ უკარნახებდა მის შექმნას და ამ ძახილს რომ გაჰყვებოდა და გაჰყვებოდა თავდავინყებაში ჩაფლული, გამორკვეული სხვა ველარაფერს უწოდებდა მას, „ენიგმად“ სახელდებულს, თუ არა: უცნაურ ესის.

არამარტო ჟანრის განსაზღვრაზე ორჭოფობს, მისი შინაარსიც აოგნებს.

ანკი როგორ არ გაცეცხულიყო, როდესაც აღსარება შერჩებოდა ხელთ — არა სასულიერო პირისათვის გამხელილი, არა უფლისათვის ფიქრში გამჟღავნებული, არამედ ქალაქდზეც გადატანილი და თანაც არა ოდესმე გამოსაქვეყნებლად, არამედ ახლაც და ამ წუთას, როდესაც შეეძლო მლოცველივით მდგარიყო უფლის წინაშე და ისე გაემდოშალა ყველასთვის გულის ფურცლები.

აღსარების განცდით უპირველესად მეორე ნაწილი გაჟღერდა: „ჰედონიზმი, პოლიტიკა, რელიგია“ — რაც ამ თხზულების გულისგულს შეადგენს. მესამე ნაწილი — „სიკეთის და ბოროტების მეტაფიზიკა“ — ფილოსოფიურ ჭრილში გაიაზრებს ლოცვითა და ჭერეტიტ ნაპოვნ მოსაზრებებს, პირველი ნაწილი კი — „ჯერ ვისხენებ...“ — საკუთარი ბიოგრაფიის გარეგნული მხარისა და ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსახვაა, უმავრესად დაფუძნებული სამ მოვლენაზე: ეროვნული მოძრაობა, აფხაზეთის ომი და პატიმრობა, — როგორც ყველაზე არსებით ხდომილებებზე მისი ცხოვრებისა.

ეროვნული მოძრაობიდან ერთ ძალზე კოლორიტულ აქციად გახსენებულია საბჭოთა დროშების აუტოდაფე, რომელსაც პირადად იგი დაგეგმავდა და ეს მაშინ, როდესაც სპორტის სასახლის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარებში განვევის ბოიკოტს ხელმძღვანელობდა მერაბ კოსტავასთან ერთად („...იგი უაღრესად მნიშვნელოვანი, ეფექტური და ხანგრძლივი პროცესი გამოდგა...“). 1989 წლის 7 ნოემბერს — ოქტომბრის რევოლუციის სადღესასწაულო დღეს — დიდიდანვე ჯგუფ-ჯგუფად დაიწყებოდა „რეიდები“ და წითელი დროშების ჩამოსხნა თბილისის ქუჩებში. ვინც კი შემოხვდებოდათ, ყველა სრულ თანადგომას გამოიჩინდა და ზოგი პირჯვარსაც იწერდა. „ნადავლის“ ნაწილს სპორტის სასახლესთან მიიტანდნენ და იქ დაწვავდნენ, მეორე ნაწილს კი — რუსთაველზე, კინოს სახლის წინ.

— საბჭოთა სიმბოლიკა ინვოდა, იფერფლებოდა და წარსულს ჰბარდებოდა... წარსულს ჰბარდებოდა ჩვენი საზოგადოების საბჭოური მენტალიტეტიც ამ სიმბოლიკასთან ერთად. ყველა რაღაც დიდ ეგზალტაციას განვიცდიდით... ვფიქრობ, რომ ეს საკმაოდ სერიოზული „რიტუალი“ იყო თავისი იდეური, მორალური თუ ფსიქოლოგიური დატვირთვით; თანაც ძალზეც ესთეტიური...

ესთეტიური...

რას ნიშნავს მანც, რომ ფილოსოფოსი განსჯის პოლიტიკურ აქციას — არაფრისდიდებით არ გამორჩება მისი გარეგნული შთამბეჭდაობაც!.. ცეცხლი, ამჯერად როგორც განმნმენდი ძალა საზოგადოებრივი ცნობიერებისა, თავისი მითოსური სანყისით აბრდვიალებული.

როდესაც სოხუმის (და მასთან ერთად, ცხადია, ცხინვალის იგულისხმება) დაცემის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ გარემოებებს ჩაუკვირდებოდა და მთავარი მიზეზის გამორ-



კვევას შეეცდებოდა (რუსეთის ფაქტორი? სა-მოქალაქო დაპირისპირება? ლალატი? იდეოლოგიის უქონლობა? ანარქია?), ამ ყველაფერს ერთად მიიჩნევდა მარცხის განმსაზღვრელად, ოღონდ კიდევ რაღაც მნიშვნელოვანსაც, რომელიც... მხოლოდ საკუთარ თავში უნდა გვეძია.

რაკილა ყოველი დიდი განსაცდელი ის ზღვრული სიტუაციაა, რომელიც პიროვნებისაგან მოითხოვს ფსიქოლოგიურ გარდასახვად ფერისცვალებას ანუ განსაკუთრებულ ძვრებს ფსიქიკის ცნობიერ და არაცნობიერ პლასტებში, ირაკლი ბათიაშვილის დაბეჯითებით, არ უნდა დაგვეწყებოდა, რომ ასეთი დიდი გამოცდის წინაშე დგება ხოლმე ერიც — ისიც ხომ თავისებური პერსონაა, და მასაც არანაკლებ ესაჭიროება საფუძვლიანი გარდასახვად ფერისცვალება.

და რა შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყნისათვის ზღვრული ვითარება?

გაერთიანება და მხოლოდ გაერთიანება:

— როდესაც ჩვენ უნდა ხელახლა დავიბადოთ; როდესაც ჩვენში უნდა ხდებოდეს ეროვნული ენერჯის არნახული კონცენტრაცია; როდესაც უნდა აღვიჭურვოთ ერთიანი მზაობითა და პასუხისმგებლობით. ეს ეხება ხელისუფლებას, საზოგადოებას, ხალხს. მაგრამ, ცხადია, ამ ვითარებაში ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

რასაც ირაკლი ბათიაშვილი პესიმიზმად და ისტორიულ დეპრესიად მოიხსენიებს, ის ეროვნული ნიჰილიზმია, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც გაინიერებოდა ილია ჭავჭავაძეც და მისი მიმდევარნი კვლავაც რკინის სალტეებში მოქცეულან, რადგანაც სოციალისტურ გლობალიზმს ლიტერატურული გლობალიზმი შენაცვლებია და ახლა ის დაღერებია ერის გულიერებას ჩასანთქმელად — ეროვნულ ადათ-წესებს, ეროვნულ თავმოყვარეობას, ეროვნულ ენერჯიას... სოციალისტური ურჩხულის წიაღი გლობალისტური ურჩხულის წიაღად რომ სახეშეცვლილა, გმირის მოვალეობაც ეს ყოფილა — ამ წიაღის გამოფატვრა და კვლავაც სამშეოზე ამოღწევა, რეალურ პლანში კი — საქართველოს გარდუვალი გამოთიანება, როგორც შედეგი იმ დიდი პოლიტიკისა, რომელსაც — თუნდ „ენიგმაში“ გამოხატული რწმენით — საკუთარი სიღრმიდან შობს სწორედ ეს გარდასახულ-ფერნაცვალი ხალხი თავის წინამძღოლ ძალასთან ერთად.

ეს წინამძღოლი ძალა სადაა, თორემ!..

ხოლო როდესაც მცირედი ხანგრძლივობის სატელეფონო საუბრებისა და სატელევიზიო გამოსვლების საფუძველზე ყალბად და უნიჭოდ შეუთითხინდნენ ბრალდებას ინტელექტუალური დახმარების აღმოჩენისა სახელმწიფო ლალატისათვის (სხვათა შორის, „ვარდების“ ხელისუფლების მამა, ედუარდ შევარდნაძე, თავის დროზე სწორედ ამგვარი ბრალდების საფუძველზე დახვრეტდა მღვდელ თეოდორე ჩიხლაძეს, „თვითმფრინავის საქმეს“ ამ მოტივით რომ გადააჯაჭვავდნენ!), ასეთი დიდი განსაცდელისას თვალდათვალ უნდა ეგრძნო, თუ როგორ დაიწყებოდა მის არსებაში საოცარი შინაგანი მობილიზაციისა და ფერისცვალების პროცესი:

— ნებელობა ფოლადივით იწრთობოდა, რწმენა მიძლიერდებოდა და თითქოსდა რაღაც ჭუჭყისგან ვიცლებოდი... ვიცოდი, რომ ეს გამონევეა კაცურად უნდა გადამელახა და კიდევაც შევიშუშავე სათანადო განწყობა, რომ შეიძლება თხუთმეტი წელი ციხეში დამეყო.

საპყრობილეში ყოფნისას უნდა გაძლიერებოდა რელიგიური გრძნობები და გაღრმავებოდა განგების რწმენა. და ლოცვასაც იქ სულ სხვა ძალა შეეძინა მისთვის. და როდესაც სასამართლო სხდომაზე პროტესტის ნიშნად უვადო შიმშილობას გამოაცხადებდა, ამ მტკიცე გადაწყვეტილებაზე ხელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მტკიცე მოთხოვნა თუ ააღებინებდა. ირაკლი ბათიაშვილს არ შეეძლო უარი ეთქვა სულიერი მამისათვის.

— ასე დასრულდა ჩემი შიმშილობა ღვთის განგებით, ხოლო პატრიარქის სტუმრობა საოცარ მოგონებად ჩამებეჭდა მესხიერებაში.

რა ხარ შენ, უფალო? მდუმარე და უჩინარო ღმერთო! უსასრულობავ და მარადისობავ! მე შენ გეკუთვნი თავიდან ბოლომდეო...

რას გაეღვიძებინა მის არსებაში რელიგიური იმპულსები? თუ გულის გადმოშლას, გულის გადმოშლა ყოფილიყო, ყოველგვარი შელამაზებისა თუ შეფარვის გარეშე, რათა პიროვნების სულიერი გარდაქმნის პროცესი წარმოსახულიყო ისე და მხოლოდ ისე, როგორც სინამდვილეში გახლდათ.

ფსიქოლოგიური მიზეზები მაინც რა აღმოჩნდებოდა ამ შინაგანი გარდასახვისა?

ერთ მხრივ, მძიმე დაპრესია, უძლურების განცდა და მძლავრად მოწოდებული დაუქმყოფილებელი სექსუალური ენერჯია, მეორე მხრივ კი — მისი გრანდიოზული ამბიცია, კერძოდ, საკუთარი ეგო-ს მნიშვნელობის ზღვარგადასული შეფასება.

სწორედ ამ ორ ფაქტორს უნდა გაეღვიძებინა მასში მძაფრი რელიგიური შიმშილი, რომელიც სულ უფრო და უფრო ჩამოყალიბებულ ხასიათს მიიღებდა. რასაკვირველია, ეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო უწყვეტი და ხავერდოვანი პროცესი, და სწორედაც პირიქით — საკმაოდ დიდი და ხშირი ჩავარდნებით, წყვეტებით მიმდინარეობდა.

სულიერი ფერისცვალების პროცესი ცნობიერებაში აღდგებოდა ფსიქოლოგიური დაკვირვებებისა და განსჯის მეოხებით, ფილოსოფიურ საბურველში რომ გაეხვეოდა და შემდეგ სულაც რელიგიურ ემბაზში ამოველებოდა, თხრობაში გადატანისას კი ავტორის ბელეტრისტული უნარიც ჩაერეოდა, სულის კარდიოგრამას შესაფერის სტილურ სუნთქვასა და კომპოზიციურ ქარგას რომ გამოუქმებინდა და, ნეტარი ავგუსტინეს სულიერ-რელიგიური ძიებებით შთაგონებული, მის კვალზე შეეცდებოდა უფალთან მიახლოებას.

სად გეძიო? უნდა გავიდე ჩემი მიმდინარე მუნდყოფობის ვიწრო საზღვრებიდანო...

და ესეც ჩვენს თვალში შექმნილი აღსარება საერო კაცისა, ჰედონიზმის ჭაობიდან რელიგიურ აფეთქებას რომ უნდა ამოეყვანა — დიდ სინანულს უნდა მოჰყოლოდა რელიგიურ გრძნობათა გაღრმავება-გამძაფრებაც და სულ უფრო და უფრო ხშირი სიარულიც ეკლესიებში.

— დავინყე საკუთარი სულის გასუფთავება დაგროვილი ნაგვისაგან; დავინყე შინაგან დისციპლინაზე ზრუნვა... ყოველივე ამაში შემდგომ ჩემი მარიამის და ირინას უდიდესი სიყვარულიც შთამაგონებდა და ზურგს მიმაგრებდა.

და თვითშემეცნებისა და თვითსრულყოფის ამ პროცესს — ცოლ-შვილისგანაც ძალამოცემულს — თავისი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად რომ იწამებდა, მას აღიარებდა თვით უფლისაგან დაწესებულად.

უნებურად ტანპოიზერის გზას გაივლიდა?

მართალია ეს ლეგენდა არქეტიპული კოდით ჩადებულ იყო მისი ფსიქიკის სიღრმეში, მაგრამ გადაურჩებოდა ამ მითის საბედისწერო ფინალს, არ გამოიკეტებოდა ჯადოსნურ გამოქვაბულში — დარწმუნებული თავისი ნებელობისა და მრწამსის საბოლოო გამარჯვებაში. და ამიტომაც აღარ

უძნელდება, რომ შეუძახოს საკუთარ თავს: ამოხტი მუნყოფიერების ველიდან და გაიხსენი უსასრულობისათვის! გაიშაღე, გაიხსენი და ღრმად შეისუნთქე ეს უსასრულობაო!..

ტანპოიზერის ლეგენდის ზოგადი ქარგა ახლოა ქართულ ხალხურ ზღაპართან „მინა თავისას მოითხოვს“, მასაც ტრაგიკული ფინალი რომ აქვს, მაგრამ განსხვავებით გერმანელი რაინდისაგან, ქართველი ჭაბუკი თავს აღწევს ჯადოსნურ კოშკს და მოისწრაფის სამშობლოსაკენ, სადაც უნდა დალიოს სული. უთუოდ ამ ზღაპრის სიუჟეტიც აქვს გასათვალისწინებელი ირაკლი ბათიაშვილს, ისევე როგორც მარკუს ავერელიუსთან, ნეტარ ავგუსტინესთან მაისტერ ეკჰარტსა თუ მარტინ ჰაიდელგერთან ერთად უთუოდ დაამშვენებდა მის აღსარებასა და ღვთის მაძიებლობას დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ სტრიქონებიც თუ დავით გურამიშვილის ლოცვებიც... მაგრამ ღვთის ძიება კვლავაც დაუცხრომლად გრძელდება მის მიერ და, ბუნებრივია, ყველასა და ყველაფრის წინაშე გულგადახსნილი კაცი მთავარზე უმთავრესად ადამიანური მისწრაფებების გზაზე თავგანწირვის იმპულსს რომ აღიარებს, იმას, რასაც ზვიად გამსახურდია ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთ ყველაზე გამოკვეთილ თავისებურებად მიიჩნევდა.

და მაინც, რატომ ვერა და ვერ ჩამოცილებია ირაკლი ბათიაშვილი პოლიტიკურ ასპარეზს? რა შეიძლება ამოდრავებდეს მის დაუშომშინებლობას — რაღაც ქვენა გრძნობები თუ მხოლოდ ამაღლებული იდეალები?

საკუთარი სულის სიღრმეებში მომზირალი პიროვნება იოლად და ზერელედ ვერ გასცემდა პასუხს ამ შეკითხვას და ძირისძირობამდე ჩაჰყვებოდა ფარულ ხვეულებს, რათა თანდათანობით გამოერჩია ყველა ის იმპულსი — პატრიოტიზმისაც, სახელის აღიარებისაც (ფრენსის ფუკუიამას შემოიზიარებდა, სახელის აღიარებას ისტორიული ევოლუციის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ვინც მიიჩნევდა), აგრესიისაც, სამოქალაქო აქტივობისაც, ძალაუფლებისაც, თავგანწირვისაც — რათა მიეკვლია კიდეც და გულლიადაც განეცხადებინა, რომ ეს ყველაფერი ერთად დულდა და იხარებოდა იმ ქვაბში, რასაც მისი ფსიქე ერქვა, და სწორედ მათი დუღილისაგან წარმოქმნილი ენერჯია უბიძგებდა პოლიტიკური ცხოვრების მშფოთვარე ასპარეზისაკენ...

პოლიტიკოსთაგან ნაკლებად მოელი წრფელ, ალალ მონათხრობს, ნაკლებად მოელი გულის გადმოშლასა და აღსარებას... და მითუფრო ფასეულია ირაკლი ბათიაშვილის ეს მართლაც უცნაური აღიარება საკუთარი თავის, საზოგადოებისა და უფლის წინაშე, უფლისა, რომელიც შია, რომელიც სწყურია და მთელ ძალ-ღონეს იკრებს, რათა გაარღვიოს ეს შეზღუდულობა, იცხოვროს უნივერსუმში და არა მხოლოდ ამ ვიწრო გარემოში, და არამარტო ნაკითხული გარეული შთამბეჭდაობით მოიხიბლოს, არამედ სულიერი ქურაში გამოატაროს და საკუთარი გამოცდილებითაც დაადასტუროს და დაბეჭდოს მაისტერ ეკჰარტის შეგონება, რომ ღმერთი მზადაა ყოველწუთიერად, მაგრამ ჩვენ სრულებით არა ვართ მზად; რომ ღმერთი ჩვენთა ახლოა, მაგრამ ჩვენ შორს ვართ; რომ ღმერთი შიგნითაა, მაგრამ ჩვენ გარეთ; და რომ ღმერთი ჩვენთან სახლშია, მაგრამ ჩვენ სტუმრები ვართ!..

ჩაყვინთავდა და ამოყვინთავდა ჰედონიზმიდან საკუთარი შეურყვნიელი ბუნებისაკენ, მიაწყდებოდა, მიაწყდებოდა აქეთ და იქით, ხელისცეცებით იბორილებდა და ბევრჯერ შეეხლებოდა ამოქოლილ კარს, და როდესაც აღსარება გზას გამოაგნებინებდა წყვდიადიდან უფლის ნათელისაკენ, ყოველთუმიჯობესად ადამიანის არსებობისა და დანიშნულებისა მაინც თავგანწირვას იწამებდა, როგორც მძაფრი სულიერი გვემითა და ტანჯვით მოპოვებულ ქეშმარიტებას.

ანა გელაშვილი

ვაჩე-ძორი — ტაოს ქართული მონასტერი

(ტაო-კლარჯული დღიურიდან)

რაითა უქმთა მათ უდაბნოთა შინა
გამობრწყინდეს ნათელი ესე დაუვსებელი...
გიორგი მერჩულე „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“

ტაო-კლარჯეთი ისტორიული საქართველო, მხარე, რომლის მეორედ აღმშენებლობა და სამონასტრო კერების დაარსება IX საუკუნიდან იწყება და დიდ ქართველ მოღვაწე მამას გრიგოლ ხანძთელს უკავშირდება. კლარჯეთში დაწყებულ მშენებლობას გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები მთელს ამ მხარეში გაშლიან, რაც იმდროინდელი საქართველოს ერთიანობის საწინდარიც გახდება.

კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მოსვლის შემდეგ მალევე მოვიდა არაბთა მიერ დევნილი ქართლის ერისთავთ ერისთავი აშოტ დიდი, ქართველთა პირველი ბაგრატიონი მეფე. იგი უერთდება წმიდა მამას და აშოტ I-ის შემწეობით და გრიგოლის ლოცვით იწყება აოხრებული და გაუკაცრიელებული მხარის ერთობლივად აღმშენებლობა.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს: „აშოტ დიდის და მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლების დროს ტაო-კლარჯეთი აღივსო ეკლესია-მონასტრებით, რომელნიც იმავე დროს შეადგენდნენ კერას ქართული განათლებისა. უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები ტაო-კლარჯეთში შემოგვინახა.“

ტაო-კლარჯეთში IX საუკუნიდან XVI საუკუნის ბოლომდე აქტიურად მიმდინარეობდა სამონასტრო ცხოვრება. შუა საუკუნეთა ავტორები აქაურობას აღფრთოვანებით „საქართველოს სინად“ მოიხსენიებდნენ.

წყაროების მიხედვით, არაბების შემოსევამდე, ამ მხარეში ქართველ მეფეთა მიერ არაერთი საერო და საეკლესიო მშენებლობა მიმდინარეობდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მშენებლობისა ვახტანგ გორგასალს წამოუწყია, თავისი ძუძუმტის არტაგაზის ხელით.

V საუკუნის II ნახევრისთვის ვახტანგს ოთხი ეკლესია და ციხე ჰქონია აშენებული, მათგან ერთ-ერთში, კერძოდ ახიზის ეკლესიაში, კი უკვე ეპისკოპოსიც ჰყავდა დასმული.

საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე ბრძოლების მიუხედავად აქაურობა მაინც ინარჩუნებდა ქართულ მმართველობას და საეკლესიო იურისდიქციას. XVII-საუკუნიდან კი თურქები ეუფლებიან, მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი, შევიწროების ნიადაგზე ტოვებს თავის მიწა-წყალს, ნაწილი კი, გამაჰმადიანებულნი, უმოწყალოდ ანგრევენ ეკლესია-მონასტრებსა და ციხე-გალავნებს, სამშენებლო ქვებს კი სხვადასხვა დანიშნულების შენობათათვის იყენებენ.

შემოსევებისა და მიზანმიმართული ნგრევის შედეგად უმეტესობა ძეგლებისა დაზიანებული სახით მოვიდა ჩვენამდე, ზოგიერთი კი სრულიადაც განადგურდა.

არსებულმა ვითარებამ ტაო-კლარჯეთში არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს სამეცნიერო-კვლევითი შესწავლის კუთხითაც შეუქმნა პრობლემა, გასული საუკუნის ბოლოსთვისაც კი იქ ქართველ მეცნიერთა შეღწევა სირთულეს წარმოადგენდა. თუმცა და დიდმა მოღვაწეებმა ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვათა... შემდგომში ვახტანგ ჯობაძემ შეძლეს ნაწილი ძეგლებისა პირველად შესწავლათ, აღწერა-დათვალიერება და ზოგ შემთხვევაში მათი იდენტიფიკაციაც მოხდინათ.



ვაჩე-ძორის მთავარი ტაძარი (წმინდა სტეფანე)

ამ დიდებულ და ჩვენთვის კიდევ უცნობ მხარეში მრავალ, ათობით ძეგლთა შორის — სახელდობრ ტაოს მხარეში, ოლორის რაიონში — დგას ერთი მნიშვნელოვანი კომპლექსი, ვაჩე-ძორის სახელით ცნობილი. მონასტერი, რომლის შესახებაც ისტორიული წყაროები არაფერს ამბობს. კარგა ხანს არც არა ვიცოდით რა მის შესახებ. თვით სახელი ვაჩე-ძორი იხსენიება XI საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ ხელნაწერზე მიწერილი გადამწერისავე ხელით: „სრულ იქმნა ... დიდსა ლავრასა შატბერდს ... ხელითა გრიგოლ ვაჩე-ძორელისათა“. ხელნაწერის ტექსტი შეიცავს „ექვსთა დღეს ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელისა“.

1907 წელს, ამ კუთხეში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა და შემდგომ გამოსცა ნაშრომი „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში 1907 წელი“. მას თან ახლდა ხუროთმოძღვარი ა. კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ე. ლიოზენი, მათ აზომეს მონასტრის ნაგებობანი და გადაიღეს ფოტოები. ამ ექსპედიციით დაიწყო და დასრულდა ვაჩე-ძორის მონასტრის სამეცნიერო კვლევა...

მათ იქ ჩასვლას კი ძალზედ მნიშვნელოვანი ამბავი უძღოდა წინ. ექვთიმე აღგვიწერს ამ ამბავს: ჩვენს იქ მისვლამდე, წინა დღეებში მონადირეს მონასტრის მახლობლად კლდის წვერზე მოუკლავს გარეული თხა, კლდიდან დაშვებული თხა დასცემია მღვიმის ამოშენებულ კედელს, შერყეული კედელი ჩანგრეულა, თხა ჩავარდნილა მღვიმეში, მიდევნებულ მონადირეს კი აქ უპოვია მთელი შეკვრა ხელნაწერებისა. ნაწილი მათი დაზიანებული იყო, ნაწილიც მთელი გადარჩენილა. მღვიმეში აღმოჩნდა ექვსი ხელნაწერი, ხუთი ქალაღზე და ერთი ტყავზე შესრულებული. სწორედ ტყავზე შესრულებული ხელნაწერი წარმოადგენს დადგენილებას, მონასტრის მოძღვარ კანდელაკისა და კრებულისა, რომლითაც საძმო სთხოვს ერისთავთერისთავს ზაზა ფანასკერტელს, რათა მონასტერი გაათავისუფლოს სამონასტრო გადასახადისაგან.

ხელნაწერში მოხსენიებულ ისტორიული პირთა და დამწერლობის სტილით ექვთიმე ხელნაწერს XV საუკუნით ათარიღებს. ამ მხარეში არცთუ ბევრი მნახველი მოდის მისი ძნელად მისადგომობისა გამო. თვით სოფელიც კარგა მოშორებითაა,

ადგილობრივთა რეაქციითაც ჩანს, რომ უკვირთ მომსვლელის ნახვა, მაშინ როცა სხვა ტაძრებთან მისვლისას, მაგალითად, ტბეთთან ქართულადაც გესალმებიან დამხვდურნი.

ვაჩე-ძორის მონასტერი საკმაოდ მაღლაა, სოფელ ნიაკომიდან მოშორებით, მთებს შუა მოქცეული. გზა-ბილიკი მონასტრისკენ არ მიდის, წყლის კალაპოტებს უნდა აუყვე, ჯერ ორთისის წყლის კალაპოტს, სალაჩურისა და ნიაკომის წყლის შესართავამდე, შემდეგ ნიაკომის წყლის ხეობას, რომელსაც კარგა სიმაღლეზე ავყავართ მონასტრამდე.

მონასტრისკენ მიმავალი ხეობიდან დავინახავთ სამხრეთით კლდის წვერზე აღმართულ დიდ ციხეს, რომელიც ძალზე ბუნებრივად ერწყმის ლანდშაფტს, ციხე მონასტრისა და მის შემოგარენს იცავდა. ექვთიმე ამ ციხეს კალმახის ციხეს უწოდებს, თუმცა ზოგი მეცნიერი არ ეთანხმება მას, რადგანაც ექვთიმე მხოლოდ ერთი ადგილობრივის ნათქვამს ეყრდნობა. კალმახის ციხე კი, ზოგიერთი მოსაზრებით, შესაძლოა ამ მხარეში მდგარ სხვა ციხეს ეწოდებოდეს, არსებობს კიდევ მოსაზრება, რომ შესაძლოა ნიაკომის ციხე ერქვას.

თავიდან მონასტერში მოხვედრა ამ ციხიდან გვინდოდა, გამოცდილი მეგზურიც გვირჩევდა, რომ სანამ ხეობას ბოლომდე ავივლიდით, უნდა გადაგვეხეია მარცხნივ და ციცაბო ბილიკით დაახლოებით ორი საათის სავალი გზით ციხეზე ავიდოდით. მთის წვერიდან კი დამრეცი ჩამავალი ბილიკით მონასტრისკენ დავეშვებოდით.

რა საუცხოო და დაუეჩინარი სანახავი იქნებოდა ამ სიმაღლიდან თვალის მოვლება... მაგრამ ამინდს სანვიმარი პირი უჩანდა, ცაზე შავი ღრუბლების ხმაური ამას მოასწავებდა. ამდენად, მონასტრის დროულად მონახულება ვამჯობინეთ და გზას პირდაპირ ხეობისკენ გავუყევით.

ვინრო ხეობა ბოლოში ფართოვდება, წყლის ორივე მხარეს ბალები ჭქონიათ გაშენებული, მოსწორებული ადგილები, ჩანს, მონასტრის სახნავ-სათესსაც წარმოადგენდა. უკაცრიელი ხეობის ამოვლის შემდეგ უცნაური გრძობა გეუფლება — ისე აშკარად იგრძნობა ადამიანის ხელშეხებით, თითქოს შენ წინ გაეფლოს აქაურობის უკანასკნელ მკვიდრს...

განწყობა უმალ იცვლება, როდესაც მცირე აღმართის ავლის შემდეგ დანგრეულ მონასტერს დაინახავ.

დროსა და შეუფხვებელ ადამიანს აქაურობა არ დაუზოგავს. როცა ექვთიმემ მონასტერი ინახულა და აღწერა, დასძინა: "აქაურობა ნიაკომის მცხოვრებთ უქცევიათ საქონლის სადგომებად, მონასტრის შენობები გამოუყენებიათ საბოსლედ, სათივედ, საბძლად და სხვა სადგომებად. ყველაფერი ეს კი ხელს გვიშლის შენობათ დეტალების გასაცნობადო".

დღეისათვის მდგომარეობა უფრო გაუარესებულა, ის, რაც ექვთიმეს შედარებით მთელი უნახავს, დაზიანებულა, მაგალითად სამრეკლოს გუმბათის ყელი სანახევროდ ჩამოქცეულია. მონასტრის სადგომები და ეკლესიები საცვიათივის ნარჩენებით, თუ საქონლის ნადგომით. არცერთ შენობას გადახურვა არ შერჩენია, ნაწილი შენობებისა უსახური მასალებით სასაქონლედ გადაუკეთებიათ.

მონასტრის მთავარ ტაძარს რვა მცირე ეკლესია და სხვა მრავალი შენობა აკრავს. ნაშენებია უბრალო ქვით, ხოლო კამარები, სარკმელთა საპირეები და კარის ღიობები ნათალი ქვითაა ამოყვანილი.

მთავარი ტაძარი ჩახაზული ჯვრის ტიპისაა, გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს. ადგილის უსწორმასწორობის გამო საკურთხეველი არა აღმოსავლეთით, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიმართული. საკურთხეველის აფსიდა და პასტოფორიუმები ნახევარწრიულია. გუმბათი მორღვეულია, ჩამოქცეულია კონქი, თალები და კამარები. დასავლეთით პატრონიკვა, ისიც დაზიანებული.

ტაძრის ინტერიერი მთლიანად უნდა ყოფილიყო მოხატული, მათი ფრაგმენტული კვალი დღესაც შეიმჩნევა. სა-

კურთხეველში წმიდა მამები სარკმლების ორივე მხარეს, საკურთხეველის მარჯვენა ღრმა ნიშაში კი იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებაა, აგრეთვე მთელი ტანით გამოსახულნი არიან იოაკიმე და ანა. აღსანიშნავია ფრესკების ინტენსიური ფერი და მათი ფერადოვნება. აფრებზე ემჩნევა მახარებლები, სვეტებსა და კამარებზე მეფენი და წმიდანები არიან გამოსახულნი. ეკლესია X საუკუნითაა დათარიღებული და წმიდა სტეფანეს სახელზედ აუგიათ.

მთავარ ტაძარს აკრავს სხვადასხვა დროს მიშენებული ნაგებობანი. დასავლეთით სტოა, ჩრდილოეთით და სამხრეთით ეკვდრები. სამხრეთ-დასავლეთით კარის ბჭეს ერწყმის პატარა ეკლესია, რომელიც მოპერანგებული ყოფილა ნათალი და ჩუქურთმოვანი ქვით. კედლები შემოძარცულია, მოძარცვული ქვები აქა-იქ ჩატანებულია მოგვიანებით საბძლად აგებულ უსახურ ნაგებობაში. მათ შორის ექვთიმემ ნახა ასომთავრულწარწერიანი ქვა, სანახევროდ დაზიანებული, ასე იკითხება: "...ქართველთა და აფხაზთა მეფისა დიმიტრისა ასულისა რუსუდანი... საფასითა აღეშენა... ეკვდერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისასა, მოძღვრებასა შინა უჩ..." ეს დიმიტრი III-ის ასული რუსუდანია, იგი 1306 წელს ბულა დიდს მისთხოვებია და სულის საოხად ეკვდერიც აუშენებია.

ამ ეკვდერის დასავლეთით დგას სამრეკლო, რვაწახნაგოვანი ყელი ნათალი ქვით ყოფილა ამოყვანილი. დღეს სამრეკლოს ყელი სანახევროდ ჩამოშლილია. თუმცაღა არ გვიწვდის მისი თავდაპირველი სილამაზის აღქმას, ქვის წყობის ხასიათით ხანძრისადაც რომ ეხმინება, რალაცით კუმურდოსაც მოგაგონებს, მათ შორის ის საერთო ნიშანი გამოკრთა გონებაში, სამხრეთ ქართული ხურთმოძღვრება რომ ჰქვია — მშვიდი სიმეტრიული წყობა ქვისა.

სამრეკლოს მონასტრის ნაგებობათაგან გამოარჩევს ფასადის მხატვრული აქცენტირება, და ეს ხდება არა ქვის ორნამენტირებით, არამედ მისი წყობით. დანარჩენ ნაგებობათა მხატვრული დატვირთვა აქცენტირებულია ინტერიერზე — ყველა შენობის მოხატვაზე, ფასადების ერთგვარ სისადავეზე. მათ შორის კი ეს სამრეკლო ვარსკვლავივით ამოწვდილა.

გუმბათიანი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორსართულიანი ნაგებობა დგას, ქვედა სართული აკლდამაა, ზედა კი აფსიდიანი-დარბაზული ეკლესია, გარედან აივანია მოწყობილი. შესასვლელი სამხრეთიდანაა, თითოეულ კედელზე გაჭრილია თითო მოზრდილი სარკმელი. ერთი შეხედვით ეკლესია ტაძრისათვის უჩვეულო არქიტექტურაა, გვიან მიშენებულს ჰგავს საკურთხეველიც, ექვთიმე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს შენობა მოგვიანებით იქცა ეკლესიად.

კამარა-მორღვეულ ეკლესიაში კარგად შემორჩენილა ფრესკები, ოთხივე კედელი მოხატულია — ორ და სამ რეგისტრებადაა გამოსახულებანი, სცენები სიუჟეტური არაა, წმინდანები და მეფენი ნახევარ და სრული ფიგურებით წარმოსდგებიან ჩვენ წინაშე. ღია მწვანე ფონზე გამოსახულნი არიან წმინდანები: ეფრემი, საბა, სვიმონ მესვეტე და მეფე, რომელსაც გრაგნილი უპყრია ხელში წარწერით: "ნეტარ არს კაცი". დასავლეთით არიან წმიდა ევსტათი და პროკლე.

დღეს მათი ფერადოვნება დროს გაუმკრთალებია, ოდნავ უკეთესად შემორჩენილა დასავლეთ კედლის ფრესკები. ჩვენი იქ ყოფნისას წვიმა წამოვიდა, სისველეშეჟონილ ფრესკებს ფერთა სიმკვეთრე დაუბრუნდა, ჩვენს წინ შთამბეჭდავი ფერთა გამა აციაგდა, თითქოს გვეჩვენა თავდაპირველი სახით, წარმოსდგა მთელი თავისი დიდებულებით. წვიმამ საუკუნეთა მიღმა გადაგვიყვანა... ვინ იცის, რამდენი თოვლი და წვიმა ახსოვთ ამ კედლებს, კიდევ რამდენი მოვა, და მათ საბოლოო გაქრობასაც უფრო დააჩქარებს. მოვდიოდი და თან საგზალივით მომქონდა ეს სევდიანი ფიქრი — მის წარსულსა და ბუნდოვან მომავალზე. გამოუღვივი საგზალივით.

XXII სიმღერა — ჰომეროსისეული გააზრების ბრწყინვალე მაგალითი

(ქეთი ნიჟარაძის წარმატებული მთარგმნელობითი მცდელობა)

ქართველი მკითხველისთვის ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერი, მთარგმნელი და პოეტი ქეთი ნიჟარაძე გამოსაცემად ამზადებს წიგნს „ილიადის სცენები“. ეს არის, ფაქტობრივად, ქართულ სინამდვილეში პირველი ცდა, ჰომეროსის პოემის 11 ძალზე ცნობილი ეპიზოდის მის მიერ შესრულებული თარგმანები და ინტერპრეტაციები გამოიცეს ცალკე წიგნად. ამგვარი პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული ევროპულ კლასიკურ ფილოლოგიაში, რადგან ეს მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, უკეთ ჩანვდეს ევროპული ლიტერატურის მამამთავრის ოსტატობის შეუიარაღებელი თვალისათვის შეუმჩნეველ ასპექტებს.

ქეთი ნიჟარაძე უკვე მრავალი წელია თარგმნის ანტიკური ეპოქის პოეტთა ნაწარმოებებს, კერძოდ, ჰომეროსის „ილიადას“. მის წინაშე, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრა იგივე პრობლემა, რაც ადევლებს ხოლმე ქართველ მთარგმნელებს ჰომეროსის ტექსტის პოეტური თარგმანის შესრულებისას. საქმე ის არის, რომ არაერთმა ევროპულმა ენამ მონახა ბერძნული ეპოსის ტრადიციული საზომის — დაქტილური ჰექსამეტრის — მეტნაკლებად ეკვივალენტური სალექსო სტრუქტურა, რომელსაც გერმანიაში პირობითად გერმანული ჰექსამეტრი ეწოდება, რუსეთში — რუსული ჰექსამეტრი. ეს გულისხმობს სალექსო სტრიქონში სამი ან ორმარცვლიანი ისეთი ექვსი ტერფის მოქცევას, რომელთა პირველ მარცვალს მოუდის ექსპირატორული მახვილი. როგორც ცნობილია, ქართულ ენას ამგვარი მახვილი არ ახასიათებს და ქართული ლექსი თავისი ბუნებით მთლიანად სილაბურია, ანუ მარცვალთა რაოდენობასა და მათ განლაგებაზე არის აგებული. სწორედ ამიტომ, როგორც „ილიადის“, ასევე „ოდისეას“ სრული ტექსტების ქართულ ენაზე პოეტურად მთარგმნელებმა — რომან მიმინოშვილმა და პანტელეიმონ ბერაძემ — აირჩიეს თითხმეტმარცვლიანი ლექსი, რასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები. კერძოდ, ამგვარი ლექსი საკმაოდ ბუნებრივია ქართული ენისათვის, მაგრამ მას სწორედ ამ ბუნებრივობისა და ხელმისაწვდომობის გამო აქვს გარკვეული ნაკლოვანებებიც: თითხმეტმარცვლოვანმა ლექსმა ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში უნივერსალური ხასიათი მიიღო. მას გამოიყენებენ როგორც ეპოსის, ასევე დრამის თარგმნისასაც. ეს კი, ფაქტობრივად, სრულ წინააღმდეგობაშია ბერძნული ლექსთწყობის ძირითად პრინციპთან — თითოეული ჟანრის თავისი დამახასიათებელი სალექსო საზომი ჰქონდეს.

ჰომეროსის პოემებში ჰექსამეტრულ სტრიქონებს ის თავისებურება ახასიათებს, რომ მეტრულ ლექსთწყობაში პოეტს სისტემატურად შეუძლია მარცვალთა რაოდენობის მონაცვლეობა და, შესაბამისად, ერთ სალექსო სტრიქონში შეიძლება იყოს 12-დან 17 მარცვლამდე შემცველი სტრუქტურები. ამ პრინციპის შესაბამისობის ილუზიას ქმნის ევროპულ მთარგმნელთა მიერ შემოთავაზებული საზომებიც.


ქეთი ნიჟარაძე ცდილობს, ჰომეროსის ტექსტის ქართულ თარგმანში მონოტონურობა დაარღვიოს 14 და 16 მარცვლოვან სტრიქონთა მონაცვლეობით. მას შემდეგ, რაც იგი დაასრულებს „ილიადის“ ახალ თარგმანზე მუშაობას, მკითხველს შეუძლია განსაჯოს, თუ რამდენად გამართლებულია ამ პრინციპის გამოყენება. ამის საშუალება უფრო ადრე მას ექნება ქეთის მიერ შესრულებული „ილიადის სცენების“ თარგმანის გაცნობისასაც.

იმ სცენებიდან, რომლებიც დაპირებულ წიგნშია შეტანილი, „ჩვენ მწერლობაში“ გამოსაქვეყნებლად შეირჩა „ილიადის“ XXII სიმღერა, რომელიც ჰომეროლოგთა ერთხმა აღიარებით აშკარად კულმინაციური სცენების შესანიშნავ პანორამას გვთავაზობს. აქ არის აღწერილი ის, თუ როგორ შეაფარა თავი აქილევსით თავზარდაცემულმა ყველა ტროელმა ქალაქის კედლებს, თუ როგორ დარჩა ტროას ბურჯი — ჰექტორი — მარტოდმარტო გამეხებული აქილევსის წინაშე, თუ რა აკავებს მას — არ დაუჯეროს მშობლების მუდარას და არ შეაფაროს თავი ტროას გალავანს, თუ როგორ ვერ დასძლევს ჰექტორი აქილევსის წინაშე შიშს და პელევსის ძისგან თავის დაღწევას გაქცევით ცდილობს, თუ როგორ აიძულებს მას წამით ჩასახული ილუზორული იმედი, შეეგებოს აქილევსს და ღირსეულად შეერკინოს მას. აქედან მოყოლებული, ჰომეროსს გადავყავართ ორთაბრძოლის და ჰექტორის განგმირვის პოეტურად ბრწყინვალედ ასახულ სცენაზე, რასაც უკვე მოჰყვება ჰექტორის გვამის აქილევსის მიერ შეურაცხყოფისა და ტროელთა ქალაქზე ცეცხლივით ავარდნილი ტირილის სულისშემძვრელი სცენა.

სიმღერა მთავრდება პრიამოსის, ჰეკაბესა და ანდრომაქეს უაღრესად ემოციური, გულში ჩამწვდომი დატირებებით.

როგორც ცნობილია, ჰომეროსი „ილიადაში“ ათწლიანი ტროას ომის ბოლო წლის მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში განვითარებულ მოქმედებას გადმოგვცემს. თუმცა პოემაში განვითარებული მოქმედების მოტივები იმ თანმიმდევრობითა და იმ ხარისხით არის ინტენსიფიცირებული, რომ ისინი მთელი ტროას ომის მიმდინარეობის ასოციაციას იწვევს. XXII სიმღერა არის მოქმედების ერთიანობის ჰომეროსისეული გააზრების ბრწყინვალე მაგალითი. აქ არ მთავრდება ტროას ომი. ილუპება მხოლოდ ჰექტორი, მაგრამ რამდენადაც პრიამოსის ძეს პოეტი ტროას დიდების სიმბოლოს ფუნქციას აკისრებს, მკითხველს ეუფლება შეგრძნება, რომ აქ დამთავრდა ომი. ჰექტორის დაღუპვა ტროას დანგრევასაც გულისხმობს.

სწორედ ამ სიმღერის ქეთი ნიჟარაძის მიერ თარგმნილ ერთ ნაწყვეტს სთავაზობს ჟურნალი მკითხველს. XXII სიმღერის და „ილიადის“ სხვა ცნობილი სცენების სრულ თარგმანებს და მათ ინტერპრეტაციას ესთეტიკური, სტრუქტურული და პოეტური თვალსაზრისით მკითხველი უკვე მის წიგნში იხილავს, რომელიც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გამოვა.



რისმავ გორდეზიანი

ჰომეროსი

ჰექტორისა და აქილეოსის შერკინება

ასე ფიქრობდა, უცდიდა მოახლოებულ აქილეოსს, ენიალოსის მსგავსად რომ უმოძრავებდა ჩაფხუტი, პელიონური შუბი კი მარჯვენა მხარზე უჩანდა. სხეულის ირგვლივ აბჯარი ისეთი შუქით ელავდა, ვით მობრიალე კოცონი, ანდა მზე, ამომავალი. ჰექტორმა რომ შეამჩნია, ათრთოლდა, ველარ გაბედა იქ დარჩენა და გაიქცა, კარიბჭე უკან დატოვა. პელიდი გამოედევნა, მარდი ფეხების იმედად. როგორც მიმინო, ფრინველთა შორის ყველაზე ფრთამალი, 140. მსუბუქად გაექანება, გარეულ მტრედს რომ დააცხრეს, ის განზე სხლტება, დამფრთხალი, ეს კი, გამჭოლი ნივილით, ფრთებს სწრაფად იქნევს, მიელტვის ნადავლის ხელში ჩაგდებას, ასე მიქროდა, მძინვარე. ათრთოლებული ჰექტორი ტროას კედლის ქვეშ გარბოდა, მარდ მუხლებს ამოძრავებდა. ორივე გასცდა გორაკს და ქარში მდგარ ველურ ლეღვის ხეს, დევნაში კედელს მოშორდნენ და ფართო გზაზე გავიდნენ. ჩუხჩუხა წყაროს მიადგნენ, სადაც იღებდა სათავეს მჩქეფარე სკამანდროსისა ანკარა შენაკადები. ერთი მათგანი მუდმივად ცხელია, და ამიტომაც 150. მის თავზე ოხშივარი დგას აგიზგიზებულ ცეცხლივით. მეორე არასდროს თბება, ყოველთვის გაყინულია, როგორც სეტყვა და თოვლი, ან წყალი, ყინულად ქცეული. სწორედ იქ იყო, მათ შორის, დიდი და ფართე აუზი, ირგვლივ ლამაზი ლოდებით, სადაც რეცხავდნენ ტანსაცმელს ტროელთა ნაზი ცოლები და მათი ქალიშვილები, როცა მშვიდობა სუფევდა — აქაველების მოსვლამდე. იქ აღმოჩნდნენ და ერთი წინ, მეორე უკან მიბრბოდა. წინ მიილტვოდა მამაცი. უკან ფეხდაფეხ მისდევდა უმამაცესი. არც სამსხვერპლოსთვის ქიშპობდნენ და არც ხარისთვის, 160. რომლითაც აჯილდოებენ შეჯიბრში გამარჯვებულებს, არამედ ცხენთა მხედნავი ღვთიურ ჰექტორის სულისთვის. გამარჯვებული ცხენები ნიშანს რომ მიაღწევენ და შეუსვენებლად მიქრიან, ბოლოს კი ჯილდო ეკუთვნით — რკინის სამფეხი, ან ქალი. ეს — როცა ვინმე მოკვდება. ასე დაარტყეს წრე სამჯერ მათ პრიამოსის ქალაქთან. მარდი ფეხებით. ყველაფერს დიდი ღმერთები ხედავდნენ და სიტყვა ასე დაიწყო მამამ კაცთა და უკვდავთა: “რას ხედავს ჩემი თვალები! ჩემთვის ძვირფასი გმირი რომ დარბის ქალაქის გარშემო, ძალიან დავდარდიანდი. 170. ჰექტორი, ხარის მრავალი თეძო რომ შემოუწირავს იდას მთის უსწორმასწორო კალთებზე, ან ამ მოშობლიურ, მაღლა აგებულ ქალაქში. ღვთიური აქილეოსი კი მას პრიამოსის ქალაქის გარშემო დაარბენინებს! ახლა მოდით და მიჩიქეთ, ღმერთებო — რა გადავწყვიტოთ, გადავარჩინოთ სიკვდილს, თუ უფლება მივცეთ აქილეოსს, პელევსის ძეს, რომ განგმიროს სახელოვანი ვაჟკაცი?” მას ბუსთვალეება ქალღმერთმა ათენამ ასე მიუგო: “მამავ, ღრუბელთა მეფევე, მეხთამტყორცნელო, რას ამბობ? მოკვდავი კაცი, ოდითგან იღბალს რომ ემორჩილება, 180. გინდა, დაიხსნა სასტიკი და ავი სიკვდილისაგან? იხსენი, მაგრამ იცოდე — ღმერთები მხარს არ დაგიჭერთ.” ღრუბელთა შემგროვებელმა ზევსმა ამგვარად მიმართა: “გენდობი, ტრიტოგენია, ძვირფასო შვილო! ზოგჯერ თუ უხეშად გესაუბრები, ახლა კეთილი ვიქნები — ის გააკეთე, რაც მართლა გულით გსურს, ნულარ აყოვნებ”. თქვა, ნააქეზა ათენა, რაც მას ისედაც უნდოდა. ქალღმერთიც მოწყდა ოლიმპოს მწვერვალს და ქვემოთ დაეშვა.

ჰექტორს კი დაუღალავად მისდევდა მარდი პელიდი. როგორც შვლის ნუკრი მიუვალ მთებში ავ ქოვას გაურბის, 190. თავის ბუნავს რომ დატოვებს და მიქრის ტყიან ჭალებში, ან ცდილობს, ვერ შეამჩნიონ და ინაბება ბუჩქებში, მტერი კვალს აგნებს და მისდევს, სანამ ხელში არ ჩაიგდებს, სწრაფფეხა პელიდს ასევე ვერ დაემალა ჰექტორი. რამდენჯერ არ შეეცადა, გზად დარდანოსის ბჭისაკენ გაქცეულიყო, მშვენიერ კოშკებს რომ შეფარებოდა, იქ კი ტროელებს დაეცვათ შუბებითა და ისრებით, იმდენჯერ დაენოდა პელიდი და გეზს უცვლიდა დაბლობისაკენ. თვითონაც გალავნის ახლო დარბოდა. როგორც სიზმარში ვერ შეძლებ, წამოენიო გაქცეულს, 200. თავს ვერ დაიძვრენს დევნისას, ვისაც კვალდაკვალ მისდევენ, ქალსაც არ ძალუძს მეუღლის დაჭერა, მას კი — გაქცევა, ზუსტად ასევე, ჰექტორიც ვერ დააღწევდა თავს სიკვდილს, უკანასკნელად აპოლონს, სასწრაფოდ იქვე გაჩენილს, მუხლებში შესუსტებული ძალა რომ არ აღედგინა. ღვთისდარმა აქილეოსმა კი ჯარს თავის ქნევით ანიშნა, რომ ვინმეს ჰექტორისათვის ცული არ მოექნია და სახელი არ მოეხეჭა, თვითონ კი ჩამორჩენოდა. და აი, როცა მეოთხედ გაიქცნენ წყაროებისკენ, ღმერთების მამამ, კრონიდმა, ოქროს სასწორი შემართა, 210. ზედ დადო ორი სიკვდილი, მიწასთან გამსწორებელი — ღვთიური აქილეოსის და ჰექტორის, ცხენთა მხედნავის, ხელი შუაში მოკიდა, ჰექტორის ხვედრმა დანონა. ჰადესამდე რომ დაეცა, გმირს აპოლონიც მოშორდა. პელიდს კი გამოეცხადა ბუსთვალა ღმერთი ათენა, ახლოს დადგა და ასეთი ფრთიანი სიტყვით მიმართა: “შენ, აქილეოსო, ზევსისთვის ძვირფასო, იმედს გაძლევე, რომ დაუბრუნდები დიდებით აქაველების ხომალდებს. განგვმირავთ ჰექტორს, რომელსაც ბრძოლა არასდროს არ აცხრობს — ორივეს ერთად ხელიდან ვერაფრით ვერ დაგვისხლტება, 220. აპოლონმაც რომ იღონოს ზევრი რამ, შორითმჭერეულმა, თვით ფარისმპყრობელ მამა ზევსს ფეხებშიც რომ ჩაუვარდეს. მაგრამ ახლა შენ დარჩი და ცოტა ხნით ამოისუნთქე, მე წავალ და დავარწმუნებ, რომ შეგებრძოლოს პირისპირ.” ეს თქვა ათენამ და ისიც სიამოვნებით დათანხმდა, სპილენძის ბასრბუნეიანი იფნის მიძიმე შუბს დაეყრდნო. ქალღმერთმა გმირი დატოვა და ჰექტორს გამოეცხადა დეიფობოსის ძლიერი ხმით და მისივე იერით. ახლოს დადგა და ასეთი ფრთიანი სიტყვით მიმართა: “ძვირფასო ძმაო! სწრაფფეხა აქილეოსს დაუჯავბინებარ 230. და პრიამოსის ქალაქის გარშემო დაგარბენინებს. წამოდი, ერთად შევებათ და უფრო გავუმკლავდებით!” მას უპასუხა ჰექტორმა, მოძრავმუზარადიანმა: “დეიფობოსო, ადრეც ხომ უსაყვარლესი იყავი ძმათაგან, ვინც კი ჰეკაბეს უშვია პრიამოსისთვის, ამიერიდან კი მაინც უფრო მეტ პატივს მოგაგებ — როდესაც ნახე, რა მჭირდა, ჩემთან საშველად მოხვედი. შენ გალავანი დატოვე, სხვები კი დარჩნენ ქალაქში.” მას ბუსთვალეება ქალღმერთმა, ათენამ, ასე მიუგო: “ძვირფასო ძმაო! ყველანი — მოშობელი დედაც და მამაც 240. მუხლებზე მეხვეოდნენ და ახლობლებს შორის დარჩენას მევედრებოდნენ. შიშისგან არიან ათრთოლებული. მაგრამ იქ ჩემს გულს სტანჯავდა უსაზღვრო უბედურება. ერთი სული მაქვს, ჩავერთოთ ბრძოლაში. მოდი, ჩვენს შუბებს ნულარ დავზოგავთ და ვნახოთ, თუ შეძლებს აქილეოსი, რომ მოგვეკლას, აბჯარი აგვეყაროს, ცხედრები თან წაიყოლოს ღრმა ნავებისკენ, თუ შენი მახვილით დაიმორჩილებ”. ასე მიმართა ათენამ, ცბიერად გამოიტყუა. როდესაც ახლოს დადგნენ და მტრები პირისპირ აღმოჩნდნენ, პირველად უთხრა ჰექტორმა, მოძრავმუზარადიანმა:

250. “პელიდო, აღარ გაგეცევი, წელან სამჯერ რომ შემოვუბნინე პრიამოსის ქალაქს. ვერ დავრჩი იქ შენს მოსვლამდე. მაგრამ ახლა სულს ურჩევინა, მედგრად დაგხვდე და გავიმარჯვო, ან დავიღუპო. თავდებად მომყავს უკვდავები — საუკეთესო მონმეები და შეთანხმების აღმსრულებლები — არ შეურაცხყოფ ცხედარს, თუკი ზევსი ინებებს ჩემს გამარჯვებას და შენს სხეულს სულს ამოვაცლი. პელიდო, მხოლოდ სახელოვან იარაღს აგერი, გვამს აქაველებს მივცემ და შენც ამას შემპირდი.”

260. ფეხმარდმა აქილევსმა კი მას აღმაცერად შეხედა: “ჰექტორ, დაფიქრდი, უგნურო! როგორ მიყენებ პირობებს! ლომი და კაცი სანდო ფიცს ვერასდროს აღასრულებენ, მგელს და კრავს შორის ვერაფრით იქნება ერთსულოვნება — მათ ერთმანეთში მტრობა და განუწყვეტელი შუღლი აქვთ. ასევე ვერ მოვიბრუნებთ გულს ერთმანეთზე მე და შენ, ვერ მოვირგებთ ჩვენ, სანამ ერთ-ერთი არ მოვკვდებით და შეუბრალებელ მეომარს — არესს სისხლით არ გავაძლებთ. მოიხმე ბრძოლის უნარი! განსაკუთრებით ხომ ახლა გმართებს, რომ იყო მამაცი, შეუპოვარი მებრძოლი!”

270. იცოდე, ვერ გადარჩები, მალე ათენა პალასი განგემირავეს სწორედ ამ შუბით! მერელა გამოისყიდი სისხლს ყველა ჩემი ახლობლის, შენ რომ მხეცურად დახოცე.”

თქვა. შემართა და ტყორცნა შუბი, გრძელჩრდილიანი, თუმცა ჰექტორმა დაინახა და აიცდინა, მოხერხებულად ჩაჯდა. შუბმა ჩაუქროლა და მიწას ეძგერა. ამოაძრო ჩუმად ათენამ და ჰექტორისგან შეუმჩნევლად მისცა აქილევსს. ხალხთა მმართველმა ჰექტორმა კი დიდ პელიდს უთხრა: “ამცდა, ღვთიურო აქილევსო, ზევსს ხომ არ უთქვამს

280. შენთვის, რა იყო ჩემი ხვედრი, თუმც ტრაბახობდი. ლაპარაკში კი ცბიერი და მარჯვე აღმოჩნდი — გინდოდა, შიშით სიმამაცე დამეინყებოდა. იცოდე, ზურგში შუბს ვერ ჩამცემ, შენგან გაქცეულს. პირდაპირ უნდა მოგიმერო მკერდი და მომკლავ, თუკი ღმერთს ნებავს. ახლა შუბი მოიგერიე! ნეტავ ჩემს მახვილს მიიღებდეს შენი სხეული. შესუსტდებოდა ტროელებთან ომის სიმძაფრე, რომ მომეკალი. ჩვენთვის შენ ხარ უბედურება!”

თქვა, მოიმარჯვა, ისროლა გრძელჩრდილიანი შუბი და

290. არც ააცდინა, პელიდის ფარს შუაგულში მოარტყა, თუმც აისხლიტა უკანვე და გამძვინვარდა ჰექტორი, რადგან ფეხმარდი ბრძოლაში ხელიდან უცებ დაუძვრა. მერე შუბი არ ჰქონდა და დადგა თავჩაქინდრული. ძმას, დეიფობოსს უხმობდა ხმამაღლა, მბრწყინაფვარიანს უზარმაზარ შუბს ითხოვდა. ძმა კი არ იყო მის გვერდით. და მაშინ მიხვდა ჰექტორი, რაც ხდებოდა და წარმოთქვა: “ჰოი, მიხმობენ თვით ღმერთები სიკვდილისათვის დავიჯერე, რომ გვერდით მყავდა დეიფობოსი ის ქალაქშია, შემაცდინა ალბათ ათენამ

300. ავი სიკვდილი მოახლოვდა, არ იგვიანებს, ვერ გადავრჩები! ასე ნებავს დიდი ხანია ზევსს და ზევსის ძეს, შორითმტყორცნელს, რომლებიც ადრე მწყალობდნენ. ახლა მოირების ხელში ჩამაგდეს. მაგრამ ლაჩრულად, უსახელოდ არ დავენებდები ისეთ გმირობას ჩავიდენ, თაობებს გადაეცემათ. ასე წარმოთქვა და იშიშვლა ბასრი მახვილი, დიდი და მტკიცე — ყოველთვის რომ ეკიდა წელზე, გამოექანა დაჭიმული, როგორც არწივი, პირქუში ღრუბლის მსგავსად ვაკეს რომ ეფინება,

310. მშიშარა კურდღლის, ან ნაზი ცხვრის გამტაცებელი. ასე გაიჭრა წინ ჰექტორი, მახვილის ქნევით



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

და აქილევსმა, სული რისხვით რომ ევსებოდა, წინ აიფარა ხელოვნებით ნაჭედი ფარი, მუზარადი კი მოძრაობდა, ოთხქობიანი, ბრწყინავდა მზეზე. მშვენიერი ოქროს ფაფარი ჯილის გარშემო შემოერტყა თავად ჰექტორს. როგორც ვარსკვლავი, მოკაშკაშე ღამის უკუნში — ჰესპერიოსი, ვარსკვლავთ შორის ულამაზესი, ისე ბრწყინავდა იმ მახვილის წვერიც, აქილევსს 320. ხელთ რომ ეპყრა და აეს უქადა ღვთაებრივ ჰექტორს. აკვირდებოდა კანს — სად ჯობდა, დაეკრა შუბი. მთელი სხეული დაეფარა სპილენძის აბჯარს, მამაც პატროკლეს რომ აჰყარა სიკვდილის შემდეგ. მხოლოდ ლავინი გამოუჩნდა მხრის გასაყართან, კისრის არეში. იქ დაჭრიდა გმირს სასიკვდილოდ და აქილევსმაც სწორედ იქით მიმართა შუბი. კისრის რზილ ხორცში გაიარა მახვილის წვერმა, თუმც მძიმე შუბი ხორხს, როგორც ჩანს, არ შეხებია, რადგან შეეძლო, მიემართა სიტყვით მტრისათვის.

330. მტვერში დაეცა. აქილევსი მედიდურობდა: “ჰექტორ, პატროკლეს სიკვდილის შემდეგ როგორა გეგონა, ცოცხალი გადარჩებოდი? შორს მყოფის არ შეგეშინდა. უგნურო! საუკეთესო დამცველი ვყავდი მეგობარს და დროს ველოდი, ფულურო ნავებთან ჩასაფრებული. მუხლი მოგკვეთე. შენს ცხედარს ფრინველები და ძაღლები დაგლეჯენ და დამარხავენ შენს ცხედარს აქაველები.”

მას უპასუხა ჰექტორმა, მოძრაემუზარადიანმა: “შენი მშობლების სულს გავედრებ, რომ არ დაუშვა, აქაველების ხომალდებთან ძაღლმა დამგლიჯოს

340. გამოსასყიდად ბევრ სპილენძს და ოქროს მიიღებ, საჩუქრებს უხვად მოგიძღვნიან დედა და მამა. შენც დააბრუნე გვამი სახლში, რომ ტროელებმა როგორც წესია, ცეცხლს მისცენ და დაასაფლავონ. სწრაფფეხა აქილევსმა კი მას აღმაცერად შეხედა: “ძაღლო, მუხლებს ნუ ეხები და ნურც მშობლებს ნუ მავედრებ! ჩემი ძალა და სული რომ ამის უფლებას მაძლევდეს, დანანევრებულს, უმადვე შეგჭამდი ჩადენილისთვის არავინ არის ქვეყნად, ვინც შენს თავს ძალთაგან დაიცავს, რასაც მპირდები, იმაზე ათჯერ, ან სულაც თორმეტჯერ

350. მეტი რომ მომიტანონ და კიდევ უფრო მეტს დამპირდნენ, ან შენი წონა ოქრო რომ შემომთავაზოს სანაცვლოდ ხელმწიფემ, თვით დარდანიდმა. იცოდე, ძვირფასი დედა გარდაცვლილს სარეცელზეც კი ვერ დაგიტირებს, მშობელი.

დაგაგდებ, ფრინველების და ძაღლების კერძი გახდები.” სიკვდილის წინ თქვა ჰექტორმა, მოძრავმუზარადიანმა: “კარგად გიცნობდი და არ უნდა შეგვედრებოდი. ამოდ გენდე, შენ ხომ მკერდში რკინის გული გაქვს. ახლა კი ძრწოდე, ღმერთთა რისხვა არ დაგატეხო, იმ დღეს, როდესაც პარისი და თვით აპოლონი 360. სკეის დიდ ბჭესთან შენს დაღუპვას დააპირებენ.” ასე წარმოთქვა და სიკვდილმაც დაიმორჩილა, სული წავიდა სხეულისგან, ჰადესს მიმართა — ბედს დასტიროდა და ტოვებდა ყმანვილკაცობას. აქირევსმა კი, ღმერთის დარმა, ცხედარს მიმართა: “ჩაძაღლი! მე კი სიკვდილის ქალღმერთს

სულ სხვა დროს შევხვდები — როდესაც ზევსი ინებებს და სხვა უკვდავი ღმერთები.” ეს თქვა და სპილენძის შუბი ამოაცალა გარდაცვლილს. შორს მოისროლა. აბჯარი და იარაღი ჰყარა, სისხლიან ცხედარს. შეგროვდნენ სხვა აქაველი ვაჟებიც 370. გაოცებულნი უმზერდნენ ჰექტორის ახოვანებას, თითოეული უსულო გვამს აყენებდა ჭრილობას. ერთმანეთს უყურებდნენ და ამგვარად ლაპარაკობდნენ: “ჰოი, რა რბილი ყოფილა, როდესაც ხელით ეხები - ჰექტორი, ჩვენი ნავები ცეცხლში რომ ააბრიალა.” ამბობდნენ და უმატებდნენ უსულო სხეულს ჭრილობებს. სწრაფფეხა აქილევსმა კი ჰექტორს აბჯარი აჰყარა, აქაველებში დადგა და ფრთიანი სიტყვით მიმართა: “არგვივლთ ხელისუფლებო და დიდო წინამძღოლებო! ახლა, როდესაც ღმერთებმა ის კაცი მოგვაკვლევინეს, 380. ვინც ჩაიძინა ყველა სხვა მებრძოლზე მეტი სიამე. ხომ არ ვცადოთ და ქალაქში აბჯარასხმულნი მივიდეთ. იქნებ როგორმე გავიგოთ, რა აქვთ ტროელებს გეგმაში — ქალაქის მიტოვება და გაქცევა განუზრახავთ, თუ ჰექტორის სიკვდილის შემდეგ მაინც დარჩენა სწადიათ. მაგრამ რატომ ვარ ასეთ დროს ამ ამბით დაკავებული, ნავებთან გდია ჯერ კიდევ დაუკრძალავი ცხედარი — უძვირფასესი პატრონე — ის, ვისაც ვერ დავივიწყებ, სანამ ვიცოცხლებ და სანამ მუხლებში ძალა მექნება. თუკი ჰადესში წასულნი ვივინებთ მიცვალებულებს, 390. იქაც კი მემახსოვრება მე მეგობარი ძვირფასი. ახლა კი მოთქმით და ზარით იმღერეთ, აქაველებო, ღრმა ხომალდებთან დავბრუნდეთ და გვამი თან გავიყოლოთ, ხომ მოვიხვეჭეთ სახელი — თავად ჰექტორი განვგმირეთ, ვისაც ქალაქში ტროელნი ღმერთივით განადიდებენ.” ეს თქვა და ჰექტორს, ღვთაებრივს, უსასტიკესად მოეპყრო — ჯერ გაუხვრიტა ორივე ფეხი ქუსლისკენ, მყესებთან, კოჭს და ტერფს შორის. შიგ ტყავის თასმები გაუყარა და ეტლს გამოაბა, თავი კი მტვერში სათრევად დააგდო. სახელოვანი აბჯარი აიღო, ეტლზე ავიდა, 400. მათრახი დაკრა ცხენებს და ისინიც სწრაფად გაიჭრნენ. გამობმულ ცხედარს მტვრის ბული დაადგა. მისი მუქი თმა ამოსივარა ჭუჭყში და თავი სულ მტვერმა დაფარა — ადრე ლამაზი, ახლა კი ზევსისგან გამეტებული, მტრის ხელში მყოფი, მშობლიურ მიწაზე პატივყრილი. თავი მთლად ამოიგანგლა მტვერში. დედამ კი, საბრალომ, თმა დაიგლიჯა, სამოსი სულ აქეთ-იქით დაყარა, მწარედ ატირდა, უფროს შვილს ასეთ დღეში რომ შეხედა. შესაბრალოსად კვნესოდა ძვირფასი მამაც. მის ირგვლივ ყველა მოსთქვამდა. ქალაქი მოთქმა-გოდებამ მოიცვა. 410. გეგონებოდა, რომ თითქოს ბორცვზე შეფენილ ილიონს მთლად ცეცხლი მოსდებოდა და ინვოდა, აალებული.

ძველბერძნულიდან თარგმნა ქეთი ნიჟარაძე

ლეა ჯიყაშვილი

პორტრეტი ლია სარკმლების ფონზე

წვიმდა. თბილისის დამრეც ქუჩებში წყალი პატარა რუე-ბად მოდიოდა, მგზავრები ჩქარობდნენ, ან ჯგუფად იდგნენ მალახიის ვიტრინებთან, სარეკლამო გადახურვის იმედზე დარჩენილები.

ლევან ხარანაულის პატარა ოთახში, სახელოსნოდ რომ დაუთმეს კეთილისმსურველებმა, ნახევრად განათებულ სივრცეში წვიმის ხმა ძლიერად შემოდიოდა, იქაურობას ავსებდა. ფანჯრიდან მოჩანდა ეს რუებიანი ქალაქი და წვიმით შეშინებული ქალაქელებიც. ლევანმა კი — მიყვარს ასეთი ამინდო, იმიტომ, რომ უსაქმოდ არავინ დაბორიანებს, იმიტომ, რომ ყველა ჩქარობს, გარბის, არც გადაძახილია, არც გადმოძახილი, მარტო წვიმის ხმაო...

ეგ არაფერი, ცოტა ხნის მერე ისეთი რამ მითხრა, მართლა ძალიან ცოტა ადამიანი თუ იფიქრებს და იტყვის: ზღვა მიყვარს, ოღონდ — ზამთარშიო. ჩვენ ხომ მიჩვეულები ვართ, რომ ზღვის ხსენებაზე მზიანი პლაჟი და სხეულზე სასიამოვნოდ მოლამუნე ზღვის თბილი ტალღების ხსოვნა გვიცოცხლებდა. ლევანს კი — ზამთრის ზღვა, ცივი და ზოგჯერ ტალღეზიანი, სანაპირო — დაცლილი, მოწყენილი. მარტო იმიტომ კი არა, რომ ბავშვობაში ზამთრობით ბებოს კელასტრში მიჰყავდა თავის დასთან, რომელიც იქ მჭედლიძეებში იყო გათხოვილი... ზამთარში ზღვა თავის თავს ჰგავსო, — თქვა გულწრფელად. და თუ უნდება სადმე წასვლა (საერთოდ კი არსად წასვლა არ უნდება ხოლმე ამ ერთი გამონაკლისის გარდა თურმე), ზამთარში უნდა სოხუმში ჩავიდეს.

ლევანი უცნაური კაცი სულაც არ არის, ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და სალი კაცია — მშვენიერი ოჯახი აქვს, ერთ-მანეთზე უკეთესი შვილები ჰყავს, თანაც — შვიდი! მალე 50 წლისა გახდება და ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არასოდეს არაფერი გაუკეთებია პირმოთნეობით ან ყალბად, არასოდეს აულია ხელში ფუნჯი, იმიტომ რომ რომ ვინმეს თვალში ასეთი „პოზა“ ეფექტური. არასოდეს ჩაბმულა იმ ვნებათა-დეღვასა და ორომტრიალში, რომელშიც „პოპულარული ადამიანები“ და „ცნობადი სახეები“ იჭედებიან... ლევანი ლევანი იყო და არის, ვინც იცნობდა, — იცნობდა, ვინც არა — არა. მისი ფერწერული ტილოები ხელოვნების არსის მცოდნეებს არასოდეს დაავიწყდებათ. მეტიც, ამ პატარა „ოთხკუთხედებში“, კედლებზე სურათებად რომ არიან მიკრულები, სამყაროში გამავალი სარკმელები იკითხება. შუა საუკუნეების ევროპაში იყო ასეთი წესი: მხატვარი თუ მიცვალებულის პორტრეტს ხატავდა, აუცილებლად იქვე ფანჯარასაც მიუხატავდა, რომ ის თვალუნუნელი სივრცე მარცვლად მაინც დარჩენილიყო სურათზე, რომელშიც სული უკვე გაიჭრა. ლევან ხარანაული ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი ხელოვანია ჩვენს რეალობაში, თუმცა მის გვერდით ეს სარკმელები ჩანან სურათების სახით და იმ ასტრალურ სივრცეებზე, რომელშიც მისი სული მართლაც გავიდა. ბოლოს და ბოლოს ხომ სწორედ ეს „სარკმელები“ განსაზღვრავენ ხელოვნების ნამდვილობას.

— ფერწერაზე რომ მეკითხებიან რამეს, არ ვიცი, რა ვუპასუხო, — ამბობს ლევანი და იცის, რასაც ამბობს. ვილაციისთვის შეიძლება დაუჯერებელი დარჩეს, — სახლის გარემონტე-

ბისას რომ მეკითხებიან, აქ, კედლებზე რა ფერი დავსვით, — არც ეგ ვიცი... არც ის ვიცი, ამა თუ იმ ფორმის ოთახში ბუხარი როგორი სჯობია... არ შემიძლია ამაზე პასუხის პოვნა. სამაგიეროდ, იატაკის დაგება შემიძლია. შემსასაც დაგვჩხავ...

ლევანს ელიმება, მეც ვილიმი. წარმოიდგინეთ, მისი სურათების პატრონი რომ ამას იტყვის, ფერისა არაფერი ვიცი, იატაკის დაგება კი მეხერხებაო. არადა, მართლაც არ არის იმ ხელოვნათა რიცხვში, ზამთარში რომ გაიყინებიან სიცხისაგან და თავს ვერაფერს უშველიან, და ზაფხულში რომ სიცხე მოაშთობთ უმწეოდ დარჩენილებს. იატაკიც მართლა აქვს დაგებული თიანეთში, წინაპრების სახლში.

— ეს სახლი ბებოჩემის მამის აშენებულია. ქიტესა ერქვა, სოფლის მამასახლისი იყო. ისეთი კი არა, მერე ფილმებში რომ გადაიღებდნენ ხოლმე, მღვდელთან ერთად ხელგადახვეული რომ დადის ქათმის ბარკლით ხელში, ღირსეული კაცი იყო, პატივსაც სცემდნენ და, თუ რამე მოხდებოდა, სამართლის საპოვნელადაც მასთან მოდიოდნენ. ერთი შემთხვევა ვიცი, მოსულა კაცი და უჩივლია მეორისთვის — იმან საბძელი გადამინვაო. ქიტესა პაპა მომჩივანსაც იცნობდა და იმასაც, ვისაც უჩიოდა. ცოტა ხანს დაფიქრდა და: ეს კაცი საქონლის მოყვარული კაცია და მაგას არ იზამდა, რომ შენთვის საბძელი გადაეწვია! რაკი ეს „განაჩენი“ გამოიტანა, არავინ შეკამათებია, იცოდნენ, სამართლიანი კაცი იყო და ტყუილად არავის დასდებდა ბრალს. ასე ჭრიდა ადრე სამართალი, ახლა შეიძლება ისე დაგბრალებდეს რამე, თავი ვერ იმართლო...

თანაც, კეთილიც იყო ქიტო პაპა, ბავშვებსაც უყვარდათ... სახლის აშენება შეეძლო სამირკვლიდან მოყოლებული, გადახურვამდე, ხის კარ-ფანჯრის ჩასმამდე და მერე ავეჯით განწყობამდე. ყველაფერი ემარჯვებოდა. ერთხელ მეზობელ სოფელში ყოფილა, სახლს აშენებდა, ვიდრე სამუშაო ჰქონდა, იქ რჩებოდა კიდევ. დაასრულა მშენებლობა და დაბრუნდა შინ. იმ ღამეს ცხენებით მოაკითხეს, ჩვენ ბაღს სიცხე აქვს და შენ გნატრულობს, წამოგყევიო... კარგი კაცი რომ არ ყოფილიყო, ბავშვიც არ მოინატრებდა...

ვაჟას იცნობდა... ერთი ფოტო გვაქვს, სუფრასთან არიან, პაპაჩემი თავში ზის, იქვე ვაჟა დგას... ქიტო პაპა ციმბირის წყლისაგან გარდაიცვალა, ეტყობა, მაშინ ძალიან იყო გავრცელებული, ვაჟასაც მაგან არ დააკარგინა თვალი!

ლევანი გაჩუმდა. როგორც ვატყობ, ფიქრებით უკეთ მისდევს ყველა ამბავს, ხმაური და ორატორობა მისი საქმე არ არის... არ როგორ უნდა მითხრას, რას ნიშნავს მისთვის თიანეთის საუკუნოვანი სახლ-კარი, პაპა ქიტოს აშენებული ის გლეხური სამოსახლო, სადაც ბებომისი გაიზარდა და ცხოვრობდა, სადაც მამამისი — ბესიკ ხარანაული დაიბადა და ჩამოყალიბდა... სადაც ერთ დროს ყველა სახლი საფეხი იყო და ახლა სიმარტოვისა და უმწეობის ბინდებუნდია ჩამდგარი უმრავლეს სახლებში... თიანელი ქალები უცხოეთში არიან წასულები, მუშაობენ და ჭაპანწყევით ნაშოვნ ლუკმას ოჯახებში აგზავნიან... ბევრი სახლი ეგეთია — უქალო, უცხოეთიდან მოწოდებული სარჩოს მომლოდინე, ბევრიც სულ კარზე ობობის ქსელგადაკრული... ლევანი იმის კაცი არ არის, სენტიმენტალურ ამბებზე ხმამაღლა მიაბზოს, და არც იმისი კაცია, ეს ყველაფერი ვერ დაინახოს და დაივინყოს... სწორედ ამ დანახვამ და გრძნობამ წაიყვანა თიანეთში საცხოვრებლად ოჯახთან ერთად, იქ გაზარდა ბავშვები: მარიამი, ქიტო, ბესიკი, გიორგი, ელენე, ანა-ეფემია (ფეფო) და მართა... იქ ხატავდა და კერასაც არ აცივებდა, მეუღლესაც ისეთი ჰყავს, ერთი არ დაუნუნუნია, თბილისში გაზრდილს, აქ რა მინდაო! ლელა სულაკაური (ცნობილი მწერლის — ვალიკო სულაკაურის ქალიშვილი, ზაალ, ზურაბ და ბაკურ სულაკაურების და) ლევანს არც სიწუმით ჩამოუფარდება, არც იმისი შეგრძნებით, რას ნიშნავს წამოხვიდე თბილისიდან და მამა-პაპისეული სახლის საკვამურში კვამლი გააჩინო... ოღონდ ამაზე ლელასაც ვერ დააძვრევინებ სიტყვას... განა სხვათა ყურის საამებლად და

საქებარის მოსასმენად წავიდნენ თიანეთში, მიზეზი სხვა ჰქონდათ — ძალიან შინაგანი და ხელშეუხებელი.

ეტყობა აბალახებულ სახლ-კარი წარმოვიდგინე, მერე ამათი მოვლილი, გასუფთავებული კარმიდამო და — თავად თუ გაგითიბავს-მეთქი, — ლევანს ვკითხე.

— გამოითბავს, მაგრამ თიბვა მამაჩემის საყვარელი საქმეა, საერთოდ! მე ეზოში თუ გავთიბავ... მამა სათიბშიც გავთიბავს. მაგას სხვანაირი ჯვანი უნდა...

— იოლი წარმოსადგენი არც ბესიკ ხარანაულია ცვლით ხელში!

— არადა, კარგად იცის!

— ასაკის და უფროს-უმცროსობის მიუხედავად, თანატოლივით თუ გიგრძენიათ თავი მამასთან?

— ხშირად მგონია, რომ მამა თანატოლია, მეტიც, უფრო ახალგაზრდაცაა... კომპიუტერში კარგად ერკვევა, მე — ვერა... ისეც უფრო ხერხიანია, უფრო ახალგაზრდული... აი, უკვე რამდენი მანქანა გამოიცვალა, მე კი ისეც ის ნივთი მყავს, რომელიც ადრე მიყვია... სიმართლე რომ ვთქვა, მიყვარს ეს ნივთი... მახსოვს, რომ მაჩუქა, ძალიან მომინდა სადმე წასვლა. ზამთარი იყო, სად უნდა წავსულიყავი? ავედქით და თიანეთში წავედით მე და ჩემი მეგობრები: ლევან ჭიჭინაძე, ხუტა შონია, დათო თავბერიძე, ხუტას შვილი საბა. 13 იანვარი იღვა. დიდი თოვლი იყო. ბებოჩემი ავად იყო, თბილისში გვყავდა. სახლი მარტო იყო... ავედით, თან ღონინიც გვქონდა და თანაც ვმუშაობდით. დღისით გავდიოდით და ვხატავდით პლენერზე. სტუმრები მოდიოდნენ, უხაროდ ჩვენთან ყოფნა, ჩვენც გვიხაროდა მათი მოსმენა. ასე იყო თუ ისე, თბილისიდან წაღებული სანოვავე მალე გავათავეთ და დავრჩით მწირი სანოვავის ამარა... აი, ამ დროს საბა გახდა ავად, მამამისი აღარ დადიოდა პლენერზე, ბავშვთან რჩებოდა. მან იპოვა ტახტის ქვეშ თაფლით სავსე პატარა კასრი. ადრე ბებოჩემს ფუტკარი ყავდა... მერე გაგვიქრა... ერთ თბაფხულზე რომ ავედით, აღარ დაგვხვდა. რალაცნაირად თბილი და ტკბილი იყო ის თაფლი, საბას ძალიან გამოადგა. მეც რალაცნაირად გამოთბა სულ, ამ ცარიელ სახლში თაფლიც იყო და აივნის ქვეშ დაწყობილი ხმელი შეშაც... ყველაფერი იყო და აივნის ქვეშ დაწყობილი ხმელი შეშაც... ყველაფერი იყო, რომ მისულიყავი და უმასპინძლობა არ გეგრძნო.

— თიანეთის სახლზე რომ ლაპარაკობთ, თქვენი ბებო მიდგას თვალწინ, რომლის ორი არაჩვეულებრივი პორტრეტი მაქვს ნანახი... სულ ბოლოს გამოფენა-გაყიდვა იყო, ბებოს პორტრეტს იოლად შეელოდით, რომ გაყიდულიყო?

— ბებოს სურათს ვინ გაყიდის? ან რა უნდა გადაგიხადონ? ერთი მოვიდა, გინდა თუ არა, ბებოს პორტრეტი მომიყიდე, ბებოჩემს გავსო. ერთ ნახატში იმდენს იხდიდა, საერთოდ რაც მაქვს აღებული ყველა გაყიდულ სურათში ერთად. ცხადია, უარი ვუთხარი. მეორე დღეს ფოტო მოიტანა: აი, დახედე და ნახე, როგორ გავს, ამის გამო მინც დათმეო... დახედე... კურნოსა ცხვირით იყო იმისი ბებო, არაფრით ჰგავდა ჩემსას. უკრაინელი დედა ყოლია, მამა — იტალიელი... შენი ბებოს პორტრეტი შინაურული და მშობლიურიო, — არაფრით უნდოდა დანებება... ცხადია, ვერ დამიყოლია. ბებოსი კი არა, სხვების პორტრეტებიც არ გამიყიდა...



ლევან ხარანაულის ავტოპორტრეტი

— რატომ? პორტრეტი რაღაც განსაკუთრებულია? — ვკითხე და ისიც ვიცოდი, რომ დუმილით მიპასუხებდა.

ლევანი გაჩუმდა, კედლებზე ჩანდა რამდენიმე „სარკმელი“ — იქიდან მომზირალი მეგობრების სახეებით თუ ნაცნობი ადამიანებით, ავტოპორტრეტებით; ჩემს მზერას გააყოლა თვალი და კითხვაზე კი არ მიპასუხა, სულ სხვა რამ თქვა:

— ავტოპორტრეტი არის მოთელვის ყველაზე კარგი საშუალება... დადგები სარკესთან და დახატავ... ზოგჯერ სრულიად აღარაფერს ვხატავ, ახლაც გაჩერებული ვარ, პალიტრა გამხმარია... სანამ „დაქოქავს დაზგას“ დაზგური ფერმწერი, ჩაიხედავ სარკეში და დახატავ. გაამზადებ პალიტრას, ფერებს დაასხამ და უნდა ჩახედო შენს თავს. სხვაა, როცა სხვას ხატავ: უფლებას არ ვაძლევ თავს, რამე წარმოვიდგინო ჩემს ნატურაზე. მხოლოდ ფუნჯი მუშაობს. ერთი სეანსის მერე გიყვარდება, ვისაც ხატავ. მნიშვნელობა არა აქვს, ბავშვია, მოხუცია თუ რამე ნაკლი აქვს, ჩემთვის ყველაფერი საჭიროა, ვცდილობ, რომ ტილოზე გადატანისას თავი არ დაკარგოს. პორტრეტს რომ დავასრულებ და შეხედავენ, არ მოწონთ... წლები რომ გავა, შემობრუნდებიან ხოლმე. ყოფილა ასეთი შემთხვევები, ისინი, ვინც ადრე მყავს დახატული, იმათ, ვისაც მერე ვხატავ, ასწავლიან: გავა დრო და ნახე როგორ მოგეწონება... ლამისაა, მათთვის, ვისაც ვხატავ, კართან დავწერო: არ დაავიანო, გუდურში არ ნახვიდე, არ ჩამოხვიდე აგურისფერი, მერე რომ ნახავ ამ პორტრეტს, არ მოგეწონება, მაგრამ არაუშავს, როგორც ამბობენ, გავა დრო და მოგეწონება.

რამდენჯერ მითქვამს, ცხოვრებაში აღარ დავხატავ-მეთქი. ფოტოს რომ იღებენ და კამერას აყენებენ „ვიდერჟაკზე“, ობიექტივი ღიაა. ასე გადაღებისას გამოდის ყველაზე კარგი პორტრეტები. წამის მეასედები ადამიანს რამდენი აზრიც გაუელვებს, იმდენჯერ ყველაფერი იცვლება... რაც დიდხანს არის ღია ობიექტივი, მეტად ამოაქვს ადამიანის შიგნიდან ის რაც არის... ხატვის პროცესი ჰგავს „ვიდერჟაკით“ გადაღებას...

ხან გაიქცევა ფუნჯი თავის ნებაზე, ვუყურებ და საერთოდ არ გავს იმას, ვისაც ვხატავ. გოგო დამსგავსებია მამას, ბებიას... წინაპარს... არაფერი უნდა მიუმატო და გამოაკლო. შენც უნდა მოითმინო, იმანაც. თუ არ მოითმენ, მისცხებ ტილოს საღებავს და ლაქა შეიძლება მხოლოდ მას ერთს დაემსგავსოს გაერგნულად, მაგრამ ლაქა იქნება...

— თავად ვის გავხართ ავტოპორტრეტებში? — ვკითხე, სინამდვილეში კი იმით დავინტერესდი, რა ამოჰქონდა შიგნიდან, როცა ფუნჯი ფოტოაპარატივით „ვიდერჟაკზე“ იყო დაყენებული.

— ავტოპორტრეტში ხან ბებოჩემს ვგავარ, ხან დას, ან ბიძას... ქიტო პაპას. აი ვიდეოში რომ მინახავს ჩემი თავი, იქ კი ნამდვილად არ ვგავარ საკუთარ თავს, — ისევე ილიმის ლევანი, — არც ხმა მომწონს, არც მოძრაობა, რაღაცნაირად ისე დავდივარ, ვითომ მე კი არ ვიყო, ვილაცის გამო „ვთამამობდე“, პოზა ვეჭვროს...

არადა, ლევან ხარანაულის ცხოვრებასა და სურათებში „თამამი“ არსად არის, იქაც კი, სადაც თვითონაც და მისი შვილებიც თამამობენ, მოტოციკლეტზე სხედან და მიქრიან, მისხალი არ არის ნათამამები. ეს სურათი შვილის შეკვეთით დავხატეო... ვიდრე დედა სადღოს ამზადებდა, მამა ასე ართობდა პატარებს. რა დავხატეო, და — მოტოციკლეტზე რომ ვსხედვართ, ის დავხატეო, ამასაც ვახეთის არშიაზე დაუხატავს, მერე კი ტილოზე გადაუტანია შვილების „შეკვეთა“.

ექვი არც მეპარება, რომ ბრწყინვალე მამამეილობა ექნებათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბესიკ ხარანაულსა და ბებომისსაც არაჩვეულებრივი დედაშვილობა უნდა ჰქონოდათ, და მერე კიდევ იმიტომ, რომ დედას — დამანა მელიქიშვილს, ბიძას — ვაჟა მელიქიშვილს მართლა განსაკუთრებული სულიერებით უყვარდათ თავისი დედა. ერთხელ მიაშხეს, ვაჟა მელიქიშვილი სწულ დედას გარეთ ხელში აყვანილს ასიერებდა, რადგან მოუნატრებია მოხუცს და მას კი ეტლი არ ჰქონია.

— ბიძათქვენის შემოქმედების მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?

— როგორც არ კითხულობენ მწერლებს თანამედროვე ცხოვრებაში და სულ არ იციან, რეალურად ვინ რა დანერა, ისეა ქანდაკებაშიც. თუ „სახელმწიფო მოქანდაკე“ არ იყავი, გასაქანიც არ გექნებოდა. ვაჟა მელიქიშვილის დონის მოქანდაკე ხელისგულზე ეყოლებოდათ ნორმალურ ქვეყანაში... აქ — არა. ჩვენთან ნებისმიერ სფეროში გადაუარეს, მსახიობი იყო თუ მხატვარი, მუსიკოსი თუ მწერალი, ყველა მაგრად დააჯანჯლარეს, რომ სხვებსაც დაენახათ და გაეგოთ: შენც იგივე მოგეგის, თუ ჭკვიანად არ იქნები. მისი ნამუშევრები ყველგან მოსპეს... სიღნაღში შინმოუსვლელის ობელისკი ჩააბეს ექსკავატორზე, უნდა მოეგლიჯათ და გადაეყარათ. იქ რომ არ ყოფილიყო ჩემი ბიძაშვილი, სრულად დაიკარგებოდა, კიდევ კარგი, დაშლილი ობელისკი დატვირთეს მანქანაზე და ჩამოიტანეს თბილისში... ასე მოისპო ბევრი მისი ნამუშევარი, ზოგი ადრე, ზოგიც გვიან — რამდენიმე წლის წინათ... არადა, ძალიან დიდი ნიჭის ხელოვანი იყო...

— მაგის შემხედვარებმა როგორღა გაბედეს, რომ მხატვრობისკენ გზა არ გადაგიღობეს და გაგიმეტეს მუდმივი ტკივილისთვის?

— ვიოლინოზეც ხომ დავდიოდი... რომ მიყურებდნენ, იმდენად არ გამომდიოდა, შეშინდნენ, რაღაც ხომ უნდა გამოვიდესო, მოდი ისევე დახატოსო... მამას უთხრეს, კარგი დაზგური ფერმწერი გამოვყო... ეშველათ, ამოისუნთქეს...

ფერმწერობა კარგიაო, მაგრამ ეს „დაზგური“ კი არ მოეწონათ. დაზგასთან უნდა იმუშაოსო?!

ნიკოლაძის ოთხწლელი დავამთავრე... თემო მაჭავარიანთან დავდივოდი. ნუგზარ მექმარიასშვილი, თაზო ხუციშვილი მასწავლიდნენ

აკადემიაში თეატრის მხატვრობაზე მოვხვდი...

— სირთულეები ხომ არ შეგხვდათ იმის გამო, რომ ისე არ ხატავდით, როგორც იდეოლოგია მოითხოვდა?

— არ შემხვედრია სირთულეები... თითქოს ჩემს დროს უკვე განელვებული იყო ეგ ქარიშხალი... ის კი მახსოვს, ერთი სტუდენტი იყო, მალიშას ვეძახდით, ქარხანა დახატა... ძალიან მომეწონა. არ დააცვივინეს დიპლომი. ეგ საბჭოთა ქარხანას არ გავსო...

— თქვენი გამოფენები უცხოეთშიც მოეწყო, დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ხომ არ გაგკენწლათ გულში, დავრჩები აქ და თავს ვუშველიო...

— უცხოეთში გამოფენების მოწყობას არც ვაპირებდი, არც მინდოდა, არც წასვლა მდომებია ოდესმე. მაგრამ მაინც მოვხვდი ჯერ გერმანიაში, სადაც ჩაიშალა ჩემი გამოფენა, მერე ჩემი დის მეგობრებმა იტალიაში გალერეა მოძებნეს და მონაცხვეს გამოფენა ორჯერ ბოლონიაში. გამოფენები მქონდა ნანდში, პარიზში... იქაც მეგობრებმა ითავეს ორგანიზება.

უცხოეთში მიდიხარ, რადგან მათგან მათგან მათგან მათგან გაიძლულებს. ეკლებზე ვიჯექი. არ მიყვარს ეს მოგზაურობა... ფოტოებთან უფრო ვიტურისტებ, ვიდრე იქ, ადგილზე. ისე, რომ მიჩვევი, რაღაც ადგილები მოგენატრება. რა მენატრება? აკი გითხარი, სოხუმი-მეთქი, თანაც ზამთარში...

P.S.

სახელოსნოდან რომ მოვდიოდით, ისევე წვიმდა, არც ნაბიჯი აუჩქარებია და არც რუებზე ხტომა დაუნყია სხვასავით, ნელა მიდიოდა მანქანისკენ. აი, ხომ გითხარი, ამ საქმისთვის არ გამოვდგები-მეთქიო, — წვიმის ხმაში გავიგონე ჩემი ინტერვიუერის სიტყვები, აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს, რომ სხვებივით სალალბოდ ვერ ილაპარაკა... მე მისგან განსხვავებით კოკისპირულ წვიმას გაეუბრბოდი და პასუხისთვის ვერ შეეჩერდი, ისე კი მინდოდა მეთქვა, რომ „გამოდგომა“ დიდი უცნაური რამეა და ხშირად ინტერვიუსთვისაც კი კაცის სიჩუმე უფრო გამოდგება, ვიდრე ბევრი და ენაწყლიანი ლაპარაკი. ეგეც არ იყოს, მისი „სარკმლები“ (როგორც ჩემთვის მის სურათებს დავარქვი) ჩუმად არიან, მაგრამ ამდენი ვინმესგან იშვიათად თუ მომისმენია, მათგან რომ მესმის.

დუნა ლალი, ერაყელი მწერალი. დაიბადა 1963 წელს, ბასრაში. 1992 წლიდან ცხოვრობს დანიაში. გამოქვეყნებული აქვს ორი რომანი და მოთხრობების სამი კრებული. არაბულად თარგმნილი აქვს ანდერსენის ზღაპრები. მუშაობს კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკაში, აღმოსავლეთისა და ებრაისტიკის დეპარტამენტში. წერს სტატიებს ლიტერატურის, კულტურისა და პოლიტიკის შესახებ დანიური და არაბული ჟურნალ-გაზეთებისთვის. „ფსიქიატრი“ ერაყის ომგამოვლილი ერთი ლტოლვილი ქალის სულიერი სამყაროს შესახებ მოგვითხრობს.

დუნა ლალი

ფსიქიატრი

ჩემი ახალი თანამდებობა კოპენჰაგენის ლტოლვილთა ასოციაციასთან ურთიერთობის საშუალებას მაძლევდა. ლტოლვილთა მდგომარეობის შესასწავლად და კლასიფიკაციისათვის სამმა მუნიციპალიტეტმა დამიქირავა. პაციენტთა ფსიქიკის ანალიზი და წერილობითი ანგარიშის წარდგენა მევალებოდა, რომელსაც მუნიციპალიტეტი სხვადასხვა მიზნით გამოიყენებდა. ლტოლვილთა უმრავლესობას დახმარება და მკურნალობა სჭირდებოდა, მაშინაც კი, როცა ეს გაცნობიერებული არ ჰქონდათ. პაციენტს ჩემთან სიარული თუ უჭირდა ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობის გამო, თვითონ მივდიოდი მათთან. გასაუბრების შემდეგ ხშირად მიხდებოდა მათი გადანიღობა კოპენჰაგენის სხვადასხვა ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც კომპლექსური მკურნალობა ტარდება, — მედიკამენტურ მკურნალობას ფსიქოთერაპიის სეანსები და მასაჟი ერთვის. თუმცა დროდადრო ჩემი რეკომენდაციები ბიუჯეტსა და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს არ ემთხვევა.

ახალმა სამსახურმა ფსიქოანალიზში ცოდნის გაღრმავება გამიადვილა. ასეთი შანსი ხშირად არ ეძლევა ადამიანს, ნამდვილად გამიმართლა. დანიაში ბევრს არ გააჩნია ლტოლვილებთან მუშაობის გამოცდილება, ამიტომ, ვფიქრობდი, რომ ამ მიმართულებით მუშაობა და სწავლა ნათელ მომავალს მიქადდა. მარვა აღ-ბასრამ იმ მოტივით, რომ სამუშაოს მაძიებელთა ტრენინგ-პროგრამამ დალადა, სოციალური მომსახურების სააგენტოსგან ხანგრძლივი ბიულეტენი მოითხოვა ჩვენ ერთმანეთს მის ოთახში შევხვდით.

მარვამ თხრობა ბასრადან დაიწყო, სადაც დაიბადა. ჩემი მწირი ინფორმაციის თანახმად, ეს ერთ-ერთი დიდი და ძველი ქალაქია ერაყის სამხრეთში, ქუვეითთან ახლოს.

სანოლზე იჯდა. ზურგით კედელს ეყრდნობოდა. ხელში ჩაის ფინჯანი ეჭირა. სახით პატარა ფანჯრისკენ მიბრუნებულმა და წარბებანუღმა თხრობა დაიწყო:

— ხუთშაბათი დადგა, რომელსაც დიდხანს ველოდი. წვეულებისთვის ბირიანის! უხალისოდ ვამზადებდი. ნაჰლასთვის მალალ-კალორიული საჭმელი არ უნდა მიმეტანა. ბავშვი ვიყავი და მჯეროდა მათი ნათქვამისა, რომ თევზის ან ხორცის ნაჭერი ნაჰლას მოკლავდა. მითხრეს, რომ ახალი ამბავი მშიერ კუჭზე უნდა მოესმინა. შეცბუნებული ვიყავი. როგორ უნდა გამეგო მათი ნათქვამი? რა მეჭმია ნაჰლასთვის? რას იფიქრებდა, როცა არც ხორცის ნაჭერი იქნებოდა თეფშზე და არც თევზის, განსაკუთრებით ასეთ სადღესასწაულო დღეს? როგორ გამოვაპარებდი ჩვენს საზეიმო ჩაცმულობას? ღამე სად უნდა გაეტარებინა? ვუყურებდი ნაჰლას და იმედი მქონდა, მე არ ამირჩევდნენ მისთვის ახალი ამბის სათქმელად. თავზე თავსაფარი ეხურა. ყვითელი კულულები თმის სამაგრს გამოქცევდა, ზოგი ხუჭუჭა, ზოგი — სწორი, იმის მიხედვით, თმას ტენიანობა რამდენად შენარჩუნებოდა. ლაქს თმისთვის ბზინვარება დაეკარგა. ნაჰლას ოქროსფერი თმა და სუსტი აღნაგობა მისი სავიზიტო ბარათი იყო. ჭიქა კანკალით დავუდგი. ბავშვობაშიც ასევე ვკანკალებდით, როცა მამაჩემისთვის წყალი მიგვქონდა. გვემინოდა, წყალი რომ დაგვეღვარა, გაბრაზდებოდა. ნაჰლას იატაკზე გაეჭიმა ფეხები, რამაც ჩემი უფროსი ნახევარდის, ნარჯისის ფეხები მომაგონა. ყურადღებით დავაკვირდი. ყველა-

ფერი ავინყდებოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები დამეუფლა და არ ვიცოდი, რომელი იყო სიტუაციის შესაფერისი. ბავშვობაში ნაჰლას კომიკური შესტები გვატყებდა და კლასში აურზაური შემოჰქონდა. იატაკზე დაჯდებოდა უვიცი, ცუდად აღზრდილი ხანშიშესული ქალივით, ნარჯისივით. ჩაისუნთქავდა, ამოისუნთქავდა და სიმღერას იწყებდა. პარასკეობით, შუადღის პროგრამაში ბრწყინვალედ ასრულებდა ბოშების ცეკვას. არავინ იყო შიდა ეზოში ჩემს და ნაჰლას გარდა. ახალი ამბის გამო ყველა გაუჩინარებულიყო. მზე დასავლეთისკენ გადადიოდა. გარეთ არავინ იხედებოდა. ეზოში არავინ ჩანდა.



დიქტოფონმა მუშაობა შეწყვიტა, — ნითელი შუქი აინთო. მარვამ შემომხედა, დარჩენილი ჩაი დალია და ადგა. ოთახში ორი სკამი ედგა, მაგრამ არცერთი არ იყო კომფორტული, ნახევარ საათზე მეტხანს ვერ გაძლებდი. მიუხედავად ამისა, სეანსების ჩასატარებლად მასთან სიარულს დავთანხმდი. ვფიქრობდი, ჯერ ნდობა მომეპოვებინა და შემდეგ კლინიკაში გადამეყვანა. ოთახში დახუთული ჰაერი იყო. სინესტე, მარვას ზეთის საღებავისა და სიგარეტის სუნი ერთმანეთში არეულიყო. მას არ უნდოდა ოთახის ერთადერთი ფანჯრის გაღება, რომელიც ქუჩას გადაჰყურებდა. გაციებისა ეშინოდა. სექტემბერი ზაფხულის მინურულად და ზამთრის დასაწყისად მიაჩნდა, რამაც ჩემი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ მასთან ამ თემის გავრცობისგან თავი შევიკავე. ბევრი საკითხი იყო, რის განხილვაზეც უარს ამბობდა. დროდადრო ისეთივე სასონარკვეთილი გამომეტყველებით მიყურებდა, როგორც ჩემი ქალიშვილი, როცა ჰგონია, რომ მისი არ მესმის. თუმცა მესმის თუ არა მისი, ხშირად მაინც დუმისლს ამჯობინებს.

სეანსების გაგრძელება ძალიან მინდოდა. ეს ჩემს კვლევას მასალათ ამდიდრებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლტოლვილებთან მუშაობა დავიწყე. ისინი ძირითადად ნამების მსხვერპლნი იყვნენ, ისეთი ავტორიტარული ქვეყნებიდან, სადაც ოჯახიც კი ავტორიტარულია და დემოკრატია და უსაფრთხოების განცდა არ არსებობს. ყველაფერი, რაც ადრე გამეგონა, ახლა აღვიქვი. ერთგვარმა შიშმაც კი შემიპყრო, — ისეთ სამყაროს შევეჯახე, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა. განცვიფრებულ ვიყავი. სიმპტომები, რასაც ვინერდი, ჩვეულებრივი იყო, — ადამიანის ბუნება ერთია და ქცევები, მოტივები, რეაქციები, ზოგადად, ერთმანეთის მსგავსი, მაგრამ მარვა ისე დაწვრილებით აღწერდა ჩემთვის უცხო გარემოს, საკუთარ თავს გამოვუტყდი, ბევრი რამ არ მცოდნია-მეთქი. ჩემი დიაგნოზი რომ უტყუარი ყოფილიყო, ეს ყველაფერი უნდა გამეთვალისწინებინა.

ვცადე, მარვა არ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა ჩემს თავში და ეჭვი არ გასჩენოდა, რომ არ ვიქნებოდი დღევანდელი სეანსის დასრულების წინააღმდეგი. ჩაის სმასა და ქალაქების ფურცვლას განვაგრძობდი.

მარვამ ისე გაიცინა, სახე შეეცვალა. შემდეგ შემომხედა, რამაც კიდევ უფრო შემაცბუნა.

— რამე შემეშალა? — ვკითხე მე.

— არა. იმიტომ ვიცინი, რომ დამალა ჩემი ნახევარდის, ნარჯისის მოგონებამ. იგი თითქმის დედაჩემის ტოლი იყო,

რასაც ყოველთვის უარყოფდა, ვიდრე ცოცხლობდა. დედაჩემს „ალ-ჰაჯიას“ ან „მამას ცოლს“ ეძახდა იმის ხაზგასასმელად, რომ დედაჩემზე ახალგაზრდა იყო.

— თქვენ? თქვენ რა აზრისა იყავით მასზე?

როცა მპასუხოვდა, ტუჩის კუთხეში ღიმილმა გადაურბინა:

— შიდა ეზოში იჯდა-ხოლმე შუადღემდე, ახალ პერანგს ღილებს აკერებდა და ეგვიპტელი მომღერლის, ნაჯათ ას-სალირას სიმღერას, „სიყვარულის ემისარს“ მღეროდა. ნაჯათი ამ სიმღერით გახდა პოპულარული. ნარჯისის ვიბრატოს სამხრეთული ინტერპრეტაცია სიმღერას რეგიონულ, სამხრეთულ იერს ანიჭებდა, უცნობი ადამიანის მიმართ გამოხატულ იდუმალ ვნებაში თავის უფლებობას ამჟღავნებდა. ნარჯისის სამხრეთული აქცენტი სრულიად ცვლიდა ნაჯათის მეოცნებე სიმღერას. მახსოვს, როგორ მიყურებდა ნარჯისი სიმღერისას, — ეს მზერა მთელს მის ტანჯულ ცხოვრებას ასახავდა.

— თქვენ მაშინ პატარა იყავით?

— გოლიათ, პატარა ბავშვი გაიზარდა? ვგრძნობ, რომ ბავშვი მარვა ჯერ ისევ ცოცხლობს ჩემში. თქვენი აზრით, რამდენი წლისა ვარ?

გაიცინა და სახე მიაბრუნა. შემდეგ სწრაფად განაგრძო:

— ვეცდები, მარტივად გითხრათ, — ის ბავშვი, რომელიც ჩემშია, ეს ხანი სულ თანაურგრძობს ნარჯისს, ნუხს მის გამო, თუმც მასთან ურთიერთობის დროს მოუთმენლობას ვიჩენდი და მიუხედავად იმისა, რომ მუდმივ დაპირისპირებებში ვცხოვრობდი, გამოცხადებულ თუ გამოუცხადებელ ომში. ახალგაზრდობაში ცხოვრება მხოლოდ დაპირისპირებათა კასკადია.

შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მარვა მასხარად მიგდებდა, როცა ნამოდგა და ხიფათანის გახდა დაიწყო. შევამჩნიე, დიდი თვალეები ქუჭლით დაეხატა, რასაც სიზუსტე და გამოცდილი ხელი სჭირდება. როგორც ყოველთვის, ჩემთან თვალთ დიდხანს კონტაქტს ერიდებოდა. პატარა სახე ჰქონდა, დახვეწილი, მკვეთრი ნაკვთებით. ბამბაზიის საშინაო ხალათში დაბალი ჩანდა. მრგვალ შიშველ მხრებზე მხოლოდ თასმები გადაეჭრა. განიერი თეძოები ჰქონდა, რაც არაპროპორციულ იერს აძლევდა გამხდარი ზედა ნაწილის გამო. მარვამ შემრიგებლური ჟესტი გააკეთა, როცა ტუნიკაზე მიმოითათა, ყოველ შემთხვევაში, ასე აღვიქვი, — როცა თავისი ჩაცმულობა ჩემსას შეადარა. ვცადე დამერწმუნებინა, რომ უფლება ჰქონდა, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა, მაგრამ შემანყვეტიანა, რათა თავისი სქელი თმისთვის მიეხედა, და შირმის უკან, სამზარეულოში გაუჩინარდა.

მარვა აღ-ბასრისა და მისი უფროსი ნახევარდის, ნარჯისის შესახებ ნაჩქარევ დაკვირვებებს გიზიარებთ. მისი დოკუმენტები გადავათვალე. სწრაფად გადავიკითხე მიმოხილვა, რომელიც წინ მედო. მორიგ სეანსს ვატარებ მის ოთახში. ფაილში მოცემულ საკითხებს ჯერ არ შეხებიან. არ უხსენებია ოჯახის წევრები, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს. არ უხსენებია, რა გადაიტანეს მან და მისმა და-ძმებმა უშიშროების სამსახურის ხელში. იმ პერიოდის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს.

ვგრძნობდი, რალაც სიმძიმისგან გათავისუფლება სჭირდებოდა. იძულებული ვავხდი, მასთან მუშაობის სტრატეგია შემეცვალა. თავი დავანებე წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებას და გადავწყვიტე, თავისუფლად მემსჯელა მასთან. იმედი მქონდა, ამ ხერხით უკეთეს შედეგს მივალწვედი.

მარვამ ჩაი მოამზადა და სინი მთრთოლვარე ხელებით მოიტანა.

— აღმინერო ნაჰლას?

— ნაჰლას?

— დიახ, ნაჰლაზე არაფერი გითქვამთ.

— კარგი, მოგიყვებით, ჩემო მეგობარო. ნაჰლა გარემოს ნამდვილი პირმშო იყო, — ფუქსავატი, ჰუდაირის სიმღერები-სა და სამეზობლოს ჭორების დიდი მცოდნე, თავისი „თანა-

მედროვე“ ლექსიკით ცნობილი, შესაშური კანით, ნათელი თვალებით, თავისუფლად დაყრილი ქერა თმითა და ფრანგული სუნამოთი... იმჟამად მარტო ვიყავით. ვცადე გამეხსენებინა ყველა ის რჩევა, რასაც ქალები ერთმანეთს აძლევენ. შიშმა შემიპყრო, რადგან მივხვდი, სრულიად უვიცი ვიყავი. მე გახლდი პასუხისმგებელი, ტრავმას როგორ გაუმკლავდებოდა. სიტუაციისთვის მომზადება ჩემი მოვალეობა იყო. ჩემზე ბევრად ახალგაზრდები უფრო ოსტატურად უმკლავდებიან გაცილებით რთულ საკითხებს. ქალური ამბები ადვილად არ გამომდიოდა. შეიძლებოდა გამეცინებოდა. რა სიგიჟეა, ასეთი მიშის გრძნობით რომ ვიყავი შეპყრობილი? სანყალი, ტანჯული ახალგაზრდა ქალი, იქიდან მოყოლებული, რაც კარი გავიხურე, ჩემგან ახალ ამბავს ელოდა. წინ და უკან დავდიოდი — სამზარეულოსა და ჩემს ოთახს შორის — და ვცდილობდი ნაჰლასთვის თავი ამერიდებინა. მასთან დაბრუნებამდე ერთ-ორჯერ ოთახშიც ვავისიერნე. ჩემი მოუხეშაობა მაშინ გამოჩნდა, როცა ამ რთულ სიტუაციაში მასთან მივედი და მხოლოდ ის ვურჩიე, დასასვენებლად წამოწოლილიყო, ან ჭიქაში დარჩენილი წყალი დაეღია, ვიდრე ახალ ამბავს ვავიგებდით.

დადასტურდა. თქვეს, რომ ვილაც დაუკავშირდათ და სტუმრებში გავრცელებული ცუდი ამბავი დადასტურდა. მაშინ ჩემი გრძნობების აღწერა რომ მეცადა, პირველ რიგში ნარჯისის დიდ მწუხარებას ვავიგებდი, რომელსაც თავისი რთული ცხოვრების გამო გამუდმებული მოთქმის გარდა არაფერი შეეძლო.

მარვა შეჩერდა და თავი დახარა:

— ყველაფერი სულერთი იყო. ნარჯისს არც უფიქრია ბედისწერას გაქცეოდა, აჯანყებულიყო ან ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობაზე ეთქვა უარი იმის სასარგებლოდ, რასაც მისი სხეული აირჩევდა. ნარჯისი... ღამის კომპარები, კონვულსიები, ნერვული შეტევები, რომლისგანაც სედატიური ინექციებითა და აბებით გამოდიოდა. ის კიდევ ერთი ნაჰლა იყო, მაგრამ ნაჰლა აჯანყდა, წინააღმდეგობა გაწია, დაიმუქრა. მან გულისსწორი აირჩია, რომელიც არავინ მიიღო.

— ჯერ ბავშვია, — ამბობდა დედა.

— განათლება ხომ უნდა მიიღოს? — იყვირა სიძემ.

— შიიტი, უცხოელი, კომუნისტი, — გააპროტესტა ბიძამ.

— ჩემ ნაცვლად ვერავინ ვერაფერს გადაწყვეტს! — იყვირა ნაჰლამ.

მარვამ უცებ თავი ნახატისკენ გაიქნია და თქვა, რომ ის „ათას ერთი ღამით“ იყო შთაგონებული. სათაურად „მეოთხე ღამის ფერები“ შეურჩია. ნახატი მონუმენტის ესკიზია, რომელიც ოდესმე იქ დაიკავებს ადგილს, სადაც ადრე ლიდერთა ქანდაკებები იდგა.

მარვა ადგა, სურათი იატაკიდან ნაზად აიღო და სკამზე დადო.

თევზები აუზში ვერტიკალურად დაუხატავს, დაგრეხილები, თავდაყირა მდგომნი, გალიმებულნი. აუზის წყალი სანახევროდ ფარავს მათ სხეულს. კუდები აწეული აქვთ, დაწეული. ჭრელი, ნათელი ფერის თევზებია. მშვიდობიანი თანაარსებობის სიმბოლონი არიან, რაც დედამინის ამ რეგიონში პრაქტიკულად აღარ არსებობს.

მარვამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ნახატისთვის რომ შეეხებოდა, და განაგრძო:

— მარტო ვიყავი. ვინმეს ველოდებოდი, ვინც გადამარჩენდა ან მის დამშვიდებაში დამეხმარებოდა. წინ ფრჩხილის ვერცხლისფერი ლაქი დავუდე და ჩემს ფრჩხილებს დავხედე. ნაჰლას მოეწონა იდეა, ფრჩხილები გაგვეკეთებინა, მაგრამ ქლიბვის ხმას ვერ გაუძლო...

ფანჯარა გავალე, სიგარეტის კვამლმა შემანუხა.

...— ჩემი სახლი ის არის, სადაც მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი ძმა და რძალი ცხოვრობენ. ვფიქრობ ყოველდღიური დიშდაშა უნდა გამომეცვალა და უკეთესი ჩამეცვა, უკან გადაწეული ნაწნავები შემესწორებინა, ვიდრე ვინმე მოვიდოდა. მუცლის მწვავე სპაზმი დამემართა, ამიტომ დიდხანს ვიყავი აბაზანაში.

მიუხედავად ამისა, ნაჰლას სადღესასწაულოდ გაკეთებული ბირიანი შევთავაზებ. წესია. არა, ნაჰლა არ მოკვდება! არ მასვენებდა ფიქრი, რომ ახალი ამბის გადასატანად ენერგია დასჭირდებოდა. სხვა ვერაფრის მომზადება ვერ შევძელი, რადგან ქალების ლოდინმა შემაფერხა. ალბათ ვერ წარმოიდგენთ, ბირიანის სუნელი, რომელშიც კარის სურნელი მძლავრობს, ფრჩხილებში შედის და ყვითელ კვალს ტოვებს, რომელიც არ ირეცხება. ეს სუნი სუნთქვას მიკრავს, როცა უნდა შევიცნოსო.

მარვა სახეს მალავს და მწარედ ტირის. ქალაქებს ვაგროვებ. ამ რეაქციის გამო შევბას ვგრძნობ. მარვა არ მიყურებს. სანოლზე ცხვირსახოცს ეძებს. ვცდილობ სიტუაცია გამოვიყენო და დიალოგისთვის საბაზი ვიპოვო.

— თქვენი რეაქცია ბუნებრივია.

— ვერც შეშინება მოვასწარი და ვერც საკუთარ ნაჭურჭში ჩაკეტვა. თვალეზღაბრილს ენა შემბოდა. ისეთი დაბნეული ვიყავი, შეიძლება შემშლოდა ის ფრაზები, რასაც ასეთ შემთხვევებში ამბობენ. არ ვიცოდი, რა მეთქვა. არ გამომდის ასეთი საქმეები. ვწვევლიდი ამ ამბავში ჩემს ჩართულობას. მე მის შიმშილსაც ვგრძნობდი. სკოლის კაფეტერიის რიგში იდგა თუ სტუმრად ნასასვლელად ემზადებოდა, ნაჰლა ყოველთვის მოუთმენლობას იჩენდა. კლასელებს თავის სურვილებს თავს გვახვევდა და ჩვენც მორჩილად ვუსრულებდით. თვითონ კი მუდამ ითავისუფლებდა თავს ჯგუფური ვალდებულებებისგან. ასე რომ, მოდიოდა და მიდიოდა, როცა სურდა. ნაჰლასთან შედარებით თავს ყოველთვის ჩამორჩენილად ვგრძნობდი.

— თქვენ და ნაჰლას ოდესმე გისაუბრიათ ამაზე?

— როცა ნაჰლას რიდას შესახებ ვკითხე, მითხრა, ამჯერად ყველაფერი სხვაგვარადაა. რიდას მგზნებარედ უყვარდა ის. ჩემთვის მოულოდნელი იყო. მღელვარება იმით გამოვხატე, რომ ფრთხილად ყოფნა ვთხოვე და ადამიანის ცხოვრებაში ის საშიში ეტაპი გავახსენე, რომელიც ოცი წლის ასაკში დგება. ჩვენ ერთმანეთისთვის რჩევებს არასოდეს ვიშურებდით. საკუთარ თავზე ზრდასრული ადამიანის როლს ვირგებდით. ჩემი საქციელი სპეკულაციასაც ჰგავდა, ოღონდ იმ შეზღუდული წარმოდგენების საფუძველზე, რაც მქონდა — ხანდახან სურვილი შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც გადანყვეტილების მისაღებად და მის დასაცავად გვჭირდება. ჩემს გულუბრყვილობას ამ სიტუაციაში არაფერი შეუტყვია. ჩემი ვარაუდით, საქორწინო შეთანხმების საფუძველი ან სიყვარული უნდა ყოფილიყო, ან მატერიალური მდგომარეობა. არ ვიცი, რა სურვილები ამოძრავებდა ნაჰლას სახიფათო თავგადასავალში ჩასაბმელად. ერთხელ ისიც კი მითხრა, გაუბედავი ხარო. მართალი იყო, გამუდმებით უკან ვიხევდი. ბავშვობიდან ასე ვიყავი და ამის გამო ვიჩაგრებოდი კიდევ. მიუხედავად ემოციური აღმავრუნებისა და ცრემლებისა, დავასკვნე, რომ გადანყვეტილება გვირილის ფურცლის პრინციპით მიიღეს. ახალგაზრდული სიყვარული განსხვავდება მონიფული ადამიანის სიყვარულისგან? თუ ქალს ორივე ერთად ეწვია? ამ ორი ინფორმაციის ერთად მოთავსება ვერ ისევ მიჭირს. ამიტომ ერთგვარი დაბნეულობა არა მშორდება ქრონიკულ სნეულებასავით. მიჩნდება შეგონება რომ სხვადასხვა ადგილას გავიზარდე და აღვიზარდე.



النفساني الطيب

მხატვარი ნუგზარ მექმარიაშვილი

დიქტოფონზე წითელი სინათლე აინთო, მაგრამ არ მინდა მარვას შევანყვეტინო, როცა ასეთი ალელვებუღია. არაფერში ვარ დარწმუნებული, რადგან მისი ხმის ტემბრი, სხეულის ენა და სახის გამომეტყველება ხშირად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ამბობს. ნაჰლასთან დაკავშირებული საკითხი ერთადერთია, რის გამოკითხვის უფლებასაც მაძლევს. არცერთ სხვა საკითხს არ შეხებია, რაც მის დოსიემი წერია. ნათლად მახსოვს სოციალური მუშაკის სასონარკვეთილი გამომეტყველება, როცა მის საბუთებს მაძლევდა.

დიდხანს ვაკვირდებოდი მის გამომეტყველებას, რომ რეაქცია შემეფასებინა. ხმაში ყალბი ინტონაციები შევნიშნე, როცა იღუმალის ღიმლით ამბობდა:

— ნაჰლამ მთხოვა მისი ქორწილის მთელ მოსამზადებელ პროცესს დავსწარებოდი. ამგვარად, მისი გართობის უფლება მეძლეოდა. საქორწინო სამზადისში ყველა მონაწილეობდა. მთელი სახლი ამით იყო მოცული. თავსაბურავი გავახამე. კაბა სანოლზე გავშალე. შლეიფი შიშით გავასწორე და ფრთხილად დავამაგრე ქინძისთავი. მარგალიტები მოვავაროვე, ჯერ დიდი მარცვლები, შემდეგ პატარები. თმის სარჭები შევკრიბე. თმის საშრობი ავიღე. დამაგრძელბელი მოვძებნე. ვარცხნილობის გაკეთების, ნარბების კორექციის, ფეხსაცმლისა და სატინის საფულის მომზადების პატივი მე მერგო. უცებ მისი უკმაყოფილო ხმა გავიგონე: „მარვა, ღვთის გულისთვის, სად დადე ყურანი და სარკე?“ მესმის, ქორწილის წინა ხუთშაბათია, საკრალური ხუთშაბათი, რიდას ხუთშაბათი. კონდიციონერს ვრთავ იმედით, რომ ოთახი გავრილდება. ტენიანობა მატულობს, ნაჰლას ვარცხნილობა უფუჭდება, ნივთები ირევა. იმ შუადღეს, როცა ასეთი შეშინებული ვიყავი, წყალმა და კონდიციონერმაც კი მიღალატა: წყალი მოულოდნელად შეწყდა, კონდიციონერმა —

უსიამოვნო სუნი დაატრიალა ჰაერში.

— რისი გემინოდათ?

— უნდა შემოქმედა, მაგრამ არ ვიცოდი, როდის უნდა შემეთავაზებინა ბალახული ჩაი, მოხალული თხილეული თუ ჩირები. ვიფიქრე, ნაჰლასთვის ცივი მანვნის სასმელი გამეკეთებინა, რომ შოკის დაძლევაში დახმარებოდა. ბავშვობაში ერთხელ, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, შეცდომით მითხრეს, თითქოს ჩვენს სახლში ხანძარი გაჩნდა. ნარჯისმა სამზარეულოში დამსვა და პირი ცივი წყლით დამბანა. „სახე აღარ გადევს“, — მითხრა მან. შემდეგ სწრაფად მომიზადა ჩაი. შევჩვილე, უცნაური გემო აქვს-მეთქი. შეშინებული ხარ და იმიტომო, მიპასუხა. ნარჯისის დამსახურება იყო თუ უცნაური გემოს ჩაისა, გულიდან შიში რომ გამიქრა? იქიდან მოყოლებული ის შეშინებული ბავშვი ჩემში ცხოვრობს. ბრაზისგან გავოფლიანდი და თავი კედელს ვურტყი, როცა ნაჰლა არ მიყურებდა.

მარვა გაჩუმდა. ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა სხეული, როცა ლაპარაკობდა. თავი არ ამინევია, საქალაქში ვიხედებოდი, რომ მარვას ხელი არ შემლოდა მონოლოგის გაგრძელებაში.

— რატომ დამაკისრეს ეს პასუხისმგებლობა? საშინელი წინათგრძნობა მქონდა. მეგონა, ნაჰლა თმებს დაიგლეჯდა და საქორწინო კაბას დახვედა. თავის დამშვიდება ვცადე, უბრალოდ, ჩემი და სტუმრების შინაგან შფოთვაზე ვრეაგირებ, ამიტომ მგონია, რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდება-მეთქი. თქვენთვის

ძნელი წარმოსადგენია, — ქალის კვილის, თუნდაც შორიდან ის-
 მოდეს, ყველას ეშინია. თითქოს გაფრთხილებაა, რომ ისინიც და-
 კარგავენ საყვარელ ადამიანს ან ნათესავს. რა მდგომარეობაში
 ჩაადგო წარწეის მამის სიკვდილმა ან დედაჩემის მოთქმამ, როცა
 მან სულდარაში გახვეული ჩემი ძმა დაინახა! ნეტა რა გავლენა მო-
 ახდინა ჩემზე ბავშვობისდროინდელმა შთაბეჭდილებებმა? უცებ
 ტელეფონმა დარეკა. ყურმილს ვწვდი, ვიდრე პანიკას გამოიწვევ-
 და. რატომ არ ვიცავდი საკუთარ თავს ტრადიციების გაპროტეს-
 ტებით? საიდან უნდა მოსულიყო დამამშვიდებელი სიტყვები? რა
 უნდა მეტყვა? რა ფრაზები შემერჩია? საქორწინო მსვლელობაში
 მონაწილეობის ნაცვლად ვიჯექი და ვლოცულობდი, რომ ქალები
 მოსულიყვნენ და ეშველათ. თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებული
 ვიქნებოდი, გადაამეკიცნა ისინი ერთიმეორის მიყოლებით, ორ-
 ჯერ, — ჯერ ერთ ლოყაზე, შემდეგ — მეორეზე, მარჯვნივ და
 მარცხნივ. შავი ღრუბელივით მიახლოვდებოდა პერსპექტივა —
 გაცვეთილი ფრაზები, რომლებზეც მე უფრო ხატოვანი ფრაზე-
 ბით უნდა მეპასუხა, ნესტიანი, დაჟინებული კოცნები, რომლებიც
 ენერგიულად შესრულდებოდა, რომ არაფერი ვთქვათ ოფლსა და
 მძიმე სუნთქვაზე, ლოყას რომ ამიწვავდა. ამ დროს ნაპლა თავისი
 ნაზი ბარძაყებისა და ფეხების სიმშრალით გალიზიანებული იჯდა
 და დამატყინებელი კრემი მთხოვა. იმ დილით თერაპიული კრე-
 მი აჩუქეს, რომლის გამოყენებაც ურჩია ჩემი ძმის ცოლმა პირ-
 ველ ლამეს. ნაპლა და მე დარწმუნებულები ვიყავით, ეს არ იქნე-
 ბოდა მისი პირველი ღამე. როცა მან უცებ შემომხედა, თვალი ავა-
 რიდე შიშით, რომ საიდუმლოს გავთქვამდი. კანს დაჟინებით იპო-
 ხავდა, ქედმაღლურად, მაგრამ წინასწარი განზრახვის გარეშე
 ააშკარავებდა თავის სიმიდრეს. მისი გრძელი კისერი, პატარა,
 თოვლივით თეთრი მკერდი და დიდი, მუქი, მრგვალი ძუძუსთავე-
 ბი შემთხვევით გამოჩნდა ტუნისის ღრმა ჭრილიდან, რომელიც
 საგანგებოდ შეარჩია იმისთვის, რომ ვარცხნილობისა და მაკია-
 ჟის დაუზიანებლად გაეხადა. ვაკვირდებოდი მას და ჩემს
 თრთოლვას ვმალავდი. ნაპლას შიშშილი არ ახსოვდა. არც იმას
 ცდილობდა, რამე ეკითხა. რატომ ვიყავით იმ დღეს ერთად? ძვე-
 ლი მეგობრობის გამო? იმიტომ, რომ მე შავგვრემანი ვიყავი და
 თვითონ — ქერა? იმიტომ, რომ მე გამხდარი ვიყავი და თვითონ
 — მსუქანი? იმიტომ, რომ მე ის მჭირდებოდა? ვინ ეხმარებოდა
 წვეულების მოწყობაში? შეიძლება მან მართლა მომაჯადოვა,
 როგორც წარწეის ამბობდა. მიუხედავად დიდი პასუხისმგებლო-
 ბისა, გაქცევის იდეა მაცდუნებდა.

ჩემი სევანები მარვასთან გრძელდება, თუმცა სხვადასხვა
 ხანგრძლივობისაა, სხვადასხვა სიღრმე და შინაარსი აქვს. ვერაფ-
 რით მივეჩვიე მის სიგარეტის სუნით დამძიმებულ ოთახს. ყოველ
 ჯერზე, როცა მასთან საუბარს ვინწყებ, მავიწყდება გეგმა, რომე-
 ლიც დიდი მონდომებით შევიძუშავე. იგი დახურულ ფანჯარას-
 თან დგება, ჩემკენ ზურგით. ზურგის ტკივილს უჩივის კისრის მა-
 ლების გამოშრობის გამო. მე უშუალოდ ვცდილობ მოკლე ჩანა-
 წერი გავაკეთო. იგი გამუდმებით წრეზე დადის, კონკრეტული ინ-
 ციდენტის ან ეპოქის შიგნით ჩაკეტული, არ შეუძლია თხრობა და-
 ასრულოს. ჩივის, რომ იტანჯება ძლიერი თავისტკივილით, და
 მოულოდნელად ჩერდება. მე განვაგრძობ დიქტოფონზე ჩანერას
 და ვაგრძელებ კასეტებს მისი მონათხრობით. ვატყობ, მარვა რა-
 ლაცის გამო მიპირისპირდება, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდები.
 — ოდესმე ფიქრობთ მომავალზე?
 — ფიქრობ, მაგრამ მატყუარა სამშობლოს რა ვუყო — ჩე-
 მი დაბადების ადგილს, წინაპრების მიწას, ჩემს ფესვებს?
 ხვდები, რომ საჭიროა ამას ვინმემ ანალიზი გაუკეთოს? მინდა
 აღვწერო, დავხატო, გარდავქმნა და მე რე ისე ამოვკვეთო,
 რომ შევძლო იმ სიძულვილისა და ზიზლისგან გაქცევა, რასაც
 სამშობლოს და საკუთარი თავის მიმართ ვგრძნობ.
 — რაზე დარდობთ? შემდეგ რა მოხდა?
 — არ მკითხო. ის ვინრო ქუჩები, სადაც სახლები იყო წამო-
 მართული, და ადამიანები ყოველდღიურ რუტინაში იყვნენ ჩაფ-

ლულნი, მოულოდნელად ჩაიხერგა და წგრევის საშიშროების წი-
 ნაშე დადგა. დაისი მელანქოლიურ იერს ჰყვინდა ოთახს. სინათლე
 ჩაქრა. მოიერიშე თვითმფრინავები სინათლეს ეძებდნენ. ჩვენ არ
 ვიყავით სამიზნე. ჩვენ არავინ გვიყურებდა. ქალები არ მოდიოდ-
 ნენ. ჩვენ ისევე ჩახუტებულები ვისხედით. სანახევროდ მორთული
 ნაპლა ხმას ვერ იღებდა. ძალ-ღონეგამოცლილი დაეჯახა ჩემს
 მხარს. მისი ლოყა და თმის კულულები კისერზე მომედო. ლამფა
 შუქის გარდა სითბოსაც ასხივებდა და გვაგრძობინებდა, რამდე-
 ნად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ვნატრობდი, სხვა ყოფილიყო
 ჩემს ადგილას და ისე მოექანა ნაპლასთვის თმა, რომ აეტირებინა.
 ეჭვი მაქვს, სათანადოდ ვერ გამოვხატავდი მწუხარებას. ყოველ-
 თვის ასე შემართებოდა. ჩუმად ვიყავი. მასწავლეს, რომ სასწარ-
 კვეთილების დროს სუნიტი ქალები თავში ხელს არ იცემენ შიტი
 ქალებით და რომ ელეგანტურობას გლოვის დროსაც კი ინარ-
 ჩუნებენ ქრისტიანებით, რომლებიც დაკრძალვაზე დასასწრე-
 ბად ვარცხნილობას იკეთებენ, ჩურჩულით უსამძიმრებენ ერთმა-
 ნეთს, ისე, რომ გამომეტყველება არ ეცვლებათ, და შემდეგ ყავას
 წრუბავენ უხმოდ. ებრაელი ქალები როგორ ტირიან? უცებ ქალე-
 ბი გამოჩნდნენ, რომლებმაც ჩამანაცვლეს და თავიანთი ფრიალა
 კაბებით ცრემლების წმენდა დაიწყეს. სინათლე, რომელსაც სა-
 ცეკვაო მოედნის ცენტრში დადგმული ლამფა ასხივებდა, ხან
 ძლიერდებოდა, ხან — სუსტდებოდა. საცეკვაო მოედანი შიდა
 ეზოში მოენყით, თითქოს შენარჩუნებული ჰქონდათ მარადიული
 სწრაფვა თეატრალური წარმოდგენის გამართვისკენ. იმ მომენტ-
 ში, როცა სიკვდილი იხმოვს ვინმეს, მოზღვავებული თანაგრძნო-
 ბის გამო სწრაფად გროვდებიან, რათა თავიანთი როლი ოსტატუ-
 რად და მოხერხებულად შეასრულონ. ორი წრე იკვრება, ერთი წინ
 მიდის, მეორე — უკან იხვევს. თმა გაშლილი აქვთ და თავს იქნევენ.
 აბაიები? იატაკს წვდება და თავსაბურავები ფეხქვეშ ითვლება.
 ბიუსტჰალტერის თასმა ვარდება და შავი წინდები დაბლა ცურ-
 დება, რადგან ქალები მთელი ძალით ურტყამენ მიწას ფეხს მწუ-
 ხარების შეტევის დროს. რუსული მატრიოშკებით, გაშლავნე-
 ბული ტკივილი ერთმანეთში ჩაბუდებულ ტკივილთა წყებებისა-
 გან შედგება. ტემპი ჩქარია და უფრო და უფრო ჩქარდება, ვიდრე
 ქალები მომწამვლელ უკიდურეს ვარამს არ გადალახავენ.

მუნიციპალიტეტმა შემატყობინა, მარვა ალ-ბასრი მოუ-
 ლოდნელად გაუჩინარდა. როცა მასთან ბოლოს მივედი, კა-
 რი არავინ გამიღო. მალე საფოსტო ყუთზე მისი სახელი სხვა
 რთულად წასაკითხი სახელით შეცვალეს. მარვას სამოქალაქო
 რეესტრის სამსახურში თავისი ახალი მისამართი არ დაურე-
 გისტრირებია.

მიუხედავად იმისა, რომ სევანები არ დამისრულებია, გასამ-
 რჯელო გადამიხადეს. მე შევინახე მარვას დოკუმენტები, ჩემი
 დაკვირვებები და გაუშიფრავი კასეტები. დიდი ენერგია ჩავდე
 მისი მდგომარეობის სიღრმისეულად შესწავლაში და შემედლო
 ჩემი კვლევა დამესრულებინა. მარვა იმდენად ხშირად ასხენებ-
 და ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „შიში“, „ტერორი“, „სიკვდი-
 ლი“ და „კომმარი“, მე თვითონ შემიპყრო შფოთმა.

კვლევა მალე დავასრულე ორი სხვადასხვა ეროვნების
 ლტოლვილის მდგომარეობის შესწავლით. წარმოვადგინე შე-
 ფასებანი და დასკვნები, რომლითაც კმაყოფილი ვიყავი, მაგ-
 რამ მარვა ალ-ბასრის საქმე გონებაში ჩამეჭყადა. ძირითადი
 მონახაზის მიხედვით, დიაგნოზი პოსტტრავმატული სტრესუ-
 ლი აშლილობა უნდა იყოს. შემამფოთებელი დიაგნოზია, რა-
 საც თვითმკვლელობის მცდელობის ორი შემთხვევა ამძაფ-
 რებს. მარვას აუცილებლად სჭირდება მკურნალობა.

**არაბულიდან თარგმანა
ირმა მახარაძემ**

- 1. სადღესასწაულო კერძი
- 2. არაბული ეროვნული ჩასაცმელი
- 3. ქალის გრძელი ჩასაცმელი

დინარა — დედოფალი ივერიისა

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გამოჰყვა ჩვენს მესხიერებას დაუვინყარი სტრიქონები: „თამარ ნყნარი, შესანყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი...“ ანდა კიდევ უფრო დაუვინყარი გოდება გენიალური მუზისა: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული...“

მაგრამ მარტოდენ ქართველი პოეტები როდი ასხამდნენ ხოტბას თამარ მეფეს. აგერ ნიზამი განჯელი თავის ერთ ლექსში ასე ამკობდა საქართველოს ძღვეამოსილ ხელმწიფეს: „მან თითისტარი შუბად აქცია, ჩვენ კი შუბი — თითისტრად“.

თამარ მეფის სახელოვანი ცხოვრება, მისი ზეობის წლებში საქართველოს მიერ გადახდილი ომები მიზობელ აგრესორთა წინააღმდეგ და, კერძოდ, ბასიანის ომი საფუძვლად დაედო XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთში შექმნილ ლიტურატურულ ძეგლს, რომელსაც ეწოდება „თქმულება დინარაზე“. აი, რას მოგვითხრობს დასახელებული ნაწარმოები:

როდესაც გარდაიცვალა ივერიის ხელმწიფე ალექსანდრე, მას არ დარჩენია მემკვიდრე ვაჟიშვილი. ჰყავდა მხოლოდ ასული თხუთმეტი წლისა, სახელად დინარა, ძალზე გონიერი და გულადი არსება, რომელსაც არ სურდა გათხოვება. მეფემ თავის ასულს უანდერძა ივერიის მეფობა.

დინარამ ბრძნულად დაიწყო ქვეყნის მართვა, შეძლო მოეხვეჭა თავის კარისკაცთა და სამეფოს დიდებულთა სიყვარული, გამოიჩინა ზრუნვა ხალხის მიმართ და მკაცრად იცავდა მართალ სამართალს. იგი გატაცებით კითხულობდა საღვთო წერილს და გადმოცემებს წინამორბედ მეფეთა გმირულ საქმეებზე, რამაც გულში ჩაუნერგა მხედრული სიმამაცე. როგორც ფუტკარი, ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფრინავს და აგროვებს თავლს, დინარაც ასევე იძენდა სიბრძნეს ღირსსახსოვარი წიგნებიდან.

და როგორც გამოცდილი ნაოსანი მიისწრაფვის უვნებლად გაატაროს თავისი ხომალდი ზღვის მძვინვარე ტალღებში, ასევე გულმოდგინედ იღვწოდა იგი თავისი ქვეყნის მშვიდობისათვის.

როდესაც სპარსეთის მეფემ ადრამელეხმა შეიტყო ალექსანდრე მეფის სიკვდილი და ივერიის სახელმწიფოში ქალის აღზევება, მან გადაწყვიტა ივერიის დაპყრობა და ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა. ელჩების პირით შეუთვალა დინარას: „თუკი გასურს, რომ ჩემი წყალობა დაიმსახურო, ორმაგი ძღვენი გამოგიგზავნე. და თუკი არ დამემორჩილები, მეფობის ნებას არ მოგცემი!“

დინარამ გაგზავნა თავისი ელჩები, დატვირთულნი იმაზე დიდი ძღვენით, ვიდრე მისი მამა გზავნიდა და სპარსეთის მეფეს ასეთი პასუხი გასცა: „შენ მიბრძანებ, რომ დავთმო მეფობა, რომელიც შენ არ გიბოძებია ჩემთვის და მალაღმა ღმერთმა მომანიჭა. რა უფლება გაქვს შენ, ურჯულოს, წილი მოითხოვო იმ ქვეყანაში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნილხვედრი რომ არის? იმიტომ კი არ გიგზავნი ძღვენს, რომ შენი მეშინია, არამედ მეგობრობის დასამყარებლად. თქვენ მაჰმადის რჯული გიჭირავთ, ჩვენ კი ქრისტიანული ღმერთი გვწამს. ტყუილად მემუქრებ. ღმერთი არ ინებებს ჩემს დამარცხებას“.

სპარსეთის მეფემ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ აღარ მიიღო მორთმეული ძღვენი და შემოუთვალა დინარას: „თუკი გასურს დედოფლად დარჩე და ჩემი წყალობა დაიმსახურო, გიბრძანებ მომცე ყველაფერი და შენ მხოლოდ პერანგები და იტოვო. თუკი ასე არ მოიქცევი, მაშინ მთელ ჩემს ჯარს დაეძრავ შენს წინააღმდეგ, ხელთ ვიგდებ შენს სამეფოს და დაგატყვევებ ყველა შენს დიდებულთან ერთად“.

დინარამ სპარსეთის მეფეს პასუხად მისწერა: „მრისხანე მეფეო, თუკი შენ ესოდენ დიდ ჯარით გამოილაშქრებ სუსტი ქალწულის წინააღმდეგ, კიდევ რომ გაიმარჯვო, შენთვის სამარცხვინო იქნება უმწეო ბავშვზე გამარჯვება. და თუკი ყოვ-

ლადწმიდა ღვთისმშობელი გამარჯვებას მომანიჭებს, თუკი ჩემი ქალური ფეხი შენს მეფურ სხეულს დავადგი და თავი მოგკვეთე, ამით დიდ სახელს მოვიხვეჭე. მთელი ქვეყნიერება შეიტყობს ივერიის ქალთა დიდებას და სპარსელი მეფის სირცხვილს“.

მაშინ ადრამელეხი დიდძალი ჯარით დაიძრა მისი ქვეყნის წინააღმდეგ. დინარამ შეკრიბა თავისი დიდებულნი და მოუწოდა საომრად გამზადება. ისინი ჭოჭმანმა შეიპყრო და მოახსენეს დინარას: „როგორ ძალგვიძს წინააღმდეგობა გავუწიოთ ასეთ უთვალავ ჯარს, ასეთ ძალას?“

დინარამ შეახსენა მათ ბიბლიური გმირების სასახელო საქმენი — მცორერიცხოვანთა გამარჯვებანი მრავალრიცხოვან მტერზე ღვთის შემწეობით. „ნუ მიეცემით სასონარკვეთას, თუკი არ შევიარაღდით ურჯულოთა წინააღმდეგ, თუკი სარწმუნოებისათვის არ დავიხოცეთ, სულერთია დავილუპებით და მონებად ვიქცევით. დავილუპებით შერცხვენილნი ისე, რომ ჩვენი ხსოვნაც აღარ დარჩება... როცა მზის დიდი მცხუნვარება მიწას გააშრობს, ამის შემდეგ მიწა დიდხანს იქნება გამხმარი და უნაყოფო, ასევე შეიძლება დავმართოს ჩვენს გავრცობილ სახელმწიფოს, გამრავლებულ ხალხს. როგორღა შევძლებთ ჩვენ კვლავ გაერთიანებას, თუკი სპარსელები მას შეავინრობენ და დაიმონებენ? უკუაგდეთ შიში, გაიმსჭვალენით სიმამაცით! რაღას აყოვნებთ? და მეც, ქალწული, მოვიდვარ თქვენთან ერთად, დავივინყებ ქალურ სისუსტეს, აღვივებნი მამაკაცური ძალით, შევიმოსები აბჯრით, თავზე მუზარადს დავიხურავ, ხმალს შემოვირტყამ და ხელში ავიღებ შუბს. წინ გაგიძღვებით და თქვენთან ერთად ვიბრძოლებ!“

ივერიის მთელმა მხედრობამ მოიყარა თავი, ხოლო დედოფალი შაბრების მონასტრისაკენ გაეშურა ფეხშიშველი — წვეტიანი ქებით მოკირწყულ მძიმე გზაზე. მონასტერში მიხლებულ დაეცა ღვთისმშობლის ხატის წინ და მხურვალე ლოცვით შეევედრა მშობელი ქვეყნის უპირველეს მფარველსა და ქომაგს. შემდეგ ცხენზე შეჯდა და ასე მიმართა მხედრობას: „მეგობრებო და ძმებო, მე თქვენზე უწინარეს მსურს თავი დავდო სამშობლოსათვის და თუკი თქვენც ასე მოიქცევით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და გფარვიდეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი!“

დინარამ დასძრა თავისი ჯარი სპარსეთის მეფის შესახვედრად. ფიცხელი ომი დამთავრდა ივერიის მხედრობის გამარჯვებით. სპარსეთის მეფე შეპყრობილი იქნა. მას თავი მოჰკვეთეს და შუბზე წამოაგეს. მოხვეჭილ იქნა აურაცხელი ალაფი. მედიდურ მტერზე ბრწყინვალედ გამარჯვებული დინარა დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

რუსული თქმულება ივერიის დედოფალზე უკვე XIX საუკუნეში გახდა მეცნიერთა კვლევის საგანი. მისი შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს და ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევარს იასე ცინცაძეს. სწორედ ბროსეს ნაშრომთა გამოქვეყნებამ გამოიწვია ძველი რუსული ლიტერატურის სპეციალისტთა დაინტერესება.

თქმულების გაცნობისას მკითხველს შესაძლოა არაერთი შეკითხვა წამოეჭრას. ზოგიერთ მათგანზე ამომწურავი პასუ-



თამარ მეფე

ხია გაცემული, ზოგი კი ამოუხსნელი რჩება. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ორი-სამი მაგალითი: რატომ გადაკეთდა თამარის სახელი რუსულ თქმულებაში? „თქმულება დინარაზე“ ბერძნულიდან არის თარგმნილი თუ რუსული ლიტერატურის ორიგინალური ძეგლია? რატომ არის შეცვლილი თამარის მამის სახელიც?

მ. ბროსე საკმაოდ ელემენტარულ ჭეშმარიტებას შეგვახსენებს, როდესაც წერს, რომ თქმულების გმირთა საკუთარი სახელების შეუსაბამობა რეალურად შესაძლებელ სახელებთან შედგება ამ სახელთა უჩვეულობის რუსი ავტორისათვის. მართლაც, მხატვრულ ნაწარმოებს როგორ უნდა მოვთხოვოთ სახელების სიზუსტე, როდესაც დიპლომატიურ მასალებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ხოლმე სახელთა გადაკეთება თუ დამახინჯება.

მ. ბროსე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ თუკი ვიხელმძღვანელებთ თქმულებაში გადმოცემულ ამბებსა და საქართველოს ისტორიის მონაცემებს შორის ზუსტი პარალელების ძებნის პრინციპით, ასე ვერაფერს მივაღწევთ, ვინაიდან „თქმულება დინარაზე“ მხატვრული ლიტერატურის ძეგლია და არა საისტორიო თხზულება.

მ. ბროსე, „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ცნობების გათვალისწინებით, მიიჩნევდა, რომ რუსულ თქმულებაში ასახულია შამქორის ომი (1195 წ.).

ი. ცინცაძის მოსაზრებით, ზემოხსენებული ძეგლის ტექსტში თავისი ადგილი უპოვია ბასიანის ომსაც (1202 წ.); მკვლევარმა აღნიშნა, რომ XII-XIII საუკუნეთა ქართულ საისტორიო წყაროებში სახელწოდება „სპარსი, სპარსელი“ ვრცელდება თურქ-სელჩუკებზეც, და იქვე დასძინა, რომ ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გამხდარა სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან საუბრების დროს.

საფიქრებელია, რომ „თქმულება დინარაზე“ უნდა მოგვიტოვებდეს უფრო ბასიანის ომსა და მის წინაურ მოვლენებს ანუ რუქნადინისა და თამარის დაპირისპირებას. ამას მეტყველებს თქმულების უმთავრესი დეტალები: ელჩობათა გაცვლა-გამოცვლა, „სპარსეთის მეფის“ ძლიერება და წრესგადასული გოლიზიადობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ რუქნადინის მაგალითით იქნებოდა შთაგონებული, იმ რუქნადინისა, რომელიც „უმადლეს და უდიდეს იყო სხვათა ყოველთა სულტანთა“.

რუსული თქმულების ლაიტმოტივი გახლავთ ქრისტიანული საქართველოს ბრძოლა მაჰმადიან აგრესორთან, რომელიც დაპყრობით ემუქრება მას და რომელიც სასტიკად მარცხდება გადამწყვეტ ომში. თამარის დროინდელი საქართველოს ისტორიაში კი ასეთი მოვლენის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია რუქნადინის გამოლაშქრება ჩვენს სამშობლოზე და ბასიანის ომი.

ხსენებული თქმულების შესამჩნევ პოპულარობაზე რუსეთში მკაფიოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის არსებული 80-ზე მეტი ნუსხა ამ თქმულებისა, შემონახული XVI-XVIII საუკუნეთა ხელნაწერებში, რომლებიც სხვადასხვა ბიბ-

ლიოთეკებსა და არქივებში არის დაცული. გარდა ამისა, „თქმულება დინარაზე“ წარმოადგენს ძველი რუსული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საკმაოდ იშვიათ ტექსტს, რომელმაც ასახვა პოეზია ხელოვნებაშიც. ეს გახლავთ ხუთი მინიატურა უვაროვის ხელნაწერისა და დინარას ხატი, რომელიც მოსკოვში არსებული დონის მონასტრიდან გადაეცა სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს, ხოლო კრემლის ე.წ. „ოქროს პალატაში“ კედლის მხატვრობას ამშვენებდა გამოსახულება „ლეგენდისა დედოფალ დინარაზე“.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თქმულების ავტორს მარჯვედ შეურჩევია ერთ-ერთი ყველაზე მჭევრმეტყველი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან და დაუმუშავებია იმ იდეათა შესაბამისად, რომლებიც აღეგნებდა იმდროინდელი რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. თქმულებაში მოცემულია იდეალური სახე ქვეყნის ბრძენი მმართველისა და სამშობლოს დამცველისა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ რუსი მემატიანის ცნობით, ყაზანის ალებისას (1552 წ.) თვით ივანე მრისხანემ თავისი ჯარის გასამხნეველად წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვაში მისაბამ მაგალითად დაასახელა ივერიის დედოფალ დინარას სიმამაცე.

მ. ბროსე წერდა, რომ „თქმულება დინარაზე“, როგორც ჩანს, რუსეთში ძალზე მოსწონდათ და, არცთუ იშვიათად, ოფიციალურ აქტებშიც კი იხსენიებდნენ. ასე მაგალითად, 1619 წელს რუსეთში ელჩად წარგზავნილმა ქართველმა მიტროპოლიტმა ხარიტონმა მოახსენა რუსეთის ხელმწიფეს, რომ ყიზილბაშთაგან დევნილმა თეიმურაზ მეფემ თავი შეაფარა იმერეთს და იქვე საჭიროდ ცნო განემარტა, რომ იმერეთი სწორედ ის მხარეა, „სადაც განისვენებს დინარა დედოფლის ნეშტი“ (მაშასადამე, იგულისხმება ქართული წყაროს ცნობა გელათში თამარ მეფის დაკრძალვის შესახებ). ეტყობა, ქართველმა ელჩმა იცოდა, რომ ოთხი საუკუნის წინათ გარდაცვლილი თამარ მეფე, დინარა დედოფლის სახელით, გაცილებით მეტად იყო ცნობილი რუსეთში, ვიდრე თანადროული იმერეთი.

ქართველი ელჩებისა თუ მეფეებისათვის კი რუსული თქმულება სახელოვან ქართველ დედოფალზე წარმოადგენდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებურ სავიზიტო ბარათს, როდესაც ისინი ჩადიოდნენ მოსკოვს და შემდგომში პეტერბურგს — მაჰმადიან აგრესორთა მიერ გარშემორტყმული საქართველოდან და ითხოვდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკურ დახმარებას. დიახ, „დინარა დედოფლის“ წყალობით, ისინი უგვარტომო მთხოვნელები როდი იყვნენ, არამედ ავბედობის შედეგად უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნის შვილები, იმ ქვეყნისა, რომელსაც ოდესღაც განაგებდა რუსეთში ესოდენ პოპულარული დედოფალი, მედგარი მედროშე მათი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. „თქმულება დინარაზე“ რუსული საზოგადოების სიმშაბიფის აღვივებდა ლეგენდარული ქართველი დედოფლის შთამომავალთა მისამართით.

გამომცემლობა „ინტელექტის“ დარბაზში გაიმართა წარდგინება **გია მურღულიას** ახალი წიგნისა **„საუბრები უფროსკლასელებთან“**, რომელიც მოიცავს უამრავ მცირე ესეის ჩვენს ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პედაგოგიის მეტად აქტუალურ და მწვავე პრობლემატიკაზე.

როგორც წიგნისათვის დართულ წერილში აღნიშნავს **როსტომ ჩხეიძე**: უშუალო საბაბი ამ ჩანაწერების შექმნისა აღმოჩნდებოდა გაკვეთილებზე ნამოჭრილი თემები — ყმანვილებს რაც აღელვებდათ და აინტერესებდათ, რის პასუხსაც ეძიებდნენ, რისი ნიუანსების გარკვევაც ენადათ... და გია მურღულიას ერთუდიციისა და ორატორული უნარის კაცი ამ თემებზე ააგებდა მრავალმხრივ საგულისხმო იმპროვიზაციებს, რომლის წარმართველიც იქნებოდა ფიქრის გაზიარების სურვილი, გადმოცემის ისეთი მანერა, რომელსაც ძალდაუტანებლად უნდა აპყო-

ლოდნენ ახალგაზრდები და ცხოველი მონაწილეობაც მიეღოთ ფიქრის გაგრძელებასა თუ საკმაოდ ცხარე დისკუსიაში.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა გამომცემლობის ხელმძღვანელმა **კახმეგ კუდავამ**, ვინც ყურადღება გაამახვილა იმ სერიოზულ, რომლითაც გამოქვეყნდა გია მურღულიას ესეების კრებული: **„ინტელექტი სკოლას“**. უძღვებოდა **ზვიად კვარაცხელია**. სიტყვით გამოვიდნენ: მწერლები — **ლევან ბრეგვაძე, თემურ ქორიძე** და **როსტომ ჩხეიძე**; ყურნალისტები — **მარიკა დარჩია** და **ვასილ მაღლაფერიძე**; პედაგოგი **მანანა კობახიძე**.

საერთო აზრითა და შეფასებით გია მურღულიამ მიაგნო მისთვის შესაფერის უანრს და ეს წარმატება უსათუოდ განაპირობებს იმას, რომ წიგნს მეორე და მესამე ტომებიც ამოუდგება გვერდით. და რომ ამ შინაარსისა და სტილური მანერით დანერვილი წიგნები ძალიან სჭირდება ჩვენს ახალგაზრდობას თვითშემცენების გზაზე.